საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№26 (69)
14 - 20 ივლისი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# ცხოვრება ნეტარი მიხეილისა

(უცნობი და უკიდურესად სასაცილო ფაქტები პირველი პირის ბიოგრაფიიდან)

2



**საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ ვებ-გვერდზე ოფიციალურ ბიოგრაფიაში მასხრად აიგდეს!**

4 რისთვის ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი კიევში?

5 „პირველმა კავკასიურმა“ პარიზის სასამართლოში საქმე წააგო

8 საბიუჯეტო უწყებებში მასობრივი შემცირებები მიმდინარეობს

8 მესტიასა და ანაკლიაში მოსახლეობას მიწებს ართმევენ

11 ვასილ ჭიჭინაძე: საქართველო, ფაქტობრივად, ოკუპანტია

22 რუსები და ქართველები ჩვენმა პატრიარქებმა უნდა გამოაღვიძონ

31 როკფელერების სისხლიანი პროექტი

## «დამარცხებული კორუფციის ქვეყანაში» 10

## მექრთამეობისთვის მოსამართლე, პროკურორი და სხვა ათობით სახელმწიფო მოხელე დააკავეს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ცხოვრება ნეტარი მიხეილისა

**პირდაპირ ვიკითხავ: მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ბიოგრაფია წაკითხული თუ გაქვთ? თუ არა, შეგიძლიათ შებრძანდეთ ინტერნეტში ვებ-მისამართზე president.gov.ge, იპოვოთ შესაბამისი ბმული და დატკბეთ ამ შედევრით.**




მსგავსი რამ ქართულ ისტორიას, ლიტერატურასა და ფსიქიატრიას არ ახსოვს. ტექსტის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია მდიდარ მასალას იძლევა მსჯელობისთვის თემაზე „უვიცი ცალკალოშიანები ხელისუფლებაში“, თუმცა ნუ დავწვრილმანდებით, ჯობს უშუალოდ შინაარსზე გადავიდეთ.

ყველაზე საინტერესო იწყება მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დაიბადა და **„წარჩინებით დაამთავრა“ „კიევის საერთაშორისო ურთიერთობების პრესტიჟული ინსტიტუტი“** („პრესტიჟულის“ ხაზგასმა სახასიათო კია; ქალაქელები გამიგებენ). რატომღაც არ არის ნახსენები არც სკოლა, არც ის, თუ როგორ მსახურობდა ფიგურანტი „ქეი-ჯი-ბის“ სასაზღვრო ჯარებში; თუმცა, თავი დავანებოთ წყეულ ტოტალიტარულ წარსულს და მთავარ თემებს მივხედოთ.

**„როგორც საქართველოს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრმა, მან უზრუნველყო ქართველებსა და აფხაზებს შორის პატიმართა გაცვლის შეთანხმებები და აგრეთვე სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რომლებიც დატყვევებულნი იყვნენ მთიანი ყარაბახისათვის საომარი მოქმედებების დროს“.** აქ რატომღაც გამახსენდა ფრაზა ლუდის რეკლამიდან — **„А мужики-то не знают!“,** თუმცა შემდეგი პასაჟი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამოდგა:

## „1992 წელს მისი თაოსნობით ჩატარდა კონფერენცია ქართველი და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების მონაწილეობით ნორვეგიის ადამიანთა უფლებების დაცვის ინსტიტუტში, რომლის შედეგად პირველად იქნა ხელმოწერილ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება“.

აი, თურმე ვინ ყოფილა ქართული დიპლომატიის მამა და შვიდგზის ნეტარი მშვიდობისმყოფელი... **„А мужики-то не знают!“.** ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მთავარი გმირი მოხსენიებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში; 2008 წლის აგვისტოზე ბიოგრაფია დუმს. რატომ არ დაწერეს არაფერი სააკაშვილის ეპიკურ შებრძოლებაზე („Mano-a-mano“) რუსულ თვითმფრინავთან გორის ცენტრში? ან კიდევ იმაზე, გენერალი ბორისოვი რომ დაატყვევა და სულ ჰალსტუხით ათრია? თუმცა, ბიოგრაფია თავისუფალია ამ მილიტარისტული კოშმარებისგან, საუბარი ხომ უაღრესად თავმდაბალ, მშვიდობისმყოფელ ადამიანს ეხება.

იუსტიციის მინისტრის პოსტზე **„მუქარის, რეპრესიისა და პიროვნული საფრთხის მიუხედავად** (მიმიქარავს ერნესტო ჩე გევარა), **იგი დაუღალავად იბრძოდა დანაშაულის გამოსააშკარავებლად და ძლიერი სამხილის საფუძველზე საჯაროდ ავლენდა წამყვანი მოხელეების კორუფციულ ქმედებებს სამთავრობო დონეზე. მისმა რადიკალურმა სასამართლო რეფორმებმა იმდენად ეფექტურად გააუმჯობესეს სასამართლო სისტემა, რომ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ქებაც კი დაიმსახურეს.“** აზრზე ხართ? მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ქებაც კი!

**„მიშა“ — მიხეილის შემოკლებული ფორმაა** (მისი სახელის სხვა შემოკლებული ფორმებიც გამიგია, თანაც ხშირად, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მათ აქ არ ჩამოვთვლი — დ.მ.) **ხმათა 53,4% 2208 წლის ხუთ იანვარს მეორე ვადით აირჩიეს“.** ეს პოსტულატი რა თქმა უნდა ძლიერ სადავოა, თუმცა მთავარი ხომ მიღწევებია და აი ისინიც: მას შემდეგ, რაც რუსეთის ბაზარი დაიხურა, **„მიხეილ სააკაშვილმა ახალ, გლობალურ ბაზრებამდე მიაღწია, მაშინ, როდესაც საქართველოს ეკონომიკა უნდა ჩამოშლილიყო პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა ადმინისტრაციამ ქართული ეკონომიკა იმ ახალ, საერთაშორისო ბაზრებზე გაიტანეს, რომელთათვისაც ქართული პროდუქცია სრულიად უცხო იყო“.**

ცნობილი ანეგდოტის არ იყოს, თან ვტიროდი, თან ვიცინოდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას შემდეგი, ალალი შიზოფრენიის სტილში დაწერილი ფრაზა შეემატა: **„სააკაშვილმა, როგორც ლიდერმა კავკასიის მთელ რეგიონში, საბრძოლოდ მომზადებული თითქმის 1000 ჯარისკაცი გააგზავნა ჰელმანდის პროვინციაში საბრძოლველად, ძირითადად აშშ-ის საზღვაო ქვეითთა გვერდით, და ამჟამად ახალ კურსს ირჩევს ნატოს სამხედრო ძალების შესავსებად“.**

ყველა სულელური ციტატა ბიოგრაფიიდან აქ, ცხადია, ვერ დაეტევა, ასე რომ იჩქარეთ, ვიდრე გამოფხიზლდებიან და ტექსტს ჩაასწორებენ. თუმცა ამ შემთხვევისთვის ძველი გვერდის ასლი საგულდაგულოდ შენახული მაქვს და შემიძლია ნებისმიერ მსურველს გადავცე. ისე, კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით: რაც თვითონ არის, ოფიციალური (!) ბიოგრაფიაც ისეთივე აქვს.

**დიმიტრი მონიავა**


საააკაშვილის ბიოგრაფიაში არაფერი წერია მის ეპიკურ შებრძოლებაზე რუსულ თვითმფრინავთან გორის ცენტრში 2008 წლის აგვისტოში

# როცა არ გეპატიჟებიან

**9 ივლისს უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს იუბილე ჰქონდა — პრეზიდენტი 60 წლის გახდა. გასაგებია, როგორი პომპეზურობით აღნიშნავდა იანუკოვიჩი საკუთარ იუბილეს. სტუმრები — პოლიტიკოსები, მომღერლები, საზოგადო მოღვაწეები — მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ეწვივნენ იუბილარ პრეზიდენტს; ისინი დაპატიჟებული იყვნენ.**



— დაპატიჟებული ხარ?..



— ამხელა გზა გამომივლია, ამოდენა ხარჯი მიქნია...

ერთადერთი მაღალი რანგის პერსონა (თანამდებობრივად მაინც), რომელიც უკრაინის დედაქალაქს დაუპატიჟებლად ეწვია და იანუკოვიჩის ნახვას ლამობდა, რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

არა, სააკაშვილი რომ ზრდილობასა და აღზრდასთან ყოველთვის მწყრალად იყო, დიდი ხანია, მთელმა მსოფლიომ იცის; თვითონ მასაც რომ სინდისისა და უხერხულობის გრძნობის შესახებ ჭორის დონეზეც კი არ სმენია, ამასაც შევეჩვიეთ, მაგრამ სულ ახლახან რუმინეთში რომ მოინდომა დაუპატიჟებლად ჩასვლა და ბუქარესტიდან ბრანწი რომ უჩვენეს, — წადი, თუ ღმერთი გწამს, თავი დაგვანებეო, მაშინ მაინც არ გაუჩნდა სურვილი, შემდგომისთვის ოდნავ დაფიქრებულიყო მაინც? თუ კლინტონის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დააკარგვინა რეალობის შეგრძნება?

**თურმე, ნუ იტყვით და, ჩვენი შადრევან I დიდად უკმაყოფილო დარჩენილა — სათანადოდ არ დამხვდნენ უკრაინაშიო.** ჩემი კომენტარებით თავი რომ არ შეგაწყინოთ, უკრაინული მედიით გავრცელებულ ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

**„ჩვენ სრულიად შემთხვევით შევიტყვეთ სააკაშვილის ჩამოსვლის შესახებ და ჯერჯერობით ის არც კი გვინახავს“,** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ანა გერმანმა. კარგია, არა?

მიუხედავად უზრდელობისა, რაც დაუპატიჟებელი ვიზიტიდან გამომდინარეობს, **უკრაინული მხარე თურმე არ აპირებს სააკაშვილის გაგდებას**, რადგან, იმავე ანა გერმანის თქმით, **„მასპინძლები ასე არ იქცევიან და ნაკლებად სავარაუდოა, რომ იანუკოვიჩი ეთიკური ნორმების შეუსაბამოდ მოიქცევა“.**

არა მგონია, ვცდებოდე, მაგრამ, ჩემი აზრით, დიპლომატიურ ენაზე ამას დედის გინება ჰქვია. აქედან პანღურით ხარ გასაგდები, მაგრამ ჩვენ ხომ შენსავით უზრდელები არ ვართ და ვიცით, როგორ უნდა იქცეოდეს ნორმალური ადამიანიო, — ამას ნიშნავს უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადება ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე.

მიშა, თავმოყვარეობა საერთოდ არ გაქვს?

მიშისტობა-ოპოზიციონერობა იქეთ იყოს და **მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, უსიამოვნო შეგრძნება გამიჩნდა, როცა ეს სიტყვები წავიკითხე. რატომ უნდა იქცეოდეს ჩემი ქვეყნის პრეზიდენტად წოდებული ადამიანი ისე, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ამბობდეს, — გასაგდებია, მაგრამ მისგან განსხვავებით, ჩვენ ზრდილობა გვაქვს და ეგდოს ბარემ აქო.**

უკრაინულმა მედიამ კი, გაგიხარიათ და ძალიან იხალისა ჩვენი ჭკუანაღრძობის ამ მორიგ „ექსპრომტზე“. **„ცუდია, რომ უგო ჩავესი არ ჩამოვიდაო“,** — ნათქვამია ერთ-ერთ ფორუმზე, მეორე კომენტარი კი საერთოდ მომაკვდინებელია: **„გვასწავლის, როგორ უნდა გავანიავოთ ჩვენი მიწებიო“.** ეს თარგმანში, თორემ „გავანიავოთ“ ძალიან რბილი და ზედმეტად ზრდილობიანი თარგმანია რუსული სიტყვისა „просрать“, რომელიც ამ კომენტარის ორიგინალში იქნა გამოყენებული.

ისე, საცოდავი ჩვენი ელჩი გრიგოლ ქათამაძე კარგ დღეში ჩავარდებოდა, არა? დილით ახელს კაცი თვალს და საკუთარ პრეზიდენტს ხედავს, გაუფრთხილებლად და დაუპატიჟებლად რომ დააცხრა თავზე მშვიდობიან კიევს...

სამწუხაროა, რომ საქართველოს არაკეთილმოსურნეებს ამ ვიზიტით კიდევ ერთი მშვენიერი საფუძველი მიეცათ ქილიკისა და აგდებისთვის. მაგრამ ამაზე არანაკლებ სამწუხარო და თანაც საინტერესოა „ოპოზიციონერად“ წოდებული ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელის, მანანა სალუქვაძის „კომენტარი“ მიშას ამ მორიგ ცერცეტზე.

**„უკრაინა დიდი ქვეყანაა და საქართველოს ლიდერმა უნდა განაახლოს ურთიერთობა ამ ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობასთან. ეს წმინდა პროტოკოლური ვიზიტია და მიხეილ სააკაშვილი სწორად მოიქცა, რომ პირადად მიულოცა ვიქტორ იანუკოვიჩს“,** — განაცხადა „ტაბუ“ სალუქვაძის დამ, მანანამ.

მანანა, „პროტოკოლური ვიზიტის“ მნიშვნელობა იცი საერთოდ?

მსგავსი მხარდაჭერა და მოწონება სააკაშვილის აღნიშნულ ვოიაჟთან დაკავშირებით მისმა უმრავლესობამაც კი ითაკილა, რაც ბურჯანაძის წარმომადგენლისგან მიიღო. მაშ, ჩემო მანანა, კარგად მოიქცა მიშა, დაუპატიჟებლად რომ ჩაასკდა კიევს და უკრაინელებმა რომ შემოუთვალეს – კაი გენაცვალე, იყავი აქ, აბა, პანღურს ხომ არ ამოგარტყავთო? ასეთ „პროტოკოლურ ვიზიტებს“ აპირებს ქალბატონი ნინოც, თუ მსოფლიოს მერვე საოცრება მოხდა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა?!

მოკლედ, კიდევ ერთხელ „მოგვეჭრა თავი შუა ევროპაში“. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ეს ამბავი, ეჭვგარეშეა, არც პირველია და არც უკანასკნელი.

**სალვადორ დვალი**

# კლინტონის დარწმუნების მისია

**ეს მექანიზმი საათივით მუშაობს. საკმარისია, პრეზიდენტებმა: ბარაკ ობამამ და დიმიტრი მედვედევმა, რუსულ-ამერიკული ურთიერთობების „გადატვირთვის“ ფარგლებში, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან, რომ აშშ-ის მორიგი მაღალი რანგის წარმომადგენელი ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება ვაშინგტონის პარტნიორებთან ევროპასა და ევრაზიაში „ნდობის აღსადგენად“.**



2009 წელს ამით ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი იყო დაკავებული. ის „პერესტრახოვშჩიკის“ (დამზღვევი) ფუნქციას ასრულებდა. შარშან ზაფხულში მოსკოვში ობამა-მედვედევის შეხვედრის შემდეგ ბაიდენი თბილისსა და კიევში გააგზავნეს. **როდესაც ადმინისტრაციამ წინა ადმინისტრაციის პროექტზე (პოლონეთსა და ჩეხეთში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსებაზე) უარის თქმის გადაწყვეტილება მიიღო, ვიცე-პრეზიდენტი ამ ორ ქვეყანასა და რუმინეთს ეწვია, სადაც სიტყვით გამოვიდა და ირწმუნებოდა, რომ ამერიკა ამ რეგიონში მისი ვალდებულებებისა და ინტერესების ერთგულია.**

მაგრამ ბაიდენი ახლა ბაღდადშია (ცდილობს კონკურენტი ერაყელების ეროვნული მთავრობის შექმნაზე დათანხმებას), ნდობის აღდგენის მისიის შესრულება წილად ხვდა სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს, რომელიც, ბაიდენის სცენარის მსგავსად, კატეგორიულად ამტკიცებს, რომ აშშ-ს შეუძლია „ერთდროულად იაროს და თან საღეჭი რეზინიც ღეჭოს“, ანუ შეუძლია რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მუშაობა და თან მისი მეზობლების ინტერესების დაცვაც. კლინტონმა კვლავ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხი დააყენა და რუსეთი იმ ქვეყნების კატეგორიაში ჩარიცხა, რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებებს „რკინის მარწუხებში“ აქცევენ.

**მაგრამ ჩვენი სახელმწიფო მდივანი იმ რეგიონში მიემგზავრება, რომელიც არაპროგნოზირებადი ცვლილებებისკენაა მიდრეკილი. უკრაინაში არჩევნებმა ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩი მოიყვანა, რომელიც პირადად და დიდწილად იყო რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გაუმჯობესების მიზეზი. კიევის ახალმა ხელმძღვანელობამ ყირიმში რუსეთის შავი ზღვის ფლოტს იჯარის ვადა გაუგრძელა, ოფიციალურად უარი განაცხადა ნატოში გაწევრების ყოველგვარ მცდელობაზე და რუსეთთან სასარგებლო ეკონომიკური კავშირების აღდგენა აქტიურად წამოიწყო. სწორედ ამას მოჰყვა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გეოპოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა ევრაზიულ სივრცეში.**

საინტერესო შემთხვევაა პოლონეთი. უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ვარშავის „პერსონალურმა პრობლემებმა“ სიმწვავე აშშ-პოლონეთს შორის სამხედრო თანამშრომლობაზე გაფორმებული ხელშეკრულების წყალობით დაკარგა და ახლა, ვარშავა-მოსკოვის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი დათბობის საფუძველზე, რაც ტრაგიკული ავარიის შემდეგ მოხდა, რომელშიც კატინის მემორიალისკენ მიმავალი უამრავი პოლონელი მაღალჩინოსანი დაიღუპა, პოლონეთის მთავრობა პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ახორციელებს რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის“ საკუთარ კურსს.

**ზოგიერთმა ქართველმა ანალიტიკოსმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ კლინტონმა საქართველოში ვიზიტის დროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ღიად უწოდა „ოკუპირებული“ ტერიტორიები. მაგრამ სიტყვა იაფი საქონელია. თუკი თბილისი მის კვიპროსელ კოლეგებს დაეკითხება, სიტყვებს (და გაეროს რეზოლუციებსაც) ორმოცი წლის განმავლობაში წარმოთქვამენ, ხოლო კუნძულის ჩრდილოეთში სეპარატისტულ რეჟიმს დაახლოებით ორმოცი ათასი თურქი ჯარისკაცის მხარდაჭერა აქვს და უახლოეს მომავალში არსად წასვლას არ გეგმავს. აშშ სულაც არ აპირებს რუსეთთან მისი ურთიერთობების ჩამოყალიბებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ირგვლივ, ისევე, როგორც არასდროს დაუპირებია კვიპროსის საკითხი თურქეთთან ურთიერთობის ქვაკუთხედად ექცია.**

როგორც ჩანს, ობამას ადმინისტრაცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსეთის მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ორიენტაციის საფუძვლიანი გადახედვა ის ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასაც აშშ ვერ შეძლებს და არც უნდა შეეცადოს; **ჯერ ერთი, ვაშინგტონს ამისთვის რესურსები არ ეყოფა (ევროპა კი ასეთი ტვირთის ზიდვას არ მოინდომებს); მეორეც, მოსკოვთან ჯერ კიდევ საჭიროა მსოფლიო უსაფრთხოების მთელ რიგ საკითხებზე თანამშრომლობა.** ამგვარად, მიდგომა შეიცვალა: თუკი ადრე რუსეთის ხელთ დარჩენილი გავლენის ბერკეტების განადგურებისთვის აქტიური ღონისძიებები ტარდებოდა, ახლა ასეთი მუშაობა იმაზე მიდის, რომ მეზობელ ქვეყნებს ევროპასთან საკმარისი მოცულობის კავშირები შეუნარჩუნდეს, რომ ჰქონდეთ დამოუკიდებლობის მისაღები ხარისხი და საკუთარი წონა რუსეთთან ურთიერთობაში. მეტიც, ადმინისტრაცია, რომელმაც საქართველოს თხოვნას მისი არმიის ხელახლა გადაიარაღებაზე რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ, კვლავ იგნორირება გაუკეთა, ამით მიანიშნა, რომ მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მეზობლებს მხარს არ დაუჭერს, თუკი ამ ბრძოლაში თავად აშშ-ისთვის სასწორზე ან არაფერი, ან თითქმის არაფერი დევს.

რა თქმა უნდა, მუდმივი სამყაროში არაფერია. კლინტონის მოგზაურობა შეიძლება დამატებით სარეზერვო ვარიანტის ნიშნადაც მივიჩნიოთ იმ შემთხვევისთვის, თუკი „გადატვირთვა“ არ იმუშავებს. ხოლო მოსკოვის თვალსაზრისით, მიუღებელია, თუმცა ასატანი, აშშ-ის უფრო შეზღუდული მონაწილეობა ევრაზიის ცხოვრებაში (საქართველოს ეკონომიკური მხარდაჭერის გაგრძელება, ანტისარაკეტო თავდაცვის სფეროში პოლონეთთან შეზღუდული პარტნიორობის პროგრამა, აშშ-ის შემდგომი სამხედრო ყოფნა შუა აზიაში). **მაგრამ ადმინისტრაცია მოქმედებს იმ განზრახვით, რომ უფრო მიზნობრივ მიდგომებს გამოიყენებს რეგიონში საკუთარი გავლენის დამკვიდრებისთვის და, როგორც ჩანს, მზადაა მოსკოვის პოზიციების მკვეთრი გაძლიერება, როგორც შემდგარი ფაქტი, ისე მიიღოს. ასე რომ, როგორი სიტყვაც არ უნდა ითქვას „ნდობის აღდგენასთან“ დაკავშირებით, რეალობას ვერ შენიღბავ.**

**ნიკოლას გვოზდევი,**
**National Interest-ის უფროსი რედაქტორი, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის კოლეჯში ნაციონალური უსაფრთხოების საკითხების ლექტორი.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რისთვის ჩავიდა სააკაშვილი კიევში?

**გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი მორიგი გაუგებრობის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ამ ბოლო დროს მსგავსი რამ ისეთი მოსაწყენი პერიოდულობით ხდება, რომ ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა, შვებულება აელო და ცოტა ხნით მაინც დაესვენა სადმე, ურუგვაიში (ისე, რას ვერჩით შესანიშნავი ფეხბურთელების სამშობლოს?) ან უფრო შორს. სენტიმენტალური მოგზაურობა მარშრუტით „ჩემოდანი-თვითმფრინავი-ურუგვაი“ ცოტა ხნით მაინც დაგვასვენებდა იმ უსიამოვნო სიურპიზებისგან, რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით ვეჯახებით. გასულ კვირას ეს იყო მიხეილ სააკაშვილის უცნაური ვიზიტი უკრაინაში, რომლის დეტალებზე დაკვირვებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ საქართველოს იმიჯი და ღირსება კიდევ ერთხელ (მერამდენედ?) შეილახა.**

## სირცხვილი და თავის მოჭრა

**„იმის შესახებ, რომ ჩვენთან მიხეილ სააკაშვილი ჩამოფრინდა, თითქმის შემთხვევით შევიტყვეთ,** — განუცხადა “Life News-ს უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ანა გერმანმა, — **„ჩვენ იგი ჯერ არ გვინახავს“.** ამ ციტატას აღნიშნულმა გამოცემამ ასეთი პასაჟი მოაყოლა: **„ამასთანავე, იუბილარის** (იანუკოვიჩს 60 წელი შეუსრულდა. — რედ.) **გარემოცვაში აღნიშნავდნენ, რომ უკრაინის პრეზიდენტს საზეიმო ღონისძიებებზე არანაირი მოწვევა ქართველი კოლეგისთვის არ გაუგზავნია. მიუხედავად ამისა, კიევიდან სააკაშვილის გაგდებას, რომელიც, სხვათაშორის, უკრაინის ყოფილი თავკაცის — ვიქტორ იუშჩენკოს ნათელმირონია, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს იულია ტიმოშენკოს უჭერდა, არავინ აპირებს. „მასპინძლები ასე არ იქცევიან,** — აღნიშნა ანა გერმანმა, — **განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვინმე ჩამოდის და მილოცვა სურს. მითუმეტეს, რომ უკრაინა სტუმართმოყვარე ქვეყანაა და სტუმრების გაგდება აქ მიღებული არ არის“.**

ცხადია, ასეთ ტონალობაში სახელმწიფოს (თუ რაც არის) პირველ პირებზე არავინ საუბრობს; ასე აგდებულად, სადარბაზოში შემოპარულ „ბომჟებს“ თუ ახსენებენ. ანა გერმანი მაღალი რანგის ჩინოვნიკია, ვიქტორ იანუკოვიჩის პოზიციას სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში ხშირად სწორედ ის ახმიანებს. თუ მას მსგავსი რამ არ უთქვამს, ამ მასალის გამოქვეყნებას უნდა მოჰყოლოდა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაუყოვნებელი და არაორაზროვანი უარყოფა, რომელსაც დღეების განმავლობაში ამაოდ ველოდით.

**მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება აქვს თითოეულ ჩვენგანს მიხეილ სააკაშვილის მიმართ, არა მგონია, ვინმეს გახარებოდა, რომ იგი ასე გათათხეს, რადგან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სააკაშვილი საქართველოს წარმოადგენდა.**

გაუგებარი იყო ვიზიტის ფორმატი: ერთის მხრივ, სააკაშვილის პრეს-სპიკერის — მანანა მანჯგალაძისა და უკრაინაში საქართველოს ელჩის — გრიგოლ ქათამაძის განცხადებების თანახმად, ვიზიტი სამუშაო იყო; მეორეს მხრივ, უკრაინის პრეზიდენტისა და ამ ქვეყნის საგარეო უწყების ოფიციალურ ვებგვერდებზე ეს ვიზიტი და შეხვედრა ნახსენები საერთოდ არ არის;

**არადა, იქ იდება ინფორმაცია იანუკოვიჩის ნებისმიერ ოფიციალურ შეხვედრაზე. ამავე დროს უკრაინული მედია, „ინფორმირებულ წყაროზე“ დაყრდნობით, წერდა, რომ ვიზიტი კერძო იყო.**

ეს კიდევ უფრო აღრმავებდა ეჭვებს, რადგან სამუშაო ვიზიტების დროს და ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში, ინფორმაციას უცხოელი სტუმრის ჩამოსვლის შესახებ სავსებით კონკრეტული წყარო გააჩნია; როგორც წესი, ეს საგარეო საქმეთა სამინისტროა. ტექნიკური დეტალებისთვის დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ბატონ გრიგოლს (რუსეთის ფედერაციის ყოფილ მოქალაქე ვაშაძეს ვგულისხმობ) მიმართოს, ოღონდ სწრაფად, რადგან, „ინფორმირებულ წყაროს ჯერაც დაუდასტურებელი ინფორმაციით“, ცა მის მრავლისმნახველ თავზე ძლიერ მოიღრუბლა და უახლოეს მომავალში შეიძლება საკადრო გილიოტინა არ ასცდეს.

კი, ბატონო, გვერდზე გადავდოთ ვენის კონგრესისა და შარლ მორის დე ტალეირან-პერიგორის დრომოჭმული მემკვიდრეობა და ჩავთვალოთ, რომ ეს ახალი, რევოლუციური დიპლომატიაა, როდესაც უცხო ქვეყანაში ჩასვლისთვის არც მასპინძლის თანხმობა გჭირდება, არც მასთან ვიზიტის დეტალების შეთანხმება.

ჯანდაბას ეს ნიუანსები, „**Гулять-так гулять!**“; სჯობს, შევეცადოთ, ვიპოვოთ პასუხი მთავარ კითხვაზე: **რისთვის ჩაფრინდა სააკაშვილი კიევში? პასუხის პირველი ვარიანტი ზედაპირზე დევს და უკრაინასთან თანამშრომლობას ეხება; მეორე კი, ცოტა არ იყოს, იდუმალების ბურუსით არის მოცული და, სავარაუდოდ, რუსეთთან ურთიერთობებს უკავშირდება.**

ალბათ, ვიქტორ იანუკოვიჩის თანამებრძოლებს ესიამოვნათ კიდეც, როდესაც ადამიანი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დონეცკში ზონდერებს აგზავნიდა, სასწრაფოდ ჩამოვიდა კიევში, რომ მათი ლიდერისთვის დაბადების დღე მიელოცა. ზოგიერთ მათგანს, ალბათ, გივი ვასილიჩის სატელეფონო მუქარები გაახსენდა, ზოგს ზაზა გოროზიას ჭარბი ინტელექტით დამძიმებული სახე დონეცკის აეროპორტის ფონზე... როდესაც მათ გაიგეს, რომ სააკაშვილი კიევში დაუპატიჟებლად (ჯერჯერობით ასე ჩანს) ჩაფრინდა და იანუკოვიჩთან შეხვედრას ლამობს, შესაძლოა, იფიქრეს კიდეც, რომ საქართველოს ლიდერი კიდევ უფრო დიდი დამცირების ღირსია (ანა გერმანის აგდებულ კომენტარზე უარესი რაღაცების გაკეთებაც შეეძლოთ), თუმცა **იანუკოვიჩი მკვეთრ ნაბიჯებზე არ წავიდა; უკრაინის პრეზიდენტი, მარტივად რომ ვთქვათ, კაცურად მოიქცა.**

**როგორც ჩანს, ამ ადამიანმა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება და მისი პროპაგანდა ამდენს ლანძღავდა, ძალიან მარტივი პოსტულატით იხელმძღვანელა: მოვა დრო და პოლიტიკაში არც იანუკოვიჩი და არც სააკაშვილი იქნებიან, ხოლო ორი ერი დარჩება და, სასურველია, მომავალშიც თბილი ურთიერთობები ჰქონდეთ. იმისთვის, რომ ყველაფერს ხაზი გადაუსვა, ლესია უკრაინკაც უნდა დაივიწყო, დავით გურამიშვილიც, ის უამრავი ქართველიც, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს უკრაინაში მომხვდურს შეაკვდა; ეს კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, გაცილებით მეტია, ვიდრე პირადი შურისძიებისა და მოწინააღმდეგის დამცირების სურვილი.**

უკრაინასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მცდელობა, ნებისმიერ შემთხვევაში, მისასალმებელია; იმედია, „ვასილიჩების“ მიერ დატოვებული შავი ლაქის ჩამორეცხვას საქართველოს, ამჟამინდელი თუ არა, მომდევნო ხელისუფლება შეძლებს. ჯერჯერობით კი, როგორც ჩანს, იმით დაკმაყოფილება მოგვიწევს, რომ „უკრაინაში სტუმრების გაგდება მიღებული არ არის“. თუმცა ამ ვიზიტს სხვა ასპექტიც ჰქონდა, რომლის გამოკვლევა, ალბათ, შემდეგი ინფორმაციით უნდა დავიწყოთ: **„უკრაინის პრეზიდენტის — ვიქტორ იანუკოვიჩის იუბილეზე ყირიმში ჩასვლას რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინიც გეგმავენ. უკრაინაში, ასევე, იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის უმაღლეს პირებს შეხვდეს“** (GHN; 9 ივლისი). ▶

# «გარედან შეტანილი ანომალია»

**გასულ კვირას ტელეკომპანია „მირისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა „ნაცმოძრაობის ბელადს“ „გარედან შეტანილი ანომალია“ უწოდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა რუსი და ქართველი ხალხები ერთმანეთს დაუპირისპიროს“. სახელისუფლო არხებმა, „ბუნებრივია“, ეს განცხადება საზოგადოების „თვალსაწიერს“ საგულდაგულოდ განარიდეს; თავის მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლებს საპასუხო განცხადებებისთვის არ „ეცალათ“, რადგან იმ დროს, როცა ლავროვთან ინტერვიუ ტელევიზიით გადაიცა, უგულავადან დაწყებული, სააკაშვილით დამთავრებული — უკლებლივ ყველა „ნაცმოელი“ თბილისში ძველი უბნების დასათვალიერებლად ჩამოსულ ჰილარი კლინტონს „საგანგებო“ გიდობას უწევდნენ. „საქართველო და მსოფლიო“ საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს დაუკავშირდა და ლავროვის განცხადების თაობაზე კომენტარი სთხოვა.**



**ელიზბარ ჯაველიძე:** — სავსებით ვეთანხმები ლავროვის განცხადებას, რადგან სააკაშვილი არა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რუსი და ქართველი ხალხი ერთმანეთს დაუპირისპიროს, არამედ მთელი თავისი ენერგია მიმართული აქვს ჩვენ შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებისკენ.

**ეს არის მისი მოღალატეობრივი, ანტიეროვნული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი და ამოცანა, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ, რაც უფრო მეტად დაუპირისპირდება ჩვენი ქვეყანა მეზობელ რუსეთს, რაც უფრო გამწვავდება ჩვენ შორის ურთიერთობა, მით უფრო დასუსტდება საქართველო და, შესაბამისად, მისთვის (სააკაშვილისთვის) გაცილებით ადვილი სამართავი იქნება ქართველი ხალხი...**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:** — ლავროვის განცხადება პირადად არ მომისმენია, მაგრამ ის, რაც ამ განცხადებაშია ნათქვამი, აბსოლუტური სიმართლეა.

სააკაშვილი, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე, ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო, რაც შეიძლება შორს იყოს რუსეთისგან და ახლოს — ამერიკასთან. ამის დასტურია ის უხეში, შეურაცხმყოფელი და ყოველგვარი ეთიკის ნორმებს გამცდარი განცხადებებიც, რომელთაც იგი კრემლის მესვეურთა მისამართით აკეთებს.

**ასეთივე განცხადებები გვესმის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მხრიდან, როცა ისინი იგივე საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრებზე სიტყვით გამოდიან; ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, — ის, რაც ლავროვმა ტელეკომპანია „მირთან“ ინტერვიუში განაცხადა, — სააკაშვილი რუს და ქართველ ხალხებს შორის მტრობას აღვივებსო, ასი პროცენტით შეესაბამება სიმართლეს...**



**სოსო ჯაჭვლიანი:** — დიახ, სააკაშვილი და მთლიანად ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო საბოლოოდ მოსწყდეს რუსეთს და ჩვენ შორის მუდმივად დაძაბული მდგომარეობა იყოს. სამწუხაროდ, ისინი ამას ახერხებენ კიდეც, რითაც ისევ და ისევ ჩვენ, ხალხს გვადგება ზიანი...

**ეს ყველაფერი დღითიდღე გვარწმუნებს, რომ სანამ ქვეყანა ამ ტვინნაღრძობი პოლიტიკოსების ხელშია, ვერავინ და ვერაფერი გვიშველის, ამიტომ, თუ გვინდა, რუსეთთან ურთიერთობა მოვაგვაროთ და ჩვენს შვილებს მაინც ჰქონდეთ უკეთესი მომავალი, პირველ რიგში, იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვიშოროთ ეს „ნაცარქექიები“ თავიდან...**



**გოგი ქავთარაძე:** — ძნელია, ლავროვის განცხადებას არ დავეთანხმოთ, მაგრამ რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობა იმდენად მჭიდროა, იმდენად ხანგრძლივი მეგობრობა გვაკავშირებს ჩვენ ერთმანეთთან, რომ სააკაშვილი ამას შუღლითა და მტრობით ვერასოდეს შეცვლის.

ერთადერთი, რის მიღწევაც მას თავისი უსირცხვილო განცხადებებით შეუძლია, ურთიერთობის გაფუჭებაა; ეს მან თვითონაც კარგად იცის და ამიტომაც უძახა გულზე გამსკდარმა რუსეთის წინა პრეზიდენტს ლილიპუტინი.

**კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს ჩვენსა და ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს შორის რეალურად ერთადერთი ბარიერი არსებობს — სააკაშვილი; და თუ ქართველი ხალხი ამ მოურჩენელი ჭირის საბოლოოდ მოშორებას მოახერხებს, მერე უკვე არც პოლიტიკური და არც რამე სხვა თვალსაზრისით რუსეთთან პრობლემა არ გვექნება“.**



**ლელიკო ჯაფარიძე:** — ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თუ კი რამე ცუდი მოხდა რუსეთ-საქართველოს შორის, თუკი რამე უბედურება დაგვატყდა თავს ქართველ ხალხს, ყველაფერი სააკაშვილისა და მისი მოღალატეობრივი პოლიტიკის დამსახურებაა. ამიტომ, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონი ლავროვის განცხადებას.

**მე ორმოცი წელი ვიცხოვრე მოსკოვში, მყავდა უამრავი რუსი მეგობარი და არასოდეს მათი მხრიდან არ მიგრძვნია რამე ცინიკური, უხეში დამოკიდებულება ქართველების მიმართ. ამას იმიტომ ვყვები, რომ დღეს ვიღაცები ცდილობენ, დაგვავიწყონ ეს ურთიერთობები, წაგვიშალონ მეხსიერება და მტრად გადაგვკიდონ ერთმანეთს...**

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, — ჩვენ არა მხოლოდ გვჭირდება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, არამედ ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

ერთადერთი, ვისაც ეს არ ესმის და არც უნდა, რომ ესმოდეს, ჩვენი ხელისუფლებაა, ამიტომ ან დროზე უნდა გავისტუმროთ ეს ქვეყნის დამაქცევრები, ან ვიჯდეთ და ვუყუროთ, როგორ დაგვემხობა ქვეყანა თავზე.

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გამოვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



კიევის ღამის კლუბ D'LUX-ში სააკაშვილი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში (კლუბის ერთ-ერთ მფლობელთან ერთად)

## „არავის ნდობა არ შეიძლება!“

**საინტერესოა, გამოუწერეს თუ არა ორი კასრი ტაზეპამი და წოლითი რეჟიმი იმ ანონიმურ პოლიტოლოგს ან ხელისუფლების წარმომადგენელს (თუ, რა თქმა უნდა, ის საერთოდ არსებობდა), რომელიც ავრცელებდა ინფორმაციას სააკაშვილისა და რუსეთის ხელისუფალთა შესაძლო შეხვედრის შესახებ.** ნუთუ ვინმეს მართლა ეგონა, რომ სააკაშვილი ჩავა კიევში, იანუკოვიჩთან საქმეს „გაჩარხავს“, იგი ყირიმში ჩაიყვანს, სადმე დამკვრელების სუფრასთან დასვამს და, გადამწყვეტ მომენტში, როდესაც სტუმრები შეთვრებიან (მანამდე ვიოლონჩელს ამოფარებული), სააკაშვილი უცებ ახტება და ცეკვა-ცეკვით მედვედევთან მიაჭრის?

თუ ვინმეს წარმოედგინა, რომ ზღვისპირა ბულვარზე, ერთმანეთს მიუახლოვდება ორი მამაკაცი შავი სათვალეებითა და აწეული საყელოებით, რომლებიც ოდესღაც ერთი დიდი, მოუსვენარი უწყების სხვადასხვა სტრუქტურებში მსახურობდნენ (ერთი დაზვერვის პოდპოლკოვნიკი იყო, მეორე, თუ არ ვცდები, სასაზღვრო ჯარების ეფრეიტორი.)? **პაროლი: „Не желаете ли купить галстук в клеточку?“ პასუხი: „А вешалки у Вас не найдется? პასუხის პასუხი: „Так это смотря для чего“ რეპლიკა: „Как же ты поседел, Миша!“**

ვის ან რატომ მოელანდა მსგავსი შეხვედრების შესაძლებლობა საერთოდ? ისე, ამ ვარაუდის პათოგენეზი ზედაპირზე დევს: ჯერ სააკაშვილის მოულოდნელი განცხადება მოლაპარაკებებზე „ყოველგვარი წინაპირობის გარეშე“, მისი თანმდევი (და წინმსწრები) განცხადებები ჰილარი კლინტონისა და უამრავი სხვა უცხოელი მაღალჩინოსნის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობების დალაგების აუცილებლობაზე, მოარული ხმები მაგისტრალური გაზსადენისა და რკინიგზის გაყიდვის შესაძლებლობაზე (რუსების გარდა, საეჭვოა, ვინმე სხვამ იყიდოს), ბოლოს კი ორი ქვეყნის ლიდერების მარშრუტების გადაკვეთა უკრაინის ტერიტორიაზე; ყოველივე ეს სავსებით საკმარისია ლოგიკური ჯაჭვის აგებისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ერთ ფაქტორს არ გავითვალისწინებთ: **რუსეთის ხელმძღვანელებისთვის სააკაშვილთან შეხვედრას არანაირი აზრი არ აქვს. ჯერ ერთი, „პოლიტიკურ გვამად“ და „არასასურველ პერსონად“ გამოაცხადეს და საკუთარი მოსახლეობა სააკაშვილთან შეხვედრას, რბილად რომ ვთქვათ, არ დაუფასებს; მეორე: თუ კრემლს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისაგან რაიმეს მიღება სურს (გაზსადენი, რკინიგზა), ამისთვის, სავარაუდოდ, შესაბამისი რანგის ემისრები ჰყავს, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ და ყოვლისმომცველ შეთანხმებებზე საქართველოს ხელისუფლებასთან არასაკმარისი რწმუნების გამო არ მიდიან. ურთიერთობის ასეთი სქემა კრემლისთვის, ალბათ, გაცილებით მომგებიანია.**

როგორც ჩანს, ვერანაირი დათმობა სააკაშვილის მხრიდან ვერ მოახდენს მის ლეგალიზებას რუსეთის საგარეო პოლიტიკის სივრცეში; შესაბამისად, მისი ხელისუფლება მყარ გარანტიებს ვერაფერზე მიიღებს და მშვიდად ვერასოდეს იქნება. ორი ქვეყნის ძალები კი აშკარად არათანაბარია; **„საქართველო ყოველთვის უფრო სუსტი იქნება, ვიდრე რუსეთი და თუ შეერთებული შტატები მზად არ არის, იქ მსხვილი შენაერთები განალაგოს, რუსებს შეუძლიათ იმოქმედონ ღიად და ფარულად, ისე, როგორც მოეხასიათებათ“.** ეს ციტატა „Stratfor“-ის ბოლო მოხსენებიდანაა, ამ ორგანიზაციას კი ამერიკაში ხშირად „ჩრდილოვან სადაზვერვო სამმართველოს“ უწოდებენ. ვერაფერს ვიზამთ, ეს რეალობაა; მწარეა თუ სასტიკი, ასეთია. დაფიქრება მასზე კი, ალბათ, იქამდე იყო საჭირო, ვიდრე ორმხრივი ურთიერთობები ამ მდგომარეობამდე მივიდოდა.

ამერიკელი დიპლომატის — რონალდ ასმუსის წიგნში „პატარა ომი, რომელმაც შეძრა (ვითომ? — ავტ.) მსოფლიო“, მოყვანილია საინტერესო მონაკვეთი პუტინისა და სააკაშვილის საუბრიდან, რომელიც 2008-ში, ომამდე შედგა.

**„თქვენ გგონიათ, რომ ამერიკელების ნდობა შეიძლება და ისინი თქვენ დასახმარებლად გამოეშურებიან? — თითქოს იკითხა პუტინმა, — არავის ნდობა არ შეიძლება! — მხოლოდ ჩემი“.** ამ საუბრის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

### მესიე ბერნარის მისია

**თბილისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი ჩამოდის. ბოლო დროს პარიზის დიპლომატიური აქტიურობა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიმართულებით აშკარად გაიზარდა. როგორ შეიძლება აისახოს ეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე?** საქართველოს თემას ნიკოლა სარკოზი ვლადიმერ პუტინთან ივნისში გამართული მოლაპარაკებების დროს შეეხო; ელისეს სასახლის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, სარკოზიმ მიაწოდა პუტინს ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის შესახებ: **„საქართველოს ლიდერმა დაარწმუნა პარიზი, რომ აპირებს, ძირითადი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებას დაუთმოს. რუსეთის პრემიერმა ეს ინფორმაცია ცნობად მიიღო, მაგრამ კომენტარის გარეშე დატოვა“.** შეიცავს თუ არა სიტყვები „ძირითადი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებას დაუთმოს“ მინიშნებას იმაზე, რომ სააკაშვილი „სამხედრო საქმეებით არ დაკავდება“ ან კიდევ „საერთაშორისო არენაზე მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს“, თორემ მისი ქექვა საკუთარ ეკონომიკურ ბაღ-ბოსტანში პუტინს რაში უნდა აინტერესებდეს?

**საგულისხმოა, რომ სააკაშვილის პარიზიდან დაბრუნების შემდეგ მალევე შეთანხმებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმად დამკვირვებლები საქართველოს სამხედრო ბაზებზე მონიტორინგის განხორციელებას შეძლებენ. ამას თითქმის ნულამდე დაჰყავს კონფლიქტური რეგიონების მიმართულებით სამხედრო ოპერაციებისთვის ფარული მომზადების, და შესაბამისად, მათი წარმატებით ჩატარების ალბათობა; თუ მსგავსი აზრები რომელიმე ცხელ თავში ჯერ კიდევ ტრიალებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა.**

ამის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება იქცეს „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ ყბადაღებული შეთანხმების ხელმოწერა; ამასთანავე, არის საკითხი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ გორდონმა, „რუსთავი 2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში: საქართველოს თანხმობა რუსეთის გაწევრებაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რასაც, მისი აზრით, პასუხად ქართული პროდუქციისთვის რუსეთში დაწესებული აკრძალვების მოხსნა უნდა მოჰყვეს. ყველა ამ (და სხვა, ნაკლებად ხილული და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი) პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭიროა კარგი შუამავალი, ამ როლისთვის კი ფრიად მოხერხებული მესიე ბერნარი და მესიე ნიკოლა სავსებით გამოსადეგ კანდიდატურებად გვევლინებიან. არა, მართლა მაგრები არიან, სააკაშვილი მათ უსმენს და ხშირად უჯერებს კიდეც.

**დიმიტრი მონიავა**

# ფრანგების ცივი უარი

## ტელეარხმა „პირველმა კავკასიურმა“ პარიზის სასამართლოში საქმე წააგო

**ვერ უშველა მიხეილ სააკაშვილის ენერგიულმა თავის გამოდებამ — „პირველი კავკასიურის“ თანამშრომლებს სოლიდარობას ვუცხადებო.**

ვერ უშველა ისევე, როგორც მისმა ობოლმა ცრემლმა, რომელიც დამწუხრებულს თვალთაგან გადმოუგორდა, გაჭირვებული პენსიონერების ოჯახში სტუმრობისას, საქართველოს სილატაკეს.

დავრჩით უცვლელ რეალობაში.

ტელეარხმა კი არ წააგო, არამედ — ჩვენმა ტროცკისტულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელიც საკუთარ კანში ვერ ეტევა და მსოფლიოში ფერადი რევოლუციების მოსახდენად წელებზე ფეხს იდგამს.

ლეიბა ბრონშტეინის მანიითაა შეპყრობილი, რომელიც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისთვის რაზმავდა პროლეტარებს ყველა ქვეყნისა.

„პირველი კავკასიური“ მთავარ დამრტყმელ ძალად წარმოედგინათ იდეოლოგიური ბრძოლის ჩრდილოეთის ფრონტზე. ნებით თუ უნებლიეთ ეს დაადასტურა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელმა მერაბ ღლონტმა. მისი თქმით, **„გათიშვის შემდეგ „ეუტელსატმა“ ტელეარხს სხვა თანამგზავრზე მაუწყებლობა შესთავაზა, რომლის სიგნალიც რუსულენოვან რეგიონებზე კი არ ვრცელდება, არამედ ევროპის იმ ნაწილზე, სადაც რუსულად არ საუბრობენ“.** თბილისში მიიჩნევენ, რომ ფრანგულმა „ეუტელსატმა“ ქართულ ტელეარხს მაუწყებლობა რუსეთის გავლენის შედეგად შეუწყვიტა“.

როცა საქმე ეფუშებათ, მიზეზს, ტრადიციულად, სხვაგან ეძებენ.

სააკაშვილს დიდი ძებნა არ დასჭირვებია და, როგორც ცრუ (ЦРУ-ში, აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართელოში არ აგერიოთ) მოწმეს ახასიათებს, ხელი დაადო იმას, ვისთვისაც უნდა დაედო. ვის „მხილებაშიც“ დაინტერესებული იყო ინკოგნიტო მხარე.

პრეზიდენტის პირმშვენიერმა სპიკერმა გაგვანდო მიზეზი ესე: „გაზპრომს“ არაერთი ტელეკომპანია გაუკონტროლებია, თუმცა ახლა თავისუფალი არხის დაბლოკვა რუსეთის ფარგლებს გარეთაც ხდება“.

უფრო ვრცლად, იხილეთ ხუთი თვისწინანდელი „საქართველო და მსოფლიო“ („ესეც „გაზპრომის“ ბრალია?!“, №5, 2010 წლის 10-16 თებერვალი).

საქართველოში ხომ, საითაც გაიხედავ, სულ თავისუფალი ტელეარხები ფუნქციონირებს და „პირველი კავკასიურიც“ მათ შორის პირველი თუ არა, რიგით რომელიღაც მაინც იყო.

„რუსეთის ფარგლებს გარეთ“ „გაზპრომის“ მიერ კონტროლირებადი კი არის, მაგალითად, „მაესტრო“, რაც უტყუარად მტკიცდება ჯაშუშური, ახლა უკვე გაშიფრული და ამოხსნილი კოდის ტექსტითაც და ქვეტექსტითაც.

გაიხსენეთ, ამ ხელისუფლების ერთმა დაუდგრომელმა ოპონენტმა საქართველოში მაშინ ჯერ კიდევ მოქმედ რუსეთის საელჩოს თანამშრომელს რომ მიმართა — „მაესტრო!“

მტრების ენაზე დაშიფრული პაროლი — „მაესტრო!“

### „გაზპრომის“ სატელიტმა ჩვენი მეგობარი საფრანგეთის სასამართლოშიც შეაღწია, თქვენ კი მხოლოდ ქართული მართლმსაჯულების მიმართ გაქვთ პრეტენზიები, იმ ფრანგულ სასამართლოში, რომელშიც ქართულმა ტელეკომპანიამ

### შეიტანა სარჩელი კონტრაქტით განსაზღვრულ სიხშირეზე დაბრუნების შესახებ. მაგრამ ფრანგულმა სასამართლომ „ეუტელსატს“ თანამგზავრიდან არხის გათიშვის გამო პასუხისმგებლობა არ დააკისრა“,

— საქმის კურსში შევყავართ ზემოთ მოხმობილ ინფორმაციას.

რახან შევაბიჯეთ საინფორმაციო სივრცეში, იმ ცნობასაც მოგაწვდით, რომელზეც 2010 წლის თებერვალში ლაპარაკობდა „საქართველო და მსოფლიო“ (იხ. ზემოთ მითითებული ნომერი): **„ჩვენ არ გვიმხელენ, თორემ, თურმე საცდელ მაუწყებლობაზე, ე.წ. ტესტურ რეჟიმზე ჰქონიათ ხელშეკრულება გაფორმებული და ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ „ეუტელსატს“ გამოურთავს... გაირკვა, რომ ორკვირიანი საცდელი მაუწყებლობის შემდეგ სრულიად ბუნებრივი იყო არხის თანამგზავრიდან გამორთვა“.**

აბა, ფრანგული სასამართლო ჩვენი ხელისუფლება ხომ არ იყო, რომ „პირველი კავკასიურისთვის“ ისევე მიერთმია კონტრაქტის დარღვევა, როგორც შინაურ არხებს მილიონიანი ვალების პატიება?!

პატიება კი არა, „პირველ კავკასიურს“ სასამართლო საპროცესო ხარჯების გადახდა მოუწევს.

ამის ფული საიდან?

იმ „ტუმბოჩკიდან“, რომელშიც სუპერამოცანის „საქართველო სიღარიბის გარეშეს“ სარეალიზაციო ფულს დებდნენ ბიუჯეტიდან.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სრული უფლება გვაქვს, რომ საფრანგეთის სასამართლოს უარი პარიზში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისა და პრეზიდენტ სარკოზისთან შეხვედრის პირველ კონკრეტულ შედეგად ჩავთვალოთ.**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



საავტორო სვეტი

# ბაც! და გასკდა სააკაშვილის ინიციატივა

ერთმა სტუდენტმა, მომავალმა ჟურნალისტმა მითხრა: „როგორც კი გავიგონებ ჩვენი პოლიტიკოსების ნათქვამს — „საქმე იმაშია“, იმავე წამს მეკარგება მათდამი ყოველგვარი ნდობა“. ვერ ისწავლეს ერის მამებმა „საქმე ისაა“.




სამაგიეროდ, მათმა ტელევიზიებმა გაამდიდრეს ახალი ქართული „კომპრომატებით“ (**Компрементирующие материалы**), „ფანტანებითა“ და „შპიონებით“.

„შპიონობაზე“ გადაირიენ, ისე ალმა-დალმა ატრიალეს ეს თემა, თითქოს რუსეთის ჯაშუშები კი არ გაეშიფროთ ამერიკაში, არამედ — საქართველოში, და აშშ-მა კი არა, ჩვენ „მივარტყით პუტინს ცხვირში წკიპურტი“.

ამერიკა არ გადარეულა, არც რუსეთს აუფარებია „არაფერი ვიცის“ პირბადე. ორივე ქვეყანამ მშვიდად გაცვალა ჯაშუშურ საქმიანობაში შემჩნეულები, გაცვალა ამერიკელების ირონიული შენიშვნის თანხლებით: **„პირველადაა** (ამერიკელების და არა საქართველოს ისტორიაში. — ა.ს.**), რომ ჩვენს მოქალაქეებს ჩვენსავე მოქალაქეებში ვცვლით“.** რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში მხილებულნი, ერთის გამოკლებით, აშშ მოქალაქეები იყვნენ, რუსეთიდან რამდენიმე დეპორტირებულიც ამერიკის მოქალაქე იყო.

**ჩვენი ტელეეკრანებიდან სკანდალის ნაპერწკლები რომ ცვიოდა, რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა აშშ ყოფილ პრეზიდენტთან — ბილ კლინტონთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ჯაშუშური სკანდალი ვერ შეაფერხებდა პოზიტივს, რომელიც ბოლო პერიოდში დაგროვდა, ვერ დააზარალებდა ორი ქვეყნის ურთიერთობას.**

ბილი პროტესტით არ გამოსულა.

გაზეთ „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აშშ ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ჯონ ბაიერლიმ იგივე გაიმეორა: **„ჩემი აზრით,** — თქვა მან, — **ის, რაც მოხდა, ხანგრძლივ გავლენას ვერ იქონიებს ამერიკა-რუსეთის ურთიერობის გაუმჯობესებულ კლიმატზე“.**

ვაშინგტონი ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

ჩვენებმა დაწყვიტეს ალვირ-ლაგამი!

უცხოურ პრესაში ჯაშუშთა საქმე შეადარეს რეალითი შოუს, რომლის ბოლო სერია 9 ივლისს აჩვენეს, როცა მხარეებმა სკანდალის ფიგურანტები ვენაში გაცვალეს: რუსეთმა მიიღო ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი 10 მოქალაქე, აშშ-მა — 4.

გარიგდნენ მხარეები.

განგვიმარტეს, რომ ამ გარიგებას საფუძვლად ჰუმანური მოსაზრებები დაედო, რომ ეს აქცია ურთიერთობის ახალი სულისკვეთების გამოხატულებაა.

**აშშ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ფილიპ კროულიმ დაადასტურა, რომ დიალოგი აშშ-სა და რუსეთს შორის გაგრძელდება**.

ჩვენი პოლიტიკოსების თავის გამოდებამ კი ერთადერთი ნაყოფი გამოიღო: კიდევ ერთი მუხტი გამოაცალა მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ ინიციატივას — რუსეთთან დიალოგის დაწყებას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

**„ყოველგვარი წინაპირობის გარეშე“ თუ ნიშნავს, რომ თან გლანძღავ, თან ვისაუბროთ, რომელი ჭკუათმყოფელი დაგიჯდება პირისპირ სახელმწიფოთაშორისი პრობლემების მოსაგვარებლად?!**

მთელი ორი კვირის განმავლობაში ჩვენი ელექტრონული პრესის პროსახელისუფლო გუთნისდედების მიერ „კომპრომატებით“ ალმა ხნული „შპიონური“ სკანდალი რუსეთმა და ამერიკამ 9 ივლისს ჩამოფარცხა.

ბაც! და გასკდა ძლივსძლივობით გაბერილი საპნის ბუშტი. ასე ხდება ყოველთვის, როცა პოლიტიკოსობანას თამაშს უმწიფარი ყმაწვილები დაიწყებენ, და ნგრევის ხელოვნური იმპულსები მონუმენტურ უნიჭობას შობს.

„ამაშია საქმე“!

**არმაზ სანებლიძე**

# იდეები, იდეალისტები და ბებიის კალთას ამოფარებისთვის განწირული პრეზიდენტი

**გორში სტალინის ძეგლის ქურდულად აღების თემა კვლავ აქტუალური რჩება. ამ ფაქტს მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც ემოციურად ეკიდებიან. მათი აზრი ერთ რამეში ემთხვევა (ორიოდე მარგინალი ქალის გარდა) — ძეგლის ღამით ქურდულად აღებას არავინ ამართლებს. მაგრამ განზე რჩება მთავარი – სტალინის პიროვნების პოპულარობის საკითხი.**

ხელისუფლებისათვის ყველაფერი ნათელია – სტალინი იყო, როგორც ისინი ამბობენ, „პირსისხლიანი დიქტატორი“. იგი რომ დიქტატორი იყო და ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტდა მთელი 30 წელიწადი – ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ეს საკითხის გამარტივებაა, როდესაც ასეთ კომპლექსურ პიროვნებაზე ვლაპარაკობთ. ორიოდე დღის წინათ შევარდნაძის ერთ-ერთი ყოფილი ჩინოვნიკის სატელევიზიო გამოსვლა მოვისმინე, როდესაც იგი საკითხს სხვა მხრიდან მიუდგა – მან საკმაოდ ისტერიული ტონით სტალინს საქართველოს „მოღალატე“ უწოდა. ამიტომ მოდი მკითხველებთან ერთად კვლავ გავარკვიოთ, თუ ვინ იყო იგი სინამდვილეში.

**საბჭოთა ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, სტალინი ადრე ეზიარა მარქსიზმის იდეებს და მას გულწრფელად სწამდა, რომ სოციალიზმი იყო ყველაფრის პანაცეა. მე პირადად საყოველთაო სოციალიზმის იდეის არ მწამს და ჩვენ ვნახეთ, საბჭოთა ექსპერიმენტი თუ როგორ დასრულდა. ის სოციალიზმი, რომელსაც სტალინი აშენებდა, დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მიერ აბსოლუტურად ყველაფრის ტოტალურ კონტროლზე (ამიტომაც ეწოდა მას „ტოტალიტარიზმი“), მაგრამ ამავე დროს მოქალაქე სოციალურად აბსოლუტურად დაცული იყო. ამიტომ სტალინური სოციალიზმის პირობებში, დღევანდელისაგან განსხვავებით, არც უმუშევრები და არც მშივრები არ იყვნენ და ვერც იქნებოდნენ. მაგრამ ამავე დროს დღეს ისიც ცხადი გახდა, რომ მთლიანად მრეწველობა, საწარმოები, სასტუმროები თუ რესტორნები სახელმწიფოსგან კი არ უნდა იმართებოდეს, არამედ ამა თუ იმ კერძო საკუთრების მეპატრონისგან, ხოლო ყოველგვარი კერძო საკუთრება კი დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს ხელყოფისგან.**

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმ ცინიზმს, რომლითაც დღეს ძალიან ბევრია ჩვენში გაჟღენთილი ჩვენი წარსულის მიმართ და იდეალიზმის არ სჯერა, რომელიც სტალინმა მაშინ მოსახლეობის დიდ ნაწილში დანერგა. არადა, სტალინი სწორედ რომ იდეალისტი იყო და „სოციალიზმს ერთ ქვეყანაში“ აშენებდა, ლევ ტროცკისგან განსხვავებით, რომელსაც „მსოფლიო რევოლუციისა“ სწამდა. და სწორედ ეს ხალხი, „ლენინის გვარდია“, ანუ მოკლედ – ტროცკისტები სტალინმა ეჟოვს მასშტაბურად გაანადგურებინა 1937 წელს, მათ შორის 20-ანი წლების ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც ყოველგვარი იდეალიზმის გარეშე გაყიდეს საქართველო (მათთვის, ვინც არ იცის – შემდეგ სულით ავადმყოფ ეჟოვს ლავრენტი ბერიამ კარგად „მოუარა“, ხოლო ბერია სტალინის სიკვდილიდან სულ სამ თვეში დაახვრეტინა ხრუშჩოვმა). ყოველ ამ სისატიკეს ჩვენი დღევანდელი იდეალებით (თუ კიდევ რამე გაგვაჩნია) ვერაფრით ვერ გავამართლებთ, მაგრამ იმდროინდელი გადასახედიდან საბჭოთა სახელმწიფო ნაციზმზე არა ნაკლებ ჭირს – ტროცკიზმს ებრძოდა.



**კიდევ ერთი გამოკვეთილი იდეალისტი იყო ზვიად გამსახურდია, რომელსაც სწამდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო აყვავებული წალკოტი იქნებოდა და ამაზე ოცნებობდა. მაგრამ რას წარმოადგენს დღეს ეს ჩვენი „დამოუკიდებლობა“, ყველამ ვნახეთ – შიმშილს, უმუშევრობას, პროსტიტუციას, ნარკომანიას, დაკარგულ ძირძველ ტერიტორიებს; ამასთან, პოლიტიკური მართვა ვაშინგტონიდან ხორციელდება, ეკონომიკა კი, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, რუსეთის ხელშია! ამიტომ ზვიადის მიერ სრულ დამოუკიდებლობაზე კონცენტრაციამ და გარე ფაქტორების მთლიანად იგნორირებამ, რასაც თავის ობიექტური მიზეზები ჰქონდა (მაგალითად, მაშინდელი სრული საინფორმაციო ვაკუუმი) მიიყვანა ის ტრაგიკულ აღსასრულამდე.**

საერთოდ, არიან კი დღეს აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქვეყნები? ევროპის ყველაზე დიდი ქვეყნები – საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ა.შ. ევროკავშირის წევრებია და ერთიანი პარლამენტი, კოორდინირებული კანონმდებლობა და ერთიანი ვალუტა აქვთ; ნატოში ყოფნაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვინაიდან ყველა ამ ქვეყნის სამხედრო ძალები ერთი შტაბიდან იმართება ამერიკელი გენერლების მიერ!

ამერიკაც კი არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი – ნავთობის ძირითად ნაწილს ის ვენესუელიდან იღებს, რომლის არასერიოზული პრეზიდენტი, სააკაშვილის სარკისებური ანარეკლი უგო ჩავესი დღე და ღამე ამერიკის ლანძღვაშია, მაგრამ ამერიკა თითს ვერ ანძრევს მის წინააღმდეგ! რუსეთი კი, რომელსაც, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, „გაზპრომი“ მართავს, გაზზე მსოფლიო ფასებზეა დამოკიდებული. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი და მზარდი კაპიტალისტური ეკონომიკა — ჩინეთი — მთლიანად თავისი პროდუქციის საზღვარგარეთ გასაღებაზეა დამოკიდებული და მას თუნდაც ამერიკამ საზღვრები რომ ჩაუკეტოს, ისევ სიღარიბეში ჩავარდება, როგორც იყო კომუნისტურ პერიოდში. ხოლო უკანასკნელი დამოუკიდებელი ქვეყანა – ჩრდილოეთ კორეა, შიმშილით კვდება და მხოლოდ ომზე ფიქრობს.

**ასე რომ, აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქვეყნები 21-ე საუკუნეში პრაქტიკულად აღარ არსებობენ და ყველა ერთიმეორეზეა დამოკიდებული. ეს სამწუხარო ობიექტური რეალობაა. მაგრამ**

## ეს არ ნიშნავს, ოკეანისგაღმელთა სამხედრო პოლიგონი გახდე და მოსახლეობის ფუნქცია მხოლოდ საზარბაზნე ხორცამდე და მომხდურთა მომსახურე პერსონალამდე დაიყვანო, თან ეროვნული თვითმყოფადობა დაკარგო.

და აქ მივდივართ იმასთან, რითაც დავიწყეთ — სტალინს (ისევე როგორც ნოე ჟორდანიას, რომელსაც 1918 წლის 26 მაისს გერმანელებმა ლამის ძალით მიაღებინეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია) ესმოდა, რომ საქართველო დამოუკიდებლად დიდხანს ვერ იარსებებდა: პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას დაშლილი რუსეთის იმპერიის ფონზე საქართველო ჯერ გერმანიის პროტექტორატი გახდა, ხოლო შემდეგ ინგლისის ჯარები შემოვიდნენ; რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს, ის თურქეთის ჯარებს ეკავათ.

**სტალინი მაშინ სწორედ საქართველოს მომავალზე ფიქრობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის შექმნის სასარგებლოდ მისმა არჩევანმა (დღევანდელი გადასახედიდან) თუ არ გაამართლა, ალტერნატივა მას იმ დროს ნამდვილად არ ჰქონდა. არადა, საბჭოთა კავშირის დროს სწორედ სტალინის მიერ დაფიქსირებული საქართველოს საზღვრები რომ არა, ტერმინით „საერთაშორისოდ აღიარებული საქართველოს საზღვრები“ დღეს ვერავინ ვერ ისპეკულირებდა, ვინაიდან ეს საზღვრები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებია და სწორედ ასე დააფიქსირა ის გაერომ.**

საინტერესოა, რომ სტალინის ძეგლის აღების მეორე დღეს, მსოფლიოში უდიდესმა და ყველაზე სოლიდურმა ტელე-რადიო კომპანია ბი-ბი-სიმ თავის რეპორტაჟში ამ ძეგლის აღების კადრების ჩვენების შემდეგ აჩვენა ქუთაისში ნაციზმთან ბრძოლაში დაღუპულ ქართველ ომის გმირთა მემორიალის აფეთქება, რითაც ეს ორი მოვლენა ერთმანეთს ლოგიკურად დაუკავშირა. ეს შემთხვევითი არაა – **უინსტონ ჩერჩილის ქვეყანაში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, შეშფოთებით უყურებენ ამერიკის კლიენტ ყოფილ** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



◀ **საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციზმის აღორძინების პროცესს, ყოფილ ესესელთა პარადებს და ა.შ. განსაკუთრებით კი ეს ესტონეთსა და ლატვიას ეხება; ასევე, იუშჩენკოს დროს დასავლეთ უკრაინაშიც იყო ანალოგიური პროცესები. აქ კი, როგორც ჩანს, სააკაშვილმა გადაწყვიტა, „თხა თხაზე ნაკლების“ პრინციპით თავი ნაციზმის მიმდევრად წარმოადგინოს, ვინაიდან მის დემოკრატობას დღეს მხოლოდ უვიცი თუ დაიჯერებს.**

ნაციზმზე ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების სული და გული ნამდვილად სტალინი იყო. ამავე დროს ბრიტანეთის ავიაციის მიერ გერმანიის სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურებამ და ამერიკულმა „ლენდ-ლიზმა“, ანუ საბჭოთა კავშირისთვის სასურსათო და ტექნიკური დახმარების პროგრამამ თავისი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ გამარჯვებაში, ისევე, როგორც ფრანგმა, პოლონელმა და სხვა ევროპელმა პარტიზანებმა – ყველა ცივილიზებული ხალხი ებრძოდა ამ შავ ჭირს — ნაციზმს. და აქ არც თუ უკანასკნელი როლი ჩვენ, ქართველებმა ვითამაშეთ!

ომის შემდეგ იალტის ხელშეკრულებით მოკავშირეებმა მსოფლიო გადაინაწილეს. სტალინმა ეს ხელშეკრულება არ დაარღვია და არც ბერძენ კომუნისტებს არ დაეხმარა აჯანყებისას, ქურთისტანიდან და ირანის აზერბაიჯანიდან კი (ისინი ბაქოდან იმართებოდნენ) ჯარები და კომისრები გაიყვანა. ასევე **უარი თქვა ტაოკლარჯეთის ოკუპაციაზე, რათა მოკავშირეები არ გაეღიზიანებინა, ხოლო მათ საპასუხოდ თვალი დახუჭეს სტალინის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების დასმაზე. სტალინმა მძლავრი იმპერია შექმნა, რაც მან არა მარტო შეიარაღებული ძალებით გააკეთა, არამედ მისი არაორდინალური დიპლომატიური ნაბიჯებით.** რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ხოლო ავანტიურიზმი საგარეო პოლიტიკაში, ასევე ქართველებისათვის საბჭოეთში პრივილეგირებული სტატუსის დაკარგვა სწორედ მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყო და, უწინარეს ყოვლისა, ეს ნიკიტა ხრუშჩოვთან ასოცირდება.

**ეს ორი დიდი ქართველი იდეალისტი, სტალინი და ზვიადი, ერთმანეთის სრული ანტიპოდები იყვნენ. მათ არაფერი ჰქონდათ საერთო და ორივეს საქართველოს მომავალზე თავისებური ხედვა ჰქონდა: ერთს სჯეროდა საქართველოს პრივილეგირებული მდგომარეობისა მის მიერ შექმნილ მძლავრ თანამედროვე იმპერიაში; ხოლო მეორეს, პირიქით — მხოლოდ სრულიად დამოუკიდებელი საქართველო წარმოედგინა. საერთო კი ის იყო, რომ მათი იდეალიზმი ყოველგვარი მატერიალური ფასეულობებისგან შორს იდგა.** დღეს ორივეს ჰყავს როგორც ფანატიკურად განწყობილი (ურთიერთგამომრიცხავი) მიმდევრები, რომლებიც ემოციურად მხოლოდ კარგს ხედავენ თითოეულ მათგანში, და ფანატიკური მოძულეები, რომლებიც, ასევე, მხოლოდ ცუდს ხედავენ თითოეულ მათგანში და ვერ ამჩნევენ მათს იდეალიზმს, როგორც მათ მთავარ მამოძრავებელ ძალას!

**სტალინმა სიცოცხლეშივე შეძლო თავისი იდეალიზმის ხორცშესხმა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ის მალევე გაცამტვერდა და ავად თუ კარგად მხოლოდ მის სახელს უკავშირდება. ზვიადმა ვერ შეძლო თავისი იდეალიზმის ცხოვრებაში გატარება და შეეწირა კიდეც მას. მაგრამ ორივეს საერთო მაინც ერთი და იგივე აქვს – მათმა იდეალიზმმა მათ გარეშე ვერ იარსება.**

**სტალინის ძეგლი ჩამოიღეს. სააკაშვილი იდეალისტებს ვერ იტანს – მისი „იდეალიზმი“ საკუთარ თვითმფრინავს, უზომო ჭამა-სმასა და მრუშობას არ სცილდება, რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს ქართველი ახალგაზრდობის ფსიქიკაზე და ერის მომავალზე.** ობიექტიურობისთვის უნდა ვთქვა, რომ ერთადერთი „დადებითი“ თვისება, რაც ვუპოვე მას, არის ის, რომ სხვა ქვეყნების პირველ პირებთან შეხვედრებზე (რაც უკვე წარსულს ჩაბარდა) იგი თავის ალმზრდელ ბებიას დაატარებდა. ამიტომ დღესაც არ არის გვიან, ამ პატივსაცემ ქალბატონს ხმა მივაწვდინოთ, რომ მისი შვილიშვილი ძალიან ცუდად ამთავრებს თავის მოღვაწეობას. სწორედ მას (ბებიას) აქვს შანსი, იგი გადაარჩინოს და მათთვის კარგად ნაცნობ არაბეთის ემირატებში რომელიმე ამირას ფრთის ქვეშ დასამალად გაამწესოს!

**რამაზ კლიმიაშვილი**

**P.S. ალექსანდრე ჭაჭის ინიციატივითა და სახსრებით 2002 წელს, ზუგდიდში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძეგლი აღიმართა. თუკი, სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ ტემპებით გააგრძელა ძეგლთმებრძოლეობა, ზვიად გამსახურდიას ძეგლიც იოსებ სტალინის ძეგლის ბედს გაიზიარებს!**

# რა გვჭირს ქართველებს?

**„დამოუკიდებლობის“ მიღებიდან გასული 18 წელი და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ფაფხურის დაწყებიდან გასული 22 წელი საკმარის ნიადაგს ქმნის იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ, რა გვჭირს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის ქართველებს, რატომ ვერ იქნა და ვერ ჩამოვყალიბდით ყველაზე მთავარ საკითხებშიც კი, რატომ ვერ ვაგვარებთ, ერთი შეხედვით ელემენტარულ პრობლემებს და როგორ აღმოვჩნდით ამიერკავკასიაში დომინანტი ქვეყნის მდგომარეობიდან ისეთ ვითარებაში, როცა სხვა ქვეყნები კი არა, ჩვენ თვითონვე აღარ ვცემთ საკუთარ თავს პატივს.**

**აზროვნების სიბეცე და შეზღუდულობა.** ამ საკითხზე წინა წერილებშიც ბევრი გვისაუბრია, მაგრამ, სანამ ამ საკითხში პროგრესი არ გამოჩნდება, საუბარი უსარგებლოდ ვერანაირად ვერ ჩაითვლება. გვაფრთხილებდნენ ჭკვიანი ადამიანები თავის დროზე (80-90-იანების მიჯნაზე) — ეს საბჭოთა კავშირი მაინც ინგრევა, დიდი დღე არ უწერია, ცოტა ჭკუით იყავით და მოემზადეთ, იმდენი არ ქნათ, რომ ნანგრევებში მოყვეთო. არაო, შემოვიხიეთ ტანსაცმელი, ჩვენ თუ თავი არ გავიგიჟეთ, საბჭოთა კავშირი არანაირად არ დაინგრევა, რა დროს ჭკუა და მომზადებააო.

**საბჭოთა არმიის ძალიან ბევრი ოფიცერი, რომლებიც იმხანად საქართველოში მსახურობდა, სულით და გულით გვთავაზობდა სამსახურს — ბუნებრივია, გრძნობდნენ, რომ მალე მზიური საქართველოდან ურალს იქეთ გამგზავრება და ბარაკებში ცხოვრება მოუწევდათ და საკუთარ თავზეც ზრუნავდნენ — ხალხო, გამოუშვით თქვენი ახალგაზრდები ჯარში, რაც ვიცით, ვასწავლით, გამოცდილებას გადავცემთ და, როცა დამოუკიდებლობას მოიპოვებთ, გამზადებული საოფიცრო კორპუსი გეყოლებათ და ნულიდან არ დაგჭირდებათ ეროვნული არმიის შექმნაო. არაო, თქვენი ოკუპანტი დედაც ვატირეთო, — ვთქვით ეროვნულმა ქართველებმა, — თქვენგან სწავლას, ჯობია, უმეცრები ვიყოთ და მერე ცოდნა თავისით გაგვიჩნდებაო. ამასობაში აფხაზეთის ომი დაიწყო და სამხედრო ცოდნა, რატომღაც ათასობით ქართველის სიცოცხლის ფასად მივიღეთ.**

პირველი პრეზიდენტი შევიყვარეთ. მხარი კი არ დავუჭირეთ, თუნდაც პატივისცემა კი არ გამოვუცხადეთ, რეალურად კი არ შევხედეთ, რომ დადებით მხარეებთან ერთად კატასტროფული შეცდომები და მინუსები დაგვენახა და მიგვეთითებინა, არა, გავუმიჯნურდით და ჯერ თავისუფლება, მერე დემოკრატიაო, ვთქვით.

როგორც აგრესიისკენ მიდრეკილი ეჭვიანი ქმარი ვერ ეჩვევა ცოლის ღალატსა და ოჯახის დანგრევას, ისე ვერ აიტანეს ზვიადისტებმა (წყვდიადისტებსაც რომ უწოდებდნენ) გამსახურდიას ჩამოშორება ხელისუფლებიდან. მზად იყვნენ, მთელი საქართველო სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს მოეცვა, ოღონდ კი მათს რჩეულსა და მიჯნურს ხელისუფლება დაებრუნებინა, ან, სულ მცირე, მის დასაბრუნებლად ბრძოლის საშუალება ჰქონოდა მაინც. „კანონიერება“, „კანონიერი ხელისუფლების დამხობა“ და სხვა არგუმენტები სრული სისულელე იყო, სისულელე იმ მხრივ, რომ ეს მხოლოდ თვალის ასახვევად მოყვანილი არგუმენტებია. **ქართველის მიერ ქართველის სისხლში ხელის გასვრის რეალური მიზეზი მხოლოდ კერპთაყვანისმცემლობიდან აღმოცენებული „სიყვარული“ და მოწინააღმდეგე მხარის მიმართ ზოოლოგიური ზიზღის გაღვივება იყო. საბუთი? — „ვარდების რევოლუციად“ წოდებული, არანაკლებ უკანონო სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც ზვიადისტები სრული მხარდაჭერითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ.**

**გაუნათლებლობა და უინტელექტობა.** ნაკითხი ადამიანი ბევრი გვყავს, მაგრამ ვაი, რომ განათლებული ერის წოდებას ჩვენი არსებობისა და განვითარების ამ ეტაპზე ვერანაირად ვერ ვიმსახურებთ. **განათლებული ერი ვერანაირად ვერ აიტანს ისეთ ერთუჯრედიან და ინტელექტის ნატამალის არმქონე ხელისუფლებას, როგორიც გამსახურდიასი იყო და სააკაშვილის არის.** განათლებული ერისთვის ჯანდაცვის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი, მთავარი იდეოლოგი გურამ პეტრიაშვილი და

**ხელისუფლებაში ნებისმიერი სტატუსით მყოფი ეკა ხერხეულიძე თუ დავით კირკიტაძე წარმოუდგენელი და აუტანელი შეურაცხყოფა იქნებოდა,**

ამასწინათ მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ წამოროშილ „ველისაპეტზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ.

**ეგოიზმი.** გნებავთ, პოლიტიკური, გნებავთ, პიროვნული, არავის აღელვებს, თუ სხვა ადამიანის უფლებები შეილახა ან ეს ადამიანი სხვაგვარად დაზარალდა. ყველაზე ნათლად ეს პრობლემა სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესმა გამოააშკარავა, როცა **ერთ დროს ქართველთათვის ხელისგულზე სატარებელი სავალალო სტატუსის მქონე ადამიანის – შვილმკვდარი დედის მხარდასაჭერად ქუჩაში მაქსიმუმ 5 000 ადამიანი გამოვიდა. დანარჩენები საკუთარ სამზარეულოში აღშფოთდნენ გაეროსავით.** თურმე შვილმკვდარი დედის გვერდში დგომაც „პაკაზუხობის“ გამო გვყვარებია. „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო“, — ჩვენი ანდაზაა, სხვათაშორის.

**სულსწრაფობა, სიზარმაცე და „ემოციურობა“.** ორ დღეში გვინდა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მეტს ჩვენი გონებრივი ენერგია ვერ წვდება. გვახსოვს ყველას, როგორ ვეფხვებივით იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები ცხინვალსა თუ აფხაზეთში. წარმოუდგენელი იყო სიმამაცისა და გამჭრიახობის ის მაგალითები, რომლებსაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ელვისებურ ბრძოლებში. **ერთხელ, ერთი სოფლის აღებისას, ჩვენმა სპეცსამსახურებმა აფხაზების ისტერიული კივილი „დაიჭირეს“ რადიოეთერში — აფხაზი მეომარი დახმარებას იძახებდა და მოსაუბრეს ქართველთა შესახებ ატყობინებდა რუსულად: „Они так дерутся, по моему к ним на подмогу „Альфа“ из Москвы прилетела“, მაგრამ ეს — მყისიერ ბრძოლაში, შტურმისას.** სამაგიეროდ, როგორ გვეზარებოდა სანგრების გათხრა, იქ ჩაწოლა და კვირაობით პოზიციური ბრძოლების წარმოება...

თუნდაც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციები ავიღოთ. გავიხსენოთ, როდის ჩატარდა ყველაზე ხალხმრავალი აქციები — 2 ნოემბერი, 13 და 20 იანვარი, ანუ შაბათი ან კვირა. **შაბათ-კვირის გარდა, თუნდაც უკიდურესად საპროტესტოდ განწყობილი ქართველობა აქციებზე არ დადის! შაბათ-კვირას უნდა, ხელისუფლების შეცვლის ამბავი მოამთავროს! შევიკრიბეთ ერთხელ, ერთი დღით 200 თუ 300 ათასი ადამიანი და... რატომ არ წავიდა სააკაშვილიო, დიდხანს ვკითხულობდით გაკვირვებულნი.**

ან თუნდაც დღეს, რამდენი ადამიანი ვიცით ხელისუფლებაში, საზოგადოებაში ან უბრალოდ ჩვენს გარშემო მაინც, ვინც ფიქრობს და გათვლებს აკეთებს – როგორი ვითარება იქნება მსოფლიოში და ჩვენ გარშემო 5, 10, 15 წლის შემდეგ, როგორ უნდა მოემზადოს ამისთვის საქართველო, რა უნდა ვისწავლოთ, ან რა უნდა გადავდოთ გვერდზე, როგორც უსარგებლო?

**საზოგადოება, ხალხი დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. ქვეყნისა და ერისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და პროცესებს დღემდე არ აქვს ობიექტური და ყოვლისმომცველი შეფასება. ის, რაც ერთისთვის ქვეყნის ღალატია, მეორისთვის პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლინებაა. ჭკვიანი და ობიექტური ადამიანები კი ან აღარ არიან, ან დუმილს ამჯობინებენ. მათ მაინც არავინ მოუსმენს.**

ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ყოველი კონკრეტული ქართველი კი, ნებისმიერ საკითხში, მეორე ქართველზე უფრო ჭკვიანი და კომპეტენტურია. და ასე ვიქნებით მუდამ, სანამ საკუთარ თავში ჩახედვასა და სინდისთან კონსულტაციის გავლას არ დავეჩვევით, ან სანამ მამაზეციერი ახალ დავით აღმაშენებელს არ გამოგვიგზავნის, ისიც, დროებით.

**არჩილ ჩხარტიშვილი**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქვეყანაში მასობრივი შემცირებები მიმდინარეობს

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელმა ვერა ქობალიამ მთავარ პრიორიტეტად უმუშევრობასთან ბრძოლა დაასახელა. ვერა ქობალიამდე წინასაარჩევნოდ ამ პრობლემას მთავარ პრიორიტეტად ხელისუფლებაც მიიჩნევდა. ქალაქის მერი მოსახლეობას გამგეობის შენობების დასაქმების ბიუროებად გადაქცევას ჰპირდებოდა. თუმცა ხელისუფლება რომ სხვას ფიქრობს, სხვას ამბობს და სხვას აკეთებს, დღეს უკვე ცნობილია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის და, თუ როგორ ასრულებს საკუთარ პირობას ნაციონალური მოძრაობა, უკვე ბევრმა სახელმწიფო მოხელემ საკუთარ თავზე იწვნია.**

## შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ორთვიანი გადამზადების კურსებზე გაუშვა



მოხსნას ბეწვზე გადარჩენილმა პრემიერმა გილაურმა როცა ქობალია ეკონომიკის სამინისტროში წარადგინა, ახალგაზრდა მინისტრმა შემდეგი პათეტიკური სიტყვა წარმოთქვა: **„ყველას აინტერესებს, როგორ უნდა მივაღწიოთ უმუშევრობის აღმოფხვრას ქვეყანაში. ამისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება. დღეისათვის ამ დარგში მოსახლეობის 45 პროცენტია დასაქმებული და სამომავლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდასთან ერთად უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოში მოყვანილი პროდუქცია ადგილზე მოვიხმაროთ. მეორე მთავარი ამოცანა, რითაც დასაქმებას შევუწყობთ ხელს, არის ინვესტიციების შემოდინება.**

**აგრეთვე, მნიშვნელოვანია პრივატიზაციის ტემპის ზრდა და ტურიზმის სექტორის განვითარება, რომელიც პირდაპირ მიბმულია დასაქმებასთან.**

**თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ვიყოთ ტურისტები, მაშინ შაბათ-კვირის მსგავსად დავისვენოთ, თუ გვინდა, რომ განვითარდეს, ჩემს ყველა კოლეგას მივმართავ, ყოველდღიურად ვიმუშაოთ, რათა გაძლიერდეს მცირე ბიზნესი და ხელი შევუწყოთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას“.**

ვერა ქობალიას თანამშრომლები კი იყვნენ მზად, შაბათ-კვირასაც ემუშავათ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შრომის კოდექსი თითქმის არ მუშაობს და არასამუშაო საათებში მუშაობა თითქმის არ ანაზღაურდება, მაგრამ ამის საშუალება მათ, ალბათ, არ მიეცემათ, რადგან ქობალიას უწყებაში რეორგანიზაციას ელიან. საქართველოში ასეთი ტენდენციაა, თუ ხელმძღვანელი იცვლება, ამას აუცილებლად ფართომასშტაბიანი გათავისუფლებები და ძველი კადრების ახალი ხელმძღვანელი კადრებით ჩანაცვლება მოსდევს. თუმცა რას ვერჩით, ქობალიამ კი თქვა, სოფლის მეურნეობაში უნდა დასაქმდეთ და ტურისტებს მოემსახუროთო. მოკლედ, **ახალი მინისტრის სამოქმედო გეგმა ქართველი მოსახლეობის მომსახურე პერსონალად გადაქცევას ითვალისწინებს და ვინ იცის, იქნებ, როცა სამინისტროში დარჩენილები შაბათ-კვირასაც იმუშავებენ, გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა წლების შემდეგ ან სასტუმროს მომსახურე პერსონალად ან მუშახელად დაიწყონ მუშაობა.**

არჩევნებამდეც დიდი წმენდა იყო სახელმწიფო სრტუქტურებში, მაგრამ არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ კიდევ ერთი წმენდა განახორციელა.

**900-მდე ადამიანი გაათავისუფლეს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობიდან, შემცირებები იყო ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებშიც. თუმცა ეს წინასაარჩევნოდ აპრობირებული მეთოდია, ხმებისთვის მორბენალ „ნაციონალებს“ მანამდე გამოუთავისუფლებენ ხოლმე ადგილებს, სანამ არჩევნები დასრულდება და მერე მადლობის ნიშნად უბოძებენ მაღალხელფასიან თანამდებობებს ან რიგით სპეციალისტებად დანიშნავენ, ადგილები დამსახურებისამებრ ნაწილდება.**

ახლა არჩევნებმა ჩაიარა, ამიტომ შემცირებების მასშტაბები გაცილებით დიდი იქნება, რადგან ხმებზე ნადირობა დამთავრდა. ის ფაქტი, რომ კადრების ოპტიმიზაცია მართლაც იგეგმება, უკვე დაადასტურა გილაურივით მოხსნას გადარჩენილმა ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა. სამთავრობო კარუსელამდე მის თანამშრომლებს ბარგი ჩალაგებული ჰქონდათ, ბაინდურაშვილს ხსნიან და ჩვენც, წესისამებრ, თან მიგ-

# მესტიასა და ანაკლიაში მოსახლეობას მიწებს ართმევენ

**სვანეთში სამართალდამცავებმა საკრებულოს წევრი ნელი ნავერიანი და კიდევ რამდენიმე ადამიანი დააკავეს, თითქოს ისინი, საკუთარი მიწების გადაცემის სანაცვლოდ, უცხოელ ინვესტორს ფულს სძალავდნენ. ამის დასადასტურებლად ოპერატიული ვიდეომასალაც სასწრაფოდ გამოაქვეყნეს. ნავერიანს აღნიშნული ბრალდება შეუთითხნეს და, საერთოდაც, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი პოლიციას ტერორში ჰყავს.**

## სამეგრელო-ზემო სვანეთს ტერორის ტალღამ გადაუარა



ნელი ნავერიანი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ მაისში მოექცა, როდესაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია, სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად მესტიას შეესია და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს კანდიდატურის მოხსნას აიძულებდა. მაშინ ნავერიანმა ზეწოლას გაუძლო, თუმცა ამჯერად პოლიციის მიერ წამოწყებული პროვოკაცია მისი დაპატიმრებით დასრულდა. ნავერიანი ამჯერად ხელისუფლების ინტერესის არეალში მისი კუთვნილი სათიბი მიწების გამო მოექცა, რომლის შეძენაც ინვესტორს სურდა. მიწების წართმევა არამარტო სვანეთში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც ტენდენციად იქცა.

**ცნობილია, რომ პრეზიდენტმა ანაკლიის ახალი მშენებლობა გამოაცხადა, დაკიდული ხიდებით, სასტუმროებით და ა.შ. ეს პროგრამა ითვალისწინებდა მოსახლეობის დასაქმებას, მაგრამ ამის ნაცვლად აღმოჩნდა, რომ ადამიანებს, რომლებსაც ანაკლიაში მიწები კერძო საკუთრებაში ჰქონდათ, ხელისუფლება მათ უსასტიკესი მეთოდებით ართმევს. ამ ადამიანებს იბარებენ პროკურატურაში, აწერინებენ ხელწერილებს, რომ ჩუქნიან სახელმწიფოს საკუთარ მიწებს და ამ ფონზე არის სერიოზული პრობლემები. მოსახლეობის ნაწილი არ ემორჩილება ხელისუფლების ზეწოლას.**

**მიწაზე კერძო საკუთრება არის ჩვენი სახელმწიფოს ფუნდამენტი და მომავალი განვითარების საშუალება. მაგრამ თუ ასე გაგრძელდება, საქართველოს მოსახლეობა მიწა-წყლის გარეშე დარჩება და ქვეყანა გადაიქცევა სააკაშვილის სოციალისტურ რესპუბლიკად.**

ასეთივე მდგომარეობაა სვანეთში. მიმდინარეობს ცნობილი ქალბატონის, მესტიის საკრებულოს წევრის ნელი ნავერიანის დატერორება. მასზე მანამდეც იყო ზეწოლა. გახსოვთ, ალბათ, გოროზიასა და სპეცდანიშნულების რაზმის თავდასხმა მესტიაზე, როდესაც ოპოზიციურ კანდიდატებს, მათ შორის ნელი ნავერიანს, აიძულებდნენ, მოეხსნათ კანდიდატურები. დღეს ნავერიანს საკუთარ მიწას, სათიბს ართმევენ. მოსახლეობა წინ აღუდგა სამეგრელო-ზემო სვანეთიდან ასულ სპეცრაზმს, რომელმაც ეს ადამიანი და მისი ნათესავები, მიწის მფლობელები დააკავა. ხალხმა ქუჩები გა-

▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვაყოლებენო, მაგრამ, როცა შეიტყვეს, რომ ბაინდურაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა, ჩემოდნები ამოალაგეს, თუმცა სულ ტყუილად. მინისტრმა განაცხადა, საკადრო შემცირება შემოსავლების სამსახურს, ფინანსურ პოლიციასა და ცენტრალურ აპარატს შეეხებაო და სტრუქტურული რეორგანიზაციისა და შესაძლო გათავისუფლებების შესახებ გაფრთხილებები დაურიგა თანამშრომლებს.

**შემცირებების კარგი ფორმაა ატესტაცია, რომელიც ფინანსთა სამინისტროშიც განხორციელდა. არადა, ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ ატესტაციას სწორედ ის ადამიანები გადიან, რომლებსაც ჩაჭრილ თანამშრომლებზე ბევრად ნაკლები განათლება და გამოცდილება აქვთ. რას ვიზამთ, ესეც ერთგვარი ქართული ტენდენციაა.**

შემცირებები განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, უამრავი ადამიანი უაპელაციოდ მიაბრძანეს სამსახურიდან, გადარჩენილები კი კადრების ოპტიმაციისთვის გადამზადების კურსებზე გაუშვა მერაბიშვილმა. **სტუდენტებივით პოლიციის აკადემიაში გადამისამართებული ძალოვანები ამბობენ, რომ ფიზიკური თუ თეორიული მომზადების კურსები და გამოცდები, მათ თანამდებობებიდან გათავისუფლებას ისახავს მიზნად. იმ პოლიციას, რომლითაც სააკაშვილი ასე იწონებს თავს, თურმე თავიდან ჰქონია სასწავლი სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსები.**

რკინიგზის დეპარტამენტიდან მაისში ასობით ადამიანი გაათავისუფლეს. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ წმენდა მოეწყო უგულავას დაპირებულ დასაქმების ბიუროდ გადასაქცევ მერიასა და გამგეობებში. ასეთივე სიტუაციაა სასამართლოებში და თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებაში.

**განათლების მინისტრი კი უარყოფს, მაგრამ იმ პრინციპით, რომლითაც განათლების სამინისტრო მასწავლებლების გადარჩევას აპირებს, სამსახურის გარეშე დარჩება ათასობით პედაგოგი.**

მოკლედ, თვით ეკონომიკური კრიზისის ბუმის დროსაც კი არ დარჩენილა ამდენი ადამიანი სამსახურის გარეშე და ამ მასობრივ შემცირებებზე, რომლებიც ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს კიდევ უფრო ამძაფრებს, ქვეყანაში არც ერთი სახელმწიფო მოხელე არ საუბრობს, მეტიც, გვეუბნებიან, რომ ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი დასაქმება და სამუშაო ადგილების შექმნაა. **ერთადერთს ვერა ქობალიას წამოსცდა, რომ თურმე ეს დასაქმება წლების შემდეგ განხორციელდება და ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც დღეს ხელისუფლება უსამსახუროდ ტოვებს, ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების მომსახურე პერსონალი, სასტუმროების მშენებლები და მიწის დამმუშავებლები იქნებიან.**

◀ დაკეტა, რომ ხელი შეეშალა მათთვის, მაგრამ შს სამინისტრომ ორი ვეტმფრენი გაუშვა თბილისიდან სვანეთში და ვერტმფრენით გადმოიყვანეს დაკავებულები ზუგდიდის იზოლატორში.

ნავერიანის ფაქტი ხელისუფლებამ გააპიარა, თითქოს იგი ფულს სძალავდა ინვესტორებს.

კუპიურებიც დადეს, მაგრამ ნავერიანი ამ შეხვედრაზე საერთოდ არ ყოფილა. სასტუმროში, სადაც დააკავეს, იყვნენ მისი ნათესავები (მაზლისშვილები). შეხვედრაზე ინვესტორი მათ სთავაზობდა თანხას, რომლის სანაცვლოდაც მიწები უნდა დაეთმოთ, ამ დროს მოხდა სპეცრაზმის თავდასხმა. იმ სასტუმროდან, რომელშიც შეხვედრა იმართებოდა, აიყვანეს ნავერიანის ნათესავები, ხოლო თავად ნავერიანი სამართალდამცავებმა სახლიდან გამოიყვანეს. ეს არის შეთითხნილი ბრალდება, ეს არის სააკაშვილის ყოვლად უმსგავსო ტერორი.

ცნობილია, რომ საქართველოში მიმდინარეობს მოსახლეობის ტერორი, ეს არამარტო სამეგრელოში ან სვანეთში ხდება, ასეთი ფაქტები ხდება კახეთშიც, გურიაშიც. ადამიანებს ართმევენ კერძო საკუთრებას და, რაც მთავარია, მათ ატერორებენ.

**ზუგდიდში 2 ივლისს, როდესაც დამთავრდა ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველი ტური, იქ მყოფმა გულშემატკივარმა თავის ახლობელს დაუძახა, აქ ვართო. ადგილზე იმყოფებოდა პოლიციაც.**

**იმის გამო, რომ ხმამაღლა დაიძახა, ახალგაზრდა ბიჭს, დაბა ჯვარის მეთორმეტე კლასის მოსწავლე ლაშა ქარდავას პოლიციელებმა სასტიკად სცემეს. ასევე სცემეს დასახმარებლად მისული ქარდავა და კიდევ ორი ადამიანი, ანუ ოთხი ახალგაზრდა და ხუთი მშობელი. წაიყვანეს ისინი ზუგდიდის პოლიციაში.**

**პოლიციის უფროსის მოადგილე ლაშა ქარდავას მოგვარე და ნათესავი აღმოჩნდა; იგი, უბრალოდ, ნამუსმა შეაწუხა, გამოუშვა დაკავებულები და გააფრთხილა: ამ საქმეს თუ გაახმაურებთ, უარეს დღეში ჩავარდებითო.**

რაც შეეხება გოროზიას, მან თქვა, — როცა შვებულებაში ვარ, ჟურნალისტის ცემა ხომ შემიძლიაო? სვანებს კი დაჰპირდა, რომ საერთოდ აყრის იმ ტერიტორიიდან.

## შს სამინისტრომ თბილისიდან სვანეთში ორი ვერტმფრენი გაუშვა დაკავებულების ზუგდიდში გადმოსაყვანად

# ვანო მერაბიშვილი უკვე საკუთარ გარემოცვას იჭერს

## პიროვნება, რომელსაც ბრალად ქურდული ტრადიციების მიმდევრობა წაუყენეს, სოდის დირექტორის მოადგილე იყო

**ცოტა ხნის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი სიამაყით გვაცნობა, რომ ქურდული ტრადიციების მატარებელი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე და მასთან ერთად კახა მისირელი და დავით გაგნიძე დააკავა. არც ფეხბურთელ დემეტრაძის ქურდული ტრადიციები იქნებოდა გასაკვირი, არც ვინმე დავით გაგნიძის, და საერთოდ, აღნიშნულ დანაშაულში ადამიანების მხილება და დაპატიმრებაც ობიექტური იქნებოდა, რომ არა ორი მნიშვნელოვანი დეტალი: ერთი, რომ კახა მისირელი, რომელიც, ასევე, დაკავებულია, მეტად საინტერესო ფიგურაა ამ საქმეში, რადგან იგი წლების მანძილზე შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდის) უფროსის მოადგილე გახლდათ და ირაკლი კოდუას მარჯვენა ხელად ითვლებოდა. ხოლო ვატო ყიფიანს, რომლის გამოც აღნიშნულ პირებს ბრალდება წაუყენეს და ქურდული ტრადიციების მატარებლებად მონათლეს, არანაკლები კავშირები ჰქონდა ხელისუფლებასთან; მეტიც, იგი პატიმრობიდან უდოს კომისიის მიერ ვადაზე ადრე გათავისუფლებული კრიმინალია.**



შს სამინისტროს ინფორმაციით, „თბილისის მთავარი სამმართველოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ქ. თბილისში ქურდული ტრადიციების მატარებლები: დავით გაგნიძე, გიორგი დემეტრაძე და კახა მისირელი დააკავეს. დაკავების დროს მათგან ამოიღეს ერთ-ერთი მოქალაქისგან მიღებული 40 700 აშშ დოლარი, რომელიც მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით „მაზით“ დავით ფეიქრიშვილის მიერ მოგებული თანხის — 140 000 დოლარის ნაწილი იყო.

აღნიშნული თანხის ამოსაღებად, უკრაინიდან სატელეფონო საუბრებით ჩაერთო წარსულში ნასამართლები ვატო ყიფიანი, რომელიც დაუკავშირდა თბილისში მყოფ დავით გაგნიძეს, გიორგი დემეტრაძესა და კახა მისირელს და მათი საშუალებით, ქურდული გარჩევებით ცდილობდა აღნიშნული თანხის ამოღებას და ნაწილის „ქურდულ ობშიაკში“ გადარიცხვას. ვატო ყიფიანს მოგებული თანხის ნაწილი, 30 000 დოლარი ამოღებული ჰქონდა უკრაინაში და ცდილობდა დარჩენილი თანხის — 40 700 დოლარის გადაცემას დავით ფეიქრიშვილისთვის, რა დროსაც აღნიშნული პირები დააკავეს.

გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. კახა მისირელის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია „გლოკის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია „მაუზერისა“ და „იერიხოს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა და საბრძოლო ვაზნები, ხოლო დავით გაგნიძის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები. რადგან ვახტანგ ყიფიანი ამჟამად იმყოფება უკრაინაში, მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.“

**ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია. რომელსაც მეორე მხარეც აქვს. დავიწყოთ იმით, რომ კახა მისირელი წლების მანძილზე ირაკლი კოდუას მოადგილე იყო. შს სამინისტროში მუშაობს მისი მეუღლეც. თუკი იგი კრიმინალური მენტალიტეტის გახლდათ, მაშინ გამოდის, რომ შს სამინისტროში საკვანძო თანამდებობებზე ისე ნიშნავენ ხალხს, რომ მათი ქურდული საქმიანობის შესახებ არაფერი იციან, ან ეს დიდ პრობლემას სულაც არ წარმოადგენს.**

**მეტიც, თუკი ვატო ყიფიანთან კავშირი კანონით ისჯება, მაშინ ამის გამო კიდევ ბევრი სახელმწიფო მოხელე უნდა იხდიდეს სასჯელს, რადგან არსებობს ფაქტები, რომ სახელმწიფო მოხელეები ვატო ყიფიანთან თავადაც თანამშრომლობდნენ.**

ვატო ყიფიანი რამდენიმე წლის წინათ მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, თუმცა მკვლელობა არ დაუმტკიცდა და პატიმრობაში იარაღის უკანონო ტარების გამო დატოვეს. მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ყიფიანი უდოს კომისიამ ვადაზე ადრე, 2008 წლის 25 აგვისტოს გაათავისუფლა. აღსანიშნავია, რომ ყიფიანის გათავისუფლებას განსაკუთრებულად ასაიდუმლოებდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო.

გავრცელებული ინფორმაციით, **პატიმრობის პერიოდში ვატო ყიფიანი ომის დროს დაღუპულთა და დატყვევებულთა გაცვლის პროცესებში იყო ჩართული და ქართულ მხარეს რუს გენერლებთან ურთიერთობაში ეხმარებოდა, სწორედ ამით დაიმსახურა მან ვადაზე ადრე გათავისუფლება. თუ მერაბიშვილის ცნობილ ინტერვიუს გავიხსენებთ, რომელშიც მან განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუს სამხედროებთან სტალინის ძეგლის აფეთქებასთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვატო ყიფიანთან მას კონტაქტები ჰქონდა, მითუმეტეს, რომ თარგამაძის გავრცელებული სატელეფონო ჩანაწერებით მისი კონტაქტები ყიფიანთან დასტურდება.**

ყიფიანი ფიგურირებდა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, დეპუტატ გივი თარგამაძის გავრცელებულ სატელეფონო საუბრებში. თარგამაძის საუბრებიდან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ იგი ვატო ყიფიანის ძმას — კონსტანტინე ყიფიანს, რომელიც დონეცკში ცხოვრობს, ქართველი დამკვირვებლების დარეგისტრირებასთან შექმნილი პრობლემების მოგვარებაზე ესაუბრებოდა, მაგრამ ამისთვის იგი არავის დაუკავებია.

ასევე, ცნობილია, რომ სწრაფი კვების ობიექტების „ნიკალას“ ქსელი ყიფიანებს ეკუთვნით. სხვათაშორის, „ნიკალას“ ყოფილი მეპატრონე აცხადებდა, რომ იგი ყიფიანებმა მას მოტყუებით წაართვეს. ამ საკითხზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა და სასამართლო დავაც მიმდინარეობდა, მაგრამ „ნიკალას“ მეპატრონემ ვერაფერს მიაღწია, რადგან ყიფიანებს სერიოზული მფარველები ჰყავდათ ხელისუფლებაში. საყურადღებოა ის ინფორმაციაც, რომ, **როდესაც „ნიკალაში“ ფინანსური პოლიცია შევარდა, უკრაინაში მყოფ პრეზიდენტს ციხიდან დაურეკეს (მაშინ ყიფიანი პატიმრობაში იყო)** და სწორედ საკაშვილის უშუალო მოთხოვნით მოიხადა ბოდიში ფინანსური პოლიციის მაშინდელმა უფროსმა დავით კეზერაშვილმა.

**როგორც ჩანს, ხელისუფლებას ყიფიანი აღარ სჭირდება ან პოლიციის პოლკოვნიკის — კახა მისირელის „გაფუჭება“ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამისთვის მერაბიშვილმა ყიფიანიც გაიმეტა და ცნობილი ფეხბურთელის რეპუტაციაც. რომელიც ბოლო დროს თურმე ისეთ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, რომ სწორედ „მაზების“ ამოღებით ირჩენდა თავს.**

შს სამინისტრომ აღნიშნული სამეულის დაკავების ვიდეო კადრები სასწრაფოდ გამოფინა საკუთარ საიტზე, ამ ინფორმაციას მთელი დღე „აპიარებდნენ“ ტელევიზიებიც, არავის დავიწყებია, ეთქვა, რომ ცნობილი ფეხბურთელი ქურდული ტრადიციების „მატარებელი იყო“. სამაგიეროდ, არავის უხსენებია, რომ ასევე ქურდული ტრადიციების მატარებელი კახა მისირელი მერაბიშვილის მარჯვენა ხელი იყო 2007 წლის ნოემბრის მოვლენებამდე.

**მისირელი, რომელიც ახლა მერაბიშვილმა ციხეში გაისტუმრა, 2007 წლის მოვლენებამდე შს სამინისტროს არაერთ საკვანძო თანამდებობაზე მუშაობდა და სამსახურიდან წასვლის შემდეგაც არ ჩამოშორებია შსს-ს საქმიანობას. მისი მეუღლე კი დღემდე შს სამინისტროში, ასევე, მაღალ თანამდებობაზე მუშაობს.**

**სხვათაშორის, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბადრი პატარკაციშვილისა და ირაკლი კოდუას საუბრების ფარული ჩაწერების დროს ლონდონში იმყოფებოდა კახა მისირელიც.**

გვერდები მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

14 – 20 ივლისი, 2010 წელი. №26 (69)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «დამარცხებული კორუფციის ქვეყანაში» მექრთამეობისთვის მოსამართლე, პროკურორი და სხვა ათობით სახელმწიფო მოხელე დააკავეს

**საქართველოში კორუფცია დამარცხებულია, აღარ დგანან „გაიშნიკები“, რომლებიც სამარცხვინოდ ერთ ლარს ართმევდნენ დამრღვევ მძღოლებს. შს სამინისტროში კორუფცია აღმოფხვრილია, ვერ ჩააწყობ საქმეს პროკურატურასა და სასამართლოში, სასამართლო რეფორმირებულია, საზოგადოების ნდობა ამ სისტემის მიმართ ძალიან მაღალია და ამაზე საკმაოდ დიდხანს სარეკლამო ვიდეორგოლებიც კი გვქონდა ტელეეთერში. გერმანული გამოცემის ჟურნალიტმაც კი, რომელმაც საქართველოში არშემდგარ გადატრიალებაზე საინტერესო მასალა მოგვიმზადა, იცის, რომ სააკაშვილის დამხობა იმიტომ უნდათ „კანონიერ ქურდებს“, რომ მან ქვეყანაში კორუფცია დაამარცხა და ამით უამრავი მტერი გაიჩინა. ეს საკითხი სადავო არაა, რადგან ამაზე მარტო ქვეყნის პრეზიდენტი და მაღალი თანამდებობის პირები კი არ საუბრობენ, საქართველოში კორუფციის გარდაცვალება უკვე მსოფლიოშია ცნობილი. ერთად გადავავლოთ თვალი 2010 წლის სტატისტიკას.**



**მიხეილ გოგელია და გოგი ხარშილაძე მოქალაქეებს სამხედრო სამსახურის გადავადებისა და სამხედრო ბილეთების დამზადების სანაცვლოდ სისტემატიურად სძალავდნენ 300 ლარს**

**შიდა ქართლში სამმართველოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის, დაბა სურამის გამგებელი თამაზ გვალია დააკავეს. დაკავებულია ამავე ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელი გიორგი ხაჩიძე და დაბა სურამში მცხოვრები მოქალაქე ჯემალ ხაჩიძე; ასევე ბოლნისის რაიონის, დაბა თამარისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული მუხრადან ბაირამოვი.** თურმე თამაზ გვალიამ, ქრთამის სანაცვლოდ, სხვადასხვა დროს მოქალაქეებზე არაერთგზის გასცა ყალბი ცნობა წიწვოვანი ხის ფიცრის შეძენის შესახებ. ხაჩიძე ამ საქმეში ჩართული იყო როგორც შუამავალი და საჯარო მოხელეებისთვის კლიენტებს შოულობდა, რისთვისაც ქრთამიდან ნაწილს მასაც უხდიდნენ. ბაირამოვი კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-რეალიზაციის დამადასტურებელ ყალბ ცნობებს გასცემდა ქრთამის სანაცვლოდ.

გარემოს დაცვის სამინისტროში რომ კორუფციული გარიგებებისთვის თანამშრომლებს ყოველდღე იჭერენ, უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ამ სამინისტროში, ალბათ, მალე მხოლოდ მინისტრი და მოადგილეები დარჩებიან. ხოლო წარსულში გარემოს დაცვის ინსპექციამ და სატყეო დეპარტამენტმა კახეთში კანონდარღვევის ფაქტები გამოავლინეს, რომლის შედეგად მიყენებული ზარალიც 600 000 ლარზე მეტს შეადგენს.

გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის, ლევან მხეიძის განცხადებით, გეგმიური ინსპექტირებისას, **თელავის მე-10 სარეინჯეროს შემოწმების შედეგად, მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოვლინდა. უკანონოდ მოჭრილია 3211 ძირი ფოთლოვანი ხე, გარემოზე მიყენებული ზიანი კი 416 000 ლარს შეადგენს. სატყეო დეპარტამენტის უფროსმა პაპუნა ხაჩიძემ კი აღნიშნა, რომ თელავის მე-9 სარეინჯეროში აღმოჩენილი კანონდარღვევის ფაქტი გამოვლინდა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი 207 000 ლარს შეადგენს.** მომხდარის გამო თელავის სატყეო უბნის ორი რეინჯერი გათავისუფლებულია და მასალები საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეგზავნა.

**კუდმა დააკავა გარემოს დაცვის აჭარის ბიუროს თანამშრომლები, 9 ინსპექტორი და სატყეო დეპარტამენტის 2 თანამშრომელი, ასევე, დაკავებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს ორი, დასავლეთის ბიუროს ერთი, მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ერთი თანამშრომელი, რომლებიც მეწარმეებს ურიგდებოდნენ და ბუნებრივი რესურსებით უკანონოდ სარგებლობის, მათი მოპოვებისა და რეალიზაციაში დახმარების სანაცვლოდ სისტემატურად სძალავდნენ ქრთამს.**

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებოს თანამშრომლებმა შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მთავარი ინსპექტორი ვახტანგ მაჩხანელი დააკავეს.**

ასევე, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე დაკავებულია ამავე სამსახურის **საბაჟო დამუშავების ოპერაციებისა და საბაჟო კონტროლის სამმართველოს აეროპორტის განყოფილების უფროსი გიორგი ომიაძე** და კორუფციულ სქემაში ჩართული **შპს „დეკუ“-ს ექსპერტები ხოხობაშვილი** და **დუნდუა,** რომლებსაც ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღება ედებათ ბრალად.

როგორც სამართალდამცავებმა გაარკვიეს შპს „დეკუ“ ვახტანგ მაჩხანელის დაარსებული ყოფილა და სისტემატიურ მფარველობას უწევდა მის თანამშრომლებს ხოხობაშვილსა და დუნდუას, რომლებსაც ერთ-ერთი მოქალაქისთვის 435 ლარის სანაცვლოდ რამდენჯერმე დაუმზადებიათ ექსპერტიზის ყალბი აქტები.



**ასევე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ქრთამის აღებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე დაკავებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნათის რწმუნებული ტარიელ ძნელაძე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოეთის რწმუნებული ამირან ჩაგუნავა, რომლებმაც არაერთგზის დაამზადეს ყალბი ცნობები ხე-ტყის მასალის წარმოშობის შესახებ.**

მათ მიერ აღებული ქრთამის რაოდენობა ყალბ ცნობაში მითითებულ ხე-ტყის ოდენობაზე იყო დამოკიდებული. ანალოგიური კორუფციული საქმიანობისთვის, ყალბი ცნობების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს **ბაღდადის მუნიციპალიტეტში** ორი პიროვნება, **სოფელ საკრაულას რწმუნებული თამაზ ჯოხაძე** და **სოფელ ხანის რწმუნებული ვლადიმერ გიორგიძე;** ასევე, **საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის რწმუნებული მამუკა მაჭარაშვილი.**

**იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე** ექვმიტანილად **დააკავეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე დიმიტრი მჭედლიშვილი.** გამოძიებით დადგენილია, რომ

**მოსამართლე მჭედლიშვილმა მის განსახილველ საქმეში, დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 2010 წლის 28 მაისს 5000 ლარი აიღო.**

**ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი ლევან ბოჭორიშვილიც.** მან თავის საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ საქმეზე სასურველი პირობებით, საპროცესო შეთანხმებაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღო **1000 ლარი,** ხოლო მეორე საქმეზე — **1500 ლარი.**

ახლა ამ მხრივ შს სამინისტროში არსებულ სიტუაციას გადავავლოთ თვალი:

**გენერალური ინსპექციის მიერ კორუფციული გარიგების ფაქტზე დაკავებულია სარფის საკონტროლო გამშვები პუნქტის პატრულ-ინსპექტორი ფრიდონ მხეიძე. იგი თურქეთიდან დეპორტირებულ უცხოელ მოქალაქეებს თურქეთში კვლავ დასაბრუნებლად 100 დოლარს ართმევდა.**

შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ **დაკავებულია ლანჩხუთის პოლიციის დეტექტივ-გამომძიებელი დავით გოგუაძე,** რომელმაც, სამოქმედო ტერიტორიაზე ინერტული მასალების გადაზიდვის სანაცვლოდ, მოქალაქეს 120 ლარი გამოსძალა.

მოგეხსენებათ, კორუფციასთან ბრძოლა კონსტიტუციურ დეპარტამენტს ევალება, შესაბამისად, მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებსაც გადავხედოთ: **კუდმა მიმდინარე წელს გარემოს დაცვის ინსპექციის ბათუმის სამსახურის უფროსი რამაზ მიქელაძე და მთავარი სპეციალისტი ბესიკ ხოზრევანიძე დააკავა,** რომლებიც მეწარმეს შავი ზღვის აკვატორიაში თევზის უკანონოდ მოპოვების უფლებას აძლევდნენ და ქრთამს იღებდნენ. ისინი 2000 დოლარის ქრთამის სახით აღების ფაქტზე დააკავეს. **კუდის თანამშრომლებმა დააკავეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს უფროსი იოსებ ჩუტკერაშვილი,** რომელიც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს აღრიცხვაზე აყვანის სანაცვლოდ ქრთამის სახით სისტემატიურად 200 ლარს სძალავდა.

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტორები: ნუგზარ ხორბალაძე, დავით ყურელი, დავით ჩიტაძე, პავლე გიქოშვილი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყოფილი გამომძიებელი ირაკლი ჩხარტიშვილი და შუამავლის ფუნქციით მოქმედი მოქალაქე ნუგზარ კოპაძე.** აღნიშნულმა პირებმა რევიზია ჩაუტარეს ერთ-ერთ შპს-ს, სადაც, აღმოჩენილი დარღვევის დაფარვის მიზნით, მეწარმეს 3000 დოლარი გამოსძალეს და რეალურზე გაცილებით ნაკლები ოდენობის თანხა დაარიცხეს.

**კუდის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსი მიხეილ გოგელია და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გოგი ხარშილაძე, რომლებიც მოქალაქეებს სამხედრო სამსახურის გადავადებისა და სამხედრო ბილეთების დამზადების სანაცვლოდ სისტემატიურად სძალავდნენ 300 ლარს.**

ეს არასრული ჩამონათვალია იმ დაკავებებისა, რომლებიც ქრთამის აღების ფაქტებზე მიმდინარე წელს განხორციელდა. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, რომელთაც ქვეყნის თითქმის უწყებაზე შს სამინისტრო გვაწვდის, შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ქვეყანაში კორუფცია აღარ არსებობს.

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვასილ ჭიჭინაძე: დღეს საქართველო, ფაქტობრივად, ოკუპანტია

**ქართულ დიპლომატიაზე, მის ნაკლოვანებებსა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე გვესაუბრება საქართველოს ყოფილი დესპანი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვასილ ჭიჭინაძე.**



**— ბატონო ვასილ, ბოლო დროს, როგორც ექსპერტები, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები, სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დღესდღეობით საქართველოს ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობა, ფაქტობრივად, არ აქვს. თქვენ რვა წლის განმავლობაში დესპანად იყავით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და იქ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ, რამდენად სწორ პრინციპებზეა აგებული ჩვენი დიპლომატია ამ ქვეყნებთან მიმართებაში?**

— საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთთან 1994 წელს დაიწყო. იმ დროს გაიხსნა სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობები ამ რეგიონის სამ ქვეყანაში — სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში, სადაც მე მისიის ხელმძღვანელად ვიმყოფებოდი. თავის დროზე ეს მისია ასრულებდა საელჩოს ფუნქციასაც სამივე ქვეყანაში, მაგრამ მაშინ ჩვენ იქ არ გვიცნობდნენ, ჩვენზე არაფერი სმენოდათ. ბუნებრივია, ეს ძალიან აფერხებდა თანამშრომლობის გაღრმავების პროცესს... თან ჩვენი ხელისუფლების მხრიდან (როგორც იმჟამინდელის, ისე დღევანდელის) თითქმის არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ საქართველოს ამ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო და პარტნიორული ურთიერთობა ჰქონოდა. მეტიც, ამით ელემენტარულად არავინ დაინტერესებულა, რაც შედეგითაც ჩანს...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1998 წელს ეგვიპტეში საელჩო გაიხსნა და ეს საელჩო ფარავდა ოთხ ქვეყანას — ეგვიპტეს, სირიას, ლიბანსა და იორდანიას. ახლა როგორ წარმოგიდგენიათ ერთი ელჩი ოთხ ქვეყანაში, რა უნდა გააკეთოს და საერთოდ, როგორ უნდა იმუშაოს?

**— თქვენი აზრით, რითაა განპირობებული ჩვენი ხელისუფლების მხრიდან სრული უინტერესობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ?**

— ამას უინტერესობა არ ჰქვია, ეს არის ელემენტარული უპატივცემულობა ამ ქვეყნების მიმართ. სხვა ახსნას იმას, რომ ოთხ ქეყანაში ერთი ელჩი გვყავს, სამწუხაროდ, ვერ ვუძებნი. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ჩვენს ხელისუფლებას ამ რეგიონის (ახლო აღმოსავლეთის) სხვა ქვეყნებთანაც, მაგალითად კუვეიტთან, სადაც, ყველა სიკეთესთან ერთად, ელჩად ქალი გაამწესა.

**გასაგებია, რომ ჩვენ „დემოკრატიული“ ქვეყანა ვართ და აქ გენდერული ბალანსი „მაქსიმალურად დაცულია“, მაგრამ, როცა ამა თუ იმ ქვეყანასთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებ, მისი ტრადიციებიც ხომ უნდა გაითვალისწინო?! იქ ქალთან ერთად სუფრასთან არ სხდებიან და შენ ელჩად რომ მიუვლენ, ხომ უნდა გესმოდეს, რომ ამით იმ ერსა და ქვეყანას შეურაცხყოფას აყენებ?!**

თან ეს კუვეიტში მოქმედი საელჩო ჰფარავს კიდევ სამ ქვეყანას — საუდის არაბეთს, ბაჰრეინსა და კატარს, რაც, ასევე, უპატივცემულობაა ამ სახელმწიფოთა მიმართ, განსაკუთრებით საუდის არაბეთისათვის, რომელიც მოსახლეობით, ტერიტორიითა და ყველანაირი რესურსით დაახლოებით ათჯერ დიდია კუვეიტზე...

**— ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს რა მდგომარეობა აქვთ, დიპლომატიური ურთიერთობების თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთში?**

## ამ ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების არც ნება აქვს და არც — რესურსი

— სომხეთსა და აზერბაიჯანს თითქმის ყველა ქვეყანაში აქვთ საელჩოები; მართავენ შეხვედრებს, კონფერენციებს და ყველანაირად ცდილობენ, რომ მათ შორის მჭიდრო ურთიერთობები დამყარდეს. ის კი არა, ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, რომელსაც ჩვენთან შედარებით, ახლო აღმოსავლეთთან პარტნიორობა ნაკლებად სჭირდება, გაცილებით უფრო აქტიურად თანამშრომლობს ამ რეგიონთან. აღარაფერს ვამბობ თურქეთზე, რომელიც ამ მხრივ კიდევ უფრო აქტიურია...

**ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც არაბულ ქვეყნებთან ფაქტობრივად არ ურთიერთობს, ჩვენ ვართ, არადა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქ უამრავი აფხაზი ცხოვრობს...**

თუ გვინდა, რომ ამ ხალხს ოდესმე საქართველოსკენ გული მოუბრუნდეს, ვალდებულიც კი ვართ, მათთან მოლაპარაკებები ვაწარმოოთ, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი ხელისუფლება არა მხოლოდ არ მუშაობს ამ მიმართულებით, არამედ მას სრულიად არ აინტერესებს ეს საკითხი...

**— ხელისუფლების ოპონენტები ხშირად აცხადებენ, რომ დღეს საქართველო მოქცეულია საერთაშორისო იზოლაციაში. თქვენი აზრით, ამას ნაწილობრივ ჩვენი დიპლომატიის არაადეკვატურობაც ხომ არ განაპირობებს?**

— რა თქმა უნდა, ქვეყანა, რომლის დიპლომატიაც თავის საქმეს ვერ აკეთებს, ყოველთვის ცუდი გზით მიდის; ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

**დღეს საქართველო რეალურად მოწყვეტილია მსოფლიოს და ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. აი, მაგალითად, 48 დამოუკიდებელი სახელმწიფოა აფრიკის კონტინენტზე და ჩვენ არც ერთ მათგანში საელჩო არ გვაქვს. შესაბამისად, არ გვაქვს მათთან დიპლომატიური ურთიერთობაც. ასევეა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშიც... მითხარით ახლა, რომელ სახელმწიფოებრიობაზე და სუვერენიტეტზეა ლაპარაკი, როცა არავინ გვიცნობს და არსად ჩვენი სახელის ხსენება არ არის?!**

შესაბამისად, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რას აკეთებს ჩვენი საგარეო უწყება? ეს მინისტრები ელვის სისწრაფით რომ იცვლებიან, მუშაობენ იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს არსებული მდგომარეობიდან გამოვიდეს? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის არანაირი ნიშნები არ ჩანს. ვხედავთ მხოლოდ იმას, რომ დღითიდღე სულ უფრო ვეტმასნებით ერთ პოლუსს — ამერიკას, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ბოლოდროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, არც ისე საიმედო პარტნიორია საქართველოსთვის.

**— რუსეთთან ჩვენს ურთიერთობაზეც გკითხავთ, კრემლის მესვეურები ხაზგასმით აცხადებენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან დიალოგს არ აპირებენ. თქვენი აზრით, დღეს რეალურად რა გზები არსებობს მოსკოვთან ვითარების დასარეგულირებლად?**

— მედვედევის ბოლოდროინდელ განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, ამ ხელისუფლების პირობებში, ალბათ, მართლაც მცირეა იმის შანსი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დალაგდეს, ვინაიდან სააკაშვილსა და მის გარემოცვას დღეს ამის არც პოლიტიკური ნება აქვს და არც — რესურსი. სამაგიეროდ, არსებობს სხვა გამოსავალი, მაგალითად, სახალხო დიპლომატია... ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ გვყავს რუსეთში უამრავი დამსახურებული ადამიანი, რომლებსაც იქ პატივს სცემენ და რომელთაც რეალურად შეუძლიათ ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის პროცესში ძალიან დიდი წვლილის შეტანა...

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების სფეროში დამსახურებულ ადამიანებს, რომელთაც სერიოზული კავშირები აქვთ რუსეთის გავლენიან წრეებში; თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ადამიანებს ჩვენმა ხელისუფლებამ, სწორედ იმის გამო, რომ ისინი რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრენი არიან, თავის დროზე „წითელი ინტელიგენცია“ და „ერის მოღალატეები“ უწოდა...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საბოლოო სიტყვა, ალბათ, მაინც პოლიტიკოსებს ეკუთვნით. გახსოვთ, ერთი წლის წინათ ჩვენი პატრიარქის მოწოდების საფუძველზე რუსულმა მხარემ სოფელ პერევიდან ჯარები რომ გაიყვანა, მეორე დღეს, სააკაშვილის ბაქიაობის შედეგად, ის რუსი ჯარისკაცები უკან შემობრუნდნენ...**

— რა თქმა უნდა, მთავარი მაინც პოლიტიკურ ხელმძღვანელებს შორის შეთანხმებაა, მაგრამ როცა ვხედავთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ამის გამკეთებელი არ არის, მხოლოდ ორი გამოსავალი გვრჩება — ან უნდა მოვიშოროთ, შევცვალოთ ეს ხელისუფლება, ან უნდა მივმართოთ სახალხო დიპლომატიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად ვიქნებით ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში და, თუ საბოლოოდ რუსეთთან ურთიერთობას არ მოვაგვარებთ, არანაირი პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე არ ექნება.

**— დავუბრუნდეთ ახლო აღმოსავლეთის თემას, დღეს საქართველო აქტიურად მონაწილეობს ამერიკის სამხედრო ოპერაციებში ერაყსა და ავღანეთში. საინტერესოა, როგორ აღიქვამენ ამას იგივე ვაშინგტონთან ღია დაპირისპირებაში მყოფი არაბული ქვეყნები?**

— მოდი, ასე შევხედოთ საკითხს — დღეს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემათ, თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ რუსეთი, რომელმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ოკუპანტია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — თუ ეს ასეა, მაშინ **რა სტატუსი შეიძლება მივანიჭოთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფნას ავღანეთსა და ერაყში? არის თუ არა ეს ოკუპაცია? რა თქმა უნდა, ოკუპაციაა; და ჩვენი მხრიდან ამ პროცესში მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ დღეს საქართველოც, ფაქტობრივად, ოკუპანტია.**

ახლა რაც შეეხება კითხვას, როგორ აღიქვამენ ამას ავღანეთსა და ერაყში, ბუნებრივია, მათთვის ჩვენც ისეთივე მტრები ვართ, როგორც — ამერიკელები; და თუ ოდესმე ეს ქვეყნები ისე გაძლიერდებიან, რომ მოქიშპე სახელმწიფოთა წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტების, დივერსიების მოწყობა შეძლონ, სავსებით მოსალოდნელია, მათი ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე სწორედ ჩვენ ვიყოთ. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს წვლილი ამერიკის მიერ ერაყში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში ძალზედ მცირეა და, შესაბამისად, ჩვენ, ალბათ, მათთვის ნაკლებად შესამჩნევი ვართ...

**— მცირე წვლილში რას გულისხმობთ, ჩვენ ხომ ასეულობით ჯარისკაცი გავგზავნეთ ერაყში?**

— რაოდენობა არ მაქვს მხედველობაში, არამედ ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ჯარისკაცები იქ რეალურად, ქართველების სტატუსით არ იმყოფებიან. მეტიც, ქართული დროშის ქვეშაც კი არ იბრძვიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი, ფაქტობრივად, მამლუქები, უსახელო ჯარისკაცები არიან.

ასე თვით შაჰ-აბასიც კი არ ექცეოდა ჩვენს სარდლობას, მას რომ ქართლ-კახეთიდან მეომრები მიჰყავდა ავღანეთში სალაშქროდ, წინ ყოველთვის ქართული დროშა მიუძღოდათ. ეს იყო ჩვენი ეროვნული ღირსების გამომხატველი ჟესტი, რაც დღეს, სამწუხაროდ, ერსა და ქვეყანას დაკარგული აქვს...

**— ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქართული შენაერთები ამერიკის სამხედრო ოპერაციებში არ უნდა მონაწილეობდნენ?**

— რა თქმა უნდა, ბოლოსდაბოლოს, ამით ხომ მტრად ვიკიდებთ მთელს მუსლიმანურ სამყაროს? გვინდა ჩვენ ეს?.. პირიქით, სულ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ყველასთან პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს. მით უმეტეს, **არაბულ ქვეყნებს, რომლებიც თავიანთი უახლესი ისტორიით, ასე ვთქვათ, პრორუსული პოლიტიკის გამტარებლები არიან და რომლებიც დღემდე აღმერთებენ სტალინს, შეუძლიათ შუამდგომლობაც კი გაგვიწიონ კრემლთან ურთიერთობის მოგვარებაში.** ოღონდ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამას საქმისადმი სწორი მიდგომა და დიპლომატია სჭირდება, რის იმედიც ამ ხელისუფლების პირობებში ნამდვილად არ უნდა გვქონდეს.

**— თქვენ სტალინი ახსენეთ და რას ფიქრობთ იმაზე, რომ ხელისუფლებამ მისი ძეგლი თვალსა და ხელს შუა გაგვიქრო?**

— სიმართლე გითხრათ, ამაზე ფიქრიც არ მინდა, იმიტომ, რომ ეს არის ამ ხელისუფლების პოლიტიკური მოუმწიფებლობის გამოხატულება და მეტი არაფერი. მე, უბრალოდ, ერთი რამ ვერ გამიგია — **ვის უნდა დავუჯეროთ სტალინის შეფასებაში: ჩერჩილს, ჰარიმანს, დე გოლს (რომელიც ამბობდა, ოქროს ძეგლი უნდა დავუდგათ საბჭოთა კავშირის ბელადს პარიზის ცენტრშიო) თუ დღევანდელ ექსპერტებს, რომლებიც, კაცმა არ იცის, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ და საერთოდ რას წარმოადგენენ?**

ან თუ ამ ძეგლის აღება, როგორც ესენი აცხადებენ, საზოგადოების ნება იყო, რატომ დღისით არ მოხდა მისი დემონტაჟი?! რისი შეეშინდათ?! ხომ არ ფიქრობდნენ, რომ ხალხი ამის უფლებას არ მისცემდა? რა თქმა უნდა, სწორედ ამის ეშინოდათ და ამიტომაც მოხსნეს ეს ძეგლი მათთვის დამახასიათებელი „ხელწერით“ — მალულად, ქურდულად, ღამის ოთხ საათზე, რითაც ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მას საზოგადოების აზრი, ნება საერთოდ არ აინტერესებს...

**— დასასრულ კლინტონის ვიზიტზეც გკითხავთ, თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ჩვენთვის მისი ჩამოსვლა?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს ვიზიტი სერიოზული მნიშვნელობის არ ყოფილა, კლინტონმა, უბრალოდ, შემოგვიარა და გაისეირნა ჩვენს ქვეყანაში. მისი მხრიდან ეს იყო პოლიტიკური ვალის მოხდა და მეტი არაფერი, რაზეც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც მეტყველებს, რომ ის აქ სულ რაღაც ექვსი საათით იმყოფებოდა.

**ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი სტუმრობები საქართველოს დღეს არსებული მდგომრეობიდან ვერ გამოიყვანს, ჩვენ სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ და ამ პრობლემების გადაჭრა იმაზე არ არის დამოკიდებული, მოეწონება თუ არა ქალბატონ კლინტონს შარდენის ვიწრო ქუჩა.**

რა საჭიროა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსის ძირეულად შეცვლა, სწორი დიპლომატია და ახლო ურთიერთობების დამყარება მთელ რიგ ქვეყნებთან, უპირველესად, რუსეთთან? სხვა გამოსავალი, საწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს ჩვენ არ გვაქვს და, რაც უფრო დიდხანს ვერ დავინახავთ ამას, ბუნებრივია, მით უფრო ძნელი იქნება შემდეგ და შემდეგ საქართველოს გამოყვანა ამ ურთულესი, მე ვიტყოდი, დამღუპველი მდგომარეობიდან...

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მესამე საგადასახადო ომის წაგების საფრთხე

**20 წელიწადია, პერმანენტული შინააშლილობით, ომებით, უმუშევრობით, სილატაკით, უმწვავესი ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციებით გატანჯული ქართველი ხალხი ამაოდ ელის „ქართველი ლუდვიგ ერჰარდის" გამოჩენას. ერჰარდმა კი 62 წლის წინათ ჩაიდინა ნამდვილი ეროვნული გმირობა და არ შეეპუა მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიწასთან გასწორებული და დამშეული გერმანიის უცხოელი დამფინანსებლების კაბალურ მოთხოვნებს.**



## ლუდვიგ ერჰარდი: კეთილდღეობა — ყველასთვის



## ანზორ საკანდელიძე: ხელისუფლების მიერ რევოლუციურად შერაცხულმა ახალმა კოდექსმა შეიძლება მცირე და საშუალო მეწარმეთა ნამდვილი რევოლუცია გამოიწვიოს!

გერმანიის ეკონომიკის მინისტრი (შემდეგ კანცლერიც) ლუდვიგ ერჰარდი ეკონომიკურ რეფორმებს ხელმძღვანელობდა და ერთ ისტორიულ კვირადღეს პირადი პასუხისმგებლობით გადასახადებისგან გაათავისუფლა 400 დასახელების პროდუქციის წარმოება. ამით დაიწყო გერმანიაში ყველა დროის უდიდეს ეკონომისტად აღიარებული ლუდვიგ ერჰარდის ლეგენდარული რეფორმები დევიზით „კეთილდღეობა — ყველასთვის", რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადში გამოკვება დამშეული გერმანელი ერი და ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია ომში დამარცხებული, ეკონომიკურად განადგურებული და პოლიტიკურად დანაწევრებული გერმანია.

**ერჰარდისეული ეს გერმანული ეკონომიკური სასწაული ეფუძნებოდა კონკრეტულად იმდროინდელი გერმანიის დაქცეული ეკონომიკის რეალობებზე გათვლილი კარგი საგადასახადო კოდექსის მიღებას. შემდეგში ერჰარდის ეს ეკონომიკური სასწაული გაიმეორა ჰონკონგმა, რომელმაც 5 წლის განმავლობაში მეწარმეები საერთოდ გაათავისუფლა ყველა სახის გადასახადისგან და ბიუჯეტს აფინანსებდა გრძელვადიანი უცხოური კრედიტებით. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ამ ხნის განმავლობაში აყვავდა მეწარმეობა, დასაქმდა და დაპურდა ბალახის ჭამაზე გადასული და დამშეული მოსახლეობა, ჰონკონგი კი გადაიქცა განვითარებული ეკონომიკის მქონე მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ ქვეყნად. საგარეო ვალებიც დროზე გაისტუმრეს.** აი, რა ძალა აქვს არსებული ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე სწორი საგადასახადო კოდექსის მიღებას, რაც 2004 წელს, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების წინ პრესაში შესანიშნავად გააჟღერა ერთ-ერთმა ქართველმა მცირე მეწარმემ: კარგი საგადასახადო კოდექსის მიღება ერთი სამამულო ომის მოგების ტოლფასია!

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, **ბოლო 20 წელიწადში ჩვენ წავაგეთ 5 სამამულო ომი, მათ შორის — 3 საბრძოლო და 2 საგადასახადო. დღეს კი რეალურად ვდგავართ მესამე საგადასახადო ომის წაგების საფრთხის წინაშე.** პირველი საგადასახადო ომი წავაგეთ 1997 წელს, როცა გვპირდებოდნენ, რომ ახლადმიღებულ კოდექსში ჯამური საგადასახადო ტვირთი იქნებოდა ბრუნვის 30%. ფაქტობრივად კი, გამოვიდა 2-ჯერ მეტი, რომელმაც პირწმინდად გაანადგურა შედარებით სტაბილიზაციის ფაზაში მყოფი ქართული ეკონომიკა და, განსაკუთრებით, — ადგილობრივი წარმოება. **არ ვიყავი გამოუცდელი მეწარმე და მქონდა რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორად მუშაობის 14 წლის სტაჟი, მაგრამ ახალი საგადასახადო კოდექსით ერთ წელიწადში გავკოტრდი, როცა „დამაყაჩაღეს" და გადასახადების სახით „ამახიეს" ბრუნვის 63%!**

მეორე საგადასახადო ომი წავაგეთ 2004 წელს, როცა გვპირდებოდნენ, რომ ახლადმიღებულ კოდექსში ჯამური საგადასახადო ტვირთი იქნებოდა 22%. ფაქტობრივად კი, აქაც გამოვიდა 2-ჯერ მეტი და ბევრი ვერაფერი დააკლო უკვე გაჯეჯილებულ უზარმაზარ ჩრდილოვან ეკონომიკას. ამისი ნათელი მაგალითია ის საგანგაშო ფაქტი, რომ

**2001 წელს მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ საქართველოში დაფიქსირებული 70%-იანი ჩრდილოვანი ეკონომიკა დღემდე თითქმის არ შეცვლილა, როცა შარშან ავსტრიული კომპანია „ეუობსერვერის" ექსპერტებმა საქართველოში კვლავ დააფიქსირეს 68%-იანი უზარმაზარი ჩრდილოვანი ეკონომიკა. პარლამენტში განსახილველად წარდგენილ ახალ საგადასახადო კოდექსში აქციზური გადასახადების გაზრდისა და ისედაც რთული საგადასახადო ადმინისტრირების კიდევ უფრო გართულების გამო საქართველოში ბიზნესის გათეთრების არავითარი შანსი აღარ რჩება და ამ სახით მიღებული საგადასახადო კოდექსის შემდეგ საქართველოს გარანტირებულად კვლავ მოუწევს ცხოვრება 70%-იანი ჩრდილოვანი ეკონომიკით!**

მკითხველს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ეს უზარმაზარი ჩრდილოვანი ეკონომიკა არის დღეს ერთგვარი უზარმაზარი ეკონომიკური რეზერვი, რომლის წყალობით სავსებით რეალურადაა შესაძლებელი ყოველგვარი უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, მხოლოდ ბიზნესის გათეთრების ხარჯზე, საქართველოში 2 წელიწადში მშპ გაიზარდოს 100%-ით და ქვეყანამ 2 წელიწადში გააკეთოს გიგანტური 20-წლიანი ეკონომიკური ნახტომი. ამისთვის საჭიროა მინიმალურ საგადასახადო ტვირთზე და მაქსიმალურად გამარტივებულ საგადასახადო ადმინისტრირებაზე ორიენტირებული საგადასახადო კოდექსის მიღება, რომელიც დღევანდელ 70%-იან ჩრდილოვან ეკონომიკას 40%-ით შეამცირებს. შესაბამისი ეკონომიკური გათვლები მოცემულია ჩვენს სტატიაში „როგორ გვესმის საქართველოს ეკონომიკის რეფორმები", რომელიც 2010 წლის იანვარში გამოქვეყნდა სოლიდურ ეკონომიკურ ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა".

**შეუძლია პარლამენტში შეტანილ ახალ საგადასახადო კოდექსს ქართული ეკონომიკის ასეთი რევოლუციური გარდაქმნები და გიგანტური აღმავლობა? სამწუხაროდ, პასუხი ცალსახად უარყოფითია, რადგან ეს კოდექსი არ არის ორიენტირებული არც მინიმალურ საგადასახადო ტვირთზე და არც მაქსიმალურად გამარტივებულ საგადასახადო ადმინისტრირებაზე. გარდა ამისა, ამ კოდექსში იგნორირებულია ვაჭრობის სფეროს მცირე და საშუალო მეწარმეთა ბრუნვის 1 ან, მაქსიმუმ, 2%-იანი ფიქსირებული გადასახადების შემოღების მოთხოვნები და ამის სანაცვლოდ, ფაქტობრივად, უწესდებათ 3-ჯერ უფრო მეტი გადასახადები, თანაც ეს ფიქსირებული გადასახადები შეეხება მხოლოდ იმ მოვაჭრეებს, რომელთა წლიური ბრუნვა იქნება 200 ათას ლარზე ნაკლები.** აქ კი ვერ მოხვდებიან თბილისის დიდი ბაზრობების მოვაჭრეთა უმრავლესობა, ე.ი. ისინი, რომელთა საპროტესტო და საგაფიცვო გამოსვლებმა აიძულა ხელისუფლება, ეფიქრა ჯერ ფიქსირებული გადასახადებისა და შემდეგ, საერთოდ, ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღებაზე.

**ასე რომ, ხელისუფლების მიერ რევოლუციურად შერაცხული ახალი კოდექსი შეიძლება მართლაც გახდეს რევოლუციური, პირდაპირი გაგებით, და გამოიწვიოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ნამდვილი რევოლუცია!**

საკითხავია, რა გათვლებითა და მოსაზრებებითაა აღებული წლიური 200-ათასლარიანი ბრუნვა, რომელიც არ ექვემდებარება არც მოქმედ კანონმდებლობას, არც ობიექტურ სინამდვილეს და **წარმოადგენს „ნოლაიდელიზმის" გაგრძელებას, რომელიც, 10 წელიწადზე მეტია, ანგრევს და მიწასთან ასწორებს ქართულ მცირე მეწარმეობას.** ობიექტური სინამდვილეა, რომ დღეს თბილისის ბაზრობებზე მოვაჭრეები არიან მცირე და საშუალო მეწარმეები. მოქმედი კანონმდებლობით კი **მცირე მეწარმეთა წლიური ბრუნვა 500 ათას ლარამდეა, საშუალო მეწარმეებისა კი — 500 ათასი ლარიდან 1,5 მილიონ ლარამდე. რა შუაშია 200 ათასი ლარი და რატომ ვარღვევთ კანონს?** ხომ არ ვითხოვთ ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულებას, რომლის თანახმად მცირე მეწარმეთა წლიური ბრუნვა 10 მილიონ ევრომდეა, ხოლო საშუალო მეწარმეებისა კი — 10 მილიონიდან 50 მილიონ ევრომდე?

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ, **6 თვეზე მეტია, ვაჭრობის სფეროს მცირე და საშუალო მეწარმეები აყენებენ კანონიერი (და არა უკანონო!) ბრუნვის 1 ან მაქსიმუმ 2%-იანი ფიქსირებული გადასახადების დაკანონებას, რაც ახალ საგადასახადო კოდექსში იგნორირებულია.** რომ არ განახლდეს მასიური საპროტესტო გამოსვლები, ხელისუფლებას ვთავაზობთ მოქმედ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის დროს, რასაც აპირებენ 1 აგვისტოდან, ამოქმედონ 3 თვის წინათ ფინანსთა სამინისტროში ოფიციალურად შეტანილი, ჩვენ მიერ დამუშავებული **კანონპროექტი „ვაჭრობის სფეროს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ",** რომელიც გამოქვეყნდა ბეჭდურ მედიაში და მკითხველთა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეთა, მოწონება დაიმსახურა. ისიც აღსანიშნავია, რომ ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობის დროს არ დაგვიძახეს, მაგრამ ხელისუფლებაში წარდგენილი ჩვენი კანონპროექტებით, როგორც ჩანს, მაინც ისარგებლეს, როცა მეწარმეთა საზიანო ინტერპრეტაციებით გამოიყენეს ჩვენ მიერ შეთავაზებული მიკრო მეწარმის ცნება, დაუბეგრავი მინიმუმი და კვარტალური დაბეგვრა.

**ასევე, მიუღებელია, როცა ბრუნვის ერთნაირი ფიქსირებული გადასახადებით იბეგრებიან სხვადასხვა დარგის მცირე მეწარმეები. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ დავამუშავეთ და შევთავაზეთ ხელისუფლებას კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც მცირე მეწარმეები ბრუნვის ფიქსირებული გადასახადებით იბეგრებოდნენ დიფერენცირებულად, კერძოდ ვაჭრობის სფერო 3%-ით, წარმოების სფერო 5%-ით და მომსახურების სფერო 10%-ით. ეს პროცენტები ჩვენ ავიღეთ მცირე მეწარმეთა ხანგრძლივი 5-თვიანი გამოკითხვების შედეგად. სხვათაშორის, ეს კანონპროექტი მოიწონა 2000 წელს ჩვენთან, ოფისში, სტუმრად მოსულმა პოლონეთის ეკონომიკური რეფორმების მამად მონათლულ ლეშეკ ბალცეროვიჩის მეუღლემ ევა ბალცეროვიჩმა, რომელსაც გაუკვირდა, რატომ არ იღებდა ხელისუფლება ამ კანონპროექტს.**

რა იცოდა ქალბატონმა ევამ, რომ ამის **კატეგორიული წინააღმდეგი იყო დღევანდელი „დიდი პოლიტიკოს-ეკონომისტი" ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც სისტემატურად გვემუქრებოდა და გვისრულებდა კიდეც მუქარას, რომ, სანამ მე ვარ ხელისუფლებაში, ვერ ეღირსებით ფიქსირებული გადასახადების შემოღებასო.**

საბედნიეროდ, აღარ არის ნოღაიდელი ხელისუფლებაში და ახლა მაინც გამოვიყენოთ მცირე მეწარმეთა ნების გამომხატველი ეს კანონპროექტი. ჩვენ ვითხოვთ, რომ, სამთავრობო თუ არა, საპარლამენტო განხილვებზე მაინც დაგვიძახონ და მოისმინონ ჩვენი აზრი.

**უკვე 10 წელიწადზე მეტია, ხელისუფლებაში წარდგენილ ჩვენს კანონპროექტებში ვაყენებთ სამართლიან წინადადებებს, რომ უნდა მოხდეს გადასახადების დიფერენცირება როგორც დარგობრივ, ისე რეგიონალურ ჭრილში ადგილობრივი საგადასახადო კოეფიციენტების შემოღებით, რომლებსაც დაადგენს ადგილობრივი ხელისუფლება და დაამტკიცებს ფინანსთა მინისტრი. არ შეიძლება თბილისში და უშგულში მცირე მეწარმე ერთნაირად იბეგრებოდეს!**

ჩვენ, კარგა ხანია, ვმუშაობთ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტზე, რომელშიც რეალიზებული იქნება ფიქსირებული გადასახადების დარგობრივი და რეგიონალური დიფერენცირების ჩვენი ხედვა. რაც მთავარია, თავისუფლად იქნება მიშვებული წლიური ბრუნვა, ყოველგვარი შეზღუდ- ▶

## ახალი საგადასახადო კოდექსით გარანტირებულად კვლავ მოგვიწევს ცხოვრება 70%-იანი ჩრდილოვანი ეკონომიკით!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვების გარეშე, ერთი პირობით — ბრუნვის გაზრდასთან ერთად გაიზრდება ფიქსირებული გადასახადის პროცენტი, ანუ საგადასახადო ტვირთი. გადასახადები ერთბაშად არ გაიზრდება. მოფიქრებულია ამის საწინააღმდეგო საინტერესო ეკონომიკური ბერკეტები. ისიც აღსანიშნავია, რომ **ბრუნვის გაზრდასთან ერთად მეწარმეები, პირობითად, თანდათან გახდებიან მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი მეწარმეები და, შესაბამისად, რბილი რეჟიმებით თანდათან გაეზრდებათ გადასახადები. პირიქით, ბრუნვის შემცირებასთან ერთად მეწარმე, ასევე პირობითად, თანდათან გახდება რა საშუალო, მცირე და მიკრო, შესაბამისად შეუმცირდება გადასახადები და მიეცემა კარგი შანსი, ბოლომდე არ გაკოტრდეს და თავისი ბიზნესი რაღაც დონეზე მაინც გადაარჩინოს.**

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ კოდექსში მაქსიმალურად იქნება გამარტივებული საგადასახადო ადმინისტრირებაც, რადგან ბრუნვის ფიქსირებული გადასახადი შეცვლის მეწარმეებისთვის ყველაზე უფრო თავსატეხი მოგებისა და დღგ-ის 2 გადასახადს. ვინაიდან დარჩენილი სამი გადასახადი, კერძოდ — ქონების, საშემოსავლო და აქციზის არის ფიქსირებული;

**მეწარმე, ფაქტობრივად, მთლიანად დაიბეგრება ფიქსირებული გადასახადებით. ეს კი იძლევა გადასახადების გამოანგარიშების, აღრიცხვისა და კონტროლის მაქსიმალური კომპიუტერიზაციის შესაძლებლობას იმ დონეზე, რომ, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც შესაძლებელი გახდება საგადასახადო ინსპექციები, ძირითადად, შეცვალოს საგადასახადო კომპიუტერებმა.**

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს ფიქსირებულმა გადასახადებმა თითქმის მთლიანად აითვისა როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილი მეწარმეობის საგადასახადო სივრცე იმ დონეზე, რომ **2009 წელს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და გამარტივებული საგადასახადო კანონმდებლობის მქონე სახელმწიფოთა შორის პირველ 2 ადგილზე დასახელდა ქვეყნები, სადაც მოქმედებს მხოლოდ ბრუნვის ფიქსირებული ერთადერთი გადასახადი.**

ამრიგად, ჩვენი კოდექსის ჯამური საგადასახადო ტვირთი იქნება მინიმალური, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირება — მაქსიმალურად გამარტივებული. **ეს იქნება ნამდვილად რევოლუციური კოდექსი, რომელსაც შეეძლება მხოლოდ ბიზნესის გათეთრების ხარჯზე 2 წელიწადში გაგვაკეთებინოს 20-წლიანი ეკონომიკური ნახტომი, გადაგვარჩინოს უმუშევრობას, შიმშილს, სიღატაკეს და ქვეყანაში დაამკვიდროს „კეთილდღეობა ყველასთვის“.**

„ქართველი ლუდვიგ ერჰარდი“ კი გახდება ის, ვინც, ერჰარდის მსგავსად, არ შეეპუება უცხოელ დამფინანსებლებს და მიიღებს ქვეყნის გადარჩენის ტოლფას ასეთ საგადასახადო კოდექსს. დღეს ამის გაკეთება შეუძლია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და კარგი იქნება, თუ იგი ამ ისტორიულ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

**ანზორ საკანდელიძე,**
**საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე**

# საქართველო და სტაბილურობა, ფილოლოგების ენაზე რომ ვთქვათ, უკვე ანტონიმებია

**მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ეკონომიკური კრიზისი გადავლახეთ და ჩვენზე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა არ მოიძებნება, ქართველი ეკონომიკის ექსპერტები შემაშფოთებელ პროგნოზებს აკეთებენ, რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევს. ვის უნდა დავუჯეროთ — ხელისუფლებას, რომელიც ამბობს, რომ ქართული ეკონომიკა ისეთივე განვითარებულია, როგორიც ევროპის წამყვანი ქვეყანებისა, თუ ეკონომიკის ექსპერტებს, რომლებიც ზამთრისთვის პროდუქტის მომარაგებას გვირჩევენ? ქართული ეკონომიკის მდგომარეობაზე და მოსალოდნელ გართულებებზე ეკონომიკის ექსპერტ ნოდარ კაპანაძეს ვესაუბრეთ.**





## ნოდარ კაპანაძე:

## საქართველოში შრომითი კანონმდებლობა გამოქვაბულის დონეზეა, სადაც დამქირავებელს მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო დაქირავებულს — მოვალეობები

**— ბატონო ნოდარ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება იმედს ყოველთვის ინვესტორთა მოზიდვაზე ამყარებდა, ბოლო დროს საქართველოში საგრძნობლად იკლო ინვესტიციებმა. რა შედეგები მოჰყვება ინვესტიციების კლებას?**

— თუ ქვეყანაში ინვესტიციებს დებს მხოლოდ BP, მაიკროსოფტი ან სხვა რომელიმე მსგავსი მონსტრი კორპორაცია, ეს, მაინდამაინც, გადასარევ საინვესტიციო გარემოზე არ მიუთითებს, ვინაიდან, მაგალითად, მაიკროსოფტს შეუძლია, თავს უფლება მისცეს და 1.000.000 დოლარი მოსასინჯად დახარჯოს და, თუ არ გაუმართლებს, არა უშავს. საშუალო ინვესტორი, რომლისთვისაც ეს თანხა ძალიან ბევრს ნიშნავს, მანამ არ შემოიტანს, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდება, რომ მის ფულს არაფერი ემუქრება.

**ინვესტიციებმა იკლო და ეს ადვილად ასახსნელია. ინვესტორი ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს ერთგანზომილებიან, მოგებაზე ორიენტირებულ სამყაროში. მას სტაბილური გარემო უყვარს. საქართველო და სტაბილურობა კი, ფილოლოგების ენაზე რომ ვთქვათ, უკვე ანტონიმებია. ამიტომაც მოიკლო ინვესტიციებმა.**

არ მესმის, რატომ ველოდებით მესიის მახვილივით უცხოური ინვესტიციების შემოსვლას; რატომ არავინ ფიქრობს შიდა რესურსების ოპტიმიზაციაზე; რატომ არავინ საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში შრომითი კანონმდებლობა გამოქვაბულის დონეზეა, სადაც დამქირავებელს მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო დაქირავებულს — მოვალეობები; რატომ არავინ მუშაობს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე; რატომ ვერ გასცდა ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი სადღეგრძელოების რეჟიმს.

**არ მგონია, რომ უცხოელი ინვესტორი ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა იყოს. შიდა რესურსების ოპტიმიზაციაა უმთავრესი, რაც ქვეყნის ეკონომიკას წაადგება და სოციალური ფონიც გაუმჯობესდება.** ამის გარეშე, როგორც ეკონომისტები იტყვიან, სხვა თანაბარ პირობებში ინვესტიციების კლება ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

**— ლარის კურსის დაცემამ საყოფაცხოვრებო და ყოველდღიური მომხარების საგნებზე საგრძნობლად გაზარდა ფასები... ფასების ზრდას 30-40 %-ითაც ვარაუდობენ. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს?**

— ფასების ასეთი დონით ზრდა ნაკლებად მოსალოდნელია. 30–40 პროცენტით ფასების საერთო დონის ზრდა ჰიპერინფლაციაა, მოსახლეობის ამჟამინდელი მსყიდველობითი უნარისა და მიმოქცევაში არსებული ფულის გათვალისწინებით, ასეთი მასშტაბის ინფლაციის ალბათობა საკმაოდ დაბალია.

**თუ გაიზრდება მიმოქცევაში არსებული ფულის მასა ემისიის ხარჯზე, მაშინ ასეთი და კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ინფლაციაა შესაძლებელი. რაც შეეხება ფასების დონის არსებულ ზრდას, ამის მიზეზი რამდენიმეა. პირველ რიგში ესაა იმპორტ-ექსპორტის კატასტროფული სალდო იმპორტის სასარგებლოდ. ამის შედეგად სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით და, შესაბამისად, ფასებიც არსებითადაა დამოკიდებული სხვა ქვეყნების ფასებზე.**

### ერთ-ერთი მიზეზია, ასევე, გლობალური კრიზისი და ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა. პრინციპში, ეს მიზეზი პირველი მიზეზის გაგრძელებაა და იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები არსებითად დამოკიდებულია ვალუტის კურსზე.

პროდუქციის იმპორტიორთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა და ეს ერთგვარი ჩაკეტილი წრეა. ამდენად მათ თავისუფლად შეუძლიათ სუბიექტურად ურთიერთშეთანხმებით ან საერთოდ ერთპიროვნულად დააწესონ ფასები.

**— ფასებმა „უკვე მკვეთრად იმატა სამომხმარებლო პროდუქტზეც. გადასახადების ზრდაც იგეგმება. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ისედაც სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს მოსახლეობას რაიმე შეღავათი გაუწიოს, არაფერს აკეთებს პრობლემის მოსაგვარებლად...**

— ასეთ კითხვაზე ყოველთვის მაქვს ერთი კონტრშეკითხვა – რის ხარჯზე უნდა გაუწიოს შეღავათი? ბიუჯეტის გამჭვირვალობის პრობლემა, სახსრების ეფექტური ხარჯვა და ასე შემდეგ, ეს სხვა თემაა. სახსრების არაეფექტური ხარჯვის მაგალითი სწორედ ასეთი შეღავათებია. პრობლემის მოგვარების გზად სუბსიდირება ნამდვილად ვერ გამოდგება.

**ჩემი აზრით, სწორედ ასეთი ხედვა არის პრობლემათა საფუძველი. ვიღაც მითიური სახელმწიფოსგან ან საზღვარგარეთიდან დახმარების დაუსრულებელი მოლოდინი არის ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა.**

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტარიფები და გადასახადები უნდა იყოს გამჭვირვალე. მაგალითად, თუ ერთი კუბური მეტრი გაზი, პირობითად, 50 თეთრი ღირს, მე სრული უფლება მაქვს, ვიცოდე, რატომ ვიხდი ამ 50 თეთრს და არა — 49 ან 69 თეთრს, ანუ მე უნდა ვიცოდე, რა კომპონენტებისგან შედგება ეს 50 თეთრი.

**— ხელისუფლების თქმით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ეკონომიკის განვითარების მხრივ, მაშინ რატომ აღმოჩნდა ულარიბესი ქვეყნების ჩამონათვალში, როგორიცაა ტაჯიკეთი და მონღოლეთი? გარდა ამისა, საუბარია იმაზეც, რომ სასურსათო კრიზისიც გვემუქრება.**

— ტაჯიკეთისა და მონღოლეთის შესახებ რა გითხრათ. ერთი ზუსტად ვიცი, რომ ეს ქვეყნები ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების მაღალი დონით არ გამოირჩევიან.

### სასურსათო კრიზისის მოლოდინს რაც შეეხება, ეს შეუძლებელი სულაც არ არის.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი, ძირითადად, იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციას უკავია, ხოლო ადგილობრივი წარმოების სურსათი, წლევანდელი სტიქიური უბედურებების გათვალისწინებით, შედარებით ნაკლები იქნება. ასე რომ, სასურსათო კრიზისი სავსებით შესაძლებელი მოვლენაა, მაგრამ, ასეთი სცენარის შემთხვევაში, ეს, ალბათ, ერთ წელზე მეტხანს არ გაგრძელდება.

**— ბოლო დროს კეთდება განცხადებები, რომ უმძიმესი წელი გველის. თქვენი აზრით, სიტუაცია მართლაც ასეთი საგანგაშოა?**

— პერსპექტივები, მაინცდამაინც, ვარდის ფერებში მოხატული ნამდვილად არაა. მოსალოდნელი სიძნელეები საკმაოდ მრავალი სახისაა და ამას სურსათის მომარაგებაც არ უშველის, ალბათ.

**— საქართველოს მოსახლეობის 25% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, თუმცა სპეციალისტები ამ ციფრის 60 %-ით გაზრდას პროგნოზირებენ. როგორ უნდა გაიტანოს თავი მოსახლეობამ, თუ ასეთი მძიმე წელი გველის... არსებობს თუ არა რაიმე საშუალება მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად? რა არის გამოსავალი?**

— სიღარიბის დონის გაზომვა საკმაოდ კომპლექსური საქმეა და ასე ზეპირი შეფასებებით ოპერირება მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს. საჭიროა, უფრო მეტი ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს ეს 25 პროცენტი.

**რაც შეეხება 60 პროცენტამდე ზრდას, აქ, ალბათ, წლის ბოლომდე 60 პროცენტამდე ზრდა იგულისხმება. თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ის სიღარიბე, რაც ახლა 25 პროცენტია, ზუსტად იმავე მეთოდით გაზომვის შემდეგ, წლის ბოლოს 60 პროცენტი იქნება, მაგრამ ასეთი კატასტროფული ტემპით გაუარესება ნაკლებად მოსალოდნელია, უფრო ზუსტად — შეუძლებელი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიღარიბის დონის ზრდა მოსალოდნელი არაა. შეიძლება ითქვას, რომ ობიექტური პროცესიცაა.**

მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად, უპირველესად, საჭიროა კრიზისის თავიდან აცილების გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს არსებულ რეალობას და არ უნდა იყოს რაღაც ლოზუნგების, ბუკლეტებისა და სადღეგრძელოების კრებული.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# «შარმდენი გასეირნება...»

**1226 წლის 13 ნოემბერს,** თბილისის აღების შემდეგ, ჯალალედინმა სიონის ეკლესიიდან ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატების გამოტანა და ხიდზე დადება ბრძანა; დატყვევებულ ქართველებს ხიდზე უნდა გაევლოთ და ხატებზე ფეხი დაებიჯებინათ ან... დახოცილიყვნენ. იმ დღეს 100.000-მა მოწამემ ხატების შეურაცხყოფას სიკვდილი არჩია. მათი თავმოკვეთილი სხეულები მტკვარში გადაყარეს, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანთა სისხლით შეღებილი, რამდენიმე დღე **ალისფერი მოედინებოდა...**

საბჭოთა წლებში იმ ხიდის ბურჯებზე ახალი, ქვის ხიდი ააგეს, რომელზეც **2010 წლის 5 ივლისს** შინაურულად (თეთრ ჩუსტებში) გამოწყობილი ქვეყნის სახელმწიფო მდივანი დასეირნობდა, რომელმაც ჯალალედინიდან 777 წლის შემდეგ თბილისი უსისხლოდ აიღო, **2003 წელს ალისფერი იყო ვარდები და არა მტკვარი...**

ჰილარი კლინტონის თანმხლები მიხეილ სააკაშვილი ყვებოდა, როგორ დააარსა მეტეხის ტაძრიდან მომზირალმა გორგასალმა თბილისი, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს მეტეხის ხიდზე მომხდარ ტრაგედიაზე; რატომ?! **განა იმ დღეს ხიდზე სისხლი შეინიშნებოდა ანდა ისინი ხატებზე მიაბიჯებდნენ?!** ამასთან, საპატიო სტუმარს გლობალიზაციის ეპოქაში ეს, შესაძლოა, უაზრობად მოსჩვენებოდა, თანაც სახელმწიფო, საიდანაც იგი ჩამოფრინდა, მაშინ არც არსებობდა: ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ 550 წლის შემდეგ შეიქმნა...

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებაც ცდილობს, რომ ქართველმა ხალხმა მალე დაივიწყოს ძველი ამბავი: ამიტომაც **მეტეხის ხიდის** გვერდით ახალ, **პლასტმასის** ხიდს აშენებს, რათა დროთა განმავლობაში პირველი „უმაქნისობის" გამო აიღოს; ამიტომაც **მეტეხის ტაძრის** ძირში მდებარე, **მეტეხის ხიდის** მომიჯნავე მოედანს არა **ასი ათასი დიდმოწამის**, და არა **მეტეხის,** არამედ **ევროპის მოედნის** სახელს უწოდებს. დღეს ჩვენ, ქართველები, 8 საუკუნის შემდეგ, რაც ჩვენმა წინაპრებმა სიკვდილი არჩიეს თავიანთი და მაშინაც კი მრავალსაუკუნოვანი მრწამსის, ერისა და კულტურის ღალატს, **საკუთარი ნებით მივისწრაფვით ევროკავშირისკენ!**

**არადა, თუ ნამდვილი ევროპელები გავხდებით, მაშასადამე, უკლებლივ ყველა მათი „ევროღირებულება" უნდა მივიღოთ: გეი-პარადები, ერთსქესიანი ქორწინებები, ევთანაზია...** ***(მინდა, ვკითხო GEOხელისუფლების წარმომადგენლებს: ნუთუ წინააღმდეგი არ ხართ, რომ თქვენი შთამომავლები პედერასტები და ლესბოსელები იყვნენ, ოღონდ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში მიიღონ?!).***

რასაკვირველია, მესმის, რომ 234 წლის ქვეყნიდან სულ ორი საათით ჩამოფრენილი სტუმრის ჩვენი უძველესი ისტორიით „დაგრუზვა" არცთუ ეთიკურია ***(ჩვენი GEOხელისუფლების ნება რომ იყოს, საქართველოს ისტორიას ტურისტთა მოსაზიდ 3-წუთიან სარეკლამო კლიპამდე შეამცირებს!)***: ქალბატონ კლინტონს იმიტომ კი არ გამოუცვლია პროტოკოლით გათვალისწინებული სამოსი, რომლითაც უკრაინას, პოლონეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს ეწვია, რომ ასეთი „პირქუში ისტორიები" მოესმინა! ამიტომაც ვერ შენიშნა **„სისხლის ლაქები"** ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, სადაც მეტეხის ხიდზე სტუმრობამდე მიიყვანეს და სადაც მოკლული პრემიერის — ჟვანიას მეუღლე დახვდა; ასევე, შარდენის ქუჩაზე, სადაც მეტეხის ხიდის მონახულების შემდგომ მიიწვიეს და რომელსაც ბოლო წლების მრავალი **სისხლიანი** ისტორია უკავშირდება.



### უძველესი შარდენის ქუჩის შარმმა დაავიწყა ქალბატონ კლინტონს, რომ ვირტუალურ და არარეალურ საქართველოში იმყოფება!

განვმარტავ:

**ვირტუალური** საქართველო ჩვენს ტელევიზიებსა და გლამურულ ჟურნალებში არსებობს. იქ შარდენის ქუჩის მუდმივი სტუმრები ცხოვრობენ: **GEOხელისუფლება და საქართველოს ბნელიტა, მათი მომსახურე ბიზნესმენები და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სოროსისა & კომპანიის გრანტების „ნემსებზე რომ შემსხდარან";**

**ვირტუალურ** საქართველოს სტუმრებს უჩვენებენ და CNN-ზე საჩვენებელ კლიპებში იღებენ, მაგრამ იქ არაა უბრალო ხალხი, მხოლოდ **შარდენის ხშირი სტუმრები არიან, რომლებსაც აქვთ პრივილეგიები, იმუნიტეტი, პისტოლეტი და ფული, რაზეც ნებაყოფლობით უარს არასდროს იტყვიან;**

**რეალურ** საქართველოში კი არიან **ბავშვები,** სამშობიარო სახლიდანვე იმისთვის განწირული, რომ მოსამსახურეები და საზარბაზნე ხორცი იყვნენ სხვის ომებში; არიან ჭაღარით შევერცხლილთმიანი დამსახურებული **მოხუცები,** რომლებმაც საქართველო აგვიშენეს, ომები გამოიარეს, დღეს კი წამლებისა და მკურნალობის გარეშე არიან დარჩენილები, რადგან წამლის საფასური მათ პენსიას ასჯერ აჭარბებს! მათ აშენებულ ქვეყანაში კი ეს ყველაფერი, დასვენებასა და განათლებასთან ერთად, უფასო იყო;

**რეალურ** საქართველოში ასი ათასობით **უმუშევარია** — ძალ-ღონით სავსე, მცოდნე ქალები და კაცები, ყოველდღე რომ დილემის წინაშე დგანან: პური იყიდონ თუ წამალი, სახელმძღვანელო თუ ნაყინი ბავშვებისთვის და არც კი ოცნებობენ შარდენის ქუჩაზე გასართობ დაწესებულებებში სტუმრობაზე, ეს მხოლოდ ერთი მუჭა მდიდრების — **GEOხელისუფლებისა და მათთან დაახლოებული ბოზმონდისთვისაა** ხელმისაწვდომი.

რეალურ საქართველოში ვერ ნახავ ადამიანს, დღევანდელ GEOხელისუფლებას რომ არ შეაჩვენებდეს და მის წასვლაზე რომ არ ოცნებობდეს, მაგრამ ხალხი დაშინებული, დემორალიზებული და განხიბლულია; ოპოზიციის ლიდერები, უკეთეს მომავალს რომ ჰპირდებოდნენ, გამყიდველები და მოღალატეები აღმოჩნდნენ!

**და სანამ ეს პოლიტნაძირალები ცრუობენ, ფულს აკეთებენ და დროს აჭიანურებენ, იზრდება GEOხელისუფლების მიერ ტესტებსა და ფასტფუდებზე აღმოცენებული ახალგაზრდა თაობა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ბუჩქებში სქესობრივ კავშირზე „აკურთხა": არასრულწლოვანი გოგო-ბიჭები დაუფიქრებლად, დანების ტრიალით ართმევენ ერთმანეთს ბოი- და გელფრენდებს, მალე ისინი სრულწლოვანები გახდებიან და ლუდის ბარებში შეიკრიბებიან... შემდეგ კი ყველას გადაქელავენ, ვინც გზაზე გადაეღობებათ — დღეს გაღმერთებულ პრეზიდენტსაც კი!..**

**სჭირდებოდა კი ასეთი საქართველო აშშ-ის სახელმწიფო მდივანს მისი ვიზიტისას? არა, მისთვის ბევრად ხელსაყრელი იყო, დაეჯერებინა ვირტუალური სიყალბე და, აი, რატომ:**

საქმე ისაა, რომ კლინტონმა საქართველო ტყუილად არ შემოინახა ტურნეს დასასრულისთვის: მესიჯები, რომლებიც აქ უნდა გაეხმიანებინა, უკრაინაში, პოლონეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მისი ვიზიტების შედეგებზე იყო დამოკიდებული. **სავარაუდოდ, ჰილარიმ დაგეგმილი ამოცანები ვერსად გადაჭრა, და მოლაპარაკებებიც, განსაკუთრებით — აზერბაიჯანსა და სომხეთში, საკმაოდ დაძაბული იყო, ამიტომ იძულებული შეიქნა, „ჯავრი" საქართველოზე ეყარა.**

„ოკუპაცია", „ანექსია", „დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი", „თამარ-მეფის „ოქროს ეპოქის" გამეორების შანსი", „სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა", „დემოკრატიის ჩირაღდანი", „წარმატებული რეფორმები, რომლებმაც არ შეიძლება აღფრთოვანება არ გამოიწვიოს", „ჩვენ არ მიგატოვებთ და კვლავაც მხარს დაგიჭერთ" — ეს თეზისები ერთნაირად იყო გათვალისწინებული როგორც საქართველოს, ასევე, ყველა დანარჩენისთვისაც. მათი არსი კი ასეთია: **„მიბაძეთ საქართველოს, მის დემოკრატიულ, რეფორმატულ, ჩვენს ძაღლივით ერთგულ ხელისუფლებას და თქვენც დაგეხმარებით!".**

მაგრამ ჰილარის თეზისები ფუყე აღმოჩნდა და, GEOხელისუფლების გარდა, შთაბეჭდილება ვერავისზე ვერ მოახდინა, უფრო მეტიც — უკუეფექტი გამოიწვია, რუსეთის სამართლიანი აღშფოთება (მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მდივანმა თბილისს მოსკოვთან კომპრომისის გამოძებნისკენ მოუწოდა)!

მთავარი ინტრიგა ეს მაინც არაა: **რატომაა, რომ თეთრი სახლი, ერთის მხრივ, საქართველოში იარაღის შეტანაზე ემბარგოს აცხადებს** („მშობლები", ბოლოსდაბოლოს, მიხვდნენ, რა საშიშია „ბავშვებისთვის" „ასანთის" მიცემა!), **მეორეს მხრივ კი, სახელმწიფო მდივანი საქართველოს ხელისუფლებას აქებს და შემდგომ მოქმედებებში მეტი გაბედულებისა და დამოუკიდებლობისკენ მოუწოდებს?** ამის მისახვედრად საკვანძო კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

### რისთვის სჭირდებათ ამერიკელებს საქართველო?

აი, როგორ პასუხობს ამ კითხვას საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია** თავის შარშანდელ ინტერვიუში:

**„სამი მიზეზით: ბაზსადენების, სამხედრო ინფრასტრუქტურის, უპირველესად, ირანთან მოსალოდნელ ომში აეროდრომების** (რეგიონში სხვა არავინ დაუთმობს ამერიკელებს აეროდრომებს!), **რუსეთში სამხრეთში სხვადასხვა ექსცესის ინსპირირებისათვის — აი, ამისათვის სჭირდება აშშ-ს საქართველო!** ეს არაფრით არ უკავშირდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. იქ ხომ მილსადენები არ გადის; აეროდრომები აღმოსავლეთ საქართველოშია, ხოლო რუსეთში დაძაბულობის ინსპირირებისათვის ჩრდილოეთ კავკასიასთან საზღვრის მცირე მონაკვეთიც საკმარისია. ამიტომაც სავსებით ნათელია, რომ ამერიკელები სააკაშვილს ან პირდაპირ მითითებას მისცემდნენ, ანდა მისი უთავობით ისარგებლებდნენ და რუსეთის რეაქციის შესამოწმებლად პროვოკაციისკენ უბიძგებდნენ: **შეძლებდა თუ არა იგი თავისი სტრატეგიული ინტერესების დაცვას საკუთარ საზღვრებთან.**

შარშან (2008 წლის აგვისტოში. — ა. ხ.) *სწორედ ასეთი შემოწმება განხორციელდა სააკაშვილის ხელით. ამ თვალსაზრისით მან თავისი მისია შეასრულა და კაცმა რომ თქვას, ამერიკელებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამო „თავის ტკივილიც" აარიდა. ქართველებისთვის რაღაცნაირად ხომ უნდა აეხსნა —* ***რატომ არ გვიბრუნებენ ამერიკელები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?!*** შევარდნაძისა და სააკაშვილის მთელი პროპაგანდისტული მანქანა ხომ იმაზე იყო აგებული, რომ **„მეგობარი ამერიკელები ძლიერები არიან და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაგვიბრუნებენ!".** მაგრამ აშშ-მა ახლა გვიჩვენა, რატომ არ შეუძლია ამის გაკეთება: **„აგრესორმა-რუსეთმა" ამ რესპუბლიკების ოკუპირება მოახდინა, აღიარა ისინი, განათავსა ბაზები, ხოლო რუსეთთან საომრად აშშ ჯერ მზად არ არის..."**

მორჩა და გათავდა! **ხოლო GEOხელისუფლება, რომელიც წარსულში მასზე ფულის დახარჯვის გამართლებას ცდილობს, მზადაა, აშშ-ისთვის სასარგებლო იყოს ზემოჩამოთვლილ სამივე პუნქტში.** მით უფრო, რომ GEOხელისუფლებას ამერიკასთან ნაყოფიერ სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე (რუსეთისა და უკრაინის მსგავსად) შეთანხმების უნარი არ შესწევს.

**ამიტომ ჰილარი კლინტონის მიერ საქართველოში სტუმრობის შემდეგ დაძაბულობის ესკალაცია საგრძნობია:** გახშირდა ინციდენტები კონფლიქტის ზონებში, საქართველოს საზღვრისპირა სოფლებში წყალმომარაგების პრობლემებია და შედეგად, უკმაყოფილოა მოსახლეობაც, აღარაფერი რომ არ ვთქვათ GEOხელისუფლების წარმომადგენელთა (ბოკერია, ვაშაძე, იაკობაშვილი, შაშკინი, ბაქრაძე) და სამეფო კარის პროქტო-პოლიტოლოგთა „ჯგროს" მკვეთრად პროვოკაციულ განცხადებებზე.

ამგვარი უაზრო ფაციფუცის კიდევ ერთი მაგალითი **მიმდინარე წლის 10 ივლისიდან „ზემო ლარსის" სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან საქართველოში რუსული ტვირთების შემოტანის აკრძალვაა.** ამგვარი **თვითგლოკადის** მიზეზი ამჯერად **ზვიად ძიძიგური** არ გახლავთ; ის ერთი დღით ადრეა საძებარი — 9 ივლისს რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვის** ტელეკომპანია „МИР"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც მან აღნიშნა: *„დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებშიც კი, როცა რუსეთის ინტერესებს საქართველოში და საქართველოს ინტერესებს რუსეთში შვეიცარია წარმოადგენს, მოსკოვი ღიაა ნორმალური კონტაქტებისთვის, უწინარესად, იქიდან გამომდინარე, რომ ამით ჩვენი ხალხი, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეები, არიან დაინტერსებული. გვინდა, ყველანაირად ვასტიმულიროთ კონტაქტები ხალხებს შორის, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც კი დღევანდელ პირობებშია შესაძლებელი, ასეთი კონტაქტები რომ განვითარდეს.* ***ჩვენ გავხსენით „ზემო ლარსის" გამშვები პუნქტი, რათა ხალხს საზღვარზე ტრადიციული კონტაქტების განხორციელებისას დაბრკოლება არ შეექმნას, დავთანხმდით ჩარტერულ რეისებს საშობაო და სააღდგომო დღესასწაულების პერიოდში,*** *მზად ვართ, მოსკოვსა და თბილისს შორის რეგულარული რეისების აღდგენისათვის, თუკი ამით ქართული მხარეც დაინტერესდება. ასევე, ბევრს გავაკეთებთ ჩვენს ხალხებს შორის ხელოვნურად გაწყვეტილი კავშირების აღსადგენად...* **პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებისთვის აუცილებელია, ურთიერთობები მოაწესრიგოს ამ რეგიონში მცხოვრებ ხალხებთან: ოსებთან, აფხაზებთან და იმ ეთნოსებთან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან — ესენი არიან სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ნაციონალური უმცირესობები, რომელთა მიმართაც თბილისის დამოკიდებულება უღრუბლო სულაც არ არის. ისინი თავს შევიწროებულად გრძნობენ".**

შესაბამისად, GEOხელისუფლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, **„ზემო ლარსის"** გამშვები პუნქტიდან საქართველოსთვის გათვალისწინებული რუსული ტვირთების საქართველოში შემოტანის აკრძალვის შესახებ დაბრკოლებები **უნდა შექმნას — გამოიწვიოს ხალხის უკმაყოფილება, ზიანი მი-** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

...აყენოს ბიზნესსა და მოსახლეობას, რომელიც რუსული ხარისხიანი და შედარებით იაფი საქონლის (კვების პროდუქტები, სამშენებლო მასალები, ფართო მოხმარების ნივთები, მედიკამენტები) გარეშე დარჩა; **ასევე, დააკნინოს ქართველი საზოგადოების თვალში რუსეთის ხელისუფლების დამსახურება, რომელმაც „ზემო ლარსი" გახსნა და ჩარტერულ ავიარეისებზე დათანხმდა, რათა** (ლავროვის ტექსტის მიხედვით განვაგრძობ) **„ხალხს საზღვარზე ტრადიციული კონტაქტების განხორციელებისას დაბრკოლებები არ შეექმნას".**

ძნელი არაა იმ სომეხი გადამზიდველების რეაქციის გამოცნობა, რომლებიც დღეს არსებული უმოკლესი და მათთვის ერთადერთი შესაძლო მარშრუტით („ზემო ლარსის" გამშვები პუნქტის გავლით) საქართველოში რუსული ტვირთების შემოტანაზე არიან სპეციალიზებული და ამიერიდან მოკლებული იქნებიან ამ შესაძლებლობას; იმ დროს, როცა მათი აზერბაიჯანელი კოლეგები აგრძელებენ რუსული ტვირთების შემოტანას „წითელი ხიდის" სასაზღვრო პუნქტიდან! **ესეც ლავროვის მიერ ნახსენები „ამ რეგიონში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობის მოწესრიგების" ერთობ ორიგინალური მეთოდი.**

GEOხელისუფლების გათვლა ისეთივე პრიმიტიულია, როგორც ორი წლის წინათ: ***„უნდა ვისარგებლოთ მომენტით, რომ აშშ-მა რუსეთს ოკუპანტი უწოდა და მაქსიმალურად დავძაბოთ სიტუაცია, რათა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის საკითხებში გარღვევას მივაღწიოთ. რუსეთი სამხედრო მოქმედებების განხორციელებას ვერ გაბედავს და აშშ-ის ზეწოლით იძულებული იქნება, დათმობებზე წავიდეს"*** (2008 წლის აგვისტოში რუსეთი სამხედრო მოქმედებების განხორციელებას პეკინის ოლიმპიადის გამო **„ვერ გაბედავდა".** რით დაგვეხმარა მაშინ ოკეანისგაღმელი პარტნიორი?! სარეცხი ფხვნილებითა და პამპერსებით...).

ჰოდა, ნუთუ ხელახლა, როგორც 2008 წელს, უნდა შევამოწმოთ რუსეთის რეაქცია: **შესწევს თუ არა უნარი, დაიცვას თავისი სტრატეგიული ინტერესები თავისივე საზღვრებთან?!** ნუთუ ნათელი არაა, რომ ამგვარი უაზრო „ფაციფუცი" მორიგი საფანგია?!

რუსეთი კი... **რუსეთი ამჟერად არაფერს ილონებს ხაფანგში ჩვენს მოსამწყვდევად:** მალე საქართველო, ჰილარი კლინტონის ინსტრუქციების გათვალისწინებით ***(„განავითარეთ ეკონომიკა, რათა აფხაზებისა და ოსებისთვის მიმზიდველები გახდეთ"),*** რუსეთს ჯერ „ჩრდილოეთ-სამხრეთის" მაგისტრალური გაზსადენის „მოზდოკი-თბილისი-სომხეთის" მონაკვეთს, შემდეგ კი — საქართველოს რკინიგზას მიჰყიდის, რომელიც რუსეთს სომხეთთან აფხაზეთის გავლით დააკავშირებს. მერე კი, როცა ჩვენი ეკონომიკის ყველა სტრატეგიული ობიექტი მის ხელთ იქნება, თვალყურს მოგვადევნებს, **როგორ „იხარშება" საქართველო „თავისსავე წვენში" ამერიკული საკმაზით, მაგალითად: კეტჩუპით, რომელიც ძალიან ჰგავს სისხლს...**

# ვანიჭებთ ქუჩას სახელს მსოფლიოში ყველაზე იაფად

## «ქმოტები» და ჯიბეგაფხეკილები ნუ გამოგვეხმაურებიან

**გსურთ, თქვენი სახელი მთელმა ქვეყანამ გაიგოს? მაშინ აჩუქეთ ბათუმს ან თბილისს 10 ათასი პალმა და თქვენი სახელი მიენიჭება ქუჩას, მოედანს, სკვერს; დაგიდგამენ ბიუსტს, ქანდაკებას, ძეგლს და თქვენი სახელიც უკვდავი გახდება. თუ პალმები არ გაქვთ, მაშინ ერთი სასტუმრო მაინც უნდა ააშენოთ, ბათუმის „შერატონის" მსგავსი.**




ჯერ იყო და თბილისში ვიზიტის შემდეგ აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის თვითმფრინავი აეროპორტის მიწას არ იყო აცდენილი, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი რომ ეწოდა.

თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ადგილას, რომელსაც ყველა სტუმარს დიდი სიამაყით ვაჩვენებდით ხოლმე, აბანოთუბანში ჰეიდარ ალიევის ბიუსტი დაგვიდგეს. თვითონ აზერბაიჯანელებსაც არ ეყოთ, ალბათ, სასაცილოდ ეს ფაქტი. ძეგლი ძეგლია, დადგან, რა მოხდა მერე, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რატომ და როგორ აკეთებენ ამას.

ბიუჯეტის ეკონომიის მიზნით, შეგვიძლია ამ ძეგლს ილჰამის ხანში შესვლის შემდეგ მისი სახელიც დავარქვათ, ხომ დაემსგავსება მამამისს?! სახელის შეცვლა დასჭირდება და ეგაა. ამის მერე კარგი იქნება ისეთი ადამიანების ძეგლები დავდგათ, სხვებსაც რომ ჰგვანან.

აგერ თემურ წიკლაურის ძეგლი უკვე გვაქვს. კიდევ დავდგათ ლაო ძის ძეგლი. ჩინელები ხომ სულ ერთმანეთს ჰგვანან და ვაწეროთ ზედ ხან ბრუსლი, ხან მაო ძედუნი, ხან იაო მინგი და ასე...

**ისე თბილისი ყველაზე კარგად ასახავს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებს, ბუშის გამზირი თუ გზატკეცილი, ალიევის ბიუსტი. ათათურქი გვაკლია. შეგვიძლია სააკაძის მოედანს შევუცვალოთ სახელი. ალიევის სანაპიროს გაგრძელებას კი მოუხდებოდა „ათა თურქის" სახელი. ქუჩის ბოლოს დავდგათ მემორიალი „თბილისქალაქის ყველა ამაოხრებელის უკვდავსაყოფად". თურქებსაც გაუხარდება, სპარსელებსაც, მონღოლებზე აღარაფერს ვამბობ, თემურ-ლენგის შთამომავლები ჩამოვლენ მემორიალის გახსნის ცერემონიალზე.**

პრეზიდენტმა არც გმირი რუსი ჟურნალისტი ოლგა კონსკაია დაივიწყა და ნაძალადევის რაიონში მისი სახელობის ქუჩა გახსნა. ოლგა კონსკაიამ მეუღლესთან, ანდრეი ნეკრასოვთან ერთად გადაიღო ფილმი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, სადაც ღიად არის ნათქვამი, რომ აგვისტოში ომი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა დაიწყო. ჟურნალისტი ფილმის პრემიერამდე გარდაიცვალა და ქუჩის გახსნას მხოლოდ მისი მეუღლე დაესწრო.

**„ადამიანები, რომლებიც სიკვდილის პირას არიან, არ ტყუიან. ყველაზე დამაჯერებელი დოკუმენტური მასალა ამ ომზე იმისგან, რაც მე მინახავს, შექმნა რუსეთის ამ ორმა პატრიოტმა. მე არ ვიცი, არსებობს თუ არა ორი რუსეთი. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ რუსეთში არსებობს ძალიან ბევრი წესიერი, პატიოსანი რუსეთის პატრიოტი, რომელთაც მშვენივრად ესმით, რომ რუსეთს არავინ ემუქრება, რომ საქართველო არ დასხმია თავს რუსეთს და ჩვენ არ გვინდა რუსული მიწები,"** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მერე იყო და, პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი საფლავშიც არ იყო ჩასვენებული, რომ შავი ზღვის ქუჩას მისი სახელი ეწოდა.

**ახლა კი უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წლეულს ბათუმში ჩასულ დამსვენებლებს ნახაიან ბინ მუბარაქ ალ ნახაიანის ხეივანი დახვდება. დამეთანხმებით, ალბათ, რომ საკმაოდ ძნელი დასამახსოვრებელია, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა დავიმახსოვროთ, მან ხომ ბათუმს 10 000 პალმა უსახსოვრა!**

ეს ბრძნული და საპატივცემულო აზრი „ბრძენთა საბჭოში" (ანუ ბათუმის საკრებულოში) ისე მიიღეს, სხდომაც არ ჩატარებულა, არც მოსახლეობისთვის უკითხავს ვინმეს აზრი, უნდოდათ თუ არა ამ ქუჩისთვის ასეთი სახელის დარქმევა.

**ბათუმის საკრებულომ პატივისცემის ერთობ იოლ ხერხს მიაგნო. სულ ცოტა ხნის წინათ თურქი ინვესტორის — ნურეთინ ჩარმიქლუს სახელობის ქუჩა გაჩნდა ბათუმში. ეს იმიტომ, რომ ბატონმა ნურეთინმა პატივი გვცა და „შერატონი" აგვიშენა. ახლა კიდევ არაბი შეიხის მიმართ გამოხატეს „ღრმა პატივისცემა". საინტერესოა, ვინ არის შეიხი ნახაიანი, რომელმაც 10 ათასი პალმა აჩუქა საქართველოს და თავად ნახევარი საქართველო გაიფორმა?**

შეიხი ნახაიან ბინ მუბარაქ ნახაიანი არაბეთის გაერთიანებული საემიროების უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მინისტრი ყოფილა. ამასთანავე, ერთ-ერთი საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც ოპერირებს პაკისტანში, ბანგლადეშში, უგანდაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სპილოს ძვლის სანაპიროზე და, თუ კომპანიის შესახებ ინტერნეტში გავრცელებულ ინფორმაციას ვენდობით, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბიზნესშიც აპირებს შემოსვლას.

ქართველების პატივისცემის ამბავი ხომ იცით და როგორ გგონიათ. მხოლოდ ქუჩის სახელის დარქმევას დასჯერდებიან? ალბათ, შეიხს ჰარამხანაში ერთ-ორ ქართველ ხანუმასაც „უანგაროდ" გაუგზავნიან.

**ვიღაცამ შეიძლება თქვას, მერე რა მოხდა, რა გახდა ერთი ქუჩა, კაცმა ამხელა „პატივი გვცაო", მაგრამ გავა დრო და სწორედ ეგ არაბი და თურქი გვეტყვის, ბათუმი ჩვენიაო და იქ აღარ გაგვატარებენ.**

„ვარდების რევოლუციამდე" წლების განმავლობაში, ქუჩებისთვის ამა თუ იმ პიროვნების სახელის მინიჭება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ პიროვნება, რომლის სახელიც ქუჩას უნდა დარქმეოდა, 20 თუ არა, 10 წლის გარდაცვლილი მაინც იქნებოდა. გარდა ამისა, თვითმმართველებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს უნდა გაეთვალიწინებინათ ადგილობრივი მოსახლეობის აზრიც.

**ახლა ქალაქებმა საკუთარი „სხეულის გაყიდვა" მილიარდერი შეიხებისთვის ინვესტორებისა და პრეზიდენტების საპატივცემულოდ დაიწყეს.** არ გაგიკვირდეთ, სულ მალე აუქციონზე ქუჩებიც რომ გაიტანონ. კარგი ფული კი შემოუვათ. მერე შეიძლება ქალაქების სახელებიც გაყიდონ. **ბოლოს ვინმე ახირებული მილიარდერი ქვეყნის სახელში დიდძალ ფულს გადაგვიხდის და ფაფუ შენი საქართველო.**

მსგავსი ფაქტი არც ერთ ქვეყანაში მსმენია. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ინვესტიცია, როგორც ქვეყნის, ასევე, მისი მეპატრონის სარგებელიცაა, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს არ წარმოადგენს ისეთ დამსახურებას, რომ რომელიმე სასტუმროს მეპატრონეს ან არაბ მილიარდერს 10000 პალმის სანაცვლოდ წილად ერგოს ის პატივი, რომ ქუჩას მისი სახელი დაერქვას.

**საკმარისია უკვე ეს უაზრო „პატივისცემა". ისევ და ისევ საკუთარ ჯიბეს ისქელებენ და ჩვენ გვაიძულებენ, ლაქიებივით თვალებში ვუყუროთ და ქუჩებს მათი სახელები დავარქვათ.**

ალბათ, ცოტა ხანში ქუჩების ყიდვა-გაყიდვის სააგენტოც გაჩნდება ლოზუნგით **„ვანიჭებთ ქუჩას თქვენს სახელს, მსოფლიოში ყველაზე იაფად, ეს სულ რაღაც ერთი სასტუმრო ან 10000 პალმა დაგიჯდებათ. პალმის „ჟმოტები" და ჯიბეგაფხეკილები ნუ გამოგვეხმაურებიან. ქუჩას საჩუქრად მოჰყვება დაჟანგული პროჟექტორი".**

**თეო ტაბატაძე**






გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტერორისტის ლიკვიდაცია

## ბასაევი «საკონტროლო შესყიდვის» დროს ააფეთქეს

### „ორმაგი სტანდარტი“

**ჩეჩენი მოთარეშეების მიმართ საქართველოში გაორებული დამოკიდებულება ჰქონდათ ყოველთვის. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, შამილ ბასაევის მიმართ, რომლის სახელი იორდანელ ჰატაბთან ერთად ყველა სხვა საველე მეთაურზე უფრო ხშირად ფიგურირებდა რუსულ მასმედიაში ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების დროს.**

**შამილ ბასაევი, შეიძლება ითქვას, ყველაზე პირსისხლიანი მომხდური იყო ჩრდილოკავკასიელ „მოხალისეთა“ შორის, რომლებიც სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ და არაადამიანური დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ ქართველთა მიმართ.**

ბასაევი ჩამოყალიბებული ტერორისტად იყო აღიარებული, ვისი ამპლუაც მიპარვით მკვლელობა, აფეთქება და სხვა ამგვარი ხასიათის მოქმედებაა. თორემ მის სამეთაურო ნიჭსა და უნარზე ოჩამჩირის რეიდის კრახიც მეტყველებს, როცა ამ ომში დამარცხებული ახალბედა დამწყები საველე მეთაური უფროსებმა მოღალატედ შერაცხეს და ლიკვიდაციას იმით გადარჩა, რომ მუხლებზე დამხობილმა, აბსოლუტურად გაფუჭებულმა, შეწყალება გამოსთხოვა მომავალში „მტრების“ მიმართ ძალადობისა და დაუნდობელი მოქმედების სანაცვლოდ.

ქართველთა სისხლით ჰქონდა ხელები დასვრილი და სწორედ ქართველებმა, საქართველოს ხელისუფლებამ შეიფარა მისი ოჯახი, ნათესაობა და უეჭველ ამოწყვეტას გადაარჩინა. სხვა დევნილებთან ერთად, რომლებსაც, დაჭრილებსა და ავადმყოფებს, საკუთარ სამოსახლოდან აყრილებს, მშიერთა და მწყურვალთ, საზღვარი გავუხსენით და ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში მივეცით თავშესაფარი.

უნიკალურია ასეთი მიმტევებლობა. შეიძლება, ბევრისთვის გაუგებარიც, მაგრამ ქართველების მაღალი სულიერების თვალსაჩინო მაგალითია უეჭველი.

გაორებული დამოკიდებულება გვაქვს-მეთქი ბასაევის მიმართ, სწორედ ასეთ უკიდურესობათა გამო. რუსეთის სპეცსამსახურებისთვის დუდაევისა და ჰატაბის ლიკვიდაციის შემდეგ შამილ ბასაევი №1 სამიზნე გახდა...

### აფეთქება ღამით

**აფეთქება 2006 წლის 10 ივლისს ღამით მოხდა და ისეთი ძლიერი იყო, რომ მთელს ინგუშეთში ისმოდა.**

რუსეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა: „ბასაევი, რომელიც აფეთქებდა საცხოვრებელ სახლებს, ხოცავდა ბავშვებს ბესლანში, მოაწყო ტერაქტი დუბროვკაზე, მრავალრიცხოვანი თავდასხმა მაჰმადიან ღვთისმსახურებზე, ხელისუფლების ორგანოებსა და მშვიდობიან მოქალაქეებზე, დამსახურებულად დაისაჯა. მათ, ვინც მან შეაცდინა და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაითრია, შეუძლიათ აირჩიონ: ან შეჩერდნენ უფსკრულის პირას, ან დარჩნენ თავიანთი ხალხის მიერ დაწყევლილნი“.

მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ ბასაევმა თავი ჩიხში თვითონ შეიყვანა. იგი იძულებული იყო, გაევლო იჩქერიის სხვა ბელადების ნაკვალევზე. მოჯაჰედებმა ჩრდილოეთ კავკასიაში მორალური კასტრაცია განიცადეს — მოისპო მათი ფეტიში. ბასაევის სიკვდილთან ერთად დაიმსხვრა მითი იმის შესახებ, რომ ათასობით ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტება დაუსჯელი შეიძლება დარჩეს.




**ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბასაევის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია მაღალპროფესიულ დონეზე იყო შესრულებული. ძნელი იყო ჰატაბის ლიკვიდაცია (იგი შხამით გაჟღენთილი წერილით მოწამლეს), მაგრამ გაცილებით რთული აღმოჩნდა ბასაევის განადგურება, რომელიც სხვების შეცდომებს ითვალისწინებდა: აბსოლუტურად გამორიცხა თანამგზავრული სატელეფონო სეანსები (სწორედ კავშირგაბმულობის ამ სახეობის სიგნალებს მიჰყვა რუსული რაკეტა და ააფეთქა ჯოჰარ დუდაევი), არ აგზავნიდა ესემესებს (რამაც დაღუპა ასლან მასხადოვი), ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს, თავისი გადაადგილების მარშრუტებს არავის უთანხმებდა და ა.შ.**

ითვალისწინებდა სხვების შეცდომებს, რათა ერთადერთ, საკუთარ შეცდომამდე მისულიყო.

სპეცსამსახურები მასზე „გასვლას“ ჟურნალისტების მეშვეობითაც ცდილობდნენ — იჩქერიის ლიდერები მასმედიას აქტიურად იყენებდნენ. მაგრამ ბასაევი ვირტუალურ ურთიერთობას ამჯობინებდა — თავისი ნააზრევი ნოუთბუქზე გადაჰქონდა მიგდებულ ფარეხსა თუ კარავში თავშეფარებულს. შემდეგ შიკრიკს ინფორმაციის ეს მატარებელი ადრესატამდე მიჰქონდა. პირადად მხოლოდ იმ ჟურნალისტებს ხვდებოდა, ვისშიც 200 პროცენტით იყო დარწმუნებული. მაგალითად, საკმაოდ ცნობილი ანდრეი ბაბიცკი ნაზრანის მტვრიან გზაზე მისმა ხალხმა თავად იპოვა. უთვალთვალეს და, როცა დარწმუნდნენ, რომ ჟურნალისტს სპეცრაზმის კუდი არ მიჰყვებოდა, მოჰკიდეს ხელი და მიჰგვარეს ბელადს.

### ანკესზე ეშმაკურად წამოაგეს

**პრობლემის გადასაწყვეტი მიმართულება სპეცსამსახურების ანალიტიკოსებს ორმა კვალმა უკარნახა: პირველი იყო ვიდეოფირი ტერორისტების ბესლანის რეიდისათვის სამზადისის შესახებ, მეორე — წერილი, რომლითაც ბასაევი სკოლაში მოწყობილი ტერაქტის შესახებ აბარებდა „ანგარიშს“.**

ბასაევი, როგორც ირკვევა, ამაყობდა იმით, რომ პრაქტიკულად თვითონ აწყობდა ყველა ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომლებსაც შემდეგ მოთარეშეები იყენებდნენ. თავის გამოგონილ და აკრეფილ მოწყობილობას ბასაევმა „მონ-1000“ უწოდა.

**მისი განსაკუთრებული გატაცება იყო ის ჯოჯოხეთის მანქანა, ანუ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, რომელთაგან ერთმა ქუსლი მოაგლიჯა, როცა 2000 წელს გროზნოდან უკან იხევდა. იგი, მიისწრაფოდა ახალი „იდეალური ტერაქტის“ მოწყობისაკენ, როგორიც 2002 წლის 27 დეკემბერს ჩეჩნეთის მთავრობის სახლის აფეთქება იყო. მაშინ 70-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, დაიჭრა 300-ზე მეტი — უმეტესად საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად მთავრობაში მისული იჩქერიის მოქალაქეები. დიდი „შოუს“ მოწყობას აპირებდა, „დიდი აფეთქების“. „სპეცეფექტებისადმი“ მიდრეკილებამ დაღუპა იგი.**

### თავად გადაწყვიტა, გაეკონტროლებინა

**ერთმა წყარომ ბასაევის გარემოცვა იარაღის, ტყვიაწამლისა და ასაფეთქებელი მასალების მიმწოდებელს დააკავშირა.**

მალე ასეთი „საქონლით“ დატვირთულმა „კამაზმა“ ინგუშეთის საზღვარი გადაკვეთა. ერთ-ერთი ვერსიით, ბასაევი ამ ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით აპირებდა ტერაქტის განხორციელებას დიდი რვიანის (G8) სამიტის წინ, რომელიც სანკტ-პეტერბურგში უნდა გამართულიყო.

რაკეტებით სავსე სატვირთო ავტომანქანას მოთარეშეთა მსუბუქი ავტომობილების ესკორტი შეეგება. ეს მოხდა 2006 წლის 10 ივლისს, ზუსტად 4 წლის წინათ. ერთ-ერთ „09“ ჟიგულში შამილ ბასაევი იჯდა. იგი პირადად უნდა დარწმუნებულიყო, რამდენად ხარისხიანი იყო „საქონელი“.

კოლონა დაიძრა. სოფელ ეკაჟევოდან 2 კილომეტრში, ზუსტად დადგენილ დროს ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც რაკეტების ტვირთში იყო დამონტაჟებული, სწორედ მაშინ, როცა ტერორისტები ბასაევთან ერთად გარს შემოერტყნენ სატვირთო ავტომანქანას.

...მოგვიანებით აფეთქების ადგილზე აღმოაჩინეს 10 მოთარეშის სხეულის ფრაგმენტები. ცხედრის ნაფლეთებითა და პროთეზით შეძლეს შამილ ბასაევის იდენტიფიცირება. ამოიცნეს მისი ორი უერთგულესი ადამიანიც — 20 წლის თარხან განიჟევი და 43 წლის ისა კუშტოვი, იგივე მუსტაფა და აბდურაჰმანი.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ოპერატიული მუშაკები ეპიცენტრიდან ნახევარ კილომეტრში რამდენიმე დღის შემდეგაც პოულობდნენ აუფეთქებელ რეაქტიულ ჭურვებს. 100 რაკეტაზე მეტი შეაგროვეს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინტერნეტში გამოქვეყნდა სიკვდილით დატვირთული „კამაზის“ ფოტო, რომელიც ოპერატიულმა მუშაკებმა „საკონტროლო შესყიდვისთვის“ გაგზავნის წინ გადაიღეს, მოთარეშეები დარწმუნდნენ, რომ ბასაევი შემთხვევით კი არ დაიღუპა, არამედ — სპეცოპერაციის შედეგად.

შამილ ბასაევი — სიკვდილის ბითუმად შემსყიდველი.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**


ჰატაბი და შამილ ბასაევი


ტრაგედია ბესლანის საშუალო სკოლაში, 2004 წლის 1 სექტემბერი


არძინბას სეპარატისტულმა ხელისუფლებამ შამილ ბასაევი, როგორც აფხაზეთის გმირი, ლეონ პირველის ორდენით დააჯილდოვა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კავკასიური ქვაბი

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი აღმოსავლეთევროპული ტურნეს ფარგლებში რამდენიმე საინტერესო ადგილს ესტუმრა. მის მარშრუტში პოლონეთი და უკრაინაც შედიოდა, დამაინტრიგებელი არჩევანია ობამა-მედვედევის ამასწინანდელი ვაშინგტონური მოლაპარაკებების ფონზე, მაგრამ ის ამავე დროს იმ რეგიონშიც ჩავიდა, რომელიც ამერიკის ყურადღების ცენტრში, ბოლო ორი წელია, არ ყოფილა; სახელდობრ, კავკასიაში — საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.**

ვიზიტი პოლონეთში ბალისტიკური თავდაცვითი რაკეტების ახალი შეთანხმების ხელმოწერას დაემთხვა და ის, რუსულ-გერმანული მოლაპარაკებების ფონზე, აშშ-პოლონეთის ურთიერთობათა შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ეს თემა უკვე განხილული გვაქვს. უკრაინაში სტუმრობა უბრალოდ იმას ემსახურებოდა, რომ დროშა აღემართა ქვეყანაში, რომელიც სწრაფად მიექანება რუსეთის ორბიტისკენ. ორივე შემთხვევაში საქმე უფრო რუსებს ეხებოდა.

**როგორც არ უნდა დათბეს რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, ფაქტად რჩება, რომ რუსები განაგრძობენ თავიანთი რეგიონალური გავლენის აღდგენას, სათავისოდ იყენებენ ევროპულ დისბალანსს და იქაც ახალ ურთიერთობებს აყალიბებენ. შეერთებულ შტატებს, ისევ ერაყითა და ავღანეთით დაკავებულს, სარეზერვო ძალები შეზღუდული აქვს იმისთვის, რომ ისინი რუსების წინააღმდეგ მიმართოს. ვერაფერი ატმოსფერული ამ ფაქტს ვერ მიჩქმალავს, ყოველ შემთხვევაში — უკრაინელებისა და პოლონელებისთვის, თუმცა, თუ ხელშესახები არაფერი მომხდარა, სახელმწიფო მდივნის ვიზიტი სიმბოლური ნამდვილად იყო, მაგრამ, როდესაც კონკრეტიკა ნაკლებია, სიმბოლოები დიდ მნიშვნელობას იძენს.**

ის, რომ პოლონეთსა და უკრაინაში გაჩერება აშკარად რუსებს უკავშირდებოდა, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ვიზიტს მით უფრო საინტერესოს ხდის. კავკასიური ვიზიტის მსვლელობისას კლინტონის განცხადებები პოზიტიური იყო, ისეთი, როგორსაც მოელოდნენ. საქართველოში მან თავისი მხარდაჭერა გამოხატა, მაგრამ არ დაპირებია იმ იარაღის ტრანსპორტირებას, რომლის მეშვეობითაც რუსებისთვის, რომლებიც ამჟამად საქართველოს ჩრდილოეთით, სეპარატისტული რეგიონის ფარგლებში არიან დისლოცირებულები, წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდნენ. აზერბაიჯანსა და სომხეთში მან ორივე ქვეყანას აზერბაიჯანის დასავლეთით, მის ტერიტორიაზე მდებარე სადავო რეგიონთან — მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული კონფლიქტის მოგვარება მოსთხოვა. სომხეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონზე კონტროლი ძალის გამოყენებით მოიპოვა. აზერბაიჯანისთვის მთიანი-ყარაბაღის დაბრუნება, გაეროს რეზოლუციის თანახმად, მისი ნაციონალური უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტრატეგიისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. სომხეთისთვის უკან დახევა პოლიტიკურად შეუძლებელია.

მაშასადამე, **კლინტონის მოწოდება მოლაპარაკებებისკენ და მისი შეთავაზება ამერიკის დახმარების შესახებ არ იყო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, მით უფრო, რომ ვაშინგტონი, ამ მოწოდების თანახმად, საერთაშორისო და არა ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში დაეხმარება პროცესს. ეს განსაკუთრებით მართებულია მას შემდეგ, რაც, კლინტონის მინიშნებით, თურქულ-სომხური მოლაპარაკებების კოლაფსი თურქეთის პასუხისმგებლობაა და დღეს შემდეგი ნაბიჯი სწორედ თურქეთმა უნდა გადადგას.**

იმის გათვალისწინებით, რომ მის ვიზიტს, როგორც ეს ზედაპირულად ჩანს, მცირე შედეგები მოჰყვა და, როგორც ჩანს, განზრახულიც მცირე იყო, ნამდვილად ღირს იმის გარკვევა, უპირველესად, თუ რატომ წავიდა იგი იქ და რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რეგიონს.

## კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა

**კავკასია ის ადგილია, სადაც ერთმანეთს რუსეთი, ირანი და თურქეთი ხვდებიან. თითქმის მთელი მე-19 საუკუნე ეს სამი სახელმწიფო რეგიონში დომინირებისთვის ერთმანეთს ეპაექრებოდა. დავა საბჭოთა პერიოდში შეჩერდა, მაგრამ ახლა ის ისევ ამოძრავდა.** იმის გამო, რომ არც ერთი ამ მთავარი სახელმწიფოებიდან რეგიონს პირდაპირ არ აკონტროლებს, აქ მეორე რიგის პაექრობაც გაჩნდა, რომელშიც სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო არიან ჩართულები და ისინი ჩართულები არიან, როგორც ერთმანეთთან, ასევე იმ მთავარ სახელმწიფოებთან დაპირისპირებაში. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესებში რუსები, სპარსები და თურქები მონაწილეობენ, გლობალური მნიშვნელობის ქვეყანასაც აუცილებლად გაუჩნდებოდა ინტერესი, შესაბამისად ჰილარი კლინტონის ვიზიტიც შედგა.

**მსოფლიოს ყველა სხვა რეგიონს შორის ეს ყველაზე ფეთქებადსაშიშს მიეკუთვნება. სავარაუდოა, რომ პროცესი დიდ სახელმწიფოებსაც ჩაითრევს და ისიც სავარაუდოა, რომ შეერთებული შტატებიც ჩაერთვება. ახლა აქ სიმშვიდეა, მაგრამ, 1990-იანი წლების ბალკანეთის მსგავსად, სიმშვიდე აუცილებლად როდი ანიჭებს გარანტიებს ამ მოთამაშეთაგან რომელიმეს.**

**მაშ ასე, ამ ძალიან პატარა სივრცეში 7 მოთამაშეა. წარმოიდგინეთ, რუსეთის, ირანისა და თურქეთის მიერ შექმნილი მოთუხთუხე ქვაბი, რომელშიც ხანდახან ვაშინგტონიც გაურევს თავისას. ვაშინგტონს კი სამივე დანარჩენი ქვეყანა სხვადასხვა დონის განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის.**

დიდი კავკასიური ქედი რუსეთთან ჩრდილოეთ საზღვრის როლს ასრულებს. ამ ქედის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ცენტრია; დაბლობი, რომელსაც ბუნებრივი ჯებირები არ გააჩნია. ამიტომაც მე-19 საუკუნიდან დაწყებული რუსეთი კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის იბრძოდა, რათა გზა გადაეღობა თურქეთის ან ირანის ნებისმიერი ამბიციური განზრახვისთვის. კავკასიის მთები დიდი სამხედრო შენაერთისთვის იმდენად რთული გადასასვლელია, რომ, სანამ რუსეთი სადმე კავკასიაში ინარჩუნებს პოზიციას, მისი სამხრეთ საზღვრები დაცულია. მე-19 საუკუნის ბოლოს და საბჭოთა კავშირის არსებობისას (გარდა ამ ეპოქის დასაწყისის მცირე ეტაპისა) საბჭოთა კავშირის საზღვარი თურქეთთან და სპარსეთთან გადიოდა. სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, რაც საბჭოელებს კავკასიაში ღრმად შემოჭრის საშუალებას აძლევდა და უსაფრთხოებითაც უზრუნველყოფდა.




**რუსებმა ახლო ურთიერთობები შეინარჩუნეს სომხეთთან, სადაც კვლავინდებურად 3000-ზე მეტი სამხედრო ჰყავთ დისლოცირებული. სომხები მტრულად არიან განწყობილები თურქეთისადმი და მოითხოვენ იმის აღიარებას, რომ 1915-1916 წლებში თურქებმა უამრავი სომხის მასობრივი მკვლელობა მოაწყვეს.**

სომხები და თურქები ამ ბოლო დროს ურთიერთობათა ნორმალიზაციისთვის მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, მაგრამ ეს მოლაპარაკებები, ჩვენის აზრით, რუსეთის ჩარევის გამო ჩაიშალა. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც მარტში აშშ-ის კონგრესის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც თურქები გენოციდის გამო დაგმო, რამაც თურქები აღაშფოთა.

## აზერბაიჯანის მნიშვნელობა

**თავის მხრივ, აზერბაიჯანი თავს უფლებას ვერ მისცემს სომხეთში დისლოცირებული რუსული ჯარის წინააღმდეგ ომი იმ დროს დაიწყოს, როდესაც ჩრდილოეთით თავად ესაზღვრება რუსეთს. აზერბაიჯანიც დგას მნიშვნელოვანი ირანული საფრთხის პირისპირ. ირანში უფრო მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ვიდრე აზერბაიჯანში; ირანის უმაღლესი ლიდერი აიათოლა ალ ჰომეინი ცნობილი ირანელ-აზერბაიჯანელია. საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის დროს მთელი აზერბაიჯანი დაიპყრო, მაგრამ ომის შემდეგ, ბრიტანეთისა და ამერიკის ზეწოლით, აზერბაიჯანის უმეტესი ნაწილი ირანში დატოვა. დარჩა ის, რაც ჯერ საბჭოთა რესპუბლიკა იყო და შემდეგ უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა.**

აზერბაიჯანი ძალიან შფოთავს ირანის გამო. ის უკიდურესად განსხვავდება ირანისგან: მუსლიმური ქვეყანაა, მაგრამ ძალიან სეკულარული, ინარჩუნებს ახლო და ოფიციალურ ურთიერთობებს ისრაელთან, მხარს უჭერს ომს ავღანეთთან და შეერთებული შტატებისთვის ლოჯისტიკურ რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის. აზერბაიჯანელები აცხადებენ, რომ ირანი ჩრდილოეთით კლერიკალებს აგზავნის, რათა შიიტური სკოლები ჩამოაყალიბოს და რეჟიმს საფრთხე შეუქმნას. ცხადია, აქ ირანის სადაზვერვო ქსელიც ოპერირებს.

ვითარებას დამატებით ისიც ართულებს, რომ აზერბაიჯანი, კარგა ხანია, ნავთობის დიდი მწარმოებელია, ამ ბოლო დროს ბუნებრივი აირის ექსპორტიორადაც იქცა და დედაქალაქის, ბაქოს მახლობლად განლაგებული მილსადენის მეშვეობით, რომელიც საქართველოზე გადის, თურქეთს აირს აწვდის. თურქეთს მიაჩნია, რომ ეს ირანისა და რუსეთის ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსია, რაც შეერთებული შტატებისთვის ძალიან სასიამოვნო რამაა. ესაა ის ცხადი მიზეზი, რის გამოც რუსეთი, როგორც რეგიონის დომინანტური ენერგეტიკული ექსპორტიორი, აზერბაიჯანს მისი პოზიციის ძირგამომთხრელად აღიქვამს.

**რუსეთს ერთი ინტერესი აქვს, რომელიც 2008 წელს დადასტურდა, სამხრეთით საქართველოსკენ დაიძრას. ცხადია, თუ ისინი ამას შეძლებენ და სასურველია, ეს თბილისის მთავრობისა და პოლიტიკის შეცვლის მეშვეობით მოახერხონ, ისინი ამას სომხეთში არსებულ თავის პოზიციას დაუკავშირებდნენ, შექმნიდნენ ძალას თურქეთის საზღვართან და აზერბაიჯანის პირისპირ აღმოჩნდებოდნენ. რუსეთი ისურვებდა, აზერბაიჯანის ექსპორტი თავის უფრო დიდ ენერგეტიკულ პოლიტიკაში ჩაერთო, რაც მის ხელში ძალაუფლების კონცენტრირებას მოახდენდა და რუსეთის გავლენას მისსავე პერიფერიაზე განამტკიცებდა. ეს პოზიცია ცხადი ამ ბოლო დროს გახდა, როდესაც რუსეთმა აზერბაიჯანს ბუნებრივი აირის შესყიდვა ევროპულ ფასებში შესთავაზა. თურქები ამ ფაქტს, იმავე მიზეზით რა მიზეზითაც რუსეთი მას ესწრაფვის, ცხადია, წინააღმდეგობას გაუწევდნენ. შესაბამისად, თურქეთმა მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს.**

ირანს, რომელიც ისე უნდა განიხილებოდეს, როგორც აზერბაიჯანული და ასევე სპარსული ქვეყანა, ორი მიზეზი აქვს, რის გამოც აზერბაიჯანში დომინირება სურს. პირველი, ეს თეირანს ბაქოს ნავთობს ჩაუგდებდა ხელში, რაც მას რუსეთთან ძალაუფლებაზე სტრატეგიული ვაჭრობის საშუალებას მისცემდა, ანუ იმას, რაც მას ახლა არ აქვს. გარდა ამისა, მიუხედავად ირანში დღეს არსებული არეულობისა, ირანის ერთადერთი და ყველაზე მტკივნეული პრობლემა გრძელვადიან პერსპექტივაში, იქ მცხოვრები აზერბაიჯანელები არიან, რომელთაც, შესაძლოა, მოუნდეთ დამოუკიდებელ აზერბაიჯანულ სახელმწიფოსთან მიერთება. ეს ჯერ კიდევ არაა ხილული პერსპექტივა.

ეს ყველაფერი განვიხილოთ ამერიკის პოზიციიდან. **როდესაც რუკას დავხედავთ, შევნიშნავთ, რომ აზერბაიჯანი ირანსაც ესაზღვრება და რუსეთსაც. თუნდაც მხოლოდ სტრატეგიული მდებარეობა აქცევს მას შეერთებული შტატებისთვის მთავარ ფასეულობად. დაამატეთ ამას აირი ბაქოში, ამერიკული კომპანიების ინვესტიციები და აზერბაიჯანი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება. ამას ისიც დაამატეთ, რომ მისი აირის ექსპორტი ეხმარება თურქეთს, ასუსტებს რუსეთის გავლენას და მისი ღირებულება იზრდება; და ბოლოს, დაამატეთ ამას ისიც, რომ თურქეთმა განარისხა აზერბაიჯანი, როდესაც სომხეთთან მოლაპარაკებებში ჩაება და თურქულ-სომხური ურთიერთობის მოწესრიგების რომელიმე საკითხი არც კი დაუკავშირა მთიანი ყარაბაღის პრობლემას. ეს ყველაფერი შეერთებულ შტატებს აზერბაიჯანთან მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების შესაძლებლობასა და თურქეთის აირის ერთ-ერთი რესურსის ხელში ჩაგდების საშუალებას აძლევს.** დღეს, როდესაც თურქეთი აღიარებს შეერთებულ შტატებზე შემცირებულ დამოკიდებულებას, ყველაფერი, რაც ამ დამოკიდებულებას განამტკიცებს, ვაშინგტონს ეხმარება. გარდა ამისა, აზერბაიჯანი ის პლატფორმაა, რომლიდანაც ვაშინგტონს შეუძლია ირანელებს დისკომფორტი შეუქმნას ან საიდანაც ირანთან მოლაპარაკებები აწარმოოს.

მთიანი ყარაბაღის საკითხი აზერბაიჯანისთვის აქტუალურია. შეერთებული შტატებისთვის ის აქტუალური არ არის, მაგრამ რეგიონში სტაბილური პლატფორმის შექმნა ნამდვილად მნიშვნელოვანია. სომხეთი ეკონომიკურად ყველაზე სუსტი ქვეყანა, რუსეთის მოკავშირეა და რუსეთს მის ტერიტორიაზე ჯარები ჰყავს.

**თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შეერთებული შტატებისთვის სულ ერთია, თუ ვინ მართავს მთიან ყარაბაღს და არსებობს გაეროს რეზოლუცია, რომელიც აზერბაიჯანელებს ემხრობა და რომელიც საფარის როლს ასრულებს, რთული გასაგებია, რატომაა შეერთებული შტატები რეალურად ნეიტრალური. აქედან გამომდინარე აზერბაიჯანის დაკმაყოფილება და შეერთებულ შტატებთან მისი დაახლოება მომგებიანი იქნებოდა ვაშინგტონისთვის, რადგან რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან ურთიერთობების მართვას შეაძლებინებდა.**

აშშ-ის თავდაცვის მდივანი რობერტ გეიტსი აზერბაიჯანში ერთი თვის წინათ იყო, კლინტონი — ამ კვირის ბოლოს. გარეშე თვალისთვის რაც არ უნდა კომპლექსური იყოს ამ რეგიონის პოლიტიკა, აშკარაა, რომ შეერთებული შტატებისთვის მისი მნიშვნელობა იზრდება. ჩვენ შეგვიძლია ეს ასე განვიხილოთ: ბოსნია და კოსოვო მსოფლიოსთვის ბუნდოვანი კონცეპტი იყო, სანამ არ აფეთქდა. დღეს ასეთივე ამოუცნობია მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ისინი არ დარჩებიან ასეთად, თუ სტრატეგიული ზომები იქნება მიღებული. ჩვენ არ ვიცით, კლინტონმა, უბრალოდ, თავაზიანობის ჟესტს მიმართა, თუ მას უკვე აზრად აქვს სტრატეგია, მაგრამ ამერიკული პოზიციის ლოგიკა იმაშია, რომ მან კავკასიაზე სტრატეგიულად უნდა იაზროვნოს.

**ჯორჯ ფრიდმანი**
Stratfor

14 — 20 ივლისი, 2010 წელი. №26 (69)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რა აქვთ საერთო ჰიტლერს, ბრიტანელებს და სააკაშვილის ხელისუფლებას

## «ინგლისელები იბატონებენ ზღვაზე, ჰიტლერელები — ხმელეთზე»

**თავს უფლებას მივცემ, გავიმეორო ცნობილი ისტორიული დეფინიციის ქართულ პრესაში ერთხელ უკვე გამოყენებული ვარიანტი — „ლომაია-რანკოვიჩის ხროვა“ და ჩვენს მკითხველს შევახსენო ამ ანტიქართველების ფუძემდებლური დირექტივა — საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა იყოს!**

მიხეილ სააკაშვილმა თანდათან გაამდიდრა ეს დებულება და „ხმარებაში გაუშვა“ ოდნავ გამდიდრებული: მთავარია ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა!

მალე არასაკმარისი აღმოჩნდა ეს საგზალიც კაპიტალიზმის მწვერვალებისკენ მიმავალ ბილიკებზე დაძრული ახალგაზრდობისთვის.

**ამიტომ რამდენიმე წლის შემდეგ დამატებითი სტიმულატორები ჩაულაგეს განათლების აკიდებულ ზურგჩანთებში: ჯერ — მათემატიკა, შემდეგ — „და, რა თქმა უნდა, ისტორია“.**

**ვლადიმერ ულიანოვის ლოზუნგის „სწავლა, სწავლა და სწავლის“ ამათეულ ვარიანტში პირველ პლანზე ყოველთვის ინგლისურის სწავლა იდგა და დგას.**

ხომ ჰგონიათ ამ უდღეურებს, რომ ანგლოსაქსური მისწრაფებით უნიკალურები თუ არა, ორიგინალურები მაინც არიან.

ჰგონიათ და, თუ პრეზიდენტის ლექსიკიდან ერთ მარგალიტს ამოვაგოგმანებთ (არ გაღარიბდება!), „გაგებაში არ არიან“, რომ ჰყავდათ წინამორბედები და მათი ენერგიული ჭინთვები მხოლოდ საცოდავი მიბაძვა და ელემენტარული პლაგიატია.

სანამ ისტორიულ პარალელებზე ვიტყოდე რამეს, ინგლისელთა ინგლისურისადმი ამერიკელების ცინიკურ დამოკიდებულებაზე მიგანიშნებთ, რომლებიც ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ამტკიცებენ, რომ **ჭეშმარიტ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს ამერიკა და არა ინგლისი.**

ყოველ ხუმრობაში ჭეშმარიტების მარცვალიაო, ნათქვამია. აქ ცინიზმისა და ქედმაღლობის დიდი დოზა იგულისხმება.

დავუტოვოთ იმათ ეს პრობლემა გასარკვევად და ისტორიულ მაგალითებზე გადავიდეთ.

**ფაშისტების ფიურერს — ადოლფ შინკლუბერს, ანუ ჰიტლერს გულწრფელად სჯეროდა, რომ ინგლისური ენა ბატონების ენაა, ხოლო ინგლისური კულტურა, თავისი კოლონიზატორული ტვირთით, ნიმუშია მისაბაძად და ფატერლანდში დასანერგად.**

გერმანული რასა, — ირწმუნებოდა ჰიტლერი, — ინგლისურის დეიდაშვილია და ორივე ერთად მოწოდებულია, მართონ მსოფლიო. ინგლისელები ამბობდნენ, რომ მათ უნდა იბატონონ ზღვაზე, ჰიტლერელებმა — ხმელეთზე.

სად უნდა იბატონონ ამ ჩვენმა „ინგლისურის მცოდნეებმა“, ალაჰმა უწყის! და, ეგებ, სწორედ ამის გასაგებად გაიჭრნენ ირანის ისლამური რესპუბლიკისკენ ახალი ბატონები თავიანთი სარდლის მითითებითა და მეთაურობით?

ალაჰმა კი იცის, მაგრამ რა უნდა უთხრას ამ ჩვენ, ამბიციურობით გაბერილი ბუშტებით მოხტუნავე ხელისუფალთ, ვინაც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი უკვე დაკარგა და ახლის გასხვისებას (ღმერთმა ნუ ქნას!), მგონი, წინ აღარაფერი უდგას.

**გერმანული ფაშიზმის ინგლისურ ფესვებს განიხილავს ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ისტორიკოსი და სოციოლოგი მანუელ სარქისიანცი თავის წიგნში, „გერმანული ფაშიზმის ინგლისური ფესვები“, რომელიც გერმანიაში 2003 წელს გამოიცა.**

განათლებული მკითხველი, ცხადია, მიხვდება, რომ წიგნში ლაპარაკია ჰიტლერიზმის მკვებავ ფესვებზე, რომლებიც ნისლიანი ალბიონის ნიადაგშია გადგმული და მისი სერიოზული და მნიშვნელოვანი განტოტებაა. ავტორს მზის სინათლეზე გამოაქვს რასობრივი ბრძოლის კარგად დავიწყებული ანგლოსაქსური კონცეფციები.

## «უფრო თანასწორი» ინგლისელები

**საერთაშორისო ურთიერთობათა ინგლისის სამეფო ინსტიტუტში 1938 წელს წაიკითხეს მოხსენება „ნაცისტების მომავალი ბელადების აღზრდის შესახებ“, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ნაცისტური სასწავლებლები უპირატესად ინგლისში დანერგილი პრინციპებით არის აგებული.**

„მათი აღზრდის სისტემა იქითაა მიმართული, რათა ჩაუნერგოს მათ უპირატესობა სხვების მიმართ — დაარწმუნოს ფიზიკურ უპირატესობასა და მათი ერის უძლეველობაში“.

ნაცისტური პედაგოგიკის აპოლოგეტი **თეოდორ ვილჰელმი** ტრაბახობდა, რომ გერმანიის სასწავლო დაწესებულებები ყველაზე უფრო ახლოსაა ინგლისურთან.

წიგნის ავტორი იშველიებს **ჯორჯ ორუელის** ფორმულას: „ყველა თანასწორია, მაგრამ ზოგიერთები სხვებზე უფრო თანასწორები არიან“.

**„უფრო თანასწორებად“ ორუელი ინგლისელებს მიიჩნევდა. გერბერტ უელსი,** უცნობილესი ინგლისელი ფანტასტი, დარწმუნებულია, რომ (მიაქციეთ ყურადღება მისი სენტენციისა და ფაშისტური კაცთმოძულე პოზიციის იდენტურობას, რომელიც ჰოლაკოსტის სახით განხორციელდა, სლავებისა და სხვა ერების მიმართ სადამსჯელო მასშტაბურ ოპერაციებზე არაფერი რომ არა ვთქვათ): **„მდაბალი რასის მიმართ ერთადერთი და გონიერი გადაწყვეტილება მისი განადგურებაა“.**

რასების ამოწყვეტაზე ლაპარაკობს „ჰუმანისტი“ მწერალი!

ინგლისში აქტიურად მოქმედებდა ბრიტანელი ფაშისტების დიდი საბჭო. მისი ერთ-ერთი წევრი **ჯონ ბეიკერ-უაიტი** (სხებთან ერთად, ცხადია) დარწმუნებული იყო, რომ „ბატონ ჰიმლერის სახით ჩვენ ვიპოვეთ მომხიბვლელი მასპინძელი, პოლიციის ძალიან საქმიანი შეფი. ესესელებზე ამბობენ, რომ მხეცები არიან. მაგრამ ყველა ესესელი, ვისაც კი შევხვდი, მომხიბლავი და ზრდილობიანი იყო და ყოველთვის შემართული ადამიანების დასახმარებლად“.

აქაც შეიძლებოდა ძალიან საინტერესო პარალელის გავლება პოლიციელთა შემართებულობასთან დაკავშირებით, მაგრამ თემის ძაფი რომ არ გაგვიწყდეს, ჰიმლერს დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ, რომ სწორედ მას მიაჩნდა, რომ **აღმოსავლეთის სივრცე დასახლებული იყო „ადამიანი-მხეცებით“, ვისთვისაც სიკვდილი არაფერს ნიშნავდა.**

მანუელ სარქისიანცი შენიშნავს, რომ ასეთი დამოკიდებულება მსგავსია ინგლისელების პოზიციისა, რომელსაც ისინი მათ მიერ დაპყრობილი ბირმის მკვიდრთა მიმართ ამჟღავნებდნენ: „ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები არ გრძნობენ ტკივილს, წმინდასისხლიანი



ჰერბერტ უელსი

ევროპელის მსგავსდ“. ასე დაწერა 1886 წელს დიდი ბრიტანეთის ოფიცერმა **ე. ჩარლზ ბრაუნმა**.

**დაწერა და თუნდაც ამ ერთადერთ წინადადებაში გაამჟღავნა საკუთარი უპირატესობის ის გრძნობა, რომელიც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი მას და მის თანამემამულეებს.**

გაამჟღავნა და თქვა დიდი ტყუილი. ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ — 1986 წელს შესაძლებლობა მომეცა, ჩავსულიყავი ბირმაში (ამჟამინდელ მიანმაში) და დავრწმუნებულიყავი, როგორი ადამიანური სითბოთი და როგორი ისტორიული კულტურით არის გამორჩეული ეს ხალხი. ყოფითი დეტალია, მაგრამ ნიშანდობლივი: საკმარისია, ბირმელმა შეამჩნიოს, რომ შეხედე, ყურადღება მიაქციე, მყისვე გაგიღიმებს და მთელი მისი სითბო და სიკეთე თვალებიდან გადმოიღვრება. ხელს რომ ჩამოართმევ, საოცარი გრძნობა გაგიჩნდება, თითქოს პატარა, მოფრთხიალე ჩიტი დაგისვამს ხელისგულზე, სუსტი, თბილი, გულამოვარდნილი, რომელიც სრულად მოგენდო და საკუთარი სიცოცხლე ხელში ჩაგიდო, დარწმუნებულმა, რომ არა თუ არაფერს დაუშავებ, დაიცავ და უწილადებ შენს სითბოს სრულად. მაგრამ ხელის ჩამორთმევა იშვიათობაა, ამ ლამაზი და ფაფუკი ადამიანების მორიდებულ წეს-ჩვეულებაში ვერ თავსდება: ხელისგულებს ერთმანეთს მიადებენ, ხელებს მუხლებს შორის მოიქცევენ და წელში მოიხრებიან, მოგესალმებიან თბილი ღიმილით.

ასეთი სითბო არც ერთ „წმინდასისხლიანი ევროპელისგან“ არ მიგრძვნია.

**მკვლევარი ჰანა არენდტი ამტკიცებდა, რომ „რასისტული იდეოლოგია მხოლოდ ინგლისში გამომდინარეობდა ეროვნული ტრადიციიდან... ვითარებას ამძაფრებდა სოციალური უთანასწორობის, როგორც ინგლისური კულტურული მემკვიდრეობის აღქმა (ქვედა ფენები მაღალ საზოგადოებას აღმერთებდნენ და მათდამი პატივისცემის გრძნობით იყვნენ განმსჭვალულნი, ზედა ფენები ქვემდგომთ არაფრად აგდებდნენ)“.**

ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, ვინმე ოფიცრის ქედმაღლური დამოკიდებულება ბირმელებისადმი — იგი ინგლისელების ეროვნული ყოყოჩობის პროდუქტი იყო.

## ხაკისფერო ჭირო, საიდან მოდიხარ?

**ჰიტლერამდე 25 წლით ადრე ამერიკელი ღვთისმსახური ჯოზეფ სტრონგი თავის ქადაგებებში მოითხოვდა, „უმდაბლეს“ რასებს გზა დაეთმოთ „უმაღლესთათვის“, თანაც ამ აშკარად არაქრისტიანულ ლოზუნგს ღვთის სახელით ამართლებდა: „ჩრდილოეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მკვიდრნი უნდა გაჰქრნენ ანგლოსაქსების წინაშე — ეს უმდაბლესნი მხოლოდ წინამორბედნი იყვნენ უმაღლესი რასის. მაშ აღიკვეთენით იმ გზიდან, რომელიც უფალმა გაკვალა!“**



ბადენ-პაუელი

მსგავსი კონცეფცია გაცილებით ადრეც იყო საჯაროდ გამოტანილი. 1850 წელს ჟურნალმა „ანგლოსაქსმა“ დაწერა: „მსოფლიო ჭეშმარიტ მპყრობელთა კარავია. **ქვეყნიერება ანგლოსაქსების რასისაა“.**

არ უნდა იყოს ეს შემთხვევითი გამონათქვამები შემთხვევითი ადამიანების, რომლებიც დაავადებულნი არიან ეროვნული გამორჩეულობის მანიით. ასეთი ქედმაღლობა არა მარტო აისახებოდა ინგლისელ ფილოსოფოსთა ნაშრომებში, არამედ გამართლებასაც პოულობდა, და ეროვნულ ხასიათშიც ვლინდებოდა. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი და პუბლიცისტი **ჯორჯ ორუელი** (ერიკ ბლერი, 1903-1950), „ცხოველთა ფერმის“ ავტორი (1940) ირწმუნებოდა, რომ ნებისმიერ ინგლისელ მუშას ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნდა უცხოური სიტყვების სწორად წარმოთქმა.

არ კადრულობდნენ.

ერთ-ერთ მაგალითად იმისა, რომ გერმანული ფაშიზმი ლონდონსა და ვაშინგტონს თავის ბუნებრივ მოკავშირეებად თვლიდა, სახელდება **გენერალ-ფელდმარშალ ჰანს გიუნტერის** პოზიცია, რომელიც ყოველმხრივ გამართლებულად მიიჩნევდა ინგლისელების თავდაჯერებულობას, მათ ქედმაღლურ რწმენას, რომ დანარჩენი ადამიანები უფრო ცხოველებისკენ არიან მიდრეკილნი, და მოუწოდებდა თანამემამულეებს, მიებაძათ ინგლისელებისათვის.

ისიც გავიხსენოთ, რომ ჰიტლერი თავის მოკავშირე იაპონელებს მაკაკებს უწოდებდა. უპირატესობის ცხოველური ინსტინქტით იყო გაჯერებული ჰიტლერელთა დამოკიდებულება საბჭოთა ხალხების, მათ შორის, ქართველების მიმართ. **და რა დიდი სიბრიყვეა, როცა XXI საუკუნეშიც კი ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს სჯერა, რომ ფაშისტების მხარეს გადასული ქართველები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირი მებრძოლები არიან.**

სიბრიყვე და უცოდინარობა, თორემ როგორ გამოფენდნენ ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე მოთამაშე გერმანიის ნაკრების სახელდახელოდ შექმნილი „ფანკლუბის“ წევრები თბილისის რომელიღაც კაფესა თუ სასტუმროში თავიანთი „კერპების“ მხარდასაჭერად ფაშისტურ ლოზუნგს: **„დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს!“** („გერმანია უპირველეს ყოვლისა!“)?! ვერ უშველეს: ესპანელებმა სრულად მოშალეს გერმანული აწყობილი მანქანა, გადაუარეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ხალხის მბრძანებლის თვისება, რომელიც ანგლოსაქსური რასობრივი ინსტინქტის კვინტესენციად იქცა, ფაშისტ ხელისუფალთათვის მისაბაძ მაგალითად იქცა. მათი შეფასებით, ნებისმიერი ინგლისელის წინაშე გადაშლილია მბრძანებლობის უნიკალური პერსპექტივა მთელი მსოფლიოს მართვის მასშტაბით. ეს იყო ისეთი რეალობის დაფიქსირება, რასაც განსაკუთრებით პრივილეგირებული პირები თავისსავე რასობრივი ერთობის შიგნით ამჟღავნებდნენ, ხოლო ნებისმიერი ინგლისელი ყველა უცხოელის მიმართ ასე იყო განწყობილი.

**ბადენ-პაუელმა**, ახალგაზრდობის აღმზრდელმა და ბოისკაუტების მოძრაობის დამფუძნებელმა, შთამომავლობას დაუტოვა შავ კონტინენტზე ინგლისელების მიერ ჩამომხრჩვალი ზანგის ფოტო, როგორც მამაცური ქმედების საჩვენებელი მაგალითი და კაცთმოძულეობის ამსახველ ამ ფოტოსურათს მიაწერა „საშობაო ნაძვისხე“.

**ბადენ-პაუელისეული ბოისკაუტების მოძრაობის დანერგვას შეუდგა ჩვენი ხელისუფლება ქართულ მიწაზე.**

მივიწევთ ევროპისკენ!

ფაშისტებმა კი, რომლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ „ინგლისელ მბრძანებელთა რასის“ აღზრდის სისტემით, შეიძლება ითქვას, ბრმად გადაიღეს იგი და მთელ გერმანიაში ბიჭებისა და ჭაბუკებისთვის მსგავსი დაწესებულებების ქსელი შექმნეს.

ჩვენებიც ამ გამოცდილებით ხელმძღვანელობენ.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «განგების რჩეული» ადოლფ ჰიტლერი

**მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრი გებელსი მეორე მსოფლიო ომის დაწყების წელს (1939) აცხადებდა, რომ ინგლისში ნაციონალიზმი თავისთავადი მოცემულობაა, გერმანიაში კი მხოლოდ შეუდგნენ მის, როგორც უპირველესი ამოცანის, დამკვიდრებას. მხოლოდ შეუდგნენ.**



ყველაზე სისხლისმსმელი გერმანელი რასისტის — **ალფრედ როზენბერგის ბრიტანელი ბიოგრაფი ხაზგასმით აღნიშნავდა:** „ელიტური ინგლისური უნივერსიტეტების აღზრდილები ძალაუნებურად გაწითლდებოდნენ, როცა გაიგებდნენ, თუ რა როლს მიაწერდნენ ნაციონალ-სოციალისტები მათ წინამორბედებს ბრიტანეთის იმპერიის ისტორიაში“.

ჰიტლერულ გერმანიაში დიდი ყურადღება ექცეოდა ყოველივე ინგლისურის ხოტბასა და ქება-დიდებას. 1934 წელს მწერალი **გეორგ შოტი** წიგნში „ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენი, მესამე რაიხის წინასწარმეტყველი“ მიმართავდა გერმანელებს: **„გერმანელო ხალხო, არ დაგავიწყდეს და ყოველთვის გახსოვდეს, რომ ამ „უცხოელმა“ ჩემბერლენმა „უცხოელ“ ადოლფ ჰიტლერს შენი ფიურერი უწოდა.** ასი წლის წინათ ასეთივე იყო ინგლისელი კარლეილი. დღეს სწორედ **ინგლისელი ჩემბერლენი ადოლფ ჰიტლერის პირველივე ნაბიჯებიდან მიხვდა, რომ იგი განგების რჩეულია“.**

ჰიუსტონ სტიუარტი ჩემბერლენი — ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, აღფრთოვანებული იყო ინგლისის კოლონიური პოლიტიკით და აღმერთებდა ჰიტლერს. მაგრამ ეს არ ყოფილა ერთი კაცის ახირება, გამონაკლისი, რადგან, მანუელ სარქისიანცის მტკიცებით, ჩემბერლენის მშობლიურ ბრიტანეთში ნაციზმით მისი გატაცება მაინცდამაინც არ ეწინააღდეგებოდა ინგლისური ელიტისა და მთელი საზოგადოებრიობის საბაზისო მორალურ დებულებებს.

ჰიტლერი საბჭოთა კავშირს განიხილავდა როგორც „გერმანულ ინდოეთს“ და თავის ქვეშევრდომებს მოუწოდებდა, მაგალითი ინგლისელებისგან აეღოთ. ხელი ხელს ბანდა: ბრიტანეთის ინდოეთში ინგლისურ ადმინისტრაციას აკრძალული ჰქონდა ნაციზმის მხეცობათა ამსახველი ფილმების დემონსტრაცია, რადგან ინდოელებს შეიძლება პარალელი გაევლოთ ფაშისტებისა და ინგლისელების ქცევა-დამოკიდებულებას შორის.

დღეს უპრიანია იმის გახსენება, რომ სწორედ ინგლისურმა მხარემ ურჩია ფაშისტურ რაიხს: **„ზღვისიქითა კოლონიები თქვენ ვერ გექნებათ, მაგრამ თქვენს წინაშეა აღმოსავლეთ ევროპა“.**

ისტორიის დღევანდელ გამყალბებლებს შეგნებულად „ავიწყდებათ“ ასეთი „წვრილმანები“ და მეორე მსოფლიო ომის დაწყებას საბჭოთა ხელმძღვანელებს აბრალებენ.

ეს ჩვენი უვიცებიც რომ მხარს უბამენ!..

გადავალახინოთ ჩვენს უმწიფარიძეებს უვიცობის წინაღობა და ვუთხრათ, რომ ასეთი რჩევა გერმანელებს ბრანდენბურგის კარიბჭესთან ჩავლილმა შემთხვევითმა ქართველმა „ექსპერტმა“ კი არ მისცა, არამედ **ლეოპოლდ ემერიმ** — ბრიტანეთის ინდოეთის საქმეთა მინისტრმა. იცოდა კაცმა, ვისაც მიმართავდა: ბრიტანელი მინისტრის პოზიცია სრულად ეთანხმებოდა ჰიტლერის დებულებებს, რომლებიც „მაინ კამფში“ ჰქონდა გამოთქმული.

# ბრიტანეთის დროშა და ფაშისტების შტანდარტი ერთად ფრიალებდა

**მეტისმეტად ცდილობენ ახლა ინგლისის გველაძუა პოლიტიკის გამართლებას, მაგრამ ისტორიიდან ვერ ამოშლი ისეთ ფაქტობრივ მტკიცებულებას, როგორიცა 1940-45 წლებში ინგლისელებისა და ფაშისტების მშვიდობიანი თანაარსებობა ნორმანდიის კუნძულებზე.**

ამერიკელი რეპორტიორი **ჩარლზ სვიფტი** იტყობინებოდა, რომ „დიდი ბრიტანეთის დროშა და სვასტიკიანი დროშა 1940-45 წლებში მეგობრულად ფრიალებდა ნორმანდიის კუნძულებზე — ბრიტანეთის ტერიტორიაზე, რომელიც ვერმახტს ჰქონდა დაპყრობილი. ბრიტანეთის ნაცვალმა გასცა განკარგულება, არ გაეწიათ წინააღმდეგობა და შეესრულებინათ გერმანელების ბრძანებები: „ამაყი ქვეყნის დამარცხებული ქვეშევრდომები“ პატივისცემით მიესალმნენ ჰიტლერელთა საოკუპაციო ხელისუფლებას, იმდენად ზრდილობიანად, რომ ვერ წარმოიდგენდით, თუ მათ შორის ომი მიმდინარეობდა. გერმანელთა მიერ ოკუპირებული ერთ-ერთი კუნძულის პროკურორმა **ამბროზ შერვილმა** 1940 წლის აგვისტოში მადლობაც კი გადაუხადა ჰიტლერელთა ჯარებს ინგლისელი მოსახლეობის ლოიალური ქცევის სათანადოდ შეფასების გამო.

ამ კუნძულების ადგილობრივი ხელისუფლება მოქმედებდა როგორც გერმანელების აგენტურა. შედეგად ნაციონალ-სოციალისტების განზრახულობანი ბრიტანელი ჩინოვნიკების ხელით ხორციელდებოდა“.

ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად ამერიკელი რეპორტიორი უპრეცენდენტო ფაქტს ასახელებს: **ადგილობრივმა ხელისუფლებამ შემოიღო სპეციალური კანონები ებრაელთა წინააღმდეგ.** ბრიტანეთის პოლიცია ჰიტლერულ საოკუპაციო რეჟიმთან თანამშრომლობდა ებრაელების გამოვლენისა და რეგისტრაციის საქმეში.

„არც გერნის, არც ჯერსის არც ერთი ბრიტანელი ჩინოვნიკი, — წერს ჩარლზ სვიფტი, — მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, ებრაელების გამო ურთიერთობა გაეფუჭებინა გერმანელებთან. ინგლისელები არ იცავდნენ არც ებრაელებს, არც სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ვინც არ დაემორჩილა ჰიტლერელთა ტირანიას... ერთადერთი, ვინაც ხმამაღლა მოუწოდებდა ფაშისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევისაკენ ნორმანდიის კუნძულებზე, ყოფილი გერმანელი ჯარისკაცი **პაულ მულბახი** იყო!“

საოცარი, იცით, რა არის? **საოცარი ის არის, რომ 1948 წელს მოკავშირეთა მიერ ოკუპირებული გერმანიის ხელისუფლებამ გაასამართლა ეს მამაცი ადამიანი... „დეზერტირობისათვის“.** დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უპატრონოდ მიტოვებული თავისი ჯარისკაცების მიმართ დეზერტირობის დაბრალებით ჩაიდინა.

უმწიფარიძეები ამაშიც კი არ იყვნენ ორიგინალურები.

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მრავალპოლარულ სამყაროში

**ახლახან Newsweek-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ტრადიციულად პროდასავლური საქართველო ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან კავშირებს აძლიერებს. სტატიაში „ვაშინგტონის მოსკოვთან დამეგობრებას ერთი მკაფიო მსხვერპლი ჰყავს: საქართველო“, ავტორი „თბილისი-თეირანის ფლირტში“ ობამას ადმინისტრაციის მოსკოვთან „გადატვირთვის“ პოლიტიკას ადანაშაულებს.**

მაშ, როგორ მოხდა ეს? პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უარი თქვა მისი წინამორბედის კამპანიაზე, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში პროდასავლური რეჟიმების მხარდაჭერასა და საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებას გულისხმობდა. ობამას ეს ნაბიჯი რუსეთთან ბირთვულ საკითხებზე, ირანის სანქციებსა და ანტისარაკეტო თავდაცვაზე თანამშრომლობის გაუმჯობესების სტრატეგიის ნაწილი იყო, რამაც 24 ივნისს ვირჯინიაში ობამა-მედვედევის „ჰამბურგერების სამიტით“ პიკს მიაღწია.

მაგრამ **მოსკოვთან შეერთებული შტატების ურთიერთობების განმუხტვა, საქართველოსა და მის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც შეეხო, რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომში, იმ სამხედრო კონფრონტაციაში ჩაება, რაც მოსკოვის მხრიდან საქართველოს ორი რესპუბლიკის, აფხაზეთისა და სამხრეთოსეთის ოკუპაციით დასრულდა.**

ამიტომ, როგორც Newsweek-ი ასკვნის, არ არის გასაკვირი, რომ თბილისი „თავს იზღვევს, როდესაც რეგიონში ახალ მეგობრებს იძენს“; მათ შორის, ირანსა და ახლოაღმოსავლეთის მეორე ძლიერ სახელმწიფო თურქეთს, რომლის პოლიტიკაც თეირანის მიმართ ვაშინგტონისთვის ცალკე გაკვირვების საგანია.

ანუ როგორც ჩანს, ჟურნალი იმას გულისხმობს, რომ, თუკი ვაშინტონი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პოლიტიკას განაგრძობდა, რასაც ენთუზიაზმით ემხრობოდა რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი ჯონ („დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“) მაკეინი და მისი ნეოკონსერვატორი მრჩევლები, საქართველო ექსკლუზიურად ვაშინგტონთან ალიანსის ერთგული დარჩებოდა და თეირანთან და ანკარასთან ფლირტს თავს აარიდებდა.

**მაკ ე ინის რიტორიკის მიუხედავად, შეერთებული შტატების მთავრობას სამხედრო ძალის გამოყენების არც ძალა და არც ნება არ გააჩნია, რომ დაეხმაროს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში. ეს გეოსტრატეგიული რეალობა პრეზიდენტ ბუშმაც კი აღიარა, რომლის ძალისხმევაც იმით დასრულდა, რომ საქართველოს (და უკრაინის) ნატოში გაწევრება მოლოდინად დარჩა.**

**ერაყისა და ავღანეთის სამხედრო ოპერაციებით გადაღლილ და ფინანსური კრიზისის შედეგებთან მებრძოლ ამერიკელ ხალხსა და მათ რჩეულებს სულაც არ აქვთ იმის განწყობა, რომ რუსეთთან დიპლომატიურ და სამხედრო კონფრონტაციაში ჩაებან მოსკოვის საქართველოსთან ტერიტორიული დავის გამო, საკითხის, რომელსაც ამერიკის ეროვნული ინტერესებისთვის არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს.**



ლეონ ადარი

მეტიც, იმ საერთაშორისო სისტემის განვითარების კონტექსტში, სადაც ამერიკა კარგავს მის პოსტცივიომისეულ ერთპოლარულ სტატუსს, ცდილობს რა შეერთებული შტატების რუსეთთან გადატვირთვას იმ პოლიტიკის ფარგლებში, რასაც მსოფლიოში მზარდ გლობალურ მოთამაშეებთან — ჩინეთთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან და თურქეთთან კავშირების გაუმჯობესება ჰქვია, ძალიან გონივრული ნაბიჯია.

ეს რენტაბელური სტრატეგია შეიძლება ვაშინგტონს დაეხმაროს რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებაში იმ პოლიტიკისთვის, რომელიც მართლაც გააძლიერებს შეერთებული შტატების ეკონომიკურ ინტერესებს და ეროვნულ უსაფრთხოებას. ასევე ფაქტია, რომ საქართველო რომელიც აუმჯობესებს თავის კავშირებს ირანთან და თურქეთთან (და რუსეთთანაც), ვაშინგტონს არ „დაუკარგავს“.

ირანთან და თურქეთთან ახლოეკონომიკური კავშირების დამყარებით, საქართველო ხელს უწყობს რეგიონში ეკონომიკურ თანამშრომლობას, რასაც კავკასიასა და ახლო-აღმოსავლეთში დიპლომატიური თანამშრომლობისა და სტაბილურობის მოტანა შეუძლია.

რატომ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ვაშინგტონი ისეთ პროცესს, რომელსაც ეკონომიკური კეთილდღეობა მოაქვს და რეგიონში ძალთა სტაბილურ ბალანსს უზრუნველყოფს? **საქართველომ შეიძლება შეძლოს ან ვერ შესძლოს თავის დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა, როგორც ეს, მაგალითად, გერმანიის, უნგრეთის, პოლონეთის, სერბეთისა და სხვათა შემთხვევაში მოხდა, რომლებიც თითქოს გაუმკლავდნენ საკუთარ ტერიტორიულ დანაკარგებს, მაგრამ აშშ-ს არ გააჩნია ახალი სტატუს ქვოს შეცვლის არც სტრატეგიული ინტერესი და არც მორალური ვალდებულება, არც საქართველოს ნატოში დაპატიჟების მოტივაცია და, ამერიკის სამხედრო მხარდაჭერით, ამ ქვეყნისთვის მეზობლებთან კარგი ურთიერთობის დამყარების გზაზე დაბრკოლების შექმნა.**

გარკვეულწილად, ამერიკის კონტროლირებადი ერთპოლარული სისტემის კრახმა (და მანამდე ცივი ომის ბიპოლარული სისტემის დასრულებამ) უნდა გვაღიარებინოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები აღარ არის „თამაში ნულოვანი საწყისით“, რომლის დროსაც სხვა გლობალური სახელმწიფოები ამერიკის წაგების ხარჯზე იგებენ და პირიქით. გარდაუვალი იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ბლოკის ქვეყნები, როგორებიცაა უკრაინა, პოლონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, შეეცდებოდნენ რუსეთთან დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირების სტაბილიზაციას; იმავე დროს, ძლიერი რუსეთის შეკავების მიზნით, ითანამშრომლებდნენ სხვა მოთამაშეებთან: პოლონეთი — უკრაინასთან და გერმანიასთან; აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო — თურქეთთან და ირანთან და ყველა ეს ქვეყანა — შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან.

ანალოგიურად, ვაშინგტონი უნდა იწონებდეს (და არ ეწინააღმდეგებოდეს) იმ დიპლომატიური და ეკონომიკური როლის ზრდას, რომელსაც თურქეთი ახლო აღმოსავლეთში თამაშობს, რაც ერაყში სტაბილურობის მიღწევას შეუწყობს ხელს (და აშშ-თან სამხედრო კონფლიქტის პრევენციას მოახდენს), წაახალისებს მოლაპარაკებებს ისრაელსა და სირიას შორის და საბოლოოდ უფრო სტაბილური ახლო-აღმოსავლეთი ჩამოყალიბდება, სადაც თურქეთი, არაბთა სახელმწიფო და ისრაელი უფრო დაცულები და განვითარებულები იქნებიან.

**ყველა შემთხვევაში, ის მოსაზრება, რომ ამერიკული ჰეგემონია გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაპირობაა და ამიტომ ვაშინგტონმა ევროპაში უნდა გააფართოოს მისი სამხედრო ვალდებულებები, ახლო-აღმოსავლეთში, კავკასიაში, აღმოსავლეთ აზიაში და ზოგადად ყველგან, ძალიან არაპრაქტიკული (ამერიკას არ აქვს რესურსები იმისთვის, რომ ეს ამბიციური როლი შეასრულოს) და უსარგებლოა, თუკი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ბოლოდროინდელ გამოცდილებას გავითვალისწინებთ.**

შეერთებული შტატები მსოფლიოს არ უნდა დაშორდეს, მაგრამ მის ზოგიერთ ნაწილთან „კონსტრუქციული გამიჯვნის“ პოლიტიკით ამერიკა შეძლებდა როგორც საკუთარი თავის, ისე დანარჩენი მსოფლიოს დახმარებას.

**ლეონ ადარი**
The Huffington Post

# მეტროპოლიტენს რაღას ერჩიან?

**„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონპროექტის თანახმად, ქალებს რეზერვში გაწვევის აკრძალვა ეხსნებათ. ასევე გაწვევას დაექვემდებარებიან პედაგოგები, სოფლის ექიმები და თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები.** სტუდენტებს კი, რომლებმაც 2007-2008 წლებში სარეზერვო სამსახური გაიარეს, სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ, ხოლო მათ, ვინც სარეზერვო სამსახურზე უარს იტყვის, 60-დღიანი ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა მოუწევთ. რეზერვში ქალების გაწვევა სავალდებულო არ იქნება, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, მათ ამის შესაძლებლობა ექნებათ („რუსთავი 2“).

# აზერბაიჯანელები აღარ ხუმრობენ



**სამხრეთ-აფრიკული და უკრაინული კომპანიები აზერბაიჯანის კუთვნილი „Ми-24“-ების (სულ 15-ია) მოდერნიზაციის ერთობლივ პროგრამას აგრძელებენ.** ცნობილი გახდა, რომ მოდერნიზებული „Ми-24G“ შეინარჩუნებს 57 მმ. უმართავი რაკეტების „C-5“-ის და „C-8“-ს გაშვების შესაძლებლობას, თუმცა ამასთანავე, იგი აღიჭურვება უკრაინული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსით „Барьер-В“ (რაკეტები „Р-2В“; მაქსიმალური სიშორე 7500 მეტრი). სამხრეთ- აფრიკელების მთავარი წვლილი პროგრამაში, როგორც „Jane's defence weekly“-ის მიერ მოპოვებული არასრული ინფორმაციიდან ჩანს, რადიო-ელექტრონული მოწყობილობა, დამიზნებისა და კავშირგაბმულობის სისტემები იქნება.

# რისთვის ამხელა მსხვერპლი?



**ბრიტანული ნაწილები ავღანეთში ჰილმენდის პროვინციის სანგინის რაიონს დატოვებენ, კონტროლი მასზე ამერიკელ სამხედროებს გადაეცემა.** 312 სამხედრო მოსამსახურიდან, რომელიც ბრიტანელებმა ავღანეთში დაკარგეს, მესამედი ამ რაიონზე მოდის. BBC-ის შეფასებით, სანგინში ბრიტანელ ჯარისკაცებს მოუხდათ მონაწილეობის მიღება ყველაზე მძიმე ბრძოლებში II მსოფლიო ომის შემდეგ. თავდაცვის მინისტრმა ლიამ ფოქსმა BBC-ის ეთერში აღიარა, რომ დაღუპულთა ნათესავების მძიმე კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. „მათ შეიძლება მკითხონ, რისთვის გავიღეთ ამხელა მსხვერპლი,“ — აღნიშნა მან.

# შავი ზღვის ფლოტს ახალი სარდალი ჰყავს



**შავი ზღვის ფლოტის სარდლის თანამდებობაზე ვიცე-ადმირალი ვლადიმირ კოროლევი დაინიშნა.** მის წინამორბედს, ვიცე-ადმირალ ალექსანდრე კლეცკოვს 55 წელი შეუსრულდა, რაც სარდლისთვის ვიცე-ადმირალის წოდებით სამხედრო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკია. ამ დანიშვნამდე ვლადიმირ კოროლევი ჩრდილოეთის ფლოტის სარდლის მოადგილე იყო.

# მოლდაველები დიდი ავიაციიდან მიდიან

**მოლდოვის თავდაცვის მინისტრმა ვიტალი მარინუცემ განაცხადა, რომ მის ქვეყანას 6 „МиГ-29“-ს გაყიდვა სურს.** ეს ბოლო თვითმფრინავებია სსრკ-ის შავი ზღვის ფლოტის 86-ე გამანადგურებელთა პოლკის 33 „МиГ-29“-დან, რომელიც მოლდოვას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩა. ერთი მათგანი დნესტრისპირეთის კონფლიქტის დროს ჩამოაგდეს, ერთიც რუმინეთს გადაეცა. 4 „МиГ“-ი 1995-ში მოლდაველებმა იემენში გაყიდეს, 21 თვითმფინავი კი მათგან ამერიკელებმა შეიძინეს. ბოლო ექვსი თვითმფრინავის გაყიდვით მიღებული თანხით მოლდოვის თავდაცვის უწყება ვერტმფრენების ყიდვას აპირებს.

**უკრაინის ახალ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. კრიზისმა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. რთული აღმოჩნდა არმიის მდგომარეობაც — ვიქტორ იუშჩენკოს ხელისუფლება მას ისე ეპყრობოდა, თითქოს მიზნად მის განადგურებას ისახავდა.**

# რატომ ებრძოდა ვიქტორ იუშჩენკო უკრაინის არმიას?





საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის იურისდიქციაში გადავიდა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საჯარისო დაჯგუფება ევროპაში:

**სამი სამხედრო ოლქის (კიევის, კარპატისპირა, ოდესის) ინფრასტრუქტურა, 14 მოტომსროლელთა, 4 სატანკო, 3 საარტილერიო დივიზია, 9 საჰაერო თავდაცვის, 8 საარტილერიო და ერთი სპეცნაზის ბრიგადა, ვერტმფრენების 7 პოლკი, 3 საჰაერო არმია (1000-ზე მეტი თვითმფრინავი) და საჰაერო თავდაცვის არმია; ამასთანავე, 176 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა და ტაქტიკური ბირთვული იარაღის 2500-ზე მეტი ერთეული. უკრაინის ახლადშექმნილ არმიაში 700 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ირიცხებოდა.**

ცხადია, უკრაინის ბიუჯეტი ამხელა დაჯგუფების შენახვას ვერ გასწვდებოდა, თანაცლა-მანშამდე (თუ იმის იქით) შეუფერხებელი წინსვლის ამოცანები ახალი არმიის წინაშე არ იდგა. დაიწყო თანდათანობითი შემცირება, რომლის შედეგად **2010 წლის დასაწყისისთვის უკრაინის სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში დარჩა 97 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 730-მდე ტანკი და 1300 საარტილერიო სისტემა. საჰაერო ძალებში 48 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 200-მდე საბრძოლო და 35 სატრასპორტო თვითმფრინავი; ფლოტი: 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 30-ზე მეტი საბრძოლო და უზრუნველყოფის ხომალდი.** ეს ციფრები ქაღალდზე შთამბეჭდავად კი გამოიყურება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ ციფრების მიღმა ძალიან მძიმე რეალობა დგას.

ავიღოთ ავიაციის თვალსაჩინო მაგალითი: **გასულ წელს საჰაერო ძალებმა აუცილებელი დაფინანსების მხოლოდ 2,5% მიიღეს. მათი ყოველწლიური მოთხოვნა 65-70 ათასი ტონა საწვავია, გასულ წელს კი მხოლოდ 4 ათასი ტონა გამოუყვეს. როდესაც გასულ კვირას ვიქტორ იანუკოვიჩი სევასტოპოლში განლაგებულ ავიაპოლკს სტუმრობდა, აღმოჩნდა, რომ ოცი გამანადგურებლიდან აფრენა მხოლოდ ერთს შეუძლია. წელიწადში საჰაერო ძალების ეკიპაჟები 17,5 საათს დაფრინავენ, სახმელეთო ჯარების ავიაციისა კი — 10 საათს, მაშინ, როდესაც არც ერთ მეზობელ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 60 საათზე დაბალი არ არის.**

უკრაინელი ექსპერტების აზრით, რეალურად აფრენას დღეს 30-მდე თვითმფრინავი თუ შეძლებს. მათივე შეფასებით, საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის ტანკებისა და საარტილერიო სისტემების 40% გამოუსადეგარია. ფლოტის ხომალდების ▶

**როდესაც მიხეილ სააკაშვილი კოსტა-რიკას ესტუმრა, ვიღაცას, შესაძლოა, გაუჩნდა ირაციონალური, ლამის მისტიკური წინათგრძნობა, რომ მალე ამ შორეულ და საკმაოდ დალაგებულ ქვეყანაში რაღაც აირევა; ასეც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს მომხდართან არანაირი კავშირი არ აქვს.**

# ვაშინგტონი ახალ ომს იწყებს?

46 სამხედრო ხომალდი, 7000 საზღვაო ქვეითი — ამ რაოდენობის აშშ-ის ძალებს შესაძლებლობა ექნებათ, წლის ბოლომდე კოსტა-რიკის ტერიტორია გამოიყენონ. ეს გადაწყვეტილება, ოპოზიციის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ადგილობრივმა პარლამენტმა მიიღო.

**ოფიციალური საბაბი ნარკობიზნესთან ბრძოლაა, თუმცა გაუგებარია, რა აუცილებელია ამისთვის 46 ხომალდი. ადგილობრივი პრესის ცნობით (Insidecostarica.com), დაჯგუფების შემადგენლობაში შევა „USS Freedom“ (LCS-1), 200 საფრენი აპარატი, მათ შორის მოიერიშე ვერტმფრენები, მცურავი ჰოსპიტალი და, თქვენ წარმოიდგინეთ, წყალქვეშა ნავები.**

კოსტარიკული მედიის ეს ინფორმაცია არაზუსტი რომც იყოს, ხომალდების რაოდენობა თავისთავად სერიოზულ ეჭვს ბადებს. შედარებისთვის: 1999 წლის შეთანხმების ფარგლებში, რომელიც, აგრეთვე, ნარკობიზნესთან ერთობლივ ბრძოლას ითვალისწინებდა, კოსტა-რიკის ნაპირებთან აშშ-ის სანაპირო დაცვის 4-5 ხომალდი მოქმედებდა. რა საჭირო გახდა ამხელა არმადის თავმოყრა წლეულს?

პირველი ეჭვნარევი კითხვა, ალბათ, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ნიკარაგუა ხომ არა? თუმცა, **მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი დანიელ ორტეგასთან მუდმივად კინკლაობს, პრინციპული წინააღმდეგობა, რეალური მიზეზი შეჭრისთვის ამ ქვეყანაში, რომელსაც რეგიონის სახელმწიფოებში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვება, ალბათ, მაინც არ არსებობს. ვენესუელა კი სულ სხვა საქმეა; ვენესუელას ნავთობი აქვს.** მას შემდეგ, რაც მექსიკის ყურეში კატასტროფა მოხდა და იქ ნავთობის მოპოვება შეფერხდა, შტატებისთვის დასავლეთ ნახევარსფეროში სარეზერვო ნავთობმომპოვებელი რეგიონის გაკონტროლება, შესაძლოა, ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქცა.

ერთი შეხედვით, განხილული დაჯგუფება არასაკმარისია ვენესუელის შეიარაღებული ძალების დამარცხებისთვის, მაგრამ **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აშშ-ის მოკავშირე ამ სავარაუდო დაპირისპირებაში კოლუმბია იქნება. მანვე შეიძლება შექმნას საბაბი ომის დაწყებისთვის, ისე, რომ ვაშინგტონი პირდაპირ აგრესიაში არავინ დაადანაშაულოს.** როლების განაწილება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: აშშ — სანაპიროს ბლოკადა, ნავთობსაბადოებისა და სხვა საკვანძო წერტილების დაკავება, წერტილოვანი სპეცოპერაციები, საჰაერო მხარდაჭერა, დაზვერვა; კოლუმბია — სახმელეთო ოპერაციები, ტერიტორიების დაკავება და კონტროლი; მოკლედ, ყოველივე ის, რაც დიდი რაოდენობით ,,საზარბაზნე ხორცის“ დახარჯვას მოითხოვს. არის კიდევ ერთი მოკავშირე, კარგად დაფინანსებული და ორგანიზებული ,,მეხუთე კოლონა“ ვენესუელაში.



კონტრადმირალი ვიქტორ გუილორი

**ორი საინტერესო დეტალი: გასულ წელს კოლუმბიამ აშშ-ს თავის ტერიტორიაზე 7 სამხედრო ბაზის გამოყენების უფლება მისცა. ამის მიზეზად ისევ ნარკობიზნესთან ბრძოლა დასახელდა. შარშანვე აშშ-ის მეოთხე ფლოტის (პასუხისმგებლობის ზონა სამხრეთ ატლანტიკა) სარდლად დაინიშნა კონტრ-ადმირალი ვიქტორ გუილორი, სადესანტო ოპერაციების სპეციალისტი.**

ვენესუელის შეიარაღებულ ძალებში 82 ათასი (+8 ათასი აქტიური რეზერვი) სამხედრო მოსამსახურეა. სახმელეთო ჯარები: 34 ათასი ადამიანი; 1 ჯავშანსატანკო დივიზია, 3 ქვეითთა და 1 მსუბუქ ქვეითთა დივიზია, 1 სადესანტო ბრიგადა, 3 საინჟინრო პოლკი, 2 ცალკეული პოლკი და 3 ბატალიონი. შეიარაღება: 81 ტანკი ТЪХ-30; 109 მსუბუქი ტანკი, მათ შორის 31 „ТЪХ-13“ და 78 „Scorpion-90“; 431 სადაზვერვო მანქანა, მათ შორის 42 „Dragoon 300 LFV2“, 79 „V-100/-150“ და 310 „UR-53AR50 Tiuna“; 71 ჯავშანტრანსპორტიორი, მათ შორის 25 ,,AMX-VCI“, 10 „Transportpanzer 1“, 25 „Dragoon 300 APC“ და 11 „Dragoon 300PC“; 347 სხვადასხვა ტიპის საარტილერიო სისტემა, მათ შორის 25 „AMX-13/LAR-160“ და 10 თვითმავალი 155 მმ. ჰაუბიცა „AMX-13/Mle F.3“; გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „RBS-70“ და „Mistral“; სხვადასხვა ტიპის საზენიტო დანადგარები, მათ შორის 6 თვითმავალი „AMX-13 Rafaga“; 12 სატრანსპორტო თვითმფრინავი; 56 ვერტმფრენი, მათ შორის 10 „Ми-35“, 20 „Ми-17-1В“ და 20 „Ми-26“; ცეცხლსასროლი იარაღი: შაშხანები „FAL“, „FNC“, ავტომატები „Uzi“ და ,,AK-103“; ტყვიამფრქვევები: „Minimi“, „MAG“, „M2“ „M-60“ და „M-66“; ნაღმსატყორცნები: „Cazador“, M-19“ და „M-29A1“. ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები: „AT4“ და „MAPATS-2“.

საჰაერო ძალებში 7000 სამხედრო მოსამსახურეა. გამანადგურებელთა 4 ჯგუფის შემადგენლობაში 4 სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავია: ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ 60% მწყობრში არ არის, თუმცა გასულ წელს არც ერთი მათგანი არ გაურემონტებიათ.

2009 წლისთვის დაგეგმილი ყველა პროგრამის შესრულებისთვის აუცილებელი იყო 32,4 მილარდი გრივნა (1 გრივნა – 7,9 აშშ დოლარი), იმისთვის, რომ არმიას, ყოფილი მინისტრის — იური ეხანუროვის თქმით, „უბრალოდ, შეესრულებინა თავისი ფუნქციები“ — 17,7 მილიარდი, რეალურად კი მხოლოდ 8,4 მილიარდი, მშპ-ს 0,84% გამოიყო, მაშინ, როდესაც მოთხოვნა 2%-ს შეადგენს. საწვავ-საპოხი მასალებით არმია უზრუნველყოფილი 10-12%-ით იყო, კვების პროდუქტებით 60-70%-ით.

**იუშჩენკოს მმართველობის წლებში შეიარაღებული ძალების დაფინანსება დაგეგმილისგან 30-50%-ის ფარგლებში მერყეობდა. გასულ წელს არმია 2 ათასზე მეტმა ოფიცერმა დატოვა. ამის ძირითად მიზეზად ისინი სოციალურ დაუცველობას ასახელებდნენ.**

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი კონსტრუქტორები და ინჟინრები კვლავინდებურად სამხედრო ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშებს ქმნიან (T-84У „Оплот“, „БТР-4“, „Ан-70“ და ა.შ.), თუმცა შეიარაღებულ ძალებს მათი შეძენის შესაძლებლობა არ აქვს.

**უთავბოლო რეფორმებმა მართვის რგოლში შექმნეს მდგომარეობა, რის გამოც თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მთელი რიგი სტრუქტურები ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ, რაც, მთელ რიგ შემთხვევებში, ქაოტურ სიტუაციას ქმნის. სხვადასხვა სტრუქტურები ერთმანეთს უსაფრდებიან;** მაგალითად, გასულ წელს გაერთიანებული ოპერატიული სარდლობის შექმნა შეფერხდა და, ფაქტობრივად, ჩაიშალა იმის გამო, რომ მასში ჯერ უშიშროების საბჭოს კომისია შევიდა, შემდეგ კი სამჯერ (!) თავდაცვის სამინისტროს მთავარი ინსპექცია „შევარდა“. ამ თვალსაზრისით, „№1 ამოცანა“, რომელიც ახალი ხელისუფლების წინაშე დგას, სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურის ოპტიმიზაციაა.

რას ერჩოდა ვიქტორ იუშჩენკო საკუთარი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს? ამ კითხვაზე ორი პასუხის გაცემა შეიძლება: ერთი მათგანი ზედაპირულია და ყოველივე მომხდარის ზოგად ეკონომიკურ სირთულეებზე გადაბრალებას გულისხმობს. თუმცა, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, ვისი დახმარებით მოვიდა ხელისუფლებაში ნარინჯისფერთა ბელადი; შესაძლოა, იმ ძალებს სულაც არ აწყობდა, რომ უკრაინას ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არმია ჰყოლოდა და, საბოლოო ჯამში, იძულებული გამხდარიყო, უსაფრთხოების გარანტიები დასავლეთით, ნატოში ეძებნა. **არმიის ძლიერების შემცირება უკრაინის რეალური სუვერენიტეტის დაქვეითების პარალელურად მიდიოდა და 2010 წლისთვის ფსკერამდე დაეშვა. დაიწყება თუ არა აღმასვლა და რა ფორმებს მიიღებს ის, ძველად რომ იტყოდნენ, „მომავალი ხუთწლედი“ გვიჩვენებს.**

◀ „Mirage“, „F-5“, „F-16“ და „Су-30МК2“. უკანასკნელი ორის რაოდენობა, შესაბამისად, 10 და 14-ია.

ამასთანავე, საჰაერო ძალებში 48 სატრანსპორტო თვითმრინავი და 23 ვერტმფრენია. საჰაერო თავდაცვის ძალებს გააჩნია 10 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „Barak“, გადასატანი კომპლექსები RBS-70“, 10 თვითმავალი საზენიტო დანადგარი „Roland“ და 230-მდე სხვადასხვა ტიპის (ძირითადად მოძველებული) საზენიტო დანადგარი. ვენესუელის საზღვაო ძალებში 18 ათასი სამხედრო მოსამსახურეა, მათ შორის — 7 ათასი საზღვაო ქვეითი; ფლოტის შემადგენლობაში 6 სარაკეტო ფრეგატია, 2 — წყალქვეშა ნავი, საპატრულო და სადესანტო კატარღები. რაღა დარჩა ჩამოსათვლელი? არც არაფერი, გარდა იმ ფაქტისა, რომ ვენესუელის ეროვნულ გვარდიაში 23 ათასი, მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლი ირიცხება.

ყოველივე ამასთან შედარებით კოლუმბიის სახმელეთო ჯარები მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება (მხოლოდ მათ შევეხოთ, რადგან ჰიპოტეტური კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, საჰაერო და საზღვაო სივრცეში ამოცანების დიდ ნაწილს, ალბათ, ამერიკელები შეასრულებენ, მათი დაჯგუფების საბოლოო შემადგენლობა კი ჯერაც უცნობია). კოლუმბიას ჰყავს ვენესუელაზე 2-ჯერ მეტი ქვეითი, აქვს 2-ჯერ მეტი საარტილერიო სისტემა, ხუთჯერ მეტი ჯავშანტრანსპორტიორი. ყველა უმაღლესმა ოფიცერმა სამხედრო განათლება შეერთებულ შტატებში მიიღო; ტექნიკა, უმეტეს წილად, თანამედროვეა.

უგო ჩავესი კი ცდილობს წარსულში ჩარჩენილი არმიის გადაიარაღებას, თუმცა მისი ძალისხმევა შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს.


ჰუგო ჩავესი

მისი ერთადერთი შანსი ამ ვითარებაში, ალბათ, ის არის, რომ მოწინააღმდეგემ შესაძლო დანაკარგები სავარაუდო ამონაგებზე უფრო წონად ფაქტორად ჩათვალოს. **ჩავესმა სანავთობო ინფრასტრუქტურის დანაღმვის ბრძანება, დიდი ხანია, გასცა; იგი გამუდმებით მოუწოდებს ერს, გააფთრებული ბრძოლებისთვის მოემზადოს და, დაუდასტურებელი ინფორმაციით, საკვანძო პოსტებზე არმიაში 1000-მდე კუბელ ოფიცერს იწვევს.**

**რა შეიძლება მოხდეს უახლოეს მომავალში? თეორიულად, შტატებს დაჯგუფების გაშლისთვის 1-1,5 თვეზე მეტი დრო არ დასჭირდება. ინდიკატორის როლი, ამ შემთხვევაში, შეიძლება მოვლენათა ეპიცენტრისკენ ავიამზიდის დაძვრამ შეასრულოს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ყველაფერი მხოლოდ ძალის დემონსტრირებით შემოიფარგლოს, ხოლო ამერიკელი სამხედროების ბოლოდროინდელი საეჭვო კონცენტრაცია რეგიონში ისევ ნარკობიზნესთან ბრძოლის აუცილებლობით გამართლდეს.**

აბა, რა... აბა, ვინ შეებრძოლება ნარკობარონებს კოსტა-რიკის ჯუნგლებში თუ არა ამერიკული წყალქვეშა ნავები?

# «ტრიანონის» გამოაშკარავება

დასასრული. დასაწყისი იხ. №25

**ოგოროდნიკმა სურვილი გამოთქვა, საკუთარი ხელით დაეწერა აღიარება ჯაშუშური საქმიანობის შესახებ; აუჩქარებლად მიუჯდა მაგიდას, აიღო ფურცელი და კალამი, რომელსაც ფრთხილმა ოპერატიულმა მუშაკებმა ყურადღება არ მიაქციეს, რამდენიმე სტრიქონი დაწერა, შემდეგ უცნაურად გაირინდა და მზერა გაეყინა. მერე კი სწრაფად წააკვნიტა ბოლო კალამს და მაშინვე სკამიდან ჩაცურდა...**


აგენტი ოგოროდნიკი

კალამში საწამლავი იყო. ადგილზე გამოცხადებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ყველა ზომას მიმართა ოგოროდნიკის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ დაშვრა. საწამლავი ძალზე ძლიერი აღმოჩნდა და ტრიანონი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა მანქანაში, რომელიც მას სკლიფოსოვსკის ინსტიტუტისკენ მიაქანებდა. საავადმყოფოში უკვე გალურჯებული გვამი მიიტანეს.

ამასთან, ექიმებმა, რომლებმაც მოგვიანებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაატარეს, ვერაფრით დაადგინეს, თუ რით მოიწამლა „აგრონომი.“ უკვე შემდგომში, **სუკის ხელში მოხვედრილ მასალებზე დაყრდნობით, ივარაუდეს, რომ ოგოროდნიკის მიერ მიღებული საწამლავი უძლიერესი „ეგზოტიკური“ კურარეს შხამზე იყო დამზადებული.** 1977 წლის 13 აპრილს ოგოროდნიკს თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი ჰქონდა გაკეთებული:

**„...მებრძოლი ხასიათის, თავისუფლების იდეალების ერთგული, მამაცი, წესიერი და ძლიერი ნებისყოფის კაცი ვარ. ბოლოსდაბოლოს არაჩვეულებრივი პროფესიული მომზადება და რთული მოვლენებით ერთობ მდიდარი ცხოვრება მაქვს... გუშინ რომ განვიცადე, ასეთი რამ არასოდეს მომსვლია, რადგან ის კაცი ვარ, რომელმაც, დიდი ხანია, გადაწყვიტა, რომ საწოლში მიხრწნილ მოხუცად არ მოკვდება... უცებ, საფრთხეს იმაზე მეტად შევუშინდი, ვიდრე ჩვეულებრივ...“**

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტრიანონს საწამლავი ამერიკელებმა მისივე თხოვნით გადასცეს. არსებული მონაცემებით, **კურარეს შხამი მან უწინაც გამოიყენა, ამერიკელების თანხმობით, თავისი საყვარელი ოლგა ს. მოკლა, რომელიც სახიფათო შეიქნა, რადგან „ძალიან ბევრი იცოდა.“ ამ მკვლელობის შემდეგ კი ახალი რომანი გააჩაღა და ამჯერად მისი საყვარელი სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ყოფილი თანაშემწის, იმ დროს უკვე ცკ-ის მდივნის — კონსტანტინე რუსაკოვის ქალიშვილი გახდა. წყვილი უკვე დაქორწინებას აპირებდა, როცა ოგოროდნიკმა თავი მოიკლა...**

ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ძვირფას აგენტად იქცეოდა ტრიანონი, ეს ქორწინება რომ შემდგარიყო. თითქმის მისი თვითმკვლელობისთანავე, შესაბამისმა სამსახურმა ამერიკული დაზვერვის მიერ აგენტისთვის გადაცემული მრავალრიცხოვანი გზავნილების გაშიფვრა მოახერხა. სუკის ხელში აღმოჩნდა კავშირების სქემები, რადიოგადაცემების განრიგი, 30 სამალავისა და სიგნალების დაყენების ადგილები. ამასთან, რადიოკონტრდაზვერვის სამსახურმა ზუსტად განსაზღვრა ცსს-ს სადაზვერვო ცენტრიდან კავშირის არხი მაინის ფრანკფურტში. გამოავლინეს ოგოროდნიკის გადაბირების გარემოებებიც. ამერიკელებმა მისი მექალთანეობა გამოიყენეს და სატყუარად ეფექტური ესპანელი პილარ სუარეს ბარკალა გამოიყენეს. ოგოროდნიკი მოიხიბლა, ერთმანეთს ოტელ „ჰილტონში“ ხვდებოდნენ და, რაღა თქმა უნდა, მათ ფარული კამერა იღებდა.

„აგრონომის“ სიკვდილის მიუხედავად, მოსკოვში მოქმედი და ტრიანონთან კავშირში მყოფი ამერიკელი მზვერავების გამოაშკარავების მიზნით, სუკმა ოპერაციის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო. ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ საიდუმლოდ შეენახათ „აგრონომის“ სიკვდილი. ჯაშუშის ოთახში აღმოჩენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ მორიგი, სამალავებთან დაკავშირებული ოპერაცია ადგილზე 28 ივნისს იყო დაგეგმილი, კოდური სახელწოდებით „ტყე“. სამალავის კოორდინატები მითითებული არ იყო, მაგრამ არსებობდა მინიშნება: ამერიკელები აგენტს რეკომენდაციას აძლევდნენ, სამალავთან მოყაისკის გზატკეცილის მხრიდან მისულიყო. კონტრმზვერავებმა დაასკვნეს, რომ „ტყე“ გამარჯვების პარკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ისიც დადგინდა, რომ ოპერაციის წინ ოგოროდნიკი თავის „ვოლგას“ წინასწარ დათქმულ ადგილზე აჩერებდა, თუმცა სად, ზუსტად არ იცოდნენ. ამიტომ ადგილი ვარაუდით შეარჩიეს და ოგოროდნიკივით ჩაცმულმა და შენიღბულმა კა-გე-ბეს თანამშრომელმა მანქანა იქ დააყენა. გამარჯვების პარკი და მისკენ მიმავალი გზები კი გადაკეტეს. ღონისძიების მონაწილე ყველა თანამშრომელი განსაკუთრებულ „საბრძოლო მზადყოფნაში“ იმყოფებოდა.

მაგრამ მოვლენები უცნაურად განვითარდა. **სუკმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ მზვერავი უთუოდ კაცი უნდა ყოფილიყო. არადა, ამერიკელებმა რეზიდენტი მარტა პეტერსონი გამოგზავნეს, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მივიდა დათქმულ ადგილას. პარკში მორიგე ოპერატიულმა მუშაკებმა მარტა შენიშნეს, მაგრამ უცხოელად არ მიიჩნიეს, რის გამოც ყურადღებაც არ მიაქციეს. პეტერსონმა ფიჭვის რტო (კონტეინერი) დადო და სეირნობას მოჰყვა, რაკი უკან დაბრუნებულს ოგოროდნიკის შეტყობინება არ დახვდა, რტო მშვიდად აიღო და იქაურობას გაერიდა.**

ეს პიკანტური დეტალები მაშინ გაირკვა, როცა ფრანკფურტიდან გამოგზავნილი მორიგი რადიოგრამა გაშიფრეს: **„ტყეში“ 28 ივნისს მაყურებლები იყვნენ და გასაგებია, რატომაც არ წაიღეთ ჩვენი პაკეტი... გამოვიყენებთ „სეტუნს“ იმავე დროს...“** ოპერაციის დასკვნით ეტაპზე გაშიფრული იქნა ამერიკელების კიდევ ერთი გზავნილი:

**„თქვენი პაკეტი „ტყეში“ დავდეთ, როცა იქ არავინ იყო, მაგრამ უკან დაბრუნებულმა ჩვენმა ოფიცერმა „ტყესთან“ ავტომანქანა და მოსეირნე კაცი დაინახა. ოფიცერი მის გამგზავრებას დაელოდა, შემდეგ კი პაკეტი აიღო. „ტყესთან“ ჩვენი ქილა ვერ დავინახეთ და ვივარაუდეთ, რომ მაყურებლების გამო ვერ შეძელით თქვენი პაკეტის წაღება და ჩვენის დატოვება. მართალია, დარწმუნებულები ვართ, რომ „ტყე“ ჯერ კიდევ უსაფრთხო ადგილია, მაგრამ ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუ ჩვენი ორმხრივი კონტაქტი „სეტუნთან“ შედგება.“**

ამგვარად, სუკს კიდევ ერთი შანსი გამოუჩნდა. ამერიკელები ჯაშუშური პაკეტების გაცვლას „აგრონომს“ 15, 19 და 21 ივნისს სთავაზობდნენ, ხოლო აქციის წინა დღეს ოგოროდნიკს სიგნალი უნდა მიეცა ტუჩსაცხით ადგილზე — „ბავშვები“ ან მანქანა „პარკპლაცეზე“ გაეჩერებინა. მასალების შესწავლის შემდეგ სუკის თანამშრომლებმა დაასკვნეს, რომ კოდური სახელწოდებით „სეტუნი“ აღინიშნებოდა კრასნოკალუგის რკინიგზის ხიდი (ლუჟნიკების მახლობლად), სადაც საღამოობით გამვლელები თითქმის არ იყვნენ. იქ ჩასაფრება შეუძლებელი იყო. ამასთან, საფრთხის შემთხვევაში, აგენტს კონტეინერის წყალში გადაგდება შეეძლო. სამალავი ხიდის პირას, ერთ-ერთ ბურჯში იყო განთავსებული.



**სუკმა ამ ადგილის მახლობლად ორი თანამშრომელი განათავსა, რისთვისაც იქვე მდგომ ამწეკრანს საგანგებოდ დამზადებული ლუკი ჩამოჰკიდეს, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში, ხიდზე გადმოხტომა უცებ შეიძლებოდა.**

დარჩა ერთადერთი პრობლემა — „ბავშვები.“ მონაცემთა გაანალიზების შემდეგ სუკში დაასკვნეს, რომ „ბავშვები“ საგზაო ნიშანი იყო ლენინის პროსპექტისა და კრუპსკაიას ქუჩის კვეთაზე. სიგნალი 14 ივლისის საღამოს დააყენეს, ხოლო მეორე დილას ის მარტა პეტერსონმა „წაიკითხა,“ რომელიც ამ ადგილას საკუთარი მანქანით მოვიდა, საღამოს 8 საათზე კი მანქანით კინოთეატრ „როსიასთან“ გამოცხადდა. იქიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სამალავის ადგილისკენ გაეშურა. მზვერავის აღწერილობა უმალ გადაეცა ოპერატიულ ჯგუფს. 23 საათისთვის პეტერსონი კონტეინერის სამალავის შორიახლო, ხის ქვეშ გამოჩნდა, შემდეგ კი აუჩქარებლად გაემართა ხიდისკენ და კიბეს აუყვა. ერთ მომენტში მან სვლა შეანელა და რაღაცას მიაყურადა. **უცებ, ღამის სიჩუმე სირენის ხმამ დაარღვია — სანაპიროზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურს მილიციის ორი მანქანა მიადგა... პეტერსონი შედგა... მაგრამ მილიციელებთან სწრაფად მიირბინეს სადგურთან მოდარაჯე სუკის თანამშრომლებმა და „დაარწმუნეს,“ რომ იქაურობას უნდა გაცლოდნენ.**

ამერიკელმა ქალმა გზა განაგრძო. სამალავს მიახლოებულმა ჩანთიდან რაღაც ნივთი ამოიღო და ბურჯის ნიშაში ჩადო. ლუკში მსხდომი თანამშრომლები უმალ გადმოხტნენ და დააკავეს პეტერსონი, რომელმაც თანამშრომლებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და მთელი ხმითაც კიოდა, რომ ეს პროვოკაცია იყო, ალბათ, ტრიანონ-ოგოროდნიკის გასაფრთხილებლად. ქალი მხოლოდ მანქანაში დამშვიდდა, თუმცა ეტყობოდა, რომ ოპერაციის მარცხს ძლიერ განიცდიდა.

**მალე მოსკოვში ამერიკის კონსულ გროსის თანდასწრებით, რომელმაც დაკავებულის ვინაობა დაადასტურა, გახსნეს ამოღებული კონტეინერი, რომელშიც ინსტრუქციები, მინიატურული ფოტოაპარატები, საიდუმლო დამწერლობისთვის გათვალისწინებული ქაღალდი, ფული, ოქროს სამკაულები და საწამლავის ახალი ულუფით სავსე სპეცრეზერვუარი იდო. პეტერსონი მეორე დღეს გაათავისუფლეს და პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს...**

მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რუსები და ქართველები ჩვენმა პატრიარქებმა უნდა გამოაღვიძონ

**რუსულ-ქართული ურთიერთობები უკეთესის სურვილს გვიტოვებს. იმაში, რაც ხდება, რელიგიურ ფაქტორს ბოლო როლი ნამდვილად არ აკისრია. საქართველოში მართლმადიდებლების მდგომარეობის თაობაზე მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კორესპონდენტს იანა ამელინას ესაუბრება ევრაზიის თბილისის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი გულბაათ რცხილაძე.**





**— არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ერეკლე დეისაძის წიგნ „საიდუმლო სირობის“ გამო შეურაცხყოფილ მორწმუნეთა მიერ გამოხატულმა აღშფოთებამ აიძულა საქართველოს საპატრიარქო, მიემართა ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის მოწოდებით, მიეღოთ კანონი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავდა პიროვნებისა და საზოგადოების ღირსებას, რელიგიურ გრძნობას. ამ წიგნის გამოჩენა გამიზნული პროვოკაციაა თუ სიტყვისა და სინდისის თავისუფლების გამოვლენა, რომელთა „კრელიკალების თავდასხმისგან“ დაცვა აუცილებელია?**

— ამგვარი ე.წ. წიგნის გამოჩენა, რომელსაც სინამდვილეში უფრო შეურაცხმყოფელი სახელი ჰქვია, ვიდრე ჩამოვაყალიბეთ, შორიდან ჩანს, როგორც მცირეწლოვანი ავტორის საკმაოდ წარმატებული მცდელობა – მიიქციოს საზოგადოების ყურადღება და იშოვოს ფული. პოლიტიკური პროვოკაცია კი ისაა, რომ ამგვარი ბინძური წიგნუკა იმავე გამომცემლობაში დაიბეჭდა, რომელიც გამოსცემს სასკოლო წიგნებს; თანაც მისი პრეზენტაცია სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, რომელიც დიდი ქართველი მწერლის, წმ. ილია განმანათლებლის, ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს. ბუნებრივია, რომ საქართველოს საპატრიარქომ რეაგირება მოახდინა. ცუდი ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ძალა არ შესწევს, დაიცვას მორალისა და ღირსების დაუწერელი კანონები და ამორალურის ფორმალური აკრძალვებით შემოიფარგლება.

**— როგორ განვითარდება საქართველოში წინააღმდეგობა მმართველ ულტრალიბერალურ უმცირესობასა და მართლმადიდებელ უმრავლესობას შორის? ამ კონფლიქტის განვითარებაში როგორია შიდა ძალების როლი?**

— ნომინალური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძალიან მალე საქართველო იქცა უცნაურ ექსპერიმენტთა ველად, რომელთა ინტენსივობა შესამჩნევად გაიზარდა ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციონერთა“ მოსვლის შემდეგ. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ 2003 წლის „რევოლუციის“ უკან დასავლეთის გავლენიანი ძალები იდგნენ. „ვარდების“ ეიფორიაში ჩართეს რუსეთიც, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით გამოფხიზლდა და დაიწყო პოსტსაბჭოურ ტერიტორიაზე „ფერადი რევოლუციების“ კრიტიკა. ბოლოსდაბოლოს ნათელი გახდა, რომ დასავლეთის პროექტები ყველგან ჩაფლავდა — მოლდოვაში, ბელორუსში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში — მოკლედ, ყველგან, საქართველოს გარდა. „ვარდისფერი“ ხელისუფლება, ყველაზე ადრე განხორციელებულ „ფერად“ პროექტებს შორის, დიდი ძალისხმევით, მაგრამ მაინც შენარჩუნდა (ამჯერადაც დასავლეთის თანადგომით).

**ეს ხელისუფლება დამჯერი და ქედმოხრილია თავისი დასავლელი, უფრო სწორად, ამერიკელი ბოსების წინაშე. ამასთან, იგი ეფექტურად თრგუნავს თავისი ხალხის ნებას, ანგრევს ოპოზიციას და საკუთარ კაპრიზებს თავს ახვევს მთელ ქვეყანას, და ამით „გარდაქმნის“ მას. ამ ჯაჭვის რგოლს წარმოადგენს, ასევე, არა მარტო ეკლესიაზე თავდასხმა, არამედ — თვით მართლმადიდებლურ რწმენაზე.**

ლოგიკურია, რომ მას შემდეგ, რაც დაგროვდა ვნება და ერთ-ერთ ტელეარხზე მოხდა ჩხუბი „ლიბერალებსა“ და ახალგაზრდა მართლმადიდებლებს შორის (დეისაძის წიგნის განხილვასთან დაკავშირებით), აშშ-ის საელჩომ საქართველოში საჭიროდ ჩათვალა, გამოსულიყო „სიტყვის თავისუფლების“ დასაცავად და ცალსახად განესაჯა მართლმადიდებლური მოძრაობის აქტივისტები.

ამ კონფლიქტის წარმოშობასა და განვითარებაში გარე ძალების მონაწილეობა ეჭვს არ ბადებს. **თუკი ქართული ეკლესია მხოლოდ მინავლებული განცხადებებითა და მოწოდებებით შემოიფარგლება საპატრიარქოს ადმინისტრაციული შენობის კედლებში, მაშინ ქუჩაში პროტესტის გამომხატველ მართლმადიდებლებს კვლავაც ციხეში ჩასვამენ, საზოგადოება კი შეეგუება იმას, რომ ქვეყანაში არსებობს პრივილეგირებული კასტა „ლიბერალებისა“, რომლის წარმომადგენლები სიტყვის თავისუფლების დევიზით კვლავ შეურაცხყოფენ ქართველი ხალხის საკრალურ საფუძვლებს და სასწავლო დაწესებულებებში დანერგავენ თავიანთ შეხედულებებსა და იდეებს.** საგანმანათლელო სისტემა ხომ, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა, მათ ხელშია. ძნელია იმის თქმა, შერჩათ თუ არა ქართველ ხალხსა და ეკლესიას შინაგანი სულიერი ძალები, სულიერი ენერგია წინააღმდეგობისათვის და გამარჯვებისათვის.

**— შეიძლება თუ არა საუბარი მართლმადიდებელთა პოზიციის რადიკალიზაციაზე, როცა მათ რელიგიურ გრძნობებს ღიად შეურაცხყოფენ და იმ ადამიანთა რაოდენობის გაზრდაზე, რომლებიც მართლმადიდებლური ცხოვრების წესით ცხოვრობენ? თუ აპოსტასია (რწმენისგან განდგომა) ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებს გლობალიზაციასთან ერთად და ათეისტთა იდეებს უფრო და უფრო მეტი თანაგრძნობა აქვს?**

— შემიძლია დაბეჯითებით ვამტკიცო, რომ უკანასკნელ ხანს დასავლეთისადმი ქართველთა ნეგატიური დამოკიდებულება (და ეს ფაქტია) გარკვეულწილად უკავშირდება საქართველოს ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური სექტებისა და სხვა არამართლმადიდებლური კონფესიების თავისუფალ საქმიანობას მართლმადიდებლობის საზიანოდ. ამ პოლიტიკის დასამკვიდრებლად ხელისუფლება ეყრდნობა „საერთაშორისო სტანდარტებს“, „დასავლეთის დემოკრატიას“, „დასავლურ ღირებულებებს“, „ცივილიზირებულ სამყაროს“ და სხვ. სწორედ ეს იწვევს გაღიზიანებას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. მაგრამ ყველაფერ ამას ჯერჯერობით ვერც იმ ადამიანთა რაოდენობის ავტომატურად გაზრდა მოჰყვება, რომლებიც მართლმადიდებლურად ცხოვრობენ, და ვერც აპოკალიფსის დადგომა.

**რაც შეეხება ათეისტებს, მათი ე. წ. ლიბერალებთან გაიგივება არ შეიძლება. წესიერი ათეისტები, „ლიბერალებისგან“ განსხვავებით, გაგებით ეკიდებიან და აღიარებენ მართლმადიდებლობისა და ტრადიციების გრანდიოზულ მნიშვნელობას სახელმწიფოსა და ხალხის გადარჩენისთვის, მისი დამოუკიდებლობისათვის, მისი სახისათვის...** ასე, მაგალითად, ახლახან ევრაზიის ინსტიტუტმა, ერეკლე მეორეს საზოგადოებამ, ახალგაზრდულმა მართლმადიდებლურმა მოძრაობამ „წინ“ ჩაატარეს ქუჩის აქცია ციხეში გამომწყვდეული ქართული მართლმადიდებლური მოძრაობის 7 აქტივისტისადმი (ტელეეთერში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით) სოლიდარობის ნიშნად. აქცია არ ყოფილა ხალხმრავალი, მასში არ მონაწილეობდა არც ერთი სასულიერო პირი. როგორც ჩანს, საზოგადოება და ეკლესია ჯერ მზად არ არიან აქტიური მშვიდობიანი პროტესტისათვის. სამაგიეროდ, მოვიდნენ კომუნისტური პარტიის ხანდაზმული წარმომადგენლები, ასევე, პუბლიცისტი — თემურ მირიანაშვილი, რომლებიც არ თვალთმაქცობდნენ და, პოსტსაბჭოური მოდის მიბაძვით, თავს არ აცხადებდნენ მორწმუნეებად ან აგნოსტიკოსებად, არამედ გულწრფელად წარმოგვიდგებიან ათეისტებად. ისინი მხარს უჭერდნენ ჩვენს მიმართვას პატრიარქ ილია მეორესადმი, რათა ეკლესია მომავალში უფრო აქტიურად დაინტერესდეს ამგვარი პატიმრების ბედით.

**— „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც რეკლამას უკეთებდა დეისაძის წიგნს, უკვე რამდენჯერმე გამოვიდა ანტიქრისტიანული განცხადებებით. რამდენიმე წლის წინათ იგი მოითხოვდა საკონსტიტუციო შეთანხმების გადახედვას სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის საქართველოში. თქვენი აზრით, რამდენად სწორია, რომ XXI საუკუნეში რელიგიური სტრუქტურა ასეთ უფლებას იღებს? პასუხობს კი კონკორდატი თანამედროვეობის მოთხოვნებს?**

— ჩემი შეხედულებით, მთლად არ პასუხობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი პოზიცია სეკულარულ-ლიბერალური შეხედულებებიდან გამომდინარეობს. პირიქით, მე მივიჩნევ, რომ კონკორდატი არსებული სახით შეუთავსებელია თანამედროვეობასთან მხოლოდ იმიტომ, რომ ის, სულ მცირე, აძლიერებს მართლმადიდებლური სარწმუნოების პრიორიტეტულობას, ყურადღებას ამახვილებს რა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე. მაგრამ ეკლესია, როგორც ორგანიზაცია და ქრისტიანობა, როგორც სწავლება, ერთი და იგივე არაა.

**ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მოძებნა მარტივი და ყველაზე ეფექტური საშუალება მართლმადიდებლობასთან ბრძოლისა. ის ზრუნავს ეკლესიის მატერიალურ წახალისებაზე: ურიცხავს საბიუჯეტო სახსრებს, არ ახდევინებს გადასახადებს, უყოფს მიწებს ტაძრების ასაშენებლად, ზოგჯერ მაღალი რანგის საეკლესიო პირებს ჩუქნის ძვირფას „ჯიპებს” და ა.შ. ამით ხელისუფლება სახელმწიფოში მართლმადიდებლობის პრიორიტეტულობის ილუზიას ქმნის და ამით ადუნებს როგორც საზოგადოების, ისე საკუთრივ ეკლესიის ყურადღებას. ხოლო ძირითად საკითხში — მართლმადიდებლობის პრიორიტეტულობის განმტკიცებაში — სახელმწიფოს მხრიდან არა მარტო არაფერი კეთდება, პირიქით, ხდება „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და მისი მსგავსი ორგანიზაციების პროვოკაციული გამოხდომების წახალისება, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან.**

საქართველოში უნდათ მართლმადიდებლობის ჩაკეტვა რიტუალიზმის ფარგლებში, მისთვის რეალური შინაარსის გამოცლა და ხალხის ცხოვრებაში მისი ადგილის დაკნინება.

**— საქართველოს ხელისუფლების „სამზარეულოში“ კარგად ჩახედული ხალხი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვა, ისევე, როგორც თვითონ, არა მხოლოდ ურწმუნოები არიან, არამედ — მებრძოლი ათეისტები. რით აიხსნება ის, რომ უძველესი მართლმადიდებლური სახელმწიფოს სათავეში ამგვარი პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ? რის სიმპტომია ეს?**

— „ჩვენი დროის მებრძოლი ათეისტები“ — სწორედ ეს ტერმინი გამოვიყენე ჩემს ბოლოდროინდელ სტატიებსა და ინტერვიუებში, ასე რომ, თქვენეულ შეფასებას ნამდვილად ვეთანხმები. მათი ხელისუფლებაში ყოფნა რისი სიმპტომია, მიჭირს, განვსაჯო. სიტყვა „სიმპტომს“ ხშირად იყენებენ მედიკოსები. თუ თქვენ გინდათ, მიმანიშნოთ, რომ ქართული საზოგადოება არაჯანმრთელ მდგომარეობაშია, რას ვიზამთ, შეიძლება ასეცაა.

**— სააკაშვილის მოქმედებებში, განსაკუთრებით მისი მმართველობის საწყის პერიოდში, ბევრჯერ იყო ქრისტიანობის განზრახ დამახინჯება, ზოგჯერ კარიკატურულიც კი. იმაში, თუ 2003 წლის 23 ნოემბერს როგორ თეატრალიზებულად დალია მან პარლამენტის შენობაში შევარდნისას ე. შევარდნაძის ჩაი, იკითხება პაროდია ზიარებაზე. დავით აღმაშენებლის საფლავზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფიცი, როგორც ჩანს, ატარებდა არა მარტო პროპაგანდისტულ, არამედ მისტიკურ მნიშვნელობასაც...**

— სწორია. სააკაშვილი აქტიურად ახდენდა რელიგიური სიმბოლოების ექსპლუატირებას, ასე ვთქვათ, საქართველოში პრეზიდენტის პოსტის საკრალიზაციისთვის და ამით საკუთარი თავის საზოგადოებაზე მაღლა დაყენებისთვის. მე მის ამ ნაბიჯებს — ანტიმართლმადიდებლური შინაარსის მქონე პოლიტიკას — ვაფასებდი როგორც ამერიკული „სამოქალაქო რელიგიის“ (civil religion) გამოვლინებას ქართულ პირობებში. სიგიჟეა ეს თუ არა, ჩემი განსასჯელი არაა, მაგრამ პირადად ჩემთვის სააკაშვილის პოლიტიკა მთლიანად, მიუხედავად ცალკეული პოზიტიური გამობრწყინებებისა, ბოროტების გამოვლინებაა.

**— რწმენის ერთობას არ შეუშლია ხელი თბილისისთვის, ომი გაემართა სამხრეთ ოსეთისთვის. გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულ ცნობიერებაში ნაციონალიზმი ხშირად მართლმადიდებლურ ფასეულობებზე მაღლა დგას. ეთანხმებით თქვენ ამგვარ თვალსაზრისს?**

— სამწუხაროდ, ნაციონალიზმი მართლმადიდებლურ ფასეულობებზე მაღლა მარტო ქართულ ცნობიერებაში არ დგას. ეს საერთო უბედურებაა, რომელმაც მთელი პლანეტა მოწამლა, მაგრამ განსაკუთრებით — ქრისტიანული სამყარო, XIX საუკუნეში ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ. სხვა მხრივ, XXI საუკუნეში უფრო აქტუალური ჰანტინგტონისეული „ცივილიზაციური“ ასპექტია, ხალხთა თვითიდენტიფიკაცია სულ უფრო მეტად განისაზღვრება დიდი ცივილიზაციური არეალების ფარგლებში. ამას გვიჩვენებს ისლამის გამოცდილება, ასევე დასავლეთის სამყარო, რომელიც კონსოლიდირებულია თავისი ფასეულობების გარშემო.

ჩვენ, მართლმადიდებლებმა, ჯერ ვერ გავაცნობიერეთ ეს სიტუაცია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მართლმადიდებლური სამყაროს თითქმის 90% უღმერთო კომუნიზმის „წითელ“ სარტყელში მოექცა, რომელმაც კრახი განიცადა, და ყოფილი სატელიტები და ოდესღაც ძლიერი წითელი იმპერიის ნამსხვრევები იდეოლოგიურ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. თუმცა არც ბერძნები გამხდარან ნაკლებად ნაციონალისტურები იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდნენ „თავისუფალი მსოფლიოს“ გავლენის ზონაში.

საქმეს უფრო ართულებს ის, რომ მართლმადიდებლებს არ ჰყავთ საერთო უმაღლესი ავტორიტეტი, კათოლიკური პაპის მსგავსი. ჩვენ ერთი საერთო საეკლესიო ენაც არ გვაქვს, განსხვავებით კათოლიკებისგან (ლათინური) და მუსლიმანებისგან (არაბული), რომელიც დააახლოებდა მართლმადიდებელ ხალხებს ერთმანეთთან. **ჩემი მოკრძალებული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ ხელში ინიციატივა საეკლესიო იერარქიებმა უნდა აიღონ. უფრო გაბედული ნაბიჯებია საჭირო ეროვნული ეკლესიების დასაახლოვებლად, აქედან გამომდინარე — მართლმადიდებელი ხალხებისაც.**

**— 1990-იანი წლების დასაწყისში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტებისას მართლმადიდებელმა აფხაზებმა და ოსებმა ქართული ეკლესიიდან გამოყოფა მოისურვეს და მოთხოვნით მიმართეს რუსეთის პატრიარქს, მიეღო ისინი. ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია. მისი მოგვარების რა გზებს ხედავთ?**

— აფხაზი და ოსი ხალხებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, სიმართლე ყველაზე მაღლა დგას, საქართველოს ეკლესიიდან გამოსვლის მცდელობა და რუსეთთან შეერთება სულაც არაა განპირობებული საქართველოს პატრიარქზე აფხაზებისა და ოსების განაწყენებით, არამედ ნაწილია აფხაზური და ოსური ნაციონალისტური პროექტებისა, რომლებიც, როგორც ცნობილია, საომარ მოქმედებებზე ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ დიდი ხნით ადრე წარმოიშვა. მაგალითად, 1989 წლის გაზაფხულზე აფხაზებმა მოიწვიეს სახალხო კრება სოფელ ლიხნში და მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოყოფა. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო თბილისში აპრილის მიტინგები, რომლებიც 9 აპრილს სისხლით ჩაახშეს საბჭოთა ჯარებმა. ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები და დები ემსგავსებიან უკრაინელ ნაციონალისტებს, რომლებმაც, ასევე, შექმნეს თავიანთი „ეკლესია" და არ ემორჩილებიან კანონიკურ რუსულ ეკლესიას.

უნდა ვიცოდეთ, რომ საეკლესიო და სახელმწიფო საზღვრები სულაც არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. **რაც შეეხება აფხაზებსა და ოსებს, მორწმუნე ქრისტიანთა რაოდენობა მათში დიდი არაა. ეს ფაქტორი ადგილობრივ პოლიტიკოსებს მეტ შესაძლებლობებს აძლევს პოლიტიკური მიზნით რელიგიით მანიპულირებისთვის, რამდენადაც ამას წინ ვერ აღუდგება ადგილობრივი მრევლი და სამღვდელოება.** სიტუაციიდან გამოსავალი ისაა, რომ რუსულმა ეკლესიამ უნდა ჩაატაროს სერიოზული მისიონერული საქმიანობა ამ ხალხებში და აუხსნას ადამიანებს, მათ შორის ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომ ნაციონალიზმი ცუდია, ქრისტიანობა კი ყველაფერზე მაღლა დგას. ანალოგიური საქმიანობა უნდა გასწიოს ქართულმა ეკლესიამაც საქართველოს შიგნით.

**— ცხოვრება აქტუალურს ხდის „პოლიტიკურ მართლმადიდებლობას", მორწმუნეებს მოუწოდებს ეკლესიებსა და მონასტრებში მხოლოდ ლოცვებით არ შემოიფარგლონ. სად არის ზღვარი, სადამდეც ეკლესიას შეუძლია ჩაერიოს პოლიტიკაში (ამ სიტყვის ფართო გაგებით)?**

— ეს ძალიან ვრცელი კითხვაა, რომელზეც მოკლე პასუხის გაცემა ძნელია. ეკლესია ნებისმიერ შემთხვევაში ნეიტრალური უნდა იყოს პოლიტიკაში და დისტანცირებული მისგან; მაგრამ არა მაშინ, როცა საქმე ეხება ქრისტიანული სწავლების ხელყოფის მცდელობას ან როცა რომელიღაც ტირანი ტოტალური უსამართლობის დამყარებას ცდილობს.

**— რუსეთში ახლაც გრძელდება კამათი სკოლებში რელიგიური კულტურის გაკვეთილების შემოღების მიზანშეწონილობაზე. ამ მხრივ როგორ დგას საკითხი საქართველოში? აქვს აზრი მსგავსი საგნების სწავლებას თუ ბავშვების სულიერი აღზრდა მხოლოდ მშობლების მოვალეობაა და რელიგიის ადგილი არაა ელიტარულ სკოლებში?**

— ქართულ სკოლებში და, საერთოდ, საგანმანათლებლო სისტემაში მთლიანად უიმედო ბნელი პრიმიტივიზმი მეფობს. შევადაროთ ეს სიტუაცია საბჭოთა სკოლაში სწავლების პერიოდს: როცა მე ვსწავლობდი, მაღალ კლასებში ცალ-ცალკე გვასწავლიდნენ სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას, მსოფლიო ისტორიასა და საქართველოს ისტორიას. ამასთან, საგნის — ისტორიის სწავლება ხდებოდა ისტორიული ეპოქების მიხედვით — ძველი მსოფლიო, შუა საუკუნეების, ახალი ისტორია, უახლესი ისტორია. **დღეს საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ ისტორია ერთ საგნად აქციეს, საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოშია მოქცეული. თამარ მეფეზე, მაგალითად, VII კლასში მხოლოდ ერთ ფურცელზეა საუბარი, როგორც მოკლე „ენციკლოპედიურ" ცნობარში.**

მხოლოდ ეს საგანი არ აღმოჩენილა ამ დღეში. სასკოლო პროგრამიდან გაქრა ქართული აგიოგრაფიის შედევრები, გრამატიკა გააერთიანეს ლიტერატურასთან. არსებითი ცვლილებები და შერწყმა მოხდა სხვა ჰუმანიტარულ თუ ზუსტ მეცნიერებებშიც. მოხდა სასკოლო განათლების პრიმიტივიზაცია, ამასთან, სწავლების ხანგრძლივობა სკოლაში დასავლური სტანდარტების შესაბამისად ერთი წლით გაზარდეს. სააკაშვილმა თადარიგი დაიჭირა, შეიძინოს ყველა სკოლისთვის იაფფასიანი ნოუთბუქები, რომლებშიც მოთავსებული იქნება მთელი ეს პრიმიტიული სასკოლო პროგრამა: ბავშვები იმეცადინებენ კომპიუტერში და ნაკლებად გამოიყენებენ წიგნებს. მანვე გაგვაცნო გეგმა საქართველოში უცხოეთიდან ინგლისურის მასწავლებლების მოწვევის თაობაზე, რათა ამ უკანასკნელებმა ბავშვებს ინგლისური კარგად ასწავლონ. ამას იმიტომ გიამბობთ, რომ თავად მიხვდეთ, საქართველოს სკოლებში რომ არანაირი რელიგიური განათლების ადგილი არაა. ამის გაგონება ხელისუფალთ არც სურთ, რელიგიურ განათლებას იძლევა მხოლოდ ის სკოლები, რომლებიც საპატრიარქოს ბალანსზეა. ბავშვების სულიერი აღზრდა, რა თქმა უნდა, უპირველესად, მშობლების საქმეა, მაგრამ წარმოდგენა რელიგიაზე უნდა მისცეს სკოლამაც. ასეთია ჩემი აზრი.

**— რა პირობებშია შესაძლებელი ორი მართლმადიდებელი სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება? რა როლი ეკისრება ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, ორივე სახელმწიფოს მართლმადიდებლურ საზოგადოებებს ამ პროცესში?**

— ამ კითხვას მე უკვე ვუპასუხე, როცა ვთქვი, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი იერარქიები (მე ვერიდები ეკლესიის მრავლობით რიცხვში მოხსენიებას, რადგან ეკლესია ერთია და არის ზენაციონალური) უნდა დაადგნენ ერთმანეთთან უფრო მეტად დაახლოების გზას და მისცენ ბიძგი საინტეგრაციო პროცესებს.

**საქართველოს ხელმძღვანელობა ტყუილ-უბრალოდ არ ახმარს მთელ ძალისხმევას მართლმადიდებლური ერთობის იდეის დისკრედიტაციას, უწოდებს რა ამ უდიდეს ქრისტიანულ იდეას „იმპერიალისტურს" და „კრემლისას". მიმდინარეობს საქართველოს ისტორიის რევიზია, წახალისებულია ერეკლე II-ს ლანძღვა, რომელმაც რადიკალურად დააახლოვა საქართველო და რუსეთი.**

**ასე უბრალოდ, არაფრისგან არ მომხდარა სტალინის ფიგურაზე თავდასხმების გაძლიერება, რომლის ძეგლიც მის მშობლიურ ქალაქ გორში ბოლოსდაბოლოს აიღეს – ხომ უნდა გაითელოს ყველაფერი, რაც ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებს. ეს კი, უპირველესად, მართლმადიდებლობაა.**

სააკაშვილის ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკას, რომელიც მისი „გამეფებისთანავე" 2004 წლის იანვრიდან დაიწყო, აქვს ანტირუსული მოტივიც. ამის უკან კვლავდაკვლავ დასავლეთის გავლენიანი ძალები დგანან. **რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებმა თავიანთი ავტორიტეტი უნდა გამოიყენონ და უფრო აქტიურად უნდა გაუწიონ პროპაგანდა რუსებისა და ქართველების სულიერ ერთობას. ჩვენი და თქვენი საზოგადოებრიობა სასოწარკვეთილია და სკეპტიკურად უყურებს მომავალში ორმხრივ ურთიერთობებს. საჭიროა, ჩვენი ხალხების გამოღვიძება. ამის გაკეთება კი სხვებზე უკეთ ჩვენს პატრიარქებს შეუძლიათ.**

# ისტორიული ფაქტების სწორად სწავლება შუღლისა და დაპირისპირების გაღვივების გარეშეც შეიძლება

**მომავალი წლიდან უფროსკლასელებს კიდევ ერთი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შესწავლა მოუწევთ, რომელშიც აღწერილი იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XIX საუკუნიდან დღემდე. სახელმძღვანელო ჯერ არ გამოსულა, თუმცა უკვე დიდი ინტერესი გამოიწვია. ქართულმა მასმედიამ წიგნს რატომღაც „რუსეთის ოკუპაციის 200 წელი" უწოდა, მაგრამ, როგორც ავტორებისგან შევიტყვეთ, ახალ სახელმძღვანელოს „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XIX-XXI საუკუნეებში და ქართველი ხალხის ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის" ჰქვია. სავარაუდოდ, ხელისუფლების ეს ნაბიჯი არის მცდელობა ახალ თაობაში რუსებისადმი სიძულვილის დანერგვისა.**

გასაგებია, რომ დღეისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაძაბულია, მაგრამ რა საჭიროა ბავშვების სიძულვილით აღზრდა? არსებობდა სახელმძღვანელო, რომელშიც ობიექტურად და ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ეწერა XIX-XX საუკუნეების ისტორია. რუსული პრესა უკვე გამოეხმაურა ისტორიის ახალი წიგნის გამოცემის იდეას. როგორც გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" წერს, წიგნმა რუს პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებში ცინიზმი გამოიწვია. რუსეთის სათათბიროს წევრის, პროფესორ ვლადიმერ მედინსკის აზრით, ამ წიგნით ქართველ ბავშვებს სინამდვილეს დაუმახინჯებენ. როგორც წიგნზე მომუშავე ისტორიკოსები ამბობენ, მისი შექმნის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ სოხუმში, ცხინვალსა და მოსკოვში გამოცემულ ისტორიის წიგნებში აფხაზი, ოსი თუ რუსი მკვლევარები ფაქტებსა და მოვლენებს მიზანმიმართულად ამახინჯებენ, რამაც განსაკუთრებული მასშტაბები აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო.

**დოდო ჭუმბურიძე, ისტორიკოსი, საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი:** — ჯერ ერთი, ამ წიგნს „რუსული ოკუპაციის 200 წელი" არ ჰქვია. რატომ მოიგონეს ეს სახელი, არ ვიცი. სახელმძღვანელოს სახელწოდებაა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XIX-XXI საუკუნეებში და ქართველი ხალხის ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის". კონკურსი იყო გამოცხადებული, მივიღეთ მონაწილეობა და გრანტი ავიღეთ.

**ჩვენ მოგვივიდა წიგნები პარლამენტიდან, ვნახეთ ისტორიის სახელმძღვანელოები უფროსკლასელთათვის, რომლებითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც ასწავლიან. იმ წიგნებში ისეთი დამახინჯებული იყო ფაქტები, გადავწყვიტეთ, სრულიად ახალი სახელმძღვანელო შეგვექმნა. წიგნის შექმნის მთავარი მიზეზიც ეს იყო.**

გვინდოდა, ახალ წიგნში დამახინჯებული პარაგრაფები და ფაქტები გაგვესწორებინა და სიმართლე დაგვეწერა. ისტორიის სწორად დაწერამ და იმან, რომ ჩვენმა ბავშვებმა კარგად იცოდნენ ჩვენი ისტორია, გააბედვინა ჩვენს ჯგუფს ამ სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება. თქვენ, ალბათ, მოუსმინეთ ლავროვის განცხადებას ამ წიგნთან დაკავშირებით. მართალია, წიგნს „რუსული ოკუპაცის 200 წელი" არ ჰქვია, მაგრამ რომც ერქვას, რა გასაკვირი იქნება.

**— თქვენი აზრით, წიგნი კიდევ უფრო ხომ არ გაამწვავებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას?**

— არა მგონია, წიგნმა ეს შეძლოს. ჩვენ ვწერთ სპარსეთზეც, ოსმალებსა და მონღოლებზეც. საერთოდ, ისტორიებს წერენ იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ ეს. მაგრამ ეს ქვეყნებს შორის ურთიერთოებებს არ ამწვავებს. რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა ისედაც გამწვავებულია და, არა მგონია, ამ ერთმა წიგნმა უფრო დაძაბოს. ჩვენ რომ ვთქვათ, ოკუპაცია არ ყოფილა რუსეთის მხრიდან და არც არისო, თქვენი აზრით, ეს მდგომარეობას გამოასწორებს?

**— ხომ არ გამოიწვევს ეს წიგნი მოზარდებში რუსეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დანერგვას სკოლის ასაკიდანვე?**

— ამ წიგნში არაფერი იქნება იმის მსგავსი, რომ მოზარდი იარაღის აღებისთვის განაწყოს. რომ გამოდიან და ამბობენ, ქართველი მეფეები საკუთარი სურვილით თხოვდნენ დახმარებას რუსეთსო, ამ წიგნში მოყვანილი იქნება ზუსტად ის ფაქტები, რატომ ხდებოდა ასე; რას ითხოვდნენ და როგორ დგებოდა ტრაქტატები, რომელთაც მეორე მხარე არღვევდა ხოლმე. წიგნი მთლიანად ობიექტურ მასალებზე იქნება დაყრდნობილი. პოლიტიზირება და იდეოლოგიზირება ამ წიგნს არ სჭირდება.

ზიზღის ჩადება ამ წიგნში არც არავის მოსვლია აზრად. ქართველებს საერთოდაც არ გვახასიათებს ზიზღი. ჩვენი ინტერესი ისაა, რომ ბავშვებმა სიმართლე იცოდნენ. მე პირადად ტყუილს მასწავლიდნენ და არ მინდა დღევანდელმა თაობამაც იგივე გამოცადოს. დღევანდელმა თაობამ უნდა გაიგოს, რა ინტერესები ამოძრავებდა რუსეთს თავიდანვე, თუნდაც ის ფაქტები უნდა იცოდეს, აჭარა და ახალქალაქი რატომ დააბრუნა.

**სიმართლე ქვეყნებსა და ადამიანებს შორის აუცილებელია. ამის დამალვა გაცილებით უფრო ცუდ შედეგებს მოიტანს, ვიდრე ის, რომ ეს დაიწეროს. საინტერესო ფაქტი ისიცაა, რომ ჩვენ რუსი ავტორების წყაროებსა და ფაქტებს ვიყენებთ და არა — ქართველებისას.**

**— რამდენად იყო საჭირო ამ წიგნის ასეთი ვერსიით გამოცემა? შეიძლება მაშინ ყველა ოკუპანტი ქვეყნის ისტორია საქართველოსთან მიმართებაში ცალკე წიგნად გამოვცეთ?**

— არასწორია ეს დამოკიდებულება. მართალია, დამპყრობლებს შორის იყვნენ მონღოლები, სპარსელები, ოსმალები და ა.შ. მათზე წერია კიდეც საქართველოს ისტორიაში. მაგრამ ეს პროცესი არ გრძელდება და ისინი არ ამბობენ, რომ საქართველო ჩვენ გვეკუთვნისო და არ აკეთებენ ისეთ განცხადებებს, როგორისაც რუსეთის მთავრობა და ხელისუფლება აკეთებს. ამიტომაა საჭირო, რომ დღევანდელმა მოზარდებმა კარგად იცოდნენ საკუთარი ისტორიის ფესვები.

**როცა საქართველოს ისტორიის წიგნები გადავშალეთ, უკმარისობის გრძნობა გაგვიჩნდა. მასში უფრო მეტად მსოფლიო ისტორიის მოვლენები სჭარბობს, ვიდრე კონკრეტულად საქართველოს ისტორიის. თანაც სახელმძღვანელოში წყაროები სჭარბობს, არადა, ბავშვს ისტორიულ წყაროზე მეტად მისი ინტერპრეტაცია სჭირდება.**

თუ ჩვენ ამ ისტორიას არ გავასწორებთ, არაჩვეულებრივად გააკეთებენ ამას სხვები; იგივე რუსები, აფხაზები, ოსები წერენ ამ ისტორიებს და ამახინჯებენ ფაქტებს. თუ ქართულ საზოგადოებას არ უნდა, რომ ეს ისტორიები გავასწოროთ, ისე დავწეროთ, როგორც იყო და მათ პასუხი გავცეთ, ეს სხვა საკითხია.

**გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი:**

— ამ წიგნის გამოცემა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. რა საჭიროა ცალკე წიგნი, როცა შეიძლება იმავე ფაქტებსა და მოვლენებს მთლიანად საქართველოს ისტორიის წიგნში გაეცნო.

**უნიჭო პოლიტიკის გამოვლინებაა ამ წიგნის გამოცემა; თითქოს უნდათ, ბავშვებში გასწიონ ანტირუსული პროპაგანდა. ოკუპირებული არ იყო საქართველო მაშინ, როცა ქართველი მეფეები საკუთარი ნებით სთხოვდნენ დახმარებას რუსეთს.**

XIX საუკუნიდან საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება და ბევრი უსამართლობაც მივიღეთ რუსეთისგან, მაგრამ მაინც საჭიროა, დიპლომატიური და გონივრული ნაბიჯების გადადგმა შეგვეძლოს და არა ასეთი ხისტი და ყოვლად გაუმართლებელის. იმ სიტუაციაში განსაკუთრებით, როცა ისეთ რამეს აკეთებ, იცი, ამაზე აუცილებლად ექნებათ უარყოფითი რეაქცია რუსეთის ხელმძღვანელ პირებს და ეს ერთგვარად ხელს შეგიშლის მასთან ისედაც კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალებაში.



**ვახტანგ ყოლბაია, „დემოკრატიული მოძრაობა":**

— ვეთანხმები იმას, რომ ისტორია დაუმახინჯებლად უნდა ისწავლებოდეს და აღარ უნდა განმეორდეს ის, რაც საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა, სპეციალურად დამახინჯდეს რეალობა. ისტორიული ფაქტების სწორად სწავლება შუღლისა და დაპირისპირების გაღვივების გარეშეც შეიძლება. არ შეიძლება ამ თემის ასე პოლიტიზირება და მისთვის მკვეთრი ელფერის მიცემა.

**დღეს რუსეთთან ასეთი დაძაბულობის ფონზე მიზანშეწონილი არაა ისტორიკოსის მხრიდან ასეთი ტონით ნათქვამი განცხადება რუსეთის მიმართ. ის, რაც მე ტელევიზიების საშუალებით მოვისმინე, ეჭვი არ მეპარება, რომ უფრო დაძაბავს რუსეთთან ჩვენს ურთიერთობას. ამან შეიძლება სხვა გაგრძელებებიც მოჰყვეს.**

ამ საკითხთან ფრთხილად მიდგომაა საჭირო. არაა აუცილებელი ცალკე წიგნი და ამხელა ყურადღება მიანიჭო რუსეთის ოკუპაციის ისტორიის სწავლებას. შეიძლება ამას ცალკე თავი გამოუყო საქართველოს ისტორიის წიგნში, მაგრამ ასე ერთ ცალკე წიგნად გამოცემა და ცალკე საგნად მისი სწავლება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. რას იძლევა ეს, არ ვიცი. როდესაც ავტორები ამბობენ, რომ წიგნის გამოცემა მხოლოდ დამახინჯებული ფაქტების გასწორებას ემსახურება, რატომ არ გააკეთეს ეს უკვე არებულ საქართველოს ისტორიის წიგნში?!

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

14 — 20 ივლისი, 2010 წელი. №26 (69)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხუან დომინგო პერონი და ევიტას აჩრდილი

**ხუან დომინგო პერონი 1895 წლის 8 სექტემბერს დაიბადა პატარა სოფელ ლობოსში. მისი წინაპრები იტალიელები იყვნენ, დედა ინდიელი ჰყავდა, თავად კი უკანონო ვაჟი იყო. წარმოსადეგმა, მიმზიდველმა ახალგაზრდამ სამხედრო კარიერა აირჩია. 1930 წლის სექტემბერში კაპიტანი ხუან დომინგო მონაწილეობდა გენერალ ხოსე ურიბურუს მიერ ორგანიზებულ გადატრიალებაში. სამხედროებმა რადიკალების ხელისუფლებას ბოლო მოუღეს და მართვის სადავეები კონსერვატორებს დაუბრუნეს.**





იმხანად მარია ევა დუარტე 12 წლისა ხდებოდა. იგი 1919 წლის 7 მაისს დაიბადა პატარა სოფელ ლოს-ტოლდოსში და ხუანა იბარგურენისა და ხუან დუარტეს უკანონო შვილი იყო. 1935 წლის იანვარში ევა ბუენოს-აირესში ჩავიდა და კინომსახიობი გახდა, თუმცა სახელი რადიომ მოუტანა. მთელი არგენტინა მას ღარიბებისთვის გათვალისწინებული პროგრამის წამყვანად იცნობდა.

1944 წლის 15 იანვარს ისინი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ — პოლკოვნიკი პერონი და ევა დუარტე — მსახიობი და რადიოსადგურ „ბელგრანოს" დიქტორი. ორი დღის შემდეგ პერონი ევიტას სტუდიაში ეწვია, ხოლო მოკლე ხანში გაზეთებში მათი ერთობლივი ფოტოები დაიბეჭდა...

1930-1940 წლები არგენტინის ისტორიაში „სამარცხვინო ათწლეულად" შევიდა. კონსერვატიულმა ოლიგარქიამ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა. პრუსიულ სამხედრო ტრადიციებზე აღზრდილი არგენტინელი ოფიცრები სულ უფრო მეტად იღებდნენ ორიენტაციას ნაცისტურ გერმანიაზე.

**გამონაკლისი არც პერონი გახლდათ. პირველი კონტაქტი გერმანიის სპეცსამსახურებთან მან ჩილეში დაამყარა, სადაც 1936-1938 წლებში სამხედრო ატაშე იყო, ხოლო 1939 წლის თებერვალში პოდპოლკოვნიკი პერონი ევროპაში გაემგზავრა. 1940 წლის მაისამდე იგი წვრთნებს იტალიის არმიის ალპურ ქვედანაყოფებში გადიოდა, შემდეგ გერმანიაში ჩავიდა, სადაც თვალყურს ადევნებდა ჰიტლერის სამხედრო წარმატებებს. პერონს ყველაზე მეტად მკაცრი წესრიგი ხიბლავდა, რის ნაკლებობაც ასე ძალიან შეიმჩნეოდა არგენტინაში. იგი ინტერესით შეისწავლიდა იტალიელი ფაშისტების სოციალურ პოლიტიკას და განსაკუთრებით აოცებდა მუსოლინი — ბრწყინვალე ორატორი.**

არგენტინაში დაბრუნების შემდეგ პერონი დაუახლოვდა თავის ახალ მეთაურს — გენერალ ელდემირო ფარელს, რომელმაც პოლკოვნიკი იმ საიდუმლო ორგანიზაციაში გააწევრა („გრუპო ორგანისადორ ი უნიპიკადორ"), ქვეყანაში გადატრიალებას რომ ამზადებდა.

1943 წლის 4 ივლისს არმიამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ოლიგარქების ხელისუფლებას, მაგრამ გამარჯვებულებს შორის ერთსულოვნება არ იყო. მსოფლიო ომის პირობებში ახალი პრეზიდენტი, გენერალი პედრო რამირესი აშშ-სა და ბრიტანეთის მოკავშირეობისკენ იხრებოდა, რომლებიც მკაცრად მოითხოვდნენ ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას გერმანიასთან. პოლკოვნიკი პერონი სათავეში ჩაუდგა საგანგებოდ შექმნილ შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამდივნოს. 1944 წლის თებერვალში რამირესი გადააყენეს, ხოლო კასა როსადას სასახლე ფარელმა დაიკავა. მოკლე ხანში პერონი ვიცე-პრეზიდენტად და სამხედრო მინისტრად დანიშნეს. პერონის პოპულარობა ევიტას წყალობითაც იზრდებოდა, რომელიც რადიოში აქტიურად ეწეოდა მისი პოლიტიკის პროპაგანდას.

ომის მიწურულს სამხედროებმა პერონის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს, რადგან ძალიან აღიზიანებდათ მისი კავშირი დესკამისადოებთან — „უპერანგოებთან" (ასე უწოდებდნენ არგენტინაში ღარიბებს), მაგრამ განსაკუთრებით ევიტას გავლენა აცოფებდათ. ორივეს თავიდან მოშორების საბაბი ოქტომბრის დასაწყისში გამოუჩნდათ. ქალაქის გარნიზონის მეთაურმა, გენერალმა ავალოსმა ევიტას რჩევით დანიშნული ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორის — ოსკარ ნიკოლინის გათავისუფლება მოითხოვა.

**პერონი არ დამორჩილდა, დატოვა ყველა პოსტი და ევიტასთან ერთად ჯარისკაცებით გარშემორტყმული სახლიდან საკურორტო ქალაქ ტიგრეში გაიქცა. სწორედ იქ დააპატიმრეს 1945 წლის 9 ოქტომბერს და მარტინ-გარსიას კუნძულზე მდებარე ციხეში გაამწესეს.**

ევა რომ არა, პერონი მზად იყო, ფარ-ხმალი დაეყარა. ბუენოს-აირესში დაბრუნებული ევა ფაბრიკებსა და მუშათა კვარტლებს ესტუმრა, პროფკავშირთა ლიდერებს შეხვდა. მუშებმა პერონის დაპატიმრება თავიანთი იმედების გაცრუებად მიიღეს და 1945 წლის 17 ოქტომბერს ბუენოს-აირესი ალყაში აღმოჩნდა.

**კასა როსადას წინ 200.000 კაცი სკანდირებდა: „პერონი! პერონი!" ევიტამ შეკრებილებს მიმართა: „თქვენ, დესკამისადოსები, პერონის არმია ხართ! იგი მოვიდა, რათა თქვენთვის უფლებები, შრომა და ბედნიერება მოეცა!"** პრეზიდენტმა ფარელმა განკარგულება გასცა, პერონი სასახლეში მიეყვანათ და ისიც ფარელისა და ავალოსის გვერდით გამოჩნდა. ფარელი გადაეხვია. ხალხი სიხარულმა მოიცვა. ასე იშვა პერონის მოძრაობა.

ხუთი დღის შემდეგ ხუანი და ევიტა დაქორწინდნენ, საქორწინო ცერემონია 10 დეკემბერს, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების წინ გაიმართა. პერონის წინააღმდეგ ყველა ძველი პარტია გაერთიანდა: კონსერვატორები, რადიკალები, სოციალისტები და კომუნისტები. ამერიკის ელჩმა სპრილ ბრეიდენმა „ლურჯი წიგნი" გამოაქვეყნა, სადაც ამხელდა სამხედროთა კავშირს გერმანიასთან. პერონმა ლოზუნგით უპასუხა: „ბრეიდენი ან პერონი!". 1946 წლის 24 თებერვლის არჩევნებში მან ხმების 54 პროცენტი მიიღო.

**არგენტინას ორნი მართავდნენ; ევიტა მარტოდენ პრეზიდენტის ცოლი როდი იყო. იგი დესკამისადოსების დედოფალიც გახლდათ. მუშები და გლეხები მას აღმერთებდნენ. პერონისტული რეჟიმის მეორე მხარედ მისი ავტორიტარული ხასიათი იქცა. პრესის თავისუფლება აბსოლუტურად შეიზღუდა, ოპოზიციას პოლიცია დევნიდა.**

ხელისუფლების პირამიდის თავში სახელმწიფოსა და პარტიის უმაღლესი ბელადი პერონი იდგა. მისი ძალაუფლების ინსტრუმენტად იქცა 1947 წელს შექმნილი პერონისტული პარტია.

სიტუაცია 1949 წელს შეიცვალა. „მარშალის გეგმიდან" არგენტინის გარიცხვამ იგი ევროპული ბაზრიდანაც გააძევა, ხოლო სოფლის მეურნეობის კრიზისმა ვალუტის დეფიციტი გამოიწვია, შედეგად, იმპორტის წილი დაეცა და მკვეთრად გაიზარდა ინფლაცია. კვლავ წამოიშვა უმუშევრობა, რაზეც მუშებმა გაფიცვებით უპასუხეს. თუმცა რეჟიმი ჯერ კიდევ პოპულარული იყო და ევიტამ გადაწყვიტა, თავისი საქმიანობა ვიცე-პრეზიდენტის პოსტით დაეგვირგვინებინა, მაგრამ სამხედროები განრისხდნენ. გენერლებს იმის გაგონებაც არ სურდათ, რომ ეს „კახპა" მათი მთავარსარდალი გახდებოდა. 1951 წლის 31 აგვისტოს ევიტამ უარი განაცხადა დაწინაურებაზე, რადგან ბრძოლის უნარი აღარ შესწევდა — ავთვისებიანი ლეიკემია პროგრესირებდა. ევიტამ პერონის ტრიუმფამდე იცოცხლა — ბოლოსდაბოლოს, ეს მისი ტრიუმფიც იყო!

**1951 წლის 11 ნოემბრის არჩევნებში პერონმა ხმათა 64 პროცენტი მიიღო. „ნაციის სულიერი დედა" კი 1952 წლის 26 ივლისს გარდაიცვალა.** 9 აგვისტოს სამგლოვიარო პროცესია შრომის სამინისტროდან კონგრესის შენობისკენ გაემართა. კუბოს პერონი, ევას დედა, ძმა და დები და კიდევ 2.000 კაცი მიჰყვებოდნენ. 10 აგვისტოს კიდევ ერთმა პროცესიამ ცხედარი შრომის საყოველთაო კონფედერაციის შტაბბინაში მიასვენა და ბალზამირების სასწაულით უხრწნელად აქცია. სამაგიეროდ, ოპოზიციის სათავეში ევიტას კულტით აღშფოთებული კათოლიკური ეკლესია ჩადგა.

**1955 წლის 16 ივნისს აჯანყდა ფლოტი და სამხედრო-საჰაერო ძალები. თვითმფრინავები კასა როსადას სასახლესა და იქ შეკრებილ მუშებს ბომბავდნენ.** ქვეითმა ჯარმა აჯანყებას მხარი არ დაუჭირა და აგონია გაგრძელდა. 1955 წლის 16 სექტემბერს არგენტინული კათოლიციზმის ცენტრში — კორდოვაში დაბანაკებული ჯარები ამბოხდნენ. სასტიკი ბრძოლები ბუენოს-აირესში რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ასობით ადამიანი დაიღუპა. პერონმა წინააღმდეგობა შეწყვიტა.

**1974 წლის 4 ივლისს არგენტინამ პრეზიდენტი პერონი მიწას მიაბარა. კუბოს გვერდით ქალი იდგა — არგენტინის ახალი პრეზიდენტი ისაბელ პერონი. სინამდვილეში მას მარია ესტელა მარტინესი ერქვა, ისაბელი მხოლოდ სასცენო ფსევდონიმი იყო. გაძევებული გენერლის სიცოცხლის ბოლო წლებში ისაბელა ჯერ მისი მდივანი, შემდეგ კი ცოლი გახდა. გარეგნულად იგი არაფრით ჰგავდა ევიტას, მარტო მისნაირი ვარცხნილობა ჰქონდა, მაგრამ პერონმა ისაბელიტა აამაღლა იმისთვის, რომ ლეგენდისთვის ახალი სიცოცხლე შთაებერა.**

მას შემდეგ, რაც პერონმა კასა როსადა დატოვა, 18 წლის განმავლობაში 8 პრეზიდენტი, მათგან ხუთი გენერალი, ერთმანეთს ცვლიდა მის სასახლეში, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოახერხა ქვეყნისთვის მცირე სტაბილურობისა და სიმშვიდის მოტანა. **თავიანთ ამოცანას ისინი იმაში ხედავდნენ, რომ ხალხის მეხსიერებიდან პერონი და ევიტა ამოეშალათ.**

გადატრიალების შემდეგ სასახლე მნახველთათვის გააღეს. იქ მისულებს სუნთქვა შეეკრათ: ევიტას ბუდუარში ძვირფასი ქვებით სავსე ზარდახშები იდგა, ოქროს ბულბული ოქროსავე ტელეფონის ზარის მაგივრობას ასრულებდა. მსოფლიოს დიდ რუკაზე, რომელიც ასევე ოქროსი იყო, ძვირფასი ქვებით კონტინენტები, ხოლო დიდი ალმასებით დედაქალაქები იყო აღნიშნული. ექსპერტთა შეფასებით, ევიტამ დაახლოებით 100 მლნ დოლარი მიითვისა.

თუმცა ხელისუფლების ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდა. პერონისტული მოძრაობა კვლავ სიცოცხლისუნარიანი იყო. ხელისუფლებას განსაკუთრებით ევიტას უხრწნელი ცხედარი აშინებდა.

**1971 წლის სექტემბერში პერონი ესპანეთში არგენტინის ელჩმა მოინახულა და სარკოფაგი გადასცა. ამ სიმბოლური ჟესტით ალეხანდრო ლანუსე — კასა როსადას მორიგი გენერალი თითქოსდა მიანიშნებდა უკვე ხანდაზმულ პერონს, რომ არგენტინელები კვლავაც მზად იყვნენ, მისთვის თავიანთი ბედ-იღბალი მიენდოთ.**

არგენტინაში პერონი 1972 წლის ნოემბერში, ისაბელის თანხლებით ჩავიდა, მოიწონა ხუსტისიალისტური გამათავისუფლებელი ფრონტის შექმნა და მცირე ხანში ესპანეთში დაბრუნდა, ხოლო ფრონტის კანდიდატმა ექტორ კამპორამ იოლად გაიმარჯვა 1973 წლის მარტის არჩევნებში. პერონისტები კვლავ ქვეყნის სათავეში მოვიდნენ. 20 ივნისს კამპორამ პირადად ჩაიყვანა პერონი სამშობლოში, ხოლო 13 ივლისს, 49-დღიანი მმართველობის შემდეგ, გადადგა.

**23 სექტემბრის ვადამდელი არჩევნების შედეგად პერონი ისევ კასა როსადაში აღმოჩნდა, ხოლო ისაბელიტა ვიცე-პრეზიდენტი გახდა.**

1974 წლის 1 მაისის მიტინგზე პერონი გაცივდა, ბრონქიტით დაავადდა და გულმა უმტყუნა. 1974 წლის 17 ნოემბერს კი პრეზიდენტმა მარია ესტელა მარტინეს დე პერონმა ესპანეთიდან ევიტას ნეშტიანი სარკოფაგი ჩამოიტანა...





ხუან დომინგო და ევიტა პერონი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ლიჩო ჯელი — ტერორიზმის მეტრი და მასონური ლოჟის დიდი მაგისტრი

**იმ გონჯ და საზარელ სამყაროში, სადაც ტერორი მეფობს, „რუხი მეთოჯინეებიც“ არსებობენ. მათი კრიმინალური ტალანტის წყალობით, გაუხსნელი რჩება ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობები და საზარელი ტერაქტები. ბოროტმოქმედებათა სიდიდით, დაღვრილი სისხლის რაოდენობით, ნარკობრუნვით, მრავალსაფეხურიანი ტერორისტული კომბინაციების ვირტუოზულობითა და კვალის დაფარვის ოსტატობით მისნაირთა წრეში ყველაზე ავტორიტეტულად ლიჩო ჯელი — მასონური ლოჟის — „პროპაგანდა 2“-ის დიდი მაგისტრი მიიჩნევა.**


ლიჩო ჯელი

შავტუხა ბიჭუნა ლიჩო ჯელი ამ ქვეყანას 1919 წელს მოევლინა ჩრდილოეთ იტალიაში. ფლორენციიდან 50 კმ-ში მდებარე პატარა ქალაქი პისტოა თითქოსდა არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ სწორედ აქ იშვა ქვეყნის ისტორიაში პირველი მასონური ლოჟა.

სკოლის დამთავრების შემდეგ დუჩეს თაყვანისმცემელი ლიჩო იტალიელ ფაშისტ მოხალისეთა კორპუსში ჩაეწერა. მალე ოფიცრის წოდებაც მიიღო და სამხედრო კარიერა ალბანეთსა და იუგოსლავიაში განაგრძო.

1944 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ძარცვაში, რაც შემდგომ მის საქმიანობად იქცა, ოღონდ უკვე საერთაშორისო მასშტაბით.

**იტალიის სპეცსამსახურებმა ჯელი იმ განგსტერული ჯგუფში ჩარიცხეს, რომელმაც ბელგრადში იუგოსლავიის ცენტრალური ბანკის ოქროს მარაგი გაიტაცა. იუგოსლავიაში ლიჩომ ერთ ჯერზე 6 ტონა ოქროს ზოდები და 2 ტონა ძველებური მონეტები გაიტანა. ომის მიწურულს იგი ბანდიტი ეს-ეს-ელიდან ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლად გადაიქცა.**

1944 წლის ოქტომბერში ჯელი მშობლიურ ქალაქში მისი „ჰეროიზმის“ დამადასტურებელი დოკუმენტებით ჩავიდა. თუმცა, ლიჩოს არავინ დაუჯერა და ისიც იძულებული შეიქნა, პარტიზანების შურისძიებას ხან ჩრდილოეთ იტალიაში, ხანაც — სარდინიაში დამალვოდა, შემდეგ კი არგენტინაში დაფუძნდა, სადაც მომავალი დიქტატორის — პერონის თანამოაზრეებს მიემხრო.

ამავე დროს იგი არ ღალატობდა ომისდროინდელ გატაცებას — დოსიეების, უფრო ზუსტად კი, დეტალური მამხილებელი მასალების შეგროვებას მთელ მსოფლიოზე, შემდეგ კი მათ ბითუმად და ცალობით, იაფად ან ძვირად, მაგრამ მუდამ გონივრულად და პერსპექტიულად ყიდდა. ამასთან, იზრდებოდა მისი ქონებაც და ადგილ-მამულებიც არგენტინაში, ურუგვაიში, ჩილეში, პარაგვაიში, მექსიკასა და ბრაზილიაში.

**1948 წელს ლიჩო იტალიაში დაბრუნდა, იტალიის საიდუმლო სამსახურების ინფორმატორად იქცა და „ნულიდან“ დაიწყო ბიზნესი. შეიძინა მდიდრული ვილა და მთელი ქვეყნის მასშტაბით კაპიტალის წარმომადგენლებთან კავშირები დაამყარა. მალე ყოფილი ინფორმატორი გავლენიან და საშიშ ფიგურად გარდაიქმნა.**

ჯერ კიდევ 1925 წელს, როცა ლიჩო სულ ექვსი წლის იყო, მუსოლინიმ მასონური საქმიანობა აკრძალა იტალიაში, თუმცა ეს აკრძალვა მხოლოდ ლოჟის ლიბერალურ ფრთას — „იუსტინიანეს სასახლეს“ შეეხო, ხოლო „ალამის დიადი და უწმინდესი ლოჟა“ („იესოს მოედანი“), რომელიც მხარს უჭერდა ფაშიზმს, მხოლოდ მის კრახთან ერთად დაცარიელდა. **„საზოგადოებრივი მორალისა და ტრადიციის დასაცავად“ ახალი მასონური ლოჟები უნდა წარმოქმნილიყო, რომლებიც „ფულიანი ტომრების,“ მაფიისა და იმ ამერიკელების ინტერესებს შორის მოახდენდა ლავირებას, ვისაც თვალი ეჭირა ომის შემდგომ იტალიაზე.** სწორედ ამერიკულმა სადაზვერვო სამსახურებმა იტვირთა „იუსტინიანეს სასახლისა“ და „იესოს მოედნის“ შერიგება და გაერთიანება. 1960 წელს ყველა მასონური ლოჟა „იტალიის დიადი აღმოსავლეთის“ ლოჟად გაერთიანდა. ამის პარალელურად მიმდინარეობდა „პროპაგანდის“ ლოჟის აღდგენაც (ლოჟა „პროპაგანდა №2“ 1885 წელს ბანკირმა ადრიან ლემიმ შექმნა), რომელსაც მასონური პოლიციის როლი უნდა შეესრულებინა.

**ამისთვის კი განსაკუთრებული ხელმძღვანელი იყო საჭირო — ორსახოვანი იანუსის თვისებების მქონე კაცი, რომელიც ძირგამომთხრელი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას შეძლებდა. არც ერთი დიდი მაგისტრი ამ საქმისთვის არ გამოდგებოდა და ამერიკელებმა ასეთ კაცად ჯელი მიიჩნიეს... იმხანად იგი „მოძმე ქვისმთლელთა“ იერარქიაში ერთობ დაბალ საფეხურზე იდგა, მაგრამ მისი ძალიან ეშინოდათ...**

1969 წელს ჯელი ამერიკული და აპენინების მასონობის ხიდად იქცა და თავად ჯელიოტი, იტალიის საიდუმლო ორგანიზაციების მამა შეცვალა. მომდევნო წელს ლიჩო მასონების პუბლიკაციების ზედამხედველად იქცა — მას უცხოელ მასონებსა და ცსსთან ურთიერთობების შენარჩუნებასაც ანდობდნენ. ეს კი მხოლოდ დიდი მაგისტრის პრეროგატივა იყო. 1971 წელს იგი ლოჟის საორგანიზაციო მდივნად დანიშნეს, რის შემდეგაც ლოჟას „ჯელის ჯგუფი — პროპაგანდა 2“ ეწოდა.


რომის პაპი პავლე VI და რობერტო კალვი

**ტერორს საფუძველი 1969 წლის დეკემბერში ჩაეყარა. მილანში, აფეთქების შედეგად, ერთ-ერთი ბანკის შენობაში ასამდე კაცი დაიჭრა და დაიღუპა. ამ ტერაქტმა მოძრაობის ვეტერანები შეაშფოთა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. „იტალიის დიადი აღმოსავლეთის“ ახალმა ხელმძღვანელმა სალვინიმ, „პროპაგანდა 2“-ში მაღალჩინოსანი სამხედროების მიღების შემხედვარემ, ვარაუდი გამოთქვა: „ჯელი ქვეყანაში გადატრიალების მოწყობას ხომ არ აპირებს?“ და არც შემცდარა.** მართლაცდა, ჯელი პირადად ხელმძღვანელობდა ფაშისტი იერარქის — ბორგეზეს პუტჩს, რომლის ხალხმაც 1970 წლის დეკემბერში იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა დაიკავა, იქ შეიარაღდა და რომის ტელევიზიის შენობის ასაღებად მზადებაც დაიწყო, რათა ახალი დიქტატორი გამოეცხადებინა. თავად სალვინიმ სცადა, დროულად დაეტოვებინა „ხომალდი“ და ახალი ლოჟა „პროპაგანდა 1“ შექმნა, მაგრამ **1975 წელს იძულებული შეიქნა, დაემტკიცებინა „პროპაგანდა 2“-ის განსაკუთრებული სტატუსი, ხოლო თავად ჯელი „საპატიო მაგისტრად“ — ლოჟის კანონიერ ხელმძღვანელად ექცია.**

გარეგნულად ლიჩოს ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა მდიდარი ბიზნესმენის ცხოვრებისგან: ზრდიდა ვაჟს მაურიციოს, მიირთმევდა თავის საყვარელ ვერმუტს, დილაობით კონტრასტულ შხაპს იღებდა; არ ვაჭრობდა ნარკოტიკებით, არ ამარაგებდა მოჯანყეებს იარაღით, არ უსაფრდებოდა ბანკირებსა და პოლიტიკოსებს სადარბაზოებში და, მით უფრო, თავად არავის კლავდა. სამაგიეროდ, ამ ყველაფერს მკაცრად აკონტროლებდა. **ჯელის ლოჟის ნამუსზეა „წითელი ბრიგადების“ დამფუძნებლის, ექსცენტრიკოსი მილიონერი რევოლუციონერის ფელტრინელის დაღუპვაც, ვისთან ერთადაც მზის ქვეშ ადგილი ვერ გაიყო... მასონურმა შურისძიებამ უწია რობერტო კალვის: იგი ჩამომხრჩვალი ნახეს შავი ბერების ხიდთან. გისოსებს მიღმა ალაპარაკებული მასონი ბანკირი მიქელე სინდონი საკანში, ყავაში გარეული ციანმჟავა კალიუმით მოწამლეს...**

ფინანსური გვარდიის პოლკოვნიკმა სალვატორე ფლავიომ სამჯერ სცადა ცნობების მოპოვება ლოჟა „პროპაგანდა 2“-ის ხელმძღვანელზე, რის შემდეგაც იგი ჯერ ჩამოაქვეითეს, შემდეგ კი საავტომობილო კატასტროფაში „მოყვა“... მისი თანამოაზრე ლუჩანო როსი, რომელმაც ჯელიზე დოსიეს შედგენა მოახერხა, ტყვიით თავგახვრეტილი იპოვეს; ბოლონიის სადგურზე მომხდარი აფეთქების მონაწილე ალდო სემერარის ციხეში ყელი გამოჭრეს, რომ არაფერი წამოსცდენოდა.

1978 წელს „პროპაგანდა 2“-მა „წითელ ბრიგადებთან“ ერთად, რომელსაც იარაღით ამარაგებდა, ქვეყნის ყოფილი პრემიერი, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი ალდო მორო მოკლა.

მანამდე, 1975-1976 წლების მიჯნაზე **ჯელი იტალიის „დემოკრატიული აღორძინების გეგმის“ განხორციელებას შეეცადა, რისთვისაც „თავისუფლების სახელით“ უნდა გაეუქმებინათ რომის რადიო და ტელევიზია. ჯელიმ გადაწყვიტა, იტალიელებისთვის ისეთი ინფორმაციის მიღების საშუალება მოესპო, რომელიც მისი ჯგუფის მიერ არ იქნებოდა შეთხზული და გაყალბებული. იტალია მდიდრების კომიტეტს უნდა ემართა, ხოლო პოლიტიკოსებს მათი ბრძანებები შეესრულებინათ, რათა ქვეყანა „საერთაშორისო მასონობისთვის“ დაექვემდებარებინათ.**

სწორედ ამ გეგმის განხორციელებას აღუდგა წინ მორო, ვისაც არც ის აპატიეს, რომ იტალიის კონსტიტუციის მე-18 მუხლის შედგენაში მონაწილეობდა, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში საიდუმლო ორგანიზაციების შექმნა და საქმიანობა იკრძალებოდა. 1978 წლის 16 მარტს, მორო მოიტაცეს. იმის გათვალისწინებით, რომ საიდუმლო სამსახურები, რომლებსაც ტერორისტების დაკავება და მოროს გათავისუფლება ევალებოდათ, „პროპაგანდა 2“-ის ხელში იყო, ნათელია, რომ აქტივისტ დემოკრატ-ქრისტიანს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა.

დანაშაულში ჯელის ხელი რომ ერია, ამის დამტკიცება ვერ შეძლეს, რადგან გრასინი — იტალიის შსს-ს საიდუმლო სამსახურის უფროსი, ლოჟა „პროპაგანდა 2“-ის წევრი გახლდათ.

**ჯელის იმხელა გავლენა ჰქონდა, ხოლო ლოჟა ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ მაგისტრმა პერონის მხარდაჭერა შეძლო ხელისუფლების სათავეში დაბრუნებისას. პრეზიდენტის მეგობარიც გახდა და მისი მეუღლის იზაბელიტეს ფავორიტს, მისტიკოსსა და ჯალათ ლოპეს რეგის დაუახლოვდა, რომელსაც არგენტინაში „სიკვდილის ესკადრონების“ ერთ-ერთ შემქმნელად ასახელებენ. მალე ჯელი მასონთა დახმარების მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა.**

1981 წლის 18 მარტს იტალიის პოლიციამ მაგისტრის ვილა „ლანდაში“ ჩხრეკა ჩაატარა და ბოსტანში სეიფი აღმოაჩინა, რომელშიც მასონური ლოჟის წევრთა სიები იდო. ამბობენ, რომ **იტალიის მაშინდელ პრეზიდენტს ალესანდრო პერტინის კიანტით — ორდინარული ღვინით ასულიერებდნენ, როცა სახელები იხილა. სიაში იყვნენ: 3 მინისტრი, 23 დეპუტატი, 10 პრეფექტი, კარაბინერთა კორპუსის 10 გენერალი, ფინანსური გვარდიის 7 გენერალი, 6 ადმირალი, სახელმწიფო კომპანიათა 83 პრეზიდენტი, ბანკების 12 გენერალური დირექტორი, მოსამართლეები, პროკურორები, ჩინოვნიკები.**

სანამ ლოჟის საქმიანობის გამოძიება მიმდინარეობდა, ჯელი თავს სამხრეთ ამერიკას აფარებდა. საპარლამენტო კომისიამ დაადგინა, რომ ლოჟის ხელი ერია ურიცხვ ტერორისტულ აქტში. გამოაშკარავდა, ასევე, რომ **ჯელი აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიებსა და ამერიკის პრეზიდენტების — ფორდის, კარტერისა და რეიგანის ინაუგურაციებშიც მონაწილეობდა.**

1982 წლის 13 სექტემბერს, გარეგნობაშეცვლილი და ჯიბეში ორპასპორტიანი მაგისტრი მშვიდად და ღირსეულად შეეცადა ჟენევის ბანკიდან თავისი „დანაზოგის“ — 120 მლნ დოლარის გამოტანას. შვეიცარიელებმა, უსიამოვნებების თავიდან ასარიდებლად, ინტერპოლს მიმართეს და ლიჩო დააპატიმრეს. მასონების ხელმძღვანელმა თითქმის წელიწადი დაჰყო ცნობილ შვეიცარულ ციხე შან-დოლონში, ხოლო მშობლიურ იტალიაში დეპორტაციამდე 10 დღით ადრე მიუდგომელი საპყრობილიდან გაიქცა.

**მაგისტრი რამდენიმე წლის განმავლობაში არ გამოჩენილა. 1989 წლის გაზაფხულზე კი აპოლოგეტური წიგნი „ჭეშმარიტება“ გამოსცა. ამბობენ, რომ ბოლოს იგი 1998 წელს საფრანგეთში ნახეს, შემდეგ კი ტერორიზმის მეტრის კვალი ლათინურ ამერიკაში მიიკარგა. ზოგიერთი მონაცემით, დიდი მაგისტრი შვეიცარიაში მოკვდა ან მოკლეს...**


მასონი ბანკირი რობერტო კალვი


მოროს მკვლელობა

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ეგრისი

## ზურტაკეტი

**დიდ და პატარა გომარეთს ერთი მცირე ხევი ჰყოფს. დიდი გომარეთი ამ ხევის დასავლეთითაა, პატარა გომარეთი — აღმოსავლეთით და მას, რატომღაც, ძველი გომარეთიც ჰქვია. რატომღაცო, იმიტომ ვამბობთ, რომ თუნდაც V საუკუნის ქრისტიანული სტელების მიხედვით, უფრო ძველ დასახლებას დიდი გომარეთი ჰგავს — აღარაფერს ვამბობთ მის 5 ძალიან საინტერესო ეკლესიაზე, რომელთაც წინა მოგზაურობაში გავეცანით. პატარა გომარეთში მხოლოდ ერთი საყურადღებო ძეგლია.**



პატარა გომარეთის „ღვთისმშობელი“

პატარა გომარეთის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სუფთად გათლილი დიდი, ერთნაირი ზომის რუხი ტუფის კვადრებითაა ნაგები, სოფლის ცენტრში დგას. იგი ახალი აღდგენილია... მას განახლებული აქვს ფრონტონები და სახურავი. რესტავრატორებს ხელი არ უხლიათ ეკლესიის თანადროული სამხრეთის მინაშენისთვის და ვფიქრობთ, კარგადაც მოქცეულან, ამ სარისკო საქმეზე უარი რომ უთქვამთ. მინაშენის დაკონსერვებული კედლები 170-200 სმ-ის სიმაღლემდეა შემონახული, ანუ იმ დონემდეა დატოვებული, სადამდეც კარიბჭის ორთაღედი უწევს. ტაძარი მშვენივრად გამოიყურება და კარგი აღსაქმელია, აღმოსავლეთ ფასადთან გაქვავებული, შეკაზმული, ბედაურის ფონზე. ტაძრის ფასადებზე სამკაულები არ გვხვდება. ერთი ესაა, რომ აღმოსავლეთის ვიწრო სარკმელს კოხტა წარბი აქვს, ხოლო საყდრის ძირითადი დარბაზის სამხრეთ კარის დიდ ბალავარს — ძალიან ლამაზი, ტოლმკლავა, ბუნიანი ჯვარი. ის მოკლე ფრაგმენტი ძელი წარწერისა, რომელიც გაჭირვებით გაურჩევია 100 წლის წინათ ექვთიმე თაყაიშვილს, დღეს აღარანაირად არ იკითხება. არადა, ამ წარწერაშიც თრიალეთ-ზურტაკეტის ცნობილი პატრონი ლიპარიტ III თუ ლიპარიტ IV იკითხებოდა თურმე: „ქრისტე შეიწყალე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი“.

* * *

**პატარა გომარეთში, ისევე როგორც დიდ გომარეთში და მამულაში მთლიანად ქართველობა ცხოვრობს. ამ სოფლებს ადრე მხარში ედგა პატარა გმარეთიდან სამხრეთით, გომარეთის წყლისა და ყარაბულახის შესართავთან ახლოს, ხევის პირზე, გაშენებული სოფელი ეგრისი, რომელიც XVIII საუკუნეში 100 კომლს, ხოლო ამ ასიოდ წლის წინათ ერთადერთ მოსახლეს ითვლიდა.**

ექვთიმე თაყაიშვილი პირადად ყოფილა ამ ოჯახში და დიდხანს უსაუბრია მის უფროსთან — უშვილოდ გადაგებულ თავად შალიკაშვილის ქვრივთან მარიამ (მართა) ლარაძესთან. მისი მამა ყოფილა ივანე ლარაძე, დიდი პაპა კი თეიმურაზ II-ის დროინდელი კარის მოძღვარი, დეკანოზი გიორგი ლარაძე. გიორგის შვილთაგან ერთ-ერთი — პეტრე ლარაძე ერეკლე მეორის მწიგნობარი იყო და შექმნილი აქვს დიდი ისტორიულ-სათავგადასავლო ეპოსი — ახალი „დილარიანი“ (ძველი „დილარიანი“ — სარგის თმოგველის XII საუკუნის საარაკო წიგნი — უკვალოდაა გამქრალი).

სოფლისთვის ეგრისი (ეგრი) შეურქმევია სამეგრელოდან, ანუ ძველი ეგრისიდან, გადმოსახლებულ ლარაძეების უშორეს წინაპარს. როდის მოხდა ეს ამბავი, არავინ არ იცის, მათ შორის არც ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელსაც 1735 წელს შედგენილ რუკაზე, შესაბამის ადგილზე, ერთის ნაცვლად ორი „ეგრი“ აქვს აღნიშნული. ეს იმას ნიშნავს, რომ მის დროს არსებული ტოპონიმი „ეგრი“ ძალიან ძველი იყო, თორემ, უფრო ადრინდელი სახელი რომ ცოდნოდა, ბატონიშვილი აუცილებლად მას გამოიყენებდა. გაოცებას იწვევს ერთი ფაქტი: 1727 წლის საბუთის მიხედვით, ეგრისის ბატონებად პაატაშვილები არიან დასახელებულნი, ლარაძეების ბატონობა კი მხოლოდ 1801 წლიდან დასტურდება. აქედან ორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: 1. პაატაშვილი ლარაძის ადრინდელი განაყოფი გვარია. 2. ძალიან დიდი ხნის წინათ (შესაძლოა ბაღვაშთა ზურტაკეტში გამოჩენის დროს) აქ ჩამოსახლებული ეგრისელი ლარაძეები, გარკვეული პერიოდის შემდეგ, საეკლესიო მოღვაწენი გახდნენ. ბატონიშვილთა შეთქმულებაში მონაწილე პეტრე ლარაძის პეტერბურში გადასახლების და იქ გარდაცვალების (1837 წ) შემდეგ, როგორც ჩანს, გვარში დამკვიდრებული საეკლესიო სამსახურის ტრადიცია თანდათან დაიკარგა. 1801 წლიდან რომ ლარაძეთა ბატონობა იკვეთება ხელახლა ეგრისში, ესენი, ალბათ, იოსებ გიორგის ძის შთამომავლები არიან. ლარაძეთა მთავარი გასაჭირი ის იყო, რომ მათგან შთამომავალი მხოლოდ იოსებს დარჩენია ივანეს სახით, ხოლო ივანეს — მარიამი (მართა). როგორც სავარაუდოა, პეტრე ლარაძის სხვა ძმების უშვილობაც მათი სამონასტრო ცხოვრების შედეგია. ახლა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მარიამ ივანეს ასული ლარაძე-შალიკაშვილიც უშვილოდ აღესრულა, მაშინ სოფელ ეგრისის გადაშენების უმთავრესი მიზეზიც ცნობილი გახდება. არადა, თბილისიდან ეგრისში წასული და დამკვიდრებული თავადის ქვრივი ბოლომდე იღვწოდა, თურმე, სოფლის გადასარჩენად, რაშიც სულ მალე დავრწმუნდებით.

* * *

სისხამი დილაა. გომარეთელებმა ეს-ესაა საქონელი ნახირში გადენეს, რომ სოფელს რამდენიმე მიკროავტობუსი მიადგა. ზოგი „სანტეს“ ეკუთვნის, ზოგი — „ეკოფუდს“. მანქანებთან მოსახლეობის რიგი გაჩნდა — ისეთი რძე მოაქვთ, ავ თვალს არ დაენახება—სქელი, ყვითელი ნაღები აქვს მოგდებული. ზოგიერთი გამრჯე ოჯახი აქ ყოველ დილას 100 ლიტრ რძეს მაინც აბარებს... გომარეთის პლატოს მსგავსი ყუათიანი და გაშლილი სათიბ-საძოვრები ხომ იშვიათობაა. გავავლოთ პარალელი:

1903 წელს დასტამბული პეტრე ლარაძის „დილარიანის“ წინასიტყვაობაში გომარეთელი მღვდელი ზაქარია გულისაშვილი, ალბათ, ამ წიგნის გამომცემლის ქალბატონ მართა შალიკაშვილის გულისტკივილს გადმოგვცემს, როცა წერს:

**„დიდი არ არის ეს დალოცვილი მამული (საუბარია მ. შალიკაშვილის მამულზე — გ.ქ.) სულ 700 დესეტინაა (დაახლ. 1500 ჰექტარი), მაგრამ ქართველობას დიდ სამსახურს გაუწევს. თრიალეთი, სადაც მდებარეობს ეს მამული, გახდა გერმანელთა და სხვა უცხო ხალხისთვის ყველის წარმოებით ჯიბის ოქროთი გამტენ სახსრად. გოლანდია, შვეიცარია, ფინლანდია და ან რომელი მხარე განვითარებული ევროპისა არ აცხოვრებს თავის მკვიდრთ რძის წარმოებით: ოქროს ფასი აქვს რძეს და ქართველებისავთის კი იგი ფუჭი კაკალია. თუ არ შეისწავლე კაცმა ეს დარგი წარმოებისა, ისე ცდა ამაოა...“**



ეგრისის „ღვთისმშობელი“



ეგრისის „წმ. ნიკოლოზი“

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ეს მოსაზრება ნაწილობრივ გაითვალისწინეს და გომარეთის პლატოზე „ეგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა“ შექმნეს, სადაც დიდძალი რძე და ყველი იწარმოებოდა. ახლანდელი მასშტაბები იმასთან რა მოსატანია!..

ეგრისის ნასოფლარი დღეს მხოლოდ ეკლესიებით თუ იცნობა, თორემ სხვა კვალი აქ აღარა არის რა.

აქ სამი საგულისხმო ტაძარია. პირველი, ღთისმშობლის სახელობის საყდარი (XIII-XIV სს.) ამ ასი წლის წინათაც კარგად ყოფილა მოვლილი. მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კიდევ ერთხელ შეუვლიათ ხელი და ახლა, გალავნის ნარჩენი ლოდების ფონზე, საღსალამათად გამოიყურება. იგი ნაგებია კარგად გათლილი და მჭიდროდ მორგებული ტუფის კვადრებით, რომელთა ფერები: რუხი, ღვინისფერი, მოყვითალო და ვარდისფერი ტონალურად შეუმჩნევლად გადადის ერთმანეთში. ამასთანავე წყობაში ზოგან საგანგებოდ არის დარღვეული თარაზულობა, რაც ერთგვარ მხატვრულ ელემენტს ჰქმნის. აღმოსავლეთ სარკმლის ღვინისფერი საპირე ქვის ქვევით, მიწამდე, ერთი უშველებელი რუხი ფილა დევს. ტაძარს არანაირი სამკაული არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალჩადგმულ გოლგოთის ჯვარს. საყდარი შიგნით მოხატული ყოფილა ადრე.

მეორე საყდარი, რომელიც, გადმოცემით, წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა, პირველი ეკლესიიდან სამხრეთით, ორას მეტრში დგას. ეს ტაძარი გაცილებით ადრინდელი, X-XI საუკუნეებისა უნდა იყოს. იგი ნაგებია უხეშად დამუშავებული, მაგრამ თანაბარი ზომის კვადრებით და ზუსტი თარაზულობით. საყდარს, სამწუხაროდ, მორღვეული აქვს სამხრეთ-დასავლეთ კუთხე და საბურველი. კამარებიდან შემორჩენილია მხოლოდ ერთადერთი თაღი, რომელიც პილასტრის კაპიტელებიდან გადადის. შიდა სივრცე დაყოფილია 3 ნაწილად: საკურთხევლის აფსიდად და დეკორატიული დაღედებით შექმნილ ორ მონაკვეთად. ერთადერთი, სამხრეთის შესასვლელი შიგნით თაღოვანია, გარედან არქიტრავული. მის ზევით, ოდნავ აღმოსავლეთით, წყვილი ხაზით გარშემოწერილი მარტივი ჯვარი ზის.

ამ ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით, ორასიოდ ნაბიჯზე დგას ეგრისის მე-3 და, ალბათ, ყველაზე საინტერესო ძეგლი — „ნათლისმცემელი“, რომელიც ასევე X-XI საუკუნის ნაგებობაა, მაგრამ მას წმინდა ნიკოლოზისგან ორი რამ განასხვავებს: აქაურ კედლებში დიდი და დაუმუშავებელი ლოდებიც დევს, რაც ფასადებს უფრო ცხოველმყოფელსა და არქაულს ხდის. ამით, ბუნებრივია, წყობა ქაოსურია. გარდა ამისა, „ნათლისმცემელს“ სამხრეთიდან, მთელ სიგრძეზე, გასდევს მინაშენი, რომლის დასავლეთ მონაკვეთში ჩადგმულია მაღალი, თაღოვანი კარიბჭე. ტაძარს შემორჩენილი აქვს მარტივი ლავგარდანი და მთლიანი კამარა, მაგრამ ზედ, კრამიტისა თუ ლორფინის ნაცვლად, ბალახი გადადის. აღმოსავლეთ სარკმლს წარბის თავსა და ბოლოში ორი მცირე, ე.წ. ბოლნური ჯვარია, ხოლო დასავლეთ ფრონტონში კიდევ უფრო დიდი და ლამაზი ასეთივე ჯვარი. იგი ორფა წნულით მოჩარჩოებულ ქვაზეა ამოკვეთილი. ეს არის და ეს, სხვა სამკაულს კედლებზე ვერ შევხვდებით. საკურთხევლის აფსიდაში სამი სარკმელია: ერთი ცენტრში და ორიც აქეთ-იქით არსებულ ისეთ ღრმა ნიშებში, რომლებშიც კაცი დაეტევა. გამჭვარტლული ტრაპეზის ქვის შუაგულში მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი ზის.

ექვთიმე თაყაიშვილისგან ვიცით, რომ მისი ეგრისში ყოფნისას მარიამ ლარაძე-შალიკაშვილისა, თურმე სწორედ ამ ეკლესიის აღდგენას ეშურებოდა. ახლა ძნელი დასადგენია, ბოლომდე მიიყვანა თუ არა მან ეს საქმე, მაგრამ გადმოცემით ცნობილია, რომ თავადის ქვრივი სწორედ ამ ეკლესიაშია დაკრძალული. ეგრისელი ქალბატონის საფლავის ქვას ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ სანაცვლოდ ადგილზე დაგვხვდა ის ორი წარწერიანი ქვა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ჰქონდა ნანახი მინაშენში. წმინდა ექვთიმემ ეს წარწერები მიახლოებით ასე წაიკითხა:

**1) „სახელითა ღმრთისაითა მე გიორგი აღვაშენე ხუცესმან წმიდაი ესე ეკლესიაი. ვინ შვილნი ჩუენნი ჯვრისა აჯათა მსახურებდეს ეკლესიასა და არა მსახურებდეს ეკლესიასა და ვინაცა მისი მიწაი ვინც ულეშენოს ეკლესიანი, წინაშე ღმრთისა მტერნი ამისნი ივნის. განარა წაუღს ცოდვანი. შეუნდვენ ღმერთმან. ამინ!“**

**2) „ლოცვისაგან კიდევა რაი არა ზედაც ვინ უცქიოს კრულ ღვთისა პირითა“.**

პირველ წარწერაში ნახსენები ეკლესიის ამგები ხუცესი გიორგი მარიამ შალიკაშვილის დიდი პაპა, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე გიორგი ლარაძე რომ არ არის, უდავოა. ამ ეპოქისა არც ტაძრის ხუროთმოძღვრებაა და არც ასომთავრულისა და ნუსხურის ნარევით შესრულებული წარწერა.

ვინ იცის, ეს გიორგი ხუცესი სულაც XI საუკუნეში ეგრისის ერთ-ერთი ახალმოსახლე იყო... ვინ იცის...



ეგრისის „ნათლისმცემელი“

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-25

**შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ, სუვოროვის მსგავსად, ბაგრატიონიც თავის ლექსიკონში ვერ იტანდა გამოთქმას „არ შემიძლია“. რუსეთ-შვეციის ომის დროს (1808-1809 წწ), რომელსაც ხშირად რუსეთ-ფინეთის ომს უწოდებენ, ვინაიდან საომარი მოქმედება უმთავრესად ფინეთის ტერიტორიაზე და ფინეთისათვის მიმდინარეობდა, ოპერატიული გეგმით გათვალისწინებული იყო გაყინული ბოტნის ყურეს გადალახვა და ალდანის კუნძულების დაპყრობა. ისეთი ცნობილი სამხედრო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ კნორინგი, ბარკლაი დე ტოლი, გრაფი შუვალოვი იმპერატორს დაბეჯითებით უმტკიცებდნენ გადასვლის შეუძლებლობას. მდგომარეობის შესასწავლად ადგილზე გაგზავნეს გრაფი არაკჩეევი, როდესაც ყველა გენერლისგან უარყოფითი პასუხი მიიღო, მან ბაგრატიონის აზრი იკითხა. პასუხი ორსიტყვიანი იყო: „გვიბრძანეთ – წავალთ“. ცნობილია, რომ ეს ოპერაციაც ბაგრატიონმა ბრწყინვალედ განახორციელა.**


ბაგრატიონი და კუტუზოვი

ბაგრატიონმა იმდენად შეისისხლხორცა სუვოროვის დარიგებები უკანდახევის მავნებლობის შესახებ, რომ 1812 წლის სამამულო ომის პირველ პერიოდში, როდესაც უკანდახევის ტაქტიკა ერთადერთი და სწორი იყო, იგი ვერაფრით ვერ ეგუებოდა მას, განუწყვეტლივ თავს ეხვეოდა ბარკლაის და ითხოვდა მხოლოდ შეტევითი ომის წარმართვას.

**„გაყიდულები ვართ,** — სწერდა იგი ერმოლოვს, — **ვხედავ, დაღუპვისაკენ მივყავართ; არ შემიძლია, გულგრილად ვუყურო ამას. ბოლმა მახრჩობს... მრცხვენია მუნდირის ტარების. ღმერთმანი, ავადა ვარ... ხოლო თუ პირველი არმიით შეუტევთ, მაშინ ჯანმრთელი ვარ... ყველაფრისგან დამოუკიდებლად, ღვთის გულისათვის, წადით და შეუტიეთ, ღმერთმანი, ჯარებს გამოვაფხიზლებთ“.**

ბაგრატიონი დარწმუნებული იყო უკანდახევის ტაქტიკის მავნებლობაში და ამიტომ შეიძლება მისი სულიერი ტანჯვის გაგება, მაგრამ, თუკი ვილაპარაკებთ ობიექტურად, რასაკვირველია, იგი მართალი არ იყო. ლიტერატურაში, სამწუხაროდ, დამკვიდრდა აზრი, თითქოს ბაგრატიონი, როგორც კარგი „დამრტყმელი“, მხოლოდ შეტევის მომხრე იყო. ჩვენამდე მოაღწია ბაგრატიონის ზოგიერთმა წერილმა, რომლებიც გარკვეულად უარყოფს ამ მტკიცებას. იგი წინააღმდეგი იყო უკანდახევისა, რომელიც გამოწვეული იყო არა აუცილებლობით, არამედ სიმხდალითა და ლაჩრობით. მისი ერთ-ერთი დიდი მხედართმთავრული თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი შესანიშნავად უხამებდა თავის მოქმედებებს შექმნილ ვითარებას და საჭიროების შემთხვევაში შეტევას უკანდახევით შეცვლიდა კიდეც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მისი წერილი არაკჩეევისადმი, დათარიღებული 1809 წლის 22 ნოემბრით, რომელშიაც იგი, თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი რუსეთის არმიის მთავარსარდალი, ხსნიდა დროებითი უკანდახევის მიზეზებს.

**„უკანასკნელ დროს,** — წერს ბაგრატიონი, — **არა მარტო ნაწილების უფროსები იტყობინებოდნენ, არამედ თავადაც დავრწმუნდით, განსაკუთრებით ტატარიცასთან ბრძოლაში, რომ კავალერიისა და არტილერიის ცხენები საკვების სიმცირის გამო ისე დაუძლურდნენ, რომ მათ არაფრით არ შეეძლოთ წარმატებით მოქმედება. აი, ძირითადი მიზეზი ჩემი უკანდახევისა. მთელი ჩემი ადრინდელი სამსახური, ვფიქრობ, გამოდგება იმის მტკიცებად, რომ მე მხდალი არ ვარ, მაგრამ უაზრო გამბედაობა მიმაჩნია მხედართმთავრის დიდ ცოდვად“.**



სუვოროვი „გამარჯვების მეცნიერებაში“ ამბობს, რომ ოფიცერი და სარდალი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ ჯარისკაცის ჯანმრთელობაზე, ფიქრობდნენ მის ჭირ-ვარამზე. ოფიცერი ჯარისკაცის მბრძანებელიც უნდა იყოს და გულწრფელი მეგობარიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სუვოროვისა და კუტუზოვის შემდეგ რუსეთის არმიაში არასდროს არ ყოფილა სხვა გენერალი, რომელსაც ისეთი სიყვარული დაემსახურებინოს, როგორიც დაიმსახურა ბაგრატიონმა. იგი უყვარდათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შესანიშნავი სარდალი იყო და მასთან ბრძოლაში ყოფნა გამარჯვებას ნიშნავდა, არამედ იმისთვისაც, რომ იგი ჯარისკაცის ნამდვილი მეგობარი იყო. არც ისე დიდი ხანია, რაც ნაპოვნი იქნა ბაგრატიონის ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც მან გასცა დუნაის (თურქეთის) ფრონტზე, 1809 წელს. ამ ბრძანებით იგი ავალდებულებს ნაწილების მეთაურებს გამუდმებით იზრუნონ „დაბალი ჩინების ჯანმრთელობაზე, რომელნიც ეგზომ საჭირონი არიან ქვეყნისათვის და იმსახურებენ მამობრივ მზრუნველობას“. იმავე ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყოველი უფროსი უნდა ცდილობდეს, დაიმსახუროს თავისი ხელქვეითების სიყვარული და პატივისცემა, არ თაკილობდეს მათ, როგორც თანამშრომლებს, რომლებთან იყოფს დიდებას. ერთი სიტყვით, უფროსი უნდა იყოს ხელქვეითისთვის როგორც ღვიძლი მამა“.

**რუსთის არმიის და საზღვაო ფლოტის ისტორიამ შემოინახა არა ერთი სარდლისა და მეთაურის სახელი, რომლებიც სრულიად არ ზრუნავდნენ ჯარისკაცზე. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ ბენიგსენი, რომელიც ჯარისკაცის მდგომარეობას აფასებდა მორთმეული სადილის მიხედვით. 1807 წლის კომპანიის პროცესში ზოგიერთი ნაწილის უფროსებმა მოახსენეს მას არმიაში გავრცელებული შიმშილის შესახებ, რაზედაც მან ცინიკურად უპასუხა: „საჭიროა მოთმინება. წარმოიდგინეთ, რომ ჩემთვისაც მხოლოდ სამი თავი სადილი მოაქვთ“.**

იშვიათად რომელიმე მხედართმთავარი ბაგრატიონზე უფრო აჩვევდა ხელქვეითებს მოთმინებას, სიძნელეების გადალახვას. მაგრამ არც არავინ ზრუნავდა არმიაში ჯარისკაცზე ისე, როგორც ბაგრატიონი. ამას შესანიშნავად ადასტურებს მისი წერილი გრაფ არაკჩეევისადმი, დათარიღებული 1809 წლის 25 სექტემბრით, რომელშიაც ვკითხულობთ:

**„არაფერს არ ვიშურებ მათთვის (ჯარისკაცებისათვის — ი.ა.). უკანასკნელი კაპიკით ჩემს ერთგულებას ვასმევ, ვაჭმევ, ვახალისებ ჩინებული სამსახურისთვის... უმჯობესია, მოვკვდე, ვიდრე ექსტრაორდინარული თანხა შევჭამო. მოვკვდე პატიოსნად, მაგრამ შიშველი“.**

ამავე დროს ბაგრატიონი ძალზე მკაცრი იყო და ყველასგან სამხედრო დისციპლინის დაცვას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია მისი ორი ბრძანება, რომელიც მან გასცა 1809 წელს, დუნაის არმიის მთავარსარდლად ყოფნისას. პირველ მათგანში საუბარია ჯარში საშიში სენის — ლოთობის გავრცელების შესახებ. გარდა ამისა, ხაზგასმულია ზოგიერთი ნაწილის მეთაურის უყურადღებობა ისეთი დაუშვებელი ქმედებისადმი, როგორიც უმიზეზო სროლა იყო. „დაჭრილთა შეხვევისას, — ვკითხულობთ ბრძანებაში, — შემჩნეულია, რომ ზოგი ჯარისკაცი მთვრალია, რაც უნდა მიეწეროს ყველას დაუდევრობას, დაწყებული უფროსით და ფელდფებელით დამთავრებული... მთვრალი და უგონო ერთია, უაზროდ მამაციცაა და მშიშარაც. არანაკლებ საკვირველია, რომ რეგულარულ ჯარში თოფების განმუხტვის ნაცვლად ჯარისკაცები უბრალოდ ისვრიან და ბევრი გენერალი ამას გულგრილად უყურებს. წესიერ ჯარში ყოველთვის ბანაკში შესვლისას თოფი უნდა განიმუხტოს. გაფრთხილებთ, ასეთი უმსგავსობა მომავალში უნდა მოიკვეთოს“.

**დასასრული**
**შემდეგ ნომერში**




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეშვიდე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე დიდი მონეტა

**კანადის ხაზინის შეკვეთით მხატვარმა სტენლი უიტენმა 1 მლნ ნომინალის 100 კგ-იანი ოქროს მონეტა შექმნა. მონეტის დიამეტრი 53 სმ-ია, სისქე — 3 სმ.**

ერთ მხარეს კანადის სახელმწიფოს ფორმალური მეთაურის — ელისაბედ II-ის პორტრეტია ამოტვიფრული, მეორეზე — ნეკერჩხლის ფოთოლი. მხატვარმა სამი ასეთი მონეტა დაამზადა, რასაც 8 კვირა მოანდომა.

მონეტებს მიმოქცევაში მაშინვე არ გაუშვებენ, რადგან კანადის კანონმდებლობა 1 მლნ ნომინალის ფულად ერთეულს ჯერჯერობით არ ითვალისწინებს.




# უდიდესი მექანიკური საათი

**ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში მსოფლიოში ყველაზე დიდ მექანიკურ საათს დადგამენ. 10-ტონიანი საათი ჰარმონის პარკში 113 მ-იან კოშკს დაამშვენებს.**

საათის ციფერბლატის დიამეტრი — 13 მ, ხოლო პატარა ისრის სიგრძე 7,8 მ-ია.

საათის ისრები ფოლადისგან რომ დაემზადებინათ, ისინი 2 ტონას აიწონიდა. ფოლადის ნაცვლად, ისრები ქვანახშირის ბოჭკოებისგან დაამზადეს, რითაც მათი წონა 70 კგ-მდე შეამცირეს. პროექტის რეალიზაცია 1.5 მლნ დოლარი დაჯდება.



# უგრძესი ხიდი



**ჩინური ხიდი ხანჯოუ ბეი სავსებით საკმარისი იქნებოდა საფრანგეთისა და ბრიტანეთის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.** ამ ხიდის სიგრძე აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში 36 კმ-ს შეადგენს და შანხაის ნინბოს ინდუსტრიულ ცენტრთან აკავშირებს, რითაც ქალაქებს შორის 400 კმ-იან მანძილს 80 კმ-მდე ამცირებს. ტრანსპორტი აქ ექვს ზოლზე მოძრაობს. მანქანების მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე საათში 100 კმ-ს არ აღემატება. ბეტონისა და ფოლადის კონსტრუქციას ტაიფუნიც ვერაფერს დააკლებს.

# ყველაზე მიკარგული საერთაშორისო აეროპორტი




**მხატვრებმა ინტერნეტის მეშვეობით 4 ჰა მიწა შეიძინეს ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე მიყრუებულ კუთხეში და გადაწყვიტეს, რომ იქ საერთაშორისო აეროპორტი იქნებოდა.**

უახლოესი დასახლების 66-ვე მცხოვრებმა მათ იდეას მხარი დაუჭირა; მოვალეობებიც გაინაწილეს და თვითნაკეთი საერთაშორისო აეროპორტიც შექმნეს.

მართალია, მისი არსებობის შესახებ თითქმის არავინ იცის, მაგრამ... ერთხელ, 8-მგზავრიანი მომცრო თვითმფრინავი ლას-ვეგასში მიფრინავდა, როცა პილოტებმა მოსალოდნელი ქვიშის ქარიშხლის შესახებ შეტყობინება და მონტელოს საერთაშორისო აეროპორტში დაშვების შეთავაზება მიიღეს...

# ყველაზე პოპულარული სამეცნიერო მითები — ტყუილ-მართალი

**თავწაკვეთილი ქათამი ცოცხლობს.** მართალია, ორიოდე წუთს ის მართლაც „ცოცხლობს" და სირბილსა და აფრენასაც კი ცდილობს, რაც იმით აიხსნება, რომ ზოგჯერ დაკლული ქათამი ტვინის იმ ღეროვან ნაწილს ინარჩუნებს, რომელიც რეფლექსებზეა პასუხისმგებელი.

**წყლის მორევი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში ერთ მხარეს ტრიალებს, ჩრდილოეთში — საპირისპიროდ.** სიცრუეა. დედამიწის ბრუნვის სიჩქარე იმისთვისაც არაა საკმარისი, რომ პატარა ნიჟარაში წყლის მიმართულება შეცვალოს.




**ადამიანის ტვინის მხოლოდ 10 პროცენტი მუშაობს.** სიცრუეა. ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევები მოწმობს, რომ თავის ტვინის ქერქის დიდი ნაწილი აქტიურად მუშაობს, მაშინაც კი, როცა გვძინავს.



**კოსმოსში გრავიტაცია არ არის.** სიცრუეა. ეს მცდარი მოსაზრება, ალბათ, პოპულარულმა გამოთქმებმა: „ნულოვანმა გრავიტაციამ" და „უწონადობამ" წარმოშვა.

გრავიტაცია ყველგანაა, მიზიდულობის ძალა ერთნაირად მოქმედებს ყველა ადამიანზე.

კოსმონავტები ორბიტაზე უწონადობის მდგომარეობაში იმიტომ იმყოფებიან, რომ თავის ხომალდიანად გამუდმებით „ვარდებიან" დედამიწაზე, მაგრამ ამას ჰორიზონტალურ სიბრტყეში აკეთებენ.

გრავიტაცია მანძილთან ერთად მცირდება, მაგრამ საბოლოოდ არასოდეს ქრება.

**ხაშხაშიანი ფუნთუშის შეჭმა ოპიუმის მოწევის ტოლფასია.** თითქმის სიმართლეა. მართალია, ამ დროს ადამიანს ეიფორიის შეგრძნება არ ეუფლება, მაგრამ ორი ასეთი ფუნთუშის მირთმევის შემდეგ, სისხლის ტესტი ოპიატებზე დადებითი იქნება...



**ცათამბჯენიდან გადმოგდებულ მონეტას კაცის მოკვლა შეუძლია.** სიცრუეა. ქარისა და ჰაერის წინააღმდეგობის გამო, ემფაიერ სთეით ბილდინგიდან გადმოგდებული მონეტაც კი ადამიანს ტრავმას ვერ მიაყენებს. თუკი არაკეთილისმსურველისთვის მაინცდამაინც ამ ეგზოტიკური ხერხით მოინდომებთ ზიანის მიყენებას, მაშინ სჯობს, ამ მონეტით აგური იყიდოთ...






**მოწიფული ადამიანის ტვინის უჯრედები ზრდას წყვეტს.** სიცრუეა.

მართალია, ადამიანის ტვინი უფრო აქტიურად იზრდება და ფორმირების ძირითად სტადიებსაც ადრეულ ასაკში გადის, მაგრამ უჯრედების გაყოფა არც შემდეგ წყდება. გამოკვლევევბმა აჩვენა, რომ ნეირონები სიკვდილამდე იზრდება და იცვლება.

**წვიმაში სირბილისას ნაკლებად დასველდები.** მათემატიკური სიმართლეა. თუმცა სირბილისას ტანსაცმლის გაფუჭების მეტი შანსია, რადგან ტორსის წინა ნაწილი ყველაზე მეტად სველდება.





**მეხი ერთსა და იმავე ადგილას არასოდეს ვარდება.** სახიფათო ტყუილია.

სინამდვილეში სწორედაც რომ პირიქითაა. იმ ხის ქვეშ დამალვა, რომელსაც ეს-ესაა მეხი დაეცა, ნამდვილად არ ღირს.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე წარმატებული უშნო ქალები



**კამილა პარკერი.** პრინც ჩარლზის ამჟამინდელი მეუღლე სულაც არაა ლამაზი, უფრო მეტიც — სიმპათიურსაც ვერ უწოდებ, მაგრამ თვით პრინცესა დაიანამაც ვერ შეძლო ჩარლზის გულიდან კამილას სიყვარული ამოეფხვრა.

**ბეტ მიდლერი.** ამერიკელი კომედიური მსახიობი და მომღერალი ბეტ მიდლერი ლამაზი არასოდეს ყოფილა, სამაგიეროდ, სახასიათო როლებმა მას „გრემი, „ემი" და „ტონი" მოუტანა. მიდლერი ორჯერ იყო ნომინირებული „ოსკარის" პრემიაზე.



**ჯოან კიუსაკი.** ამერიკული კომედიური ჟანრის კიდევ ერთი ვარსკვლავი ჯოანი 80-იან წლებში ბრწყინავდა. ორჯერ „ოსკარზე," ხოლო ერთხელ „ოქროს გლობუსზე" იყო წარდგენილი. აღიარების მოპოვების შემდეგ იგი გათხოვდა და ორი ვაჟიც შეეძინა.





**როსი დე პალმა.** ვინ იფიქრება, რომ ასეთი არასტანდარტული გარეგნობის ქალი არა მარტო მოდელი და მომღერალი, არამედ შთამბეჭდავი ფილმოგრაფიის მქონე მსახიობიც გახდებოდა. როსი ესპანელმა კინორეჟისორმა პედრო ალმადოვარმა აღმოაჩინა.



**უოლის სიმფსონი.** არც ეს ქალია ლამაზი, მაგრამ ტახტის მემკვიდრე ედუარდ VII-მ, რომელიც ცხოვრების უდარდელი წესით გამოირჩეოდა, უოლისის გამო არა მარტო დაივიწყა ძველი ჩვევები, არამედ ტახტზეც კი უარი თქვა. უოლისი ორჯერ იყო გათხოვილი, მას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფონ რიბენტროპთან კავშირსა და გერმანიის დაზვერვაზე მუშაობაშიც ადანაშაულებდნენ, მაგრამ მითქმა-მოთქმამ ვერაფერი დააკლო.



**ემი უაინჰაუსი.** ბრიტანელ მომღერალ ემი უანჰაუსს, დიდი ხანია, ლოთისა და დებოშიორის რეპუტაცია აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ბრწყინვალე ხმითა და მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული. ემის პოპულარობა გარეგნობის წყალობით ნამდვილად არ მოუპოვებია.

**ელენ დეჯენერესი.** ამერიკელი ტელეწამყვანისათვის ულიმლამო გარეგნობას ხელი არ შეუშლია, საკუთარი ტელეშოუს წყალობით „ემის" 11 პრემია მოეპოვებინა. დეჯენერესი კოსმეტიკა Cover Girl-ის სახეცაა.





**ტრეისი ტორნი** არასოდეს ყოფილა მშვენიერი, სამაგიეროდ, მისი ხმა „ელექტრონული 90-იანების" ეპოქის სიმბოლოდ იქცა. 1994 წელს მთელ მსოფლიოში ჟღერდა ტრეკი „მონატრება," ტრეისი ტორნისა და ბენ უოტის შესრულებით.

# უძველესი ობსერვატორიები



**ბრაზილიის ერთ-ერთ გამოქვაბულში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 10.000 წლისწინანდელი ნახატები, რომლებზეც მზე და თანავარსკვლავედებია გამოსახული. მეცნიერთა აზრით, ეს გამოქვაბული ობსერვატორიას წარმოადგენდა.**

ხეოფსის პირამიდა დაახლოებით 4500 წლის წინათ ააგეს. ფარაონის სამარხთან ერთად, იგი ზედმიწევნით ზუსტ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც ძველ ეგვიპტელებს წლების, თვეებისა და საათების გამოთვლაც შეეძლოთ.

4000 წლის წინათ კელტები უკვე ფლობდნენ ცოდნას მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობის შესახებ. სამხრეთ ინგლისში, სტოუნჰენჯში მდებარე უზარმაზარი ქვის ფილები, რომლებიც კონცენტრირებულ წრეებს წარმოქმნიან, მზის სიმაღლის მიხედვით წელიწადის დაყოფის საშუალებას იძლეოდა.

# ყველაზე ელექტრული ბოტანიკური ბაღი

**სინგაპურში აქამდე არნახული ბოტანიკური ბაღის მშენებლობა დაიწყო. პროექტი Bay South, რომელიც კურორტ Marina Bay-ს მახლობლად განთავსდება, უმთავრესად უზარმაზარი (30-55 მ სიმაღლის), ლიანებით, ვაზითა და ტროპიკული ყვავილებით შემკული ხელოვნური ხეებისგან იქნება წარმოდგენილი.**

ამ ხეების ფუნქცია მზის ენერგიისა და წვიმის წყლის დაგროვებაა, რათა შემდგომ ბაღის ტერიტორია მორწყას და გაანათოს. დანარჩენი ფლორა ტენიანი ტროპიკული ტყეებისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის მცენარეებით იქნება წარმოდგენილი. ბაღის ტერიტორია 101 ჰექტარს შეადგენს. ეს ქვეყანაში ყველაზე დიდი ბაღი იქნება. სულ მალე აქ ზღვის წყალმცენარეთა ბაღსა და საგანმანათლებლო ჰიდროლოგიურ ცენტრს დაამატებენ.



# ყველაზე ფუტურისტული ოტელი



**ესპანელი არქიტექტორის ორლანდო დე ურუტიას ქმნილება დიზაინით წყლის წვეთს შემთხვევით როდი ჰგავს. მისი ძირითადი დანიშნულება მზის ენერგიის მეშვეობით ჰაერის წყლად გარდაქმნაა.** ამ ენერგიას ფოტოგალვანური მინისგან დამზადებული შენობის სამხრეთი ფასადი დააგროვებს, ხოლო „ჯადოსნური" გარდაქმნები ნაგებობის წყალქვეშა ნაწილში მოხდება, რომელიც უზარმაზარ აკვარიუმს წარმოადგენს.

შენობის ჩრდილოეთი ფასადი ცხაურიანი კედელია, რომელიც არა მარტო ვენტილაციის, არამედ იმისთვისაც გამოიყენება, რომ უნიკალური აღჭურვილობის მეშვეობით ტენიან ჰაერსა და კონდენსატს სუფთა სასმელ წყლად გადააქცევს. წყალზედა სართულებზე ოტელის ნომრები, რესტორნები, სატრენაჟორო და საკონფერენციო დარბაზები განთავსდება.

# ყველაზე მაღალი ტელეანძა



**ტოკიოში საძირკველი ჩაეყარა მსოფლიოში ყველაზე მაღალი სატელევიზიო ანძის მშენებლობას, რომელსაც 2011 წლისთვის დაასრულებენ. მისი სიმაღლე 610.58 მ იქნება, რადგან ტოკიოს ძველი ანძის სიმაღლე (333 მ) საკმარისი არ აღმოჩნდა მაღალნაგებობიანი ქალაქის დასაფარად. პროექტის ღირებულება 470 მლნ დოლარს შეადგენს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## პრინცესა დიანას თმის მურაბა



**ლონდონში გაიხსნა გამოფენა, რომლის ერთ-ერთი ექსპონატი არის, მურაბის ქილა, რომელშიც პრინცესა დიანას თმაც ურევია. მსურველს მისი შეძენა სულ რაღაც ხუთ ფუნტად შეეძლება.**

იდეის ავტორი მხატვარი სემ ბომპასი ირწმუნება, რომ უნიკალური ობიექტი შექმნა — კვების პროდუქტი და ხელოვნების ნიმუში ერთდროულად. პრინცესას თმის გარდა ქილაში არის ჯინი, რძე, შაქარი და პროდუქტი შედედებული რძის მსგავსად გამოიყურება. არაჩვეულებრივი მურაბის მოსამზადებლად მხატვარმა პრინცესა დიანას თმა ინტერნეტ-აუქციონზე შეისყიდა. ბომპასს ის რომელიღაც კერძო კოლექციონერმა ათ დოლარად მიჰყიდა. ლონდონის გალერეაში წარმოდგენილია კიდევ არაერთი უცნაური მურაბა. მაგალითად, ექსპონატებს შორის არის ხეოპსის პირამიდის მახლობლად მოგროვილი ქვიშის ჯემი. ბომპასი ამბობს, რომ მურაბა ყველაზე დაჩაგრული და ბანალური პროდუქტია და ამიტომ მისი სიურეალისტური ხელოვნების ნიმუშად ქცევა კეთილშობილური საქმეა.

## თოლიების საპირფარეშო



**შვედეთის ქალაქ კარლსტადში აშენდა სპეციალური ნაგებობა, რომელიც თოლიების საპირფარეშო უნდა გახდეს. იახტ-კლუბებიდან შემოსული საჩივრებით შეწუხებულმა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრა და ბოლოს ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო.**

კარლსტადის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის — იენს გუსტაფსონის განცხადებით, იახტების მფლობელებს საშინლად აღიზიანებთ ის ფაქტი, რომ ჩიტები გამუდმებით „ამშვენებენ“ მათ საკუთრებას. გემებისა და სანაპირო ზოლიდან თოლიების განდევნას სხვა, უფრო ტრადიციული მეთოდებითაც მაგალითად, საფრთხობელების დახმარებითაც ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. საფრთხობელებს ფრინველები სწრაფად ეჩვეოდნენ და ორიოდ დღეში ალარაფრად აგდებდნენ.

ამიტომ სანაპიროზე აშენდა აივნებისმაგვარი ნაგებობა, რომელზეც მუნიციპალიტეტისა და გემების მფლობელთა უკანასკნელი იმედებია დამყარებული. ვინაიდან თოლიებს ჩამოსხდომა და ზღვის პეიზაჟებით ტკბობა უყვართ, გუსტაფსონი თვლის, რომ გემებს მაინცადამაინც მოსასაქმებლად აღარ მიაკითხავენ. თოლიებისთვის აშენებულ პლატფორმაზე პირველად მერცხლები ჩამოსხდნენ.

## რეკორდი ზვიგენების აკვარიუმში



**რუბიკის კუბიკის აწყობაში ესპანეთის ორგზის ჩემპიონმა 24 წლის დავიდ კალვომ ახალი რეკორდი დაამყარა. მან ორი კუბიააწყო აკვარიუმში, რომელშიც ორ მეტრზე მეტი სიგრძის ექვსი ზვიგენი დაცურავდა. ორივე თავსატეხის ამოსახსნელად მას სულ 76 წამი დასჭირდა.**

კალვო ორივე კუბს ერთდროულად აწყობდა. ერთს მარჯვენა ხელით, მეორეს კი — მარცხენით. მართალია, წყალქვეშ რეკორდი მან შარშანაც დაამყარა, მაგრამ მაშინ აკვარიუმში მარტო იყო და ირგვლივ ზვიგენები არ დანავარდობდნენ. მართალია, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აკვარიუმში პროფესიონალი დაივერიც იყო და ამ ზვიგენებს მანამდე არავინ შეუჭამიათ, მაგრამ რეკორდმსმენი მაინც სწრაფად მოქმედებდა, მას ნამდვილად არ სურდა, ზვიგენების მსხვერპლად გახდომითაც მოეპოვებინა პირველობა.

# აშშ-ის საზღვრები ნარკოკარტელებისთვის ღიაა



**ბევრს არ ესმის, რატომ გამოხატავენ ადამიანები შეშფოთებას არალეგალური ემიგრანტების გამო. მიზეზი ნამდვილად არაა ის, რომ ვიღაც „გასტარბაიტერების“ წინააღმდეგია და არ სურს, აშშ-ში ჩასული უცხოელები გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ სოფლის მეურნეობის გიგანტებს ხილის კრეფაში დაეხმარონ. მუშახელი ქვეყანაში არალეგალური გზით არ უნდა იპარებოდეს და, თუ მათი შრომის მიმართ რეალური მოთხოვნილება არსებობს, საჭიროა, შემუშავდეს ისეთი იურიდიული მექანიზმი, რომელიც პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს. მაგრამ ამერიკაში სამართალდამცავებს ნარკოკარტელები სჭარბობენ და წესებსაც ისინი ადგენენ.**

**რეალობა ასეთია: აშშ-ის საზღვრების უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების საკითხი ხდება. ფედერალური აგენტები და ადგილობრივი პოლიცია აღიარებენ, რომ ახლა მათ აშშ-ის ტერიტორიაზე შემოჭრილი ნარკოსინდიკატები რაოდენობრივადაც ჯობნიან და შეიარაღებითაც, გარდა ამისა, სულ უფრო მეტი სამართალდამცავი ეწირება ნარკოკარტელებს, რომლებიც ქვეყანაში აბსოლუტურად გახსნილად ახორციელებენ თავიანთ საომარ ოპერაციებს.**

საქმე იმდენად ცუდადაა, რომ ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს აფრთხილებს, არიზონის ზოგიერთ ოლქს ახლოსაც არ გაეკარონ. **ამერიკელთა უმეტესობას არალეგალური მიგრაცია იმიტომ აშინებთ, რომ ისინი ფაქტიურად თვალს ადევნებენ საკუთარ ტერიტორიებზე სამხედრო შეჭრის პროცესს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და დაუნდობელი ნარკოსინდიკატების მხრიდან.**

პოლიტიკოსები ამ პრობლემას გაურბიან და ოდნავაც კი არ აქცევენ ყურადღებას საზღვრების უსაფრთხოებას. შედეგად, უცხოელები კვლავ იპარებიან ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და აბსოლუტურად ღიად აწარმოებენ საომარ მოქმედებებს ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ.

შესაძლოა, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ სინამდვილეში ყველაფერი ასე ცუდადაა, მაგრამ ეჭვების გასაფანტად ერთი მარტივი საშუალება არსებობს — საზღვრებთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე მომსახურე სამართალდამცავებისა და ფედერალური აგენტების მოსმენა.

**საზღვრისპირა რაიონების მთავრობა ცოტა ხნის წინათ აცხადებდა, რომ მექსიკურმა ნარკოკარტელებმა არა მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე ვაჭრობის საკითხები მოაგვარეს, არამედ სტრატეგიულ რაიონებში სამხრეთ არიზონას ბორცვებზე ფაქტიურად სათვალთვალო ბაზები განათავსეს. ამგვარი ფორპოსტებიდან ნარკოკარტელების შეიარაღებული მოთვალთვალეები სასაზღვრო სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების ნებისმიერ ნაბიჯს აკონტროლებენ. ფედერალური აგენტები ამბობენ, რომ მოთვალთვალეებთან რეგულარულად მიაქვთ წყალი, საკვები და ყველაფერი, რაც შეიძლება დასჭირდეთ იმ განუსაზღვრელი დროის მანძილზე, რომელსაც თავიანთ იმპროვიზირებულ პოსტებზე გაატარებენ.**

საზღვარზე პატრულირებისას ერთ-ერთმა აგენტმა, რომელსაც საკუთარი ვინაობის გამხელა გასაგები მიზეზების გამო არ სურს, „Fox News“-ს უთხრა, რომ ტყუილი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს აღნიშნული რაიონი არ კონტროლდება.

მეორე აგენტმა იმავე „Fox News“-ს ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეატყობინა, რომ ისინი ყოველ ღამით იღებენ კონტრაბანდისტებისგან მუჯლუგუნებს ზუსტად ისევე, როგორც ბავშვები — საჩუქრებს დაბადების დღისთვის.

მაგრამ ყველაფერი ამით არ ამოიწურება. **არიზონას პოლიციელებს გახსნილად ემუქრებიან, რომ თუ ისინი რაიმე სახის წინააღმდეგობას გაუწევენ ნარკოტრაფიკს, ამ პრობლემას ნარკოკარტელების სნაიპერები მოაგვარებენ.**

რაც უნდა საკვირველი იყოს, ეს ყოველივე ახლა, ჩვენს დროში ხდება.

**აშშ-ის საზღვრებზე გაცხარებული ომია, ობამას ადმინისტრაცია კი თითსაც არ გაანძრევს. შერიფი პოლ ბებოუ ამბობს: „ამ ტერიტორიას ნარკოკარტელები აკონტროლებენ... ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეუძლიათ, დამოუკიდებლად აღკვეთონ ეს ყველაფერი. ჩვენ არ გვაქვს საკმარისი იარაღი, არ გვყავს საკმარისი ხალხი და ადგილობრივ მასშტაბებში მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის საკმარისი რესურსები არ არსებობს“.**



მეტი რაღა თქვან?

**ადგილობრივი სამართალდამცავები და სასაზღვრო სამსახურები ფედერალურ მთავრობას დახმარებას ეხვეწებიან; არადა, საზღვრების დაცვა არის ერთ-ერთი იმ ძალიან მცირე ჩამონათვალიდან, რომელშიც ამერიკის ხელისუფლებისათვის კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებები აისახება.**

**ეს ხელისუფლება, უკვე არაერთი წელია, უგულებელყოფს საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციასაც და საკუთარ მოვალეობასაც — ხელსაც არ ანძრევს თავისი ხალხის დასაცავად.**

**ახალი ამბების ერთ-ერთ რეპორტაჟში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ აქცია არიზონას ზოგიერთი რაიონი აშშ-ის ხელისუფლებამ თავისივე მოქალაქეებისათვის აკრძალულ ზონად მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამ ტერიტორიებზე საკუთარ ხალხს ვერ დაიცავს ნარკოკარტელების მხრიდან განხორციელებული ძალადობისაგან.**

ხომ გასაგებია?

მდგომარეობა არანაირ კონტროლს არ ემორჩილება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, სულაც არაა გასაკვირი, რომ საკუთარი ხელისუფლებისგან მიტოვებულმა არიზონამ არალეგალური იმიგრაციის აღსაკვეთი კანონი მიიღო, რომელმაც კრიტიკის ათას ქარცეცხლში გაიარა.

**იმის ნაცვლად, რომ არიზონისთვის საკუთარი ძალებით თავდაცვის საშუალება მაინც მიეცა, თავად კი მექსიკის ყურეში ჩაქცეული ნავთობის პრობლემისთვის მიეხედა, ბარაკ ობამამ გადაწყვიტა, ომი გამოეცხადებინა, ოღონდ ნარკოკარტელების კი არა, არიზონას წინააღმდეგ.**

**ახლა, ნაცვლად იმისა, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოჭრილ მექსიკელ ნარკოკარტელებს ებრძოლოს, ობამა არიზონას ებრძვის და მის დამორჩილებას ცდილობს. დამორჩილება ამ ეტაპზე, მისი აზრით, დისკრიმინაციური ანტიიმიგრაციული კანონის გაუქმებაში გამოიხატება.**

ამასობაში ამერიკის შეერთებული შტატების სხვა რეგიონებმა მშვენივრად გაიგეს არიზონიდან წამოსული მესიჯი.

**ნებრასკაში ფრემონტას მთავრობამ გადაწყვიტა, მიიღოს ზომები, რომელთა თანახმადაც იმიგრანტების დაქირავება, მათთვის თავშესაფრის მიცემა ან უძრავი ქონების მიქირავება დანაშაულად ჩაითვლება.**

**მშვენიერია, ამ ზომებით ნამდვილად შემცირდება ქვეყანაში სამუშაოდ ჩამსვლელთა რაოდენობა, მაგრამ რა შუაში არიან ნარკოკარტელები? ისინი აშშ-ის ტერიტორიაზე მუშაობას ნამდვილად არ აპირებენ.**

ახლა მთავარი ისაა, რას გადაწყვეტს ობამა.

**როგორც ცნობილი გახდა, რამდენიმე სენატორი ობამას ადმინისტრაციის გეგმას შეისწავლის. ამ გეგმის მიხედვით, ყველა არალეგალურ იმიგრანტს მასიური ამნისტია შეეხება და ამისათვის კონგრესის თანხმობაც კი არ იქნება საჭირო.**

**საზღვრებიც ღიად რჩება.**

როგორც სენატორი კილი ამბობს, ეს რთული საკითხია, მაგრამ ობამა აბსოლუტურად შეგნებულად არ უზრუნველყოფს აშშ-ის საზღვრების უსაფრთხოებას. ცხადია, თავად ობამა ამ მოსაზრებას უარყოფს. მაგრამ, თუ ის საზღვრებს „საყოველთაო საიმიგრაციო რეფორმის“ დამტკიცებისათვის იყენებს, ამ საქციელის შესაფასებლად სიტყვები ძნელი მოსაძებნია.

**აშშ, რომელიც 50 წლის მანძილზე უზრუნველყოფდა საზღვრის უსაფრთხოებას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის და ამ დროის მანძილზე ერთ ჩრდილოკორეელსაც კი არ გადაუკვეთავს ის უკანონოდ, ახლა საკუთარ საზღვარს ვერ იცავს.**

**ან არ იცავს. შედეგი უცვლელია — ქვეყნის ტერიტორიაზე აბსოლუტურად უპრობლემოდ და გახსნილად შედიან არა მხოლოდ მექსიკელი ნარკოსინდიკატები, არამედ, როგორც სასაზღვრო სამსახურები ირწმუნებიან, — რადიკალი მუსლიმანი-ჯიჰადისტებიც.**

მართალია, ვაშინგტონში პოლიტიკოსები ლამის ყოველ წუთს გამოხატავენ აღშფოთებას ტერორიზმის საფრთხის გამო, მაგრამ ასევე ყოველწუთიერად მექსიკიდან ამერიკაში ათასობით ადამიანი აბსოლუტურად უპრობლემოდ შედის.

**თუ კარგად დაუკვირდებით, ეს ერის თვითმკვლელობის რეცეპტია.**

და ვიდრე აშშ-ის საზღვრები ასე დაუცველია, ნებისმიერი პოლიტიკოსის მხრიდან ეროვნულ უსაფრთხოებაზე უბრალო მინიშნებაც კი თვალთმაქცობაა.

PEREVODIKA.RU

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სურსათი, როგორც იარაღი და როკფელერების სისხლიანი პროექტი

**მას შემდეგ, რაც როკფელერებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელთ (1941 წლიდან ნავთობკომპანია „Standard Oil"-ში მონოპოლიის მოპოვების დროიდან), მათი ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა აშშ-ის ხელისუფლებით მანიპულირებაა: ფედერალური რეზერვის საშუალებით ფინანსურ სისტემას ანადგურებინებენ, ნავთობზე დამოკიდებულების წყალობით სპობენ ენერგეტიკას და საკვებ პროდუქტებში კი გმო-ს (გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი) შეყვანით მოსახლეობას ანადგურებენ. მათი მიზანი ხალხის გაქურდვა და ამოხოცვაა.**


ჯონ როკფელერი

**პროგრამის ოფიციალური სახელწოდებაა „21-ე საუკუნის დღის წესრიგი". შინაარსით კი ეს არის ყოვლისმომცველი გეგმა, რომლის მთავარი მიზანი მოსახლეობის შემცირება, აშშ-სა და მთელ დანარჩენ მსოფლიოზე კონტროლის დამყარებაა. მთავარი სამიზნე რომ თავად აშშ-ის მოსახლეობაა, ამას ისიც ცხადყოფს, რომ ამერიკელი ფერმერების მიწები გადავსებულია გენმოდიფიცირებული პროდუქტით. ეს პროდუქტი კი ჯანმრთელობისათვის საშიშია — ის ამცირებს ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობას. გარდა ამისა, ამერიკაში წყალი ბინძურდება 60 000-ზე მეტი ქიმიური ნივთიერებით, რომელთა უმეტესობის უსაფრთხოება არასდროს შემოწმებულა. აშშ-ის ჰაერი მოწამლულია, ვინაიდან ის ქიმიურად დაბინძურებულ ზონაში მდებარეობს.**

ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე 1992 წელს „21-ე საუკუნის დღის წესრიგს" წარადგენდნენ, როკფელერების მეთაურობით ელიტის კოლექტივისტები თაობებს უნერგავდნენ შობადობის რეგულირების რეცეპტებს. 1992 წელს კი სწორედ შობადობის რეგულირებისა და მოსახლეობის შემცირების დახვეწილმა სისტემამ მიიღო სახელწოდება „21-ე საუკუნის დღის წესრიგი". შესავალი ეტაპი გარემოს შენარჩუნებაზე ზრუნვა იყო.

**პროექტის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად გლობალური დათბობა იქცა. გაჩნდა მითი მტკნარი წყლის მარაგის ამოწურვის შესახებ და კანონი გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესანარჩუნებლად, რომელიც მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ ადამიანებისათვის კერძო საკუთრება (სიმდიდრისა და თავისუფლების საფუძველი) ჩამოერთმიათ. როკფელერებმა კი ამავე პროგრამის ფარგლებში სამხედრო უპირატესობასა და ენერგეტიკის კონტროლზე მძლავრი საშუალების — საკვები პროდუქტების იარაღად გამოყენება დაიწყეს.**

მესამე რეიხის პროგრამა, რომელიც ნაცისტურ გერმანიაში სასტიკი მეთოდებით ადამიანის სელექციური გამრავლების საშუალებით მისი, როგორც სახეობის დახვეწას ითვალისწინებდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაშიფრეს. **ცხადია, ხალხს ევგენიკაზე საშინელი წარმოდგენა ჰქონდა, ამიტომ „დამანგრეველი თესლის" ავტორის — უილიამ ენდგალის მიხედვით, როკფელერების სტრატეგებმა პროფილი შეიცვალეს, რათა გარემოს, ბუნებრივი რესურსების ნაკლებობისა და ჭარბი მოსახლეობის პრობლემები მოეგვარებინათ. შობადობის კონტროლირება კვლავაც მთავარ მიმართულებად დარჩა, უბრალოდ, სიტყვა „ევგენიკა" „ადამიანის გენეტიკით" ჩაანაცვლეს.**

იმიჯის გაუმჯობესების ამგვარი სქემები მათთვის უცხო არაა. როკფელერების ფონდები, რომლებიც გათავისუფლებულია გადასახადებისგან, ემსახურება მიზნებს, რომლებიც ძალზე შორსაა ქველმოქმედებისაგან. ისინი ამერიკის განადგურებას აფინანსებენ.

როგორ ფიქრობთ, რატომ ცდილობს ასე დაჟინებით სენატორი ჯეი როკფელერი, რომ ინტერნეტში ცენზურა დაწესდეს?

**ახლა როკფელერები შობადობის იძულებითი რეგულირების ტაქტიკას ახორციელებენ და საკვებ პროდუქტებს იარაღად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კვლევების საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის (CGIAR) დახმარებით, ვინაიდან თავად საზოგადოებისაგან შორს უჭირავთ თავი, ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე როტშილდები აკეთებდნენ ამას.**

**თავად CGIAR-ი მსოფლიო ბანკის მფარველობით მოქმედებს და მისი უმთავრესი ამოცანა გენმოდიფიცირებული პროდუქტის გავრცელებაა. ის როკფელერების და ფორდების ფონდების მიერ მსოფლიო ბანკის მონაწილეობით შეიქმნა 1971 წელს. სუბსიდირება წელიწადში 350 მილიონ დოლარს შეადგენდა.**

როკფელერების „მწვანე რევოლუციამ", რომლის ფარგლებშიც განვითარებად ქვეყნებში — მექსიკაში, ინდოეთსა და მთელს აზიაში ახალი სასოფლო-სამეურნეო მეთოდები ინერგებოდა, მოსავლიანობა გაზარდა, მაგრამ მაინც კრახით დასრულდა. პროგრამა 1940-1970-იან წლებში ხორციელდებოდა, აშშ-ის ხელისუფლების, ფორდებისა და როკფელერების მიერ ფინანსდებოდა.

**ახლა ბილ გეიტსს აფრიკაში ახალი „გენური რევოლუციის" მოწყობა სურს. ის კომპანია „მონსანტოში" როკფელერებთან და ნორვეგიის მთავრობასთან ერთად გაერთიანდა და პროექტ „განკითხვის დღის საცავში" მონაწილეობს. პროექტის მიზანია, მსოფლიო კატასტროფის შემთხვევაში, მცენარეთა თესლის შენახვა და გადარჩენა.**

ძმები როკფელერების ფონდმა შექმნა საერთაშორისო სამსახური (ISAAA), რომელიც აგრო-ბიოტექნოლოგიურ პროდუქტებზე ინფორმაციას აგროვებს. სამსახურს როკფელერების ფონდი აფინანსებს და ის განვითარებად ქვეყნებში გენმოდიფიცირებული პროდუქტის მწარმოებლებს ეხმარება. ამავე ქსელის სპონსორები არიან კომპანია „მონსანტო" (აშშ), ქიმია-ბიოტექნოლოგიური კომპანია „დოუ აგროსაიენსისი"(აშშ), სასურსათო კომპანია „კარგილი" (აშშ), სასურსათო კომპანია „ბაიერ კროპსაიენსი" (გერმანია), საიდუმლოებით მოცული „ანონიმი მჩუქებელი" (აშშ) და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

**აქ უნდა გავიხსენოთ, რომ რობერტ დეიჩის წიგნის „კანაფი: ამერიკის ისტორიის გადახედვა" მიხედვით, დიდი დეპრესია გამოიწვია არა უოლ-სტრიტის ბირჟებზე ვარდნამ, არამედ ალკოჰოლის აკრძალვამ. განადგურდა ყველა წარმოება, რომელიც სპირტს იყენებდა. ამ საქმეში უდიდესი დაინტერესება ჰქონდათ როკფელერებსა და მელონს, რომლებიც ნავთობკომპანიებს ფლობდნენ და კონკურენტებს იშორებდნენ გზიდან. მათ ენერგეტიკული ბაზრის ხელში ჩაგდება სურდათ, ამიტომ სპირტზე მომუშავე ავტომანქანები უნდა განადგურებულიყო.**

მოგვიანებით, 1937 წელს მათ ზუსტად იგივე გეგმით მოსპეს კანაფი. მასში ნარკოტიკული ნივთიერების წილი უმნიშვნელოა, მაგრამ, სამაგიეროდ, კანაფს, როგორც მცენარეს, პესტიციდები და ჰერბიციდები არ სჭირდება და ზეთის, ქაღალდის პროდუქციის, სამედიცინო პრეპარატებისა და ტექსტილის წარმოებისთვის გამოიყენება. გარდა ამისა, ის მშვენიერი საკვები პროდუქტია. ამიტომ, დაფეთებული როკფელერები მელონთან, დიუპონთან (ქიმიური ნივთიერებები) და ჰიორსტთან (ბეჭდვითი გამოცემა) გაერთიანდნენ, რათა კანაფი კანონგარეშე გამოეცხადებინათ. ის როკფელერებს მარტო იმიტომ კი არ უშლიდა ხელს, რომ ზეთი მზადდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ეწინააღმდეგებოდა მათ მისწრაფებას ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლიის დასაკუთრების მხრივაც.

**1973 წელს ნიუ იორკის შტატის გუბერნატორმა ნელსონ როკფელერმა მარიხუანა ნარკოტიკად გამოაცხადა; მისი შენახვა და გამოყენება 15 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე სასჯელს ითვალისწინებდა. დანარჩენმა შტატებმა მის მაგალითს მიბაძეს და აშშ-ში „ნარკოტიკებთან ომი" დაიწყო.**

კალიფორნია იყო პირველი, ვინც ფედერალური მთავრობის გამოწვევას არ მოერიდა და მარიხუანის სამედიცინო მიზნებისათვის გამოყენება ლეგალურად აქცია. 14-მა შტატმა მისი მაგალითი გაიმეორა. კალიფორნიაში კენჭისყრა ნოემბერშია დაგეგმილი. იმისათვის, რომ მარიხუანის მოყვანა დაიბეგროს, შესაძლოა, მის ლეგალიზებას მხარი დაუჭირონ. რაც არ უნდა უცნაური იყოს, 2006 წელს კალიფორნიის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატამ დაამტკიცა მარიხუანის ლეგალიზების კანონპროექტი, მაგრამ კოლექტივისტმა არნოლდ შვარცენეგერმა მას ვეტო დაადო. არადა, კანაფი შტატის გაკოტრებულ ეკონომიკას დიდ სარგებელს მოუტანდა.

**ნოემბრის კენჭისყრის შემდეგ, კალიფორნიაში მარიხუანა თუ დაკანონდება, ნებისმიერს შეეძლება მისი ყიდვა ნებისმიერი მიზნით და არა მხოლოდ სამედიცინო დანიშნულებით. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, ერთის მხრივ, შესაძლებელი გახდება ზეთის, ბუნებრივი პლასტმასის, ქაღალდისა და საკვების წარმოებაში კანაფის გამოყენება; მეორეს მხრივ კი, ბოლოსდაბოლოს, რეალურად ამოქმედდება მეათე შესწორება, რომლის თანახმადაც შტატებს სუვერენიტეტი აქვს მინიჭებული.**

PEREVODIKA.RU



## ტეხასი გუბერნატორად ძაღლს აირჩევდა, რომ...




**ამერიკაში, ტეხასის შტატში ერთი ბედნიერი ძაღლის, სახელად ვუდროუს, პატრონმა გადაწყვიტა, რომ თავისი საყვარელი ცხოველისათვის პოლიტიკური კარიერა აერჩია და უსახლკარო ცხოველების პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად ის გუბერნატორობის კანდიდატად დაასახელა.**

წინასაარჩევნო კამპანიისას მოგროვილი თანხა უსახლკარო ცხოველებზე მზრუნველ საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაეცემა. რაც შეეხება ვუდროუს, თუ საჭირო რაოდენობით ხელმოწერები მოგროვდებოდა, ის საარჩევნო ბიულეტენში სხვა კანდიდატებს შორისაც დაიკავებდა ადგილს, რომ არა შტატის კანონი, რომლის მიხედვითაც გუბერნატორი სულ მცირე 30 წლის უნდა იყოს, ვუდროუ კი ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა. ამიტომ, გუბერნატორობის კანდიდატებად რესპუბლიკელი რიკ პერი, დემოკრატი ბილ უაიტი და ლიბერალი კეტი გლასი რჩებიან.

## 10 წელი გარდაცვლილ ქმართან



**პენსილვანიის შტატში მცხოვრები 91 წლის ჯინ სტივენსი 10 წლის განმავლობაში ავტოფარეხში ინახავდა თავისი გარდაცვლილი ქმრის ცხედარს. მაგრამ ეს მის სახლში ერთადერთი მიცვალებული არ იყო. ერთ-ერთ ოთახში 2009 წელს გარდაცვლილი მისი ტყუპისცალი და ესვენა.**

ქალბატონი სტივენსი გვამის სუნს პარფიუმერიის საშუალებით ანეიტრალებდა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ერთ მშვენიერ დღეს უცნობმა პირმა სამართალდამცავ ორგანოებს აცნობა, რაც ხდებოდა მის სახლში. ცხედრები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას გადაეცა, მაგრამ ჯინ სტივენსს ბრალი ვერაფერში დასდეს, ის, უბრალოდ, სახლში ინახავდა თავის საყვარელ ადამიანებს. როგორც თავად სტივენსი ამბობს, მისთვის უდიდესი ტრაგედიაა ადამიანის გარდაცვალება და განსაკუთრებით მისთვის მიწის მიყრის და სამუდამოდ გამომშვიდობების მომენტი.

## აეროპორტის მუშაობა უცხოპლანეტელებმა შეაფერხეს



**ჩინეთის ქალაქ ხანჩჟოუში საერთაშორისო აეროპორტის მუშაობა ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტმა შეაფერხა.**

როგორც ქალაქის მთავრობის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ის საღამოს 9 საათზე გამოჩნდა აეროპორტის თავზე და მის გამო მთელი რიგი რეისები სხვა ქალაქებში გადამისამართდა. ერთი საათის განმავლობაში აეროპორტი თვითმფრინავებს არც ღებულობდა და არც აგზავნიდა. მეორე დღიდან აეროპორტმა ჩვეულებრივ რეჟიმში დაიწყო მუშაობა. ინციდენტის შესახებ მიმდინარეობს გამოძიება და მის დასრულებამდე, ცხადია, ვერ გავიგებთ, რა უნდოდათ უცხოპლანეტელებს ხანჩჟოუში.

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

დღეიდან ტექნიკის მაღაზიათა ქსელი **„ტექნო ბუმი“** ნამდვილ ბუმს იწყებს და პირველად საქართველოში ბუმის საბითუმო ცენტრს საზეიმოდ ხსნის, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **ტექნო ბუმში** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი „ბუმის ცენტრში“ უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, ალმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**

# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru






საქართველო
# ეწვიეთ ჩვენს საიტს
**http://www.geworld.net**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net